K 19388
2

მარქსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფილოსოფიის სიღატაკე

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი

კ. მარქსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფილოსოფიის სიღატაკე

თარგმნილი ფრანგულიდან
ფილიპე გოგიჩაიშვილის მიერ

[redacted]
რედაქციით

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი 1931

სპეც-2000
შემოწმებულია

სახელგამის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პროსპ. № 91.

შეკვეთის № 233. მთავარლიტი № 1226. ტირაჟი 10.000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართული თარგმანის რედაქტორის წინასიტყვაობა

„ფილოსოფიის სიღატაკე“, რომლის ქართულ თარგმანს მკითხველს ვაწვდით, მარქსის ადრინდელ ნაწარმოებს ეკუთვნის: ის დაწერილია 1847 წელს. მასში აშკარად სჩანს, რომ მარქსს გასწორებული აქვს ანგარიში თავის ძველ იდეალისტურ ჰეგელიანურ შეხედულობასთან და ძირითადად გაურკვევია დიალექტიურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა, შემდეგში ცნობილი აგრეთვე მარქსიზმის სახელწოდებით.

საბაბი ამ წიგნის დაწერისათვის მარქსს მისცა საფრანგეთის ცნობილმა უტოპიურმა მოაზროვნემ პრუდონმა, რომელზედაც მარქსი ერთ დროს დიდ იმედებს ამყარებდა. ეს იმედები არ გამართლდა. პრუდონმა ვერ დააღწია თავი იმ წვრილ-ბურჟუაზიულ არეს, რომელიც მას გარს ერტყა და წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმის წარმომადგენელი შეიქნა. ამის შემდეგ მარქსმა თავისი მეგობრული ურთიერთობა პრუდონთან მის შეხედულებათა ულმობელი, მაგრამ სავსებით დამსახურებული კრიტიკით შესცვალა.

პრუდონის „სიღატაკის ფილოსოფია“ არის ის წიგნი, რომელსაც მარქსი აკრიტიკებს და რომლის დაპირისპირებით მან თავის შრომას „ფილოსოფიის სიღატაკე“ უწოდა. მაგრამ ამ შრომას ახლავს დამატებები, რომლე-

ბიც განმარტავენ და ავსებენ მთავარ შრომას, და ამგვარად, მის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ: ეს დამატებებია:

1) ფრ. ენგელსის ორი წინასიტყვაობა გერმანული გამოცემისათვის, ქართულად ნათარგმნია გერმანულიდან.

2) კ. მარქსის წერილი პ. ანენკოვისადმი დაწერილი 1846 წ. 28 დეკემბერს, — ქართულად ნათარგმნია რუსული ტექსტიდან და შედარებულია ფრანგულ ტექსტთან, რომელიც კლიშეს სახით მივიღეთ მარქს-ენგელსის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

3. კ. მარქსის წერილი „სოციალდემოკრატის“ რედაქტორისადმი (1865 წლ. 24 იანვარს); ქართულად ნათარგმნია გერმანულიდან, შედარებულია ფრანგულ თარგმანთან.

4. კ. მარქსის წინასიტყვაობა ამ შრომისათვის, დაწერილია 1847 წლ. 15 ივნისს, — ქართულად ნათარგმნია ფრანგული ტექსტიდან და შედარებულია გერმანულთან.

საკუთრივ „ფილოსოფიის სილატაკე“ იყოფა ორ თავად და თითოეული თავი რამდენიმე პარაგრაფად; თარგმნილია ფრანგული ტექსტიდან და შედარებულია გერმანულთან. ამას მოსდევს ორი დანართი:

1) Zur Kritik der Politischen Oekonomie-დან, ქართულად თარგმნილი გერმანულიდან და

2) სიტყვა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, თარგმნილი ფრანგული ტექსტიდან და შედარებული გერმანულთან.

წიგნს დართული აქვს სახელთა და საგანთა საძიებელი, რომლის მცირე ნაწილი თარგმნილია რუსული გამოცემისთვის დართული მასალიდან, ხოლო უფრო დიდი ნაწილი დამოუკიდებლად არის შედგენილი.

მართალია, აქ გამოთქმულ აზრებს და შეხედულებებს მარქსი შემდგომ თავის ნაწარმოებებში მეტი სიძლიერით

და საფუძვლიანობით აყალიბებს, ზოგიერთ ტერმინს უფრო შესაფერი ტერმინით სცვლის, მაგრამ საერთოდ ამ წიგნს მარქსიზმის გასაგებად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ ისტორიული მატერიალიზმის თეორია მარქსმა კლასიკურად ჩამოაყალიბა მის მერმინდელ ნაწარმოებში, სახელდობრ Zur Kritik-ის წინასიტყვაობაში. მაგრამ ეს მოძღვრება ამ წიგნში მოცემულია გაცილებით უფრო ადვილად გასაგებ და ყველასათვის ხელმისაწვდენ ფორმაში. ამ მხრით შესანიშნავია წერილი ანენკოვისადმი, რომელიც „ფილოსოფიის სიღატაკე“-ზე ადრეა დაწერილი და მიუხედავად ამისა შეიცავს ამ უკანასკნელის რეზიუმეს და ისტორიული მატერიალიზმის გენიალური სიცხადით აღბეჭდვას.

ამავე წიგნში მარქსი გვაძლევს თავისი ეკონომიური მოძღვრების პირველ მოხაზვას, რომელიც შემდეგში, უამრავ ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით, მან თავის მთავარ შრომაში („კაპიტალში“) განავითარა.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ამ წიგნის ისტორიული და სამეცნიერო მნიშვნელობა. ამავე წიგნში მოცემულია ის, რაც ახასიათებს მარქსიზმს წინააღმდეგ ბურჟუაზიული მეცნიერებისა, მოცემულია თეორიის და პრაქტიკის ერთიანობა. მარქსი და მისი განუყრელი მეგობარი ენგელსი მით განირჩევიან სხვა მეცნიერთაგან, რომ ისინი არ კმაყოფილდებიან საგნის მარტო გამოკვლევით და შესწავლით, არ კმაყოფილდებიან მარტო თეორიულ ცნებათა ჩამოყალიბებით; მათი თეორია პრაქტიკის ნაწილია, ის სამოქმედო საშუალებაა, ბრძოლის იარაღია. მათი გამოკვლევა, როგორც წარსულისა, ისე აწყმოს შესახებ, არ არის პასიური ჭვრეტა ან მარტოოდენ გონების ვარჯიშობა. ყოველი მათი კვლევა დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნასთან. გარეშე ამისა არ არსებობს მათთვის ინტელექტუალური ინტერესი, არ არ-

სებობს მათთვის სრულიად განყენებული მსჯელობა. ისინი
წარბშეუხრელად იკვლევენ ყველა მოვლენას მთელი მისი
სიავკარგით, მასში არსებული წინააღმდეგობებით და
უჩვენებენ გზას და ძალებს, რომელზედაც და რომელთა
შემწეობითაც მოხდება განვითარება—გაქრობა და მოსპო-
ბა ძველისა და აღმოცენება და გაფურჩქვნა ახალისა. ამით
განისაზღვრება მთელი მათი მეტად ენერგიული პრაქტი-
კული საქმიანობა, მათი შეგნებული მონაწილეობა საზო-
გადოებრივ კლასთა ბრძოლაში. ამიტომ სრულიად ბუნე-
ბრივია, რომ ამ ნაწარმოებში მოცემულია არა მარტო
ფილოსოფიური და ეკონომიური მხარე მარქსის მოძღვრე-
ბისა, არამედ აგრეთვე პროლეტარიატის კლასობრივი
ბრძოლის ტაქტიკაც.

ნათქვამის ილიუსტრაციისათვის საკმაოა დავასახე-
ხელოთ ამ ნაწარმოებიდან ერთი ადგილი, რომელიც ლე-
ნინსაც მოყავს თავის წერილში კარლ მარქსის შესახებ
(იხ. ლენინი, ტომი 18, გვ. 28): „მსხვილი მრეწველობა
თავს უყრის ერთ ადგილას ადამიანთა მასას, რომელიც
ერთმანეთისათვის უცნობნი არიან. კონკურენცია მათ
ანცალკევებს ინტერესებით. მაგრამ ხელფასის შენარჩუ-
ნება, ეს საერთო ინტერესი, რომელიც მათ აქვთ დამქი-
რავებლის წინააღმდეგ, აერთიანებს მათ წინააღმდეგო-
ბის გაწევის — კოალიციის აზრში... კოალიციები, უწინ
რომ განცალკევებული იყვნენ, ჯგუფებად ერთიანდებიან
და კაპიტალის პირისპირ, რომელიც ყოველთვის გაერ-
თიანებულია, ასოციაციის შენარჩუნება მუშებისათვის
უფრო აუცილებელი ხდება, ვიდრე ხელფასის შენარჩუ-
ნება... ამ ბრძოლაში, ნამდვილ სამოქალაქო ომში — ერ-
თიანდება და ვითარდება მომავალი ბრძოლისთვის ყველა
აუცილებელი ელემენტი. როდესაც ამ წერტილს მიაღ-
წევს, ასოციაცია პოლიტიკურ ხასიათს იღებს“ (ამ გამო-
ცემის 253-254 გვ.).

აქ აშკარად მოსჩანს ავტორი „კომუნისტური მანიფესტის“, რომელიც თეორიის და პრაქტიკის სამაგალითო შედუღებას წარმოადგენს, აშკარად მოსჩანს სახელოვანი პირველი ინტერნაციონალის მომავალი შემქმნელი და ხელმძღვანელი.

ამ წიგნის გაცნობა საუკეთესო საშუალებაა მარქსის კაპიტალური ნაწარმოებების შესასწავლად. განსაკუთრებით ისტორიული მატერიალიზმის შეთვისებისათვის ამ წიგნს დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს.

ორიოდე სიტყვა ამ წიგნის ქართული გამოცემის ტექნიკურ მხარეზე. იგი დიდად ჩამოუვარდება „კაპიტალი“-ს პირველ ტომის გამოცემას, რასაც მოწმობს თუნდაც მარტო ბოლოში დართული კორექტურული შეცდომების სიმრავლე. სახელგამის გადატვირთვის გამო წიგნი იბეჭდებოდა 14 თვის განმავლობაში, რამაც გამოცემის ღირსებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. აღვნიშნავთ ამას იმ იმედით, რომ მარქს-ენგელსის ნაწარმოებთა შემდგომ გამოცემებში ეს ნაკლი აცილებული იქნება.

[redacted]

ტფილისი.
12 ივლისი 1931 წ.

## ფრ. ენგელსის წინასიტყვაობა პირველი გერმანული გამოცემისათვის

წინამდებარე ნაწარმოები დაწერილია 1846—47 წლის ზამთარში, — იმ დროს, როდესაც მარქსს უკვე გარკვეული ჰქონდა თავისი ახალი ისტორიული და ეკონომიური შეხედულების ძირითადი პრინციპები[1]. პრუდონის „Système des Contradictions économiques ou Philosophie de la Misère“-მა შემთხვევა მისცა მას განევითარებია ეს პრინციპები იმ კაცის შეხედულებასთან დაპირისპირებით, რომელსაც უნდა რგებოდა უმნიშვნელოვანესი ადგილის დაკავება იმ ეპოქის სოციალისტებს შორის. მას შემდეგ, რაც ისინი ორნივე პარიზში ხშირად მთელ ღამეებს ათენებდნენ ეკონომიურ საკითხებზე კამათში, მათი გზები უფრო და უფრო დაშორდა ერთი მეორეს; პრუდონის ეს ნაწერი იმას მოწმობდა, რომ მასა და მარქსს შორის

[1] „ფილოსოფიის სიღატაკის“ მეორე ფრანგულ გამოცემაში (1896 წ., Paris, V. Giard & E. Brière) ამ ადგილას მოთავსებულია გამომცემლის შემდეგი შენიშვნა: „ფილოსოფიის სიღატაკე“, დაწერილი ფრანგულად, გამოვიდა 1847 წელს პარიზში (გამოცემა A. Franck-ისა, 69, rue Richelieu) და ბრიუსელში (გამოცემა C. G. Vogler-ისა, 2, *petite rue de la Madeleine*); გადათარგმნილ იქნა გერმანულ ენაზე ბერნშტეინისა და კარლ კაუტსკის მიერ და გამოაქვეყნა 1892 წელს გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის გამომცემლობამ ენგელსის ამ წინასიტყვაობით. მარქსის ეგზემპლიარში, რომელიც, მის სხვა წიგნებთან ერთად, მისმა ქალიშვილებმა, ლაურა ლაფარგმა და ელეონორა ეველინგმა, დასცეს გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიას, რათა ეს წიგნები, ენგელსის წიგნებთან ერთად, საფუძვლად დასდებოდა პარტიის ბიბლიოთეკას, — მოხდენილია ავტორის ხელით ზოგიერთი შესწორება; ეს შესწორებები ჩვენ შევიტანეთ ამ ახალ გამოცემაში“.

უკვე გაუვალი უფსკრული შეიქმნა; ამის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა, და მარქსმა ამ პასუხით გაადასტურა ეს საბოლოო დაშორება.

მარქსის ერთობლივ აზრს პრუდონის შესახებ მკითხველი იპოვის წერილში, რომელიც [illegible]ცვალობის შემდეგ არის მოთავსებული და პირველად დაიბეჭდა 1865 წელს ბერლინის „Sozialdemokrat“-ში, № 16, 17 და 18. ეს იყო ერთადერთი წერილი, რომელიც მარქსმა დასწერა ამ ორგანოსთვის; რადგან მალე ამის შემდეგ გამოაშკარავდა ფონ შვეიცერის ცდა — მიეცა ამ ჟურნალისთვის ფეოდალური და მთავრობის მომხრე ორგანოს ელფერი, ჩვენ იძულებული გავხდით, სულ რამდენიმე კვირის შემდეგ, საჯაროდ უარი გაგვეცხადებია მასში თანამშრომლობაზე.

გერმანიისთვის ამ ნაწარმოებს სწორედ ამ მომენტში აქვს იმგვარი მნიშვნელობა, რომელსაც მარქსი ვერასოდეს ვერ გაითვალისწინებდა. აბა როგორ წარმოიდგენდა იგი, რომ, როდესაც პრუდონს ამათრახებდა, ამით იგი ახლანდელ კარიერისტთა კერპსაც, — როდბერტუსსაც სწვდებოდა, რომლის სახელიც კი არ იცოდა მაშინ?

აქ არ არის ადგილი დაწვრილებით განვიხილოთ ურთიერთობა მარქსსა და როდბერტუსს შორის; ალბად, მალე მექნება შემთხვევა ამაზე ვილაპარაკო. აქ მხოლოდ შევნიშნავ, რომ, როდესაც როდბერტუსი მარქსს ბრალსა სდებს, — „გამძარცვაო“ და ჩემი ნაწარმოებით, — „Zur Erkenntuis“-ით „თავის „კაპიტალში“ კარგად ისარგებლა მის დაუსახელებლადო“, იგი ამით თავის თავს ნებას აძლევს მარქსს ცილი დასწამოს, რაც აიხსნება მხოლოდ გულნატკენობით გენიოსისა, რომელიც არავინ იცნა, და მისი საკვირველი უვიცობით ყველაფრისა, რაც პრუსიის გარეშე ხდება, განსაკუთრებით კი —

უცოდნელობით სოციალისტური და ეკონომიური ლიტერატურისა. მ ა რ ქ ს ს არასოდეს თვალით არ მოუკრავს არც ამ ბრალდებისა და არც რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ს აღნიშნული ნაწარმოებისათვის; იგი იცნობდა როდბერტუსის მხოლოდ სამ „Soziale Briefe“-ს და იმასაც — არა უადრეს 1858 ან 1859 წლისა.

უფრო მეტი საფუძვლით ამტკიცებს რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ამ წერილებში, რომ „პრუდონის მიერ ჩამოყალიბებული ღირებულება“ მან უკვე პ რ უ დ ო ნ ზ ე ადრე აღმოაჩინა, თუმცა იგი აქაც კვლავ სცდება, როდესაც თავის საქებრად ამის პ ი რ ვ ე ლ ი აღმომჩენი თავის თავი ჰგონია. ყოველ შემთხვევაში, მ ა რ ქ ს ი ს ეს ნაწარმოები, ამგვარად, პ რ უ დ ო ნ ი ს კრიტიკასთან ერთად მის კრიტიკასაც წარმოადგენს, და ეს გარემოება მაიძულებს მოკლედ შევეხო მის 1842 წელს გამოსულ „ძირითად“ პაწია თხზულებას, — Zur Erkenntnis unserer Staatswissenschaftlichen Zustände“, რამდენადაც ეს უკანასკნელი, გარდა მასში, თუმცა შეუცნობლად, მოქცეული ვ ე ი ტ ლ ი ნ გ ი ს ე ბ უ რ ი კომუნიზმისა, პ რ უ დ ო ნ ი ს აზრების ანტიციპაციას შეიცავს.

რამდენადაც თანამედროვე სოციალიზმი, — სულ ერთია, რა მიმართულებისაც იყოს იგი, — ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიიდან იღებს გამოსავალ წერტილს, იგი უკავშირდება თითქმის მარტოოდენ რ ი კ ა რ დ ო ს ღირებულების თეორიას. ორივე დებულება, რომელიც რ ი კ ა რ დ ო მ 1817 წელს თავისი „Principles“-ის თავშივე გამოაცხადა: 1) რომ ყოველი საქონლის ღირებულება განისაზღვრება მარტოდ მარტო და მხოლოდ და მხოლოდ მისი წარმოებისთვის საჭირო შრომის რაოდენობით, და 2) რომ ერთობლივი საზოგადოებრივი შრომის პროდუქტი ნაწილდება სამ კლასს შორის: მიწათმფლობელებსა (რენტა), კაპიტალისტებსა (მოგება) და მუშებს (ხელფასი) შორის, —

ორივე ეს დებულება უკვე 1821 წლიდან გამოყენებულ იქნა ინგლისში სოციალისტური დასკვნებისათვის. და ეს დასკვნები ნაწილობრივ ისეთის საფუძვლიანობით და გაბედულობით იყო გამოყვანილი, რომ [illegible] თითქმის სრულიად დავიწყებული და მარქსის [illegible] ხელახლა აღმოჩენილი — ლიტერატურის უპირატესი არა შექმნილა რა „კაპიტალის“ გამოსვლამდე. მაგრამ ამაზე — სხვა დროს. ამგვარად, როდესაც 1842 წ. როდბერტუსმა თავის მხრივ სოციალისტური დასკვნები გამოიყვანა ამ დებულებებიდან, გერმანელისთვის ეს მაშინ უეჭველად თვალსაჩინო ნაბიჯის წინგადადგმას მოასწავებდა, მაგრამ იგი მხოლოდ გერმანიისთვის თუ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო ახალ აღმოჩენად. თუ რამდენ არა ახალ რამეს წარმოადგენდა რიკარდოს თეორიის ამგვარი გამოყენება, ამას გვიჩვენებს მარქსი პოლემიკაში პრუდონის წინააღმდეგ, რომელიც მსგავსი ოცნებით იყო შეპყრობილი.

„ვინც ცოტად მაინც გაცნობილია პოლიტიკური ეკონომიის განვითარებას ინგლისში, არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ამ ქვეყნის თითქმის ყველა სოციალისტს, სხვადასხვა დროს, გამოჰქონდა თანასწორობითი (ე. ი. სოციალისტური) დასკვნები რიკარდოს თეორიიდან. ჩვენ შეგვეძლო ბ-ნი პრუდონისთვის დაგვესახელებია: ჰოპკინსის (Hopkins) „პოლიტიკური ეკონომია“, 1822 წ.; უილიამ ტომპსონის (William Thompson) „An inquiry into the Principles of the Distribution of Wealth, most conducive to Human Happiness“, 1824 წ.; ტ. რ. ედმონდსის (T. R. Edmonds) „Practical, moral and political Economy“ 1828 წ., და სხვ. და სხვ., და კიდევ ოთხი გვერდი „სხვ. და სხვ.“ ჩვენ დავკმაყოფილდებით ვალაპარაკოთ ერთი ინგლისელი კომუნისტი ბ-ნი ბრეი (Bray). ჩვენ ამოვწერთ რამდენსამე ძირითადი

მნიშვნელობის ადგილს მისი შესანიშნავი თხზულებიდან: „Labour's Wrongs and Labour's Remedy, 1839 წ." და აქ მარქსის მიერ Bray-დან მოყვანილი ციტატები აქარწყლებს დიდწილად როდბერტუსის პრიორიტეტის პრეტენზიებს.

იმ დროს მარქსი ჯერ კიდევ ერთხელაც არ იყო შესული „British Museum"-ის [ბრიტანეთის მუზეუმის] სამკითხველო დარბაზში. გარდა პარიზის და ბრიუსელის ბიბლიოთეკების წიგნებისა და გარდა ჩემი წიგნების და ამონაწერებისა, მან გადაათვალიერა ჩვენი ექვსკვირეული მგზავრობის დროს ინგლისში 1845 წლის ზაფხულს მხოლოდ ის წიგნები, რომლების შოვნაც მანჩესტერში შეიძლებოდა. მაშასადამე, ის ლიტერატურა, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, მე-40 წლებში სრულიადაც არ იყო ისე ხელმიუწვდომელი, როგორც ამჟამად არის. და თუ იგი როდბერტუსისთვის მაინც უცნობი დარჩა, ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ თვით იგი გონებავიწრო პრუსიელი იყო. იგი არის სპეციფიურად პრუსიული სოციალიზმის ნამდვილი დამფუძნებელი და დაბოლოს კიდეც აღიარებულია ასეთად.

მაგრამ თავის საყვარელ პრუსიაშიც როდბერტუსი არ უნდა ყოფილიყო სულ მთლად სარქველდახურული. 1859 წელს ბერლინში გამოვიდა მარქსის „Zur Kritik der Politischen Oekonomie, erstes Heft". იქ რიკარდოს წინააღმდეგ მიმართულ ეკონომისტების სხვა შენიშვნებს შორის აღნიშნულია (გვ. 40) მეორე შენიშვნად შემდეგი:

„თუ პროდუქტის საცვლელი ღირებულება მასში მოქცეულ სამუშაო დროს ეთანასწორება, მაშ სამუშაო დღის საცვლელი ღირებულება მისი პროდუქტის თანასწორი ყოფილა ანუ, სხვა სიტყვებით, შრომის ხელფასი შრომის პროდუქტს უნდა ეთანასწორებოდეს. ნამდვილად კი

სულ წინააღმდეგს აქვს ადგილი". და იქვე სხოლიოში ნათქვამია: „რიკარდოს წინააღმდეგ ეკონომისტების მიერ გამოთქმულ ამ კრიტიკულ შენიშვნას შემდგომ ხელი ჩასჭიდეს სოციალისტებმა. ისინი, სცნობდნენ რა ფორმულის თეორიულ სისწორეს, ამხილებდნენ, რომ სინამდვილე თეორიას ეწინააღმდეგებოდა და წინადადებას აძლევდნენ ბურჟუაზიულ საზოგადოებას, — გამოეყვანა მას პრაქტიკულად ის დასკვნა, რომელსაც ვითომ შეიცავდა მისივე თეორიული პრინციპი. ინგლისის სოციალისტებმა, ყოველ შემთხვევაში ამ აზრით, შეაბრუნეს რიკარდოს საცვლელი ღირებულების ფორმულა პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ". იმავე სხოლიოში მითითებულია მარქსის „Misère de la Philosophie"-ზე, რომელიც მაშინ ყველა წიგნის მაღაზიაში იშოვებოდა.

მაშასადამე, როდბერტუსს ჰქონდა სრული შესაძლებლობა გაერკვია, მართლა ახალი იყო თუ არა მისი 1842 წლის აღმოჩენა. ამის ნაცვლად, იგი ისევ და ისევ იმეორებს მას და ისე შეუდარებელ რამედ სთვლის ამ აღმოჩენას, რომ აზრად არ მოსდის, მარქსსაც თუ შეეძლო რიკარდოს მოძღვრებიდან დასკვნები ისევე დამოუკიდებლად გამოეყვანა, როგორც თვითონ მას, როდბერტუსს. ეს შეუძლებელი ყოფილა! მარქსმა „გასძარცვა" იგი, — იგი, რომელსაც იმავე მარქსმა ყოველგვარი შესაძლებლობა გაუჩინა დარწმუნებულიყო, თუ რაოდენ მათ ორივეზე უფრო ადრე ეს დასკვნები — ყოველ შემთხვევაში, ისეთი ტლანქი ფორმით, როგორიც მათ როდბერტუსის ნაწერში აქვთ — უკვე იყო ინგლისში გამოთქმული!

რიკარდოს თეორიის უმარტივესი სოციალისტური გამოყენება არის ის, რაც ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ. მან ბევრ შემთხვევაში ადგილი მისცა ზედმეტი ღირებულების წარმოშობისა და ბუნების ისეთ შემეცნებას, რომელიც

რიკარდოს შემეცნებაზე ბევრად მაღლა დგას; ასევე, სხვათა შორის, როდბერტუსის მხრივაც. გარდა იმისა, რომ ამ მიმართულებით იგი არსად არას ამბობს ისეთს, რაც უკვე მასზე ადრე სხვებს არ ეთქვათ, — უკეთეს შემთხვევაში, მასავით კარგად, — მის გადმოცემას იგივე ნაკლი ახლავს, რაც მისი წინამორბედებისას, — სახელდობრ, ეკონომიურ კატეგორიებს: შრომას, კაპიტალს, ღირებულებას და სხვ. იგი იღებს განუსჯელად, მათი შინაარსის გამოუკვლევლად, იმ დაუმუშავებელი, მოვლენის გარეგნობასთან დაკავშირებული ფორმით, რომელიც გადმოცემული იყო ეკონომისტების მიერ. ამით იგი არა თუ ისპობს საშუალებას შემდგომი განვითარებისათვის, — წინააღმდეგ მარქსისა, რომელმაც, პირველმა, შექმნა რამე ამ 64 წლის განმავლობაში მრავალჯერ განმეორებული დებულებებიდან, — არამედ პირდაპირ გზას იკაფავს უტოპიისაკენ, როგორც ამას ჩვენ ქვემოდ დავინახავთ.

იმ გამოყენებითს დასკვნას რიკარდოს თეორიიდან, რომ მუშებს, როგორც ერთადერთ ნამდვილ მწარმოებლებს, ეკუთვნით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, მათი პროდუქტი, პირდაპირ კომუნიზმამდე მივყევართ. მაგრამ აღნიშნული დასკვნა, როგორც ამას მარქსი გვაწიშნებს იქვე, ეკონომიური თვალსაზრისით ფორმალურად ყალბია, ვინაიდან იგი წარმოადგენს მორალის გამოყენებას პოლიტიკური ეკონომიისთვის. ბურჟუაზიული ეკონომიის კანონების მიხედვით პროდუქტის უდიდესი ნაწილი არ ეკუთვნით მუშებს, რომელთაც იგი შექმნეს. როდესაც ჩვენ ვამბობთ: ეს უსამართლობაა, ეს ასე არ უნდა იყოსო, — ამას საერთო არა აქვს რა პოლიტიკურ ეკონომიასთან. ამით ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ ეს ეკონომიური ფაქტი ეწინააღმდეგება ჩვენს ზნეობრივ გრძნობას. ამიტომ მარქსი არასოდეს არ აფუძნებდა

მასზე თავის კომუნისტურ მოთხოვნებს, არამედ ეყრდნობოდა კაპიტალისტური წარმოების წესის აუცილებელ რღვევას, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება პროგრესიულად მუდამ ჟამს; იგი ამბობს მხოლოდ, რომ ზედმეტი ღირებულება გადაუხდელი შრომისგან შესდგება, რაც უბრალო ფაქტია. მაგრამ ის, რაც ეკონომიური თვალსაზრისით ფორმალურად ყალბია, შეიძლება, სამაგიეროდ, სწორი იყოს მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით. როდესაც მასის ზნეობრივი ცნობიერება უსამართლოდ სთვლის რომელსამე ეკონომიურ ფაქტს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ოდესღაც მონობისა ანდა ბატონყმური შრომის შესახებ, — ეს იმის მაჩვენებელია, რომ თვით იმ ფაქტმა დრო მოიჭამა, რომ წარმოსდგა სხვა ეკონომიური ფაქტები, რომელთა ძალით ის ფაქტი აუტანელი და მოსასპობი შეიქნა. მაშასადამე, ფორმალურად მცდარი ეკონომიური დებულების უკან შეიძლება სრულიად ჭეშმარიტი ეკონომიური შინაარსი იფარებოდეს. აქ არ არის ადგილი ზედმეტი ღირებულების მნიშვნელობისა და ისტორიის შესახებ უფრო დაწვრილებით სალაპარაკოდ.

რ ი კ ა რ დ ო ს ღირებულების თეორიიდან შეიძლება სხვა დასკვნების გამოყვანაც, და ეს დასკვნები იქნა კიდეც გამოყვანილი. საქონელთა ღირებულება განისაზღვრება მათ საწარმოებლად საჭირო შრომით. მაგრამ ამ ჩვენს გაფუჭებულ ქვეყანაში საქონელი ხან მის ღირებულებაზე მეტად გაიყიდება, ხან — მის ღირებულებაზე ნაკლებად, და ეს ხდება არა მარტო კონკურენციის რყევის გამო. როგორც მოგების ნორმას ტენდენცია აქვს ერთ დონეზე დამყარდეს ყველა კაპიტალისტისათვის, ისევე საქონელთა ფასებს აქვს ტენდენცია, მოთხოვნისა და მიწოდების მეშვეობით, დაჳიდეს შრომითს ღირებულებამდე. მაგრამ მოგების ნორმა გამოიანგარიშება მთელს კაპიტალზე, რომელიც დაბანდებულია სამრეწველო სარეწაოში. და რადგანაც

წარმოების ორ სხვადასხვა დარგში შეიძლება წლიური პროდუქტი თანასწორი შრომის რაოდენობის განხორციელებას შეიცავდეს, მაშასადამე, თანასწორ ღირებულებას წარმოადგენდეს, ორივეში აგრეთვე მუშების ხელფასი თანასწორი სიდიდისა იყოს, ხოლო ავანსად გაღებული კაპიტალი ერთ დარგში ორჯერ ან სამჯერ მეტი იყოს, და ხშირად არის კიდეც, ვიდრე მეორეში, ამიტომ აქ რიკარდოს ღირებულების კანონი, როგორც ეს უკვე თვით რიკარდომ აღმოაჩინა, წინააღმდეგობაშია თანასწორი მოგების ნორმის კანონთან. თუ ორივე წარმოების დარგის პროდუქტები მათი ღირებულების მიხედვით იქნა გაყიდული, მოგების ნორმა ვეღარ იქნება თანასწორი; ხოლო თუ მოგების ნორმა თანასწორი იქნა, მაშინ ორივე დარგის პროდუქტები ყოველთვის ვერ გაიყიდება მათი ღირებულების მიხედვით. მაშასადამე, ჩვენ აქ გვაქვს წინააღმდეგობა, ანტინომია, ორ ეკონომიურ კანონს შორის; პრაქტიკაში ეს სწყდება, რიკარდოს აზრით (თავი 1-ლი, კარი მე-4 და მე-5), ჩვეულებრივად მოგების ნორმის სასარგებლოდ ღირებულების ხარჯზე.

მაგრამ რიკარდოს ღირებულების განსაზღვრას, მის უკეთურ თვისებათა მიუხედავად, აქვს ერთი მხარე, რომელიც მას მომხიბლველად და ძვირფასად ხდის რიგიანი ბურჟუასთვის. ეს ის მხარეა, რომელიც ამ უკანასკნელის სამართლიანობის გრძნობას შეუდრეკელის ძლიერებით უხმობს. სამართლიანობა და უფლებათა თანასწორობა — ეს ის ბოძია, საძირკველია, რომელზედაც მე-XVIII და მე-XIX საუკუნის ბურჟუას სწადია ააგოს თავისი საზოგადოებრივი შენობა ფეოდალური უსამართლობისა, უთანასწორობისა და პრივილეგიების ნანგრევებზე. საქონლის ღირებულების განსაზღვრა შრომით და შრომის პროდუქტთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, ღირებულების ამ საზომის მიხედვით წარმოებული თანასწორ უფლებიან

საქონლის მფლობელთა შორის, როგორც ეს უკვე დაგვანახვა მ ა რ ქ ს მ ა, არის ის რეალური საფუძველი, რომელზედაც აგებულ იქნა თანამედროვე ბურჟუაზიის მთელი პოლიტიკური, იურიდიული და ფილოსოფიური იდეოლოგია. მას შემდეგ რაც ცნობილია, რომ — შრომა საქონლის ღირებულების საზომი არის, რიგიანი ბურჟუას საუკეთესო გრძნობამ მეტად შეურაცხყოფილად უნდა იგრძნოს თავი ქვეყნის გაფუჭებულობით, სადაც სამართლიანობის ეს პრინციპი ნომინალურად აღიარებულია, მაგრამ რეალურად თითქოს ყოველ წამს ირღვევა მოურიდებლად. სახელდობრ წვრილი ბურჟუასთვის, რომლის პატიოსან შრომას, თუნდაც მისი ქარგლებისა და შეგირდების მიერ შესრულებულს, მუდამდღე უფრო და უფრო ფასი ეკარგება მსხვილი წარმოებისა და მანქანების კონკურენციის გამო, ე. ი. წვრილი მწარმოებლისთვის სანატრელი უნდა იყოს ისეთი საზოგადოება, სადაც პროდუქტთა შრომითი ღირებულების მიხედვით გაცვლა-გამოცვლა საბოლოოდ სრული და გამოუნაკლისო რეალობა იქნება; სხვა სიტყვებით: მისთვის სანატრელი უნდა იყოს ისეთი საზოგადოება, სადაც მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ და შეუკვეცელად ერთადერთი კანონი, ხოლო მოსპობილია ის პირობები, რომელნიც მარტოოდენ ხდიან შესაძლებელად ამ კანონის მოქმედებას, ე. ი. მოსპობილია სხვა კანონები საქონლის წარმოებისა და შემდეგ — კაპიტალისტური წარმოებისაც.

თუ რამდენ ღრმად აქვს ამ უტოპიას თანამედროვე — რეალურ თუ იდეურ — წვრილ ბურჟუას აზროვნებაში ფესვები გადგმული, ამას გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ ეს უტოპია უკვე 1831 წელს ჯ ო ნ გ რ ე ი მ განავითარა სისტემატიურად, მეოცდაათე წლებში ინგლისში ნაცადი იქნა პრაქტიკულად და ვრცელდებოდა თეორიულად, 1842 წელს რ ო დ ბ ე რ ტ უ ს მ ა გერმანიაში და 1846 წელს

პ რ უ დ ო ნ მ ა საფრანგეთში უახლეს ჭეშმარიტებად გამოაცხადეს, 1871 წელს რ ო დ ბ ე რ ტ უ ს მ ა კვლავ სოციალური საკითხის გადაჭრად და მასთან ერთად [illegible] ანდერძად გვაუწყა, ხოლო 1884 წელს [illegible] პოულობს მომხრეებს კარიერისტთა ბანაკში, რომელნიც, რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ს კალთებს ამოფარებულნი, პრუსიის სახელმწიფო სოციალიზმის ექსპლოატაციას ცდილობენ.

მ ა რ ქ ს ი ს მიერ მოცემული კრიტიკა ამ უტოპიისა როგორც პ რ უ დ ო ნ ი ს, ისე გ რ ე ი ს წინააღმდეგ (იხ. ამ ნაწარმოების დანართი), ისე ამომწურავია, რომ მე შემიძლია აქ დავკმაყოფილდე რამდენიმე შენიშვნით მისი დასაბუთებისა და გადმოცემის სპეციალურად რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ს ე ბ უ რ ი ფორმის შესახებ.

როგორც უკვე ვთქვით: რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი იღებს ტრადიციულ ეკონომიურ ცნებათა განსაზღვრას სრულიად იმ სახით, როგორც იგი მას გადმოეცა ეკონომისტების მიერ. იგი ამ ცნებათა გარკვევის მცირედ ცდასაც კი არ ეწევა. მისთვის ღირებულება არის „ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს რაოდენობრივად ერთ ნივთს სხვების მიმართ, როდესაც ეს მნიშვნელობა აღებულია საზომად". ეს, რბილად რომ ვთქვათ, ფრიად უშინაარსო განსაზღვრა უკეთეს შემთხვევაში ჩვენ გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა გარეგანი სახე აქვს ღირებულებას, მაგრამ სრულიად არას გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა არის იგი. და რადგანაც ეს არის ყველაფერი, რაც რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ს შეუძლია გვითხრას ღირებულების შესახებ, ამიტომ გასაგებია, რომ იგი ღირებულების გარეშე ეძებს ღირებულების საზომს. მას შემდეგ, რაც ოცდაათი გვერდის მანძილზე ძლიერი განყენებული აზროვნებით, რომელსაც ასე უსასრულო გაკვირვებაში მოჰყავს ბ-ნი ა დ ო ლ ფ ვ ა გ ნ ე რ ი, ღომხალივით ერთმანეთში ურევს სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას, იგი

ამ დასკვნამდე მიდის: ღირებულების ნამდვილი საზომი არ არსებობსო და ჩვენ სუროგატი საზომით უნდა დავკმაყოფილდეთო. ასეთ საზომად შეიძლება შრომა იყოს, მაგრამ — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანასწორი შრომის რაოდენობის პროდუქტები მუდამ თანასწორი შრომის რაოდენობის პროდუქტებზე იცვლებაო, სულერთია, არის „ეს პირობა თავისთავად ფაქტი, თუ — ღონისძიებებია მიღებული“ მის უზრუნველსაყოფელადო. ამგვარად, ღირებულება და შრომა ერთიმეორესთან სრულიად რეალურ კავშირს გარეშე რჩება, თუმცა მთელი პირველი თავი სულ იმას გვირკვევდა, თუ საქონელი როგორ და რატომ „ღირს შრომად“ და მხოლოდ შრომად.

შრომასაც როდბერტუსი იღებს, კვლავ ჩაუფიქრებლად, იმ სახითვე, რომელიც მას მიაკუთვნეს ეკონომისტებმა. და არა მარტო ამას, ვინაიდან: თუმცა მას ორი სიტყვით მითითებული აქვს შრომის ინტენსივობის სხვადასხვაობაზე, მაგრამ ზოგადად შრომას სთვლის იგი „ღირებულად“, ე. ი. ღირებულების გამზომველად, სულერთია, — საშუალო ნორმალურ საზოგადოებრივ პირობებშია იგი დახარჯული, თუ — არა. მწარმოებლები ათ დღეს ანდომებენ იმ პროდუქტების წარმოებას, რომელთა დამზადება ერთ დღეში შეიძლება, თუ — ერთ დღეს; ხმარობენ ისინი საუკეთესო სამუშაო იარაღებს, თუ — უცუდესს; თავიანთ სამუშაო დროს ანდომებენ საზოგადოებრივად საჭირო საგნების წარმოებას და ამ საგანთა საზოგადოებრივად საჭირო რაოდენობით დამზადებას, თუ — სრულიად არა საჭირო საგნებს აწარმოებენ, ანდა ამზადებენ საჭირო საგნებს მოთხოვნილებაზე ნაკლებად, თუ — მეტად, ყველა ამაზე სიტყვა არაა ნათქვამი: შრომა არის შრომა, თანასწორი შრომის პროდუქტი უნდა გაიცვალოს თანასწორი შრომის პროდუქტზე. როდბერტუსი, რომელიც სხვა საკითხებში ყოველთვის წარამარად ეროვნულ

თვალსაზრისზე დგება და მზად არის საერთო საზოგადოებრივი ობსერვატორიის მაღლობიდან განიხილოს ცალკე მწარმოებელთა ურთიერთობანი, აქ კრძალვით ერიდება ამას. ერიდება იმიტომ, რომ თავისი წიგნის პირველი სტრიქონიდანვე იგი პირდაპირ მიექანება შრომითი ფულის უტოპიისაკენ, და შრომის, როგორც ღირებულების შემქმნელის, ანალიზი კი მას გზაზე გაუვალ დაბრკოლებებს შეუქმნიდა. მისი ინსტინქტი აქ გაცილებით უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე მისი აბსტრაქტული აზროვნების ძალა, რომელიც — შევნიშნავთ გაკვრით — მხოლოდ აზრთა მეტად კონკრეტული სიღარიბის მეოხებით შეიძლება აღმოჩენილ იქნეს ***როდბერტუსში***.

უტოპიაში გადასვლა შემდეგ ხელად ხდება. ის „ღონისძიებანი", რომელთაც უნდა უზრუნველჰყონ, რომ შრომის მიხედვით საქონელთა გაცვლა-გამოცვლა გამოუნაკლისო წესს შეადგენდეს, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენენ. ამ მიმართულების სხვა უტოპისტები, ***გრეიდან*** დაწყებული ***პრუდონამდე***, თავს იმტვრევდენ ისეთ საზოგადოებრივი დაწესებულებათა გამოსაგონებლად, რომელთაც ეს მიზანი უნდა განეხორციელებიათ. ისინი შეეცადენ ხომ მაინც, ეკონომიური საკითხი გადაეჭრათ ეკონომიურსავე ნიადაგზე, თვით საქონლის მფლობელთა მოქმედების გზით, რომელნიც გაცვლა-გამოცვლას აწარმოებენ. ***როდბერტუსისთვის*** კი საქმე მეტად გაადვილებულია. იგი, როგორც კარგი პრუსიელი, სახელმწიფოს მიმართავს, და — სახელმწიფო ხელისუფლების დეკრეტი აწესებს რეფორმას.

ამნაირად, ღირებულება ბედნიერად „ჩამოყალიბებულია", მაგრამ არასგზით — ***როდბერტუსის*** პრიორიტეტი ამ ჩამოყალიბებისა, რასაც ***როდბერტუსი*** ჩემულობს. პირიქით, ***გრეისაც*** და ***ბრეისაც*** — სხვა მრავალთა შორის — ჰქონდათ ასეთი აზრი და კეთილი

სურვილი: რომ განსაზღვრულ ღონისძიებათა მეოხებით ადგილი ჰქონდეს პროდუქტების გაცვლა-გამოცვლას ყოველ გარემოებაში მუდამ და მხოლოდ მათი შრომითი ღირებულების მიხედვით, და ამ აზრს რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ზ ე ბევრად ადრე მოსაზრებლად [illegible] იმეორებდნენ.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ამ წესით ჩამოაყალიბებს ღირებულებას, — პროდუქტთა ერთი ნაწილისას მაინც, ვინაიდან რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ბევრს არ ეჭიდება, — იგი გამოსცემს შრომითს ქაღალდის ფულს, აძლევს ამას ავანსად მრეწველ კაპიტალისტებს, რომელნიც ამ ფულით ხელფასში უსწორდებიან მუშებს, რის შემდეგ ეს უკანასკნელნი მიღებული შრომითი ქაღალდის ფულით პროდუქტებს ყიდულობენ და ამგვარად გზას აძლევენ ქაღალდის ფულს მის გამოსავალ წერტილთან დასაბრუნებლად. თუ როგორ საუცხოვოდ სრულდება ყველაფერი ეს, ამის შესახებ თვით რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ს უნდა მოვუსმინოთ.

„რაც შეეხება მეორე პირობას, — ის აუცილებელი ღონისძიება: რომ ბილეთზე აღნიშნული ღირებულება ნამდვილად მოიპოებოდეს მიმოქცევაში, იმით იქნება განხორციელებული, რომ მხოლოდ ის, ვინც ნამდვილად გასცემს პროდუქტს, მიიღებს ბილეთს, სადაც ზედმიწევნით აღნიშნულია შრომის რაოდენობა, რომელიც პროდუქტის დამზადებაზეა დახარჯული. ვინც ორი დღის შრომის პროდუქტს გასცემს, მიიღებს ბილეთს, რომელზედაც აღნიშნულია „ორი დღე“. ბილეთების ემისიის დროს ამ წესის ზედმიწევნილად დაცვით აუცილებლად შესრულებული იქნება ეს მეორე პირობაც. რადგანაც, ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, დოვლათთა ნამდვილი ღირებულება თანაემთხვევა იმ შრომის რაოდენობას, რომელიც დახარჯულია მათ დასამზადებლად, ხოლო ამ შრომის რაოდენობას საზომი აქვს დროის ჩვეულებრივი დანაწილების მიხედვით, ამიტომ იმას, ვინც

ორი დღის პროდუქტი გასცა და ორი დღის ფამადასტურებელი ბარათი მიიღო, ხელთ აქვს ღირებულების მოწმობა ანუ ასიგნობა არც მეტი და არც ნაკლები იმისა, რაც მან ნამდვილად გასცა; და რადგანაც [illegible] ამგვარ მოწმობას იღებს მხოლოდ ის, ვინც [illegible] შეიტანა პროდუქტი მიმოქცევაში, ამიტომ უეჭველია ესეც, რომ ბილეთზე აღნიშნული ღირებულება კიდეც არსებობს ნამდვილად მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. რაგინდ ფართოდ ვიგულვოთ შრომის დანაწილების წრე, უკეთუ ეს წესი ზედმიწევნით სრულდება, არსებული ღირებულების ჯამი უნდა ზედმიწევნით ეთანასწორებოდეს მოწმობებში აღნიშნული ღირებულების ჯამს. და რადგანაც მოწმობებში აღნიშნული ღირებულების ჯამიც ზედმიწევნით იგივე გაასიგნებული ღირებულების ჯამია, ამიტომ ეს უკანასკნელიც აუცილებლად უნდა შეესაბამოს არსებული ღირებულების ჯამს; ამგვარად, ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდება და ლიკვიდაცია სისწორით შესრულდება“ (გვ. 166, 167).

თუ აქამომდე როდბერტუსი ბედშეკრული იყო იმ მხრივ, რომ თავისი აღმოჩენებით ყოველთვის იგვიანებდა, სამაგიეროდ ამ შემთხვევაში მაინც მას აქვს ერთგვარი ორიგინალობის დამსახურება: არც ერთი მისი მეტოქე არ გაკადნიერებულა ასეთი გულუბრყვილო-ბავშვური, გამჭვირვალე,—ვიტყოდი: ნამდვილ პომერანიული — ფორმით გამოეთქვა შრომითი ფულის უტოპიის სისულელე. რადგანაც თითოეული ბარათის სამაგიეროდ სათანადო ღირებულების საგანი გაიცემა და კვლავ არავითარი ღირებულების საგანი არ გაიცემა, თუ არ სათანადო ღირებულების ბარათის სამაგიეროდ, ამიტომ ბარათების თანხის ჯამი მუდამ უნდა იფარებოდეს ღირებულებიან საგანთა თანხის ჯამით; ანგარიში თავდება სრულიად უნაშთოდ,

იგი სწორია შრომის უკანასკნელ წამამდე, და სახელმწიფოს მთავარ სალაროში გაჭაღარავებულ მოხელესაც კი არ შეუძლია მასში რაიმე შეცდომა აღმოაჩინოს. მეტი რაღა გნებავთ?

ეროვნული

დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ცალკეული მრეწველი კაპიტალისტი წარმოებას ეწევა თავისი შეხედულებისამებრ, რაც, როგორც და რამდენიც მას სურს. მაგრამ საზოგადოებრივი მოთხოვნა მისთვის უცნობი სიდიდეა როგორც თვისების, მოთხოვნილ საგანთა სახეობის მხრივ, ისე მათი რაოდენობის მხრივ. რაც დღეს ბაზარს ვერ ეძლევა საკმაო სისწრაფით, ის ხვალ შეიძლება მოთხოვნაზე მეტად იქნეს მიწოდებული. მიუხედავად ამისა, ბოლოს და ბოლოს მაინც, ასე თუ ისე, კარგად თუ ავად, მოთხოვნა კმაყოფილდება და წარმოება საერთოდ და მთლიანად ეწყობა მოთხოვნილ საგანთა კვალობაზე. როგორ ხდება ამ წინააღმდეგობის შერიგება? კონკურენციით. და როგორ აღწევს ამას კონკურენცია? უბრალოდ, — იმით, რომ იგი მათ შრომის ღირებულებაზე დაბლა სწევს იმ საქონელთა ფასს, რომელნიც, სახეობისა და რაოდენობის მხრივ, საზოგადოებრივ მოთხოვნას არ შეეფერებიან იმ მომენტში, და ასე მოხვეული გზით იგი აგრძნობინებს მწარმოებელთ, რომ მათ დაუმზადებიათ საერთოდ გამოუსადეგი საგნები ანდა თავისთავად გამოსადეგი საგნები მოუხმარელი, ზედმეტი რაოდენობით. აქედან გამომდინარეობს ორი რამ:

ჯერ ერთი ის, რომ საქონლის ფასის განუწყვეტელი გადახრილობა საქონლის ღირებულებისაგან არის ის პირობა, რომელშიაც და რომლითაც საქონლის ღირებულებას მარტოოდენ შეუძლია არსებობა. მხოლოდ კონკურენციისა და მასთან ერთად საქონლის ფასის რყევითაა, რომ სასაქონლო წარმოების ღირებულების კანონი ხორციელდება და საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო

დროით განსაზღვრა საქონლის ღირებულების სანამდვილედ ხდება. და თუ აქ ღირებულების გამომჟღავნების ფორმა, — ფასი ჩვეულებრივ ცოტათი სხვაგვარად მოსჩანს, ვიდრე თვით ღირებულება, რომელსაც იგი გამოხატავს, ეს ბედი ღირებულებას საერთო აქვს საზოგადოებრივ ურთიერთობათა უმრავლესობასთან. მეფეც უმრავლეს შემთხვევაში სრულიად არ ჰგავს იმ მონარქიას, რომელსაც წარმოადგენს. ვისაც გაცვლა-გამოცვლის მაწარმოებელ საქონლის დამმზადებელთა საზოგადოებაში სურს დაამყაროს ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით და ფიქრობს, — ეს მიზანი მიღწეული იქნება იმით, რომ კონკურენციას აეკრძალება დაამყაროს ღირებულების განსაზღვრა ფასებზე ზეგავლენის მოხდენის გზით, ე. ი. იმ ერთადერთი წესით, რომლითაც საზოგადოდ შესაძლებელია ღირებულების განსაზღვრის დამყარება, — ვინც ამას ფიქრობს, იგი ამტკიცებს მხოლოდ, რომ მას შეთვისებული აქვს, ამ დარგში მაინც, ჩვეულებრივი უტოპისტური სიძულვილი ეკონომიური კანონებისადმი.

მეორე: გაცვლა-გამოცვლის მაწარმოებელ საქონლის დამმზადებელთა საზოგადოებაში კონკურენცია, ანხორციელებს რა სასაქონლო წარმოების ღირებულების კანონს, სწორედ ამით ამყარებს განსაზღვრულ პირობებში ერთადერთ შესაძლებელ ორგანიზაციასა და წესს საზოგადოებრივი წარმოებისას. პროდუქტთა ფასების, ღირებულებასთან შედარებით, დაცემით თუ გადიდებით ცალკე საქონლის მწარმოებელი, თავის საზარალოდ თუ სასარგებლოდ, გებულობს, რა და რამდენ პროდუქტს საჭიროებს თუ არ საჭიროებს საზოგადოება. მაგრამ სწორედ ამ ერთადერთი რეგულიატორის მოსპობა სწადია იმ უტოპიას, რომელსაც როდბერტუსი იზიარებს. და თუ ჩვენ ახლა ვკითხავთ, — რა გარანტია გვაქვს, რომ თითოეული პროდუქტი საჭირო რაოდენობით იქნება წარმოებული და

არა მეტი, რომ ჩვენ დამშეულები არ ვიქნებით პურისა და ხორცის ნაკლებობის გამო, მაშინ როდესაც ქართობილის არაყი და ჰარხლის შაქარი თავზე საყრელად გვექნება, რომ ნიფხავს მოკლებული არ ვიქნებით სიშიშვლის დასაფარავად, მაშინ როდესაც ნიფხვის ძონძები მილიონობით ეყრება, — ამის საპასუხოდ როდბერტუსი ზეიმით მიგვითითებს თავის სახელოვან ანგარიშზე, საიდანაც სჩანს, რომ თითოეულ ზედმეტ გირვანქა შაქარში, თითოეულ გაუყიდველ კასრ არაყში, თითოეულ მიუკერებელ ღილში გაცემულია წესიერი ბარათი, მიგვითითებს ანგარიშზე, რომელიც სრულიად „სწორია“ და რომლის მიხედვით „ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდება და ლიკვიდაცია სისწორით შესრულდება“. და ვისაც ეს არ სჯერა, მან მიმართოს სახელმწიფოს მთავარი სალაროს მოანგარიშეს, ბ-ნ X-ს პომერანიაში, რომელმაც ანგარიში განიხილა და სწორად ჰპოვა და რომელიც არასოდეს სალაროს უსწორობაში შემჩნეული არ ყოფილა და ამიტომ სრულიად სანდო პიროვნებაა.

ახლა მიაქციეთ ყურადღება როდბერტუსის გულუბრყვილობას, რომელსაც სწადია თავისი უტოპიის საშუალებით მოსპოს სამრეწველო და სავაჭრო კრიზისები. როგორც კი საქონლის წარმოება სამსოფლიობაზრო მოცულობას ღებულობს, წონასწორობა კერძო ანგარიშის საფუძველზე მომქმედ ცალკე მწარმოებელთა და ბაზარს შორის, რომლისათვის ისინი აწარმოებენ და რომლის მოთხოვნა მათთვის რაოდენობისა და თვისების მხრივ უცნობი არის, მყარდება მსოფლიო ბაზრის ქარიშხალის, — სავაჭრო კრიზისის მეშვეობით [1]. კონკურენციისთვის

[1] ყოველ შემთხვევაში, ასე იყო უკანასკნელ დრომდე. მას შემდეგ, რაც ინგლისის მონოპოლია მსოფლიო ბაზარზე უფრო და უფრო ირღვევა საფრანგეთის, გერმანიის და განსაკუთრებით ამერიკის ჩაბმის გამო მსოფლიო ვაჭრობაში, წონასწორობის მოხდენის თითქოს ახალი

აკრძალვა იმისა, რომ მან ფასების აწევით თუ დაწევით ცალკე მწარმოებელთ შეატყობინოს მსოფლიო ბაზრის მდგომარეობა, ნიშნავს მათთვის მხედველობის სრულიად დახშობას. საქონლის წარმოების ისე მოწყობა, რომ მწარმოებელთ არაფრის შეტყობა არ შეეძლოთ ბაზრის შესახებ, რომლისთვისაც ისინი აწარმოებენ, — ეს საკრიზისო სენის ისეთი წამლობაა როდბერტუსის მხრივ, რომელიც დოქტორ ეიზენბარტსაც კი შეშურდებოდა.

ახლა ჩვენთვის გასაგებია, თუ რატომ განსაზღვრავს როდბერტუსი საქონლის ღირებულებას „შრომით“ სრულიად მოკლედ და ითვალისწინებს ამ შრომის — დიდი-დიდი — ინტენსივობის ხარისხის სხვადასხვაობას. მას რომ გამოეკვლია, თუ რით და როგორ ჰქმნის შრომა ღირებულებას და ამიტომაც განსაზღვრავს და გაზომავს მას, იგი საზოგადოებრივად აუცილებელ შრომამდე მივიდოდა, შრომამდე, რომელიც აუცილებელ შრომას წარმოადგენს თითოეული პროდუქტისათვის როგორც მისი გვარის სხვა პროდუქტების მიმართ, ისე ერთობლივ საზოგადოებრივი მოთხოვნის მიმართ. ეს დააყენებდა მას შემდეგი კითხვის წინაშე: როგორ ხდება ცალკე საქონლის მწარმოებელთა წარმოების შეგუება ერთობლივ საზოგადოებრივ მოთხოვნასთან, და ამით მთელი მისი უტოპია შეუძლებელი გახდებოდა. მან ამ შემთხვევაში მართლა „აბსტრაქცია“ არჩია: ჰყო აბსტრაქცია იმისა, რაც საკითხის არსის შემადგენელია.

ახლა ჩვენ, დაბოლოს, მივაღწიეთ იმ პუნქტს, სადაც როდბერტუსი მართლა ახალ რაღაცას გვაწოდებს;

---

ფორმა მყარდება. საყოველთაო აყვავების პერიოდი, რომელიც წინ ახლავს კრიზისს, რაღაც დიდხანს გვალოდინებს. თუ მას სრულიად არ ექნა ადგილი, ქრონიკული შეფერხება, მცირედი რყევის მოვლენათა შემცველი, თანამედროვე მრეწველობის ნორმალურ მდგომარეობად გადაიქცევა.

რაღაცას, მის განმასხვავებელს მრავალ თანამოაზრეთაგან, რომელნიც მომხრენი არიან გაცვლა-გამოცვლის ორგანიზაციისა შრომითი ფულის საშუალებით. ყველა ისინი გაცვლა-გამოცვლის ამ წესს მოითხოვენ [illegible], რომ მოისპოს საქირაო შრომის ექსპლოატაცია კაპიტალისტის მიერ. ყოველმა მწარმოებელმა უნდა მიიღოს თავისი პროდუქტის სრული შრომითი ღირებულება. ამაში, გრეიდან დაწყებული პრუდონამდე, ყველანი თანახმანი არიან. სრულიადაც არაო, გვეუბნება როდბერტუსი. საქირაო შრომა და მისი ექსპლოატაცია განაგრძობს არსებობას.

ჯერ ერთი, ვერ წარმოიდგინება იმგვარი მდგომარეობა, როდესაც მუშა თავისი პროდუქტის სრულს ღირებულებას მიიღებს თავისთვის მოსახმარებლად; ნაწარმოებთა ფონდიდან ყოველთვის დაფარულ უნდა იქნეს აგრეთვე ხარჯები მთელი რიგი ეკონომიურად არა პროდუქტიული, მაგრამ აუცილებლად საჭირო, ფუნქციებისათვის და, მაშასადამე, მათ შემსრულებელ პირთა შენახვისათვის. მართალია, ეს სწორეა, მხოლოდ მანამდე, ვიდრე ძალაშია თანამედროვე შრომის დანაწილება. ისეთ საზოგადოებაში, სადაც პროდუქტიული შრომა ყველასთვის სავალდებულოა,—ასეთი საზოგადოებაც ხომ „წარმოიდგინება“,—ამას ადგილი აღარ აქვს. მაგრამ დარჩება მაინც საჭიროება სარეზერვო და საზოგადოებრივი დაგროვების ფონდისა და ამიტომ იქ თუმცა მუშები, ე. ი. ყველანი, თავიანთი ერთობლივი პროდუქტის მფლობელნი და მომხმარებელნი იქნებიან, მაგრამ არც ერთი მათგანი ცალკე არ იქნება „თავისი შრომის სრული პროდუქტის“ მომხმარებელი. ეკონომიურად არა პროდუქტიული ფუნქციების ხარჯთა დაფარვა შრომის პროდუქტიდან არ დავიწყნიათ შრომითი ფულის უტოპიის სხვა მომხრეებსაც. მაგრამ ისინი ჩვეულებრივ, დემოკრატიული წესის მიხედვით, მუშებს თვით აბეგვრინებენ თავიანთ თავს ამ მიზნისათვის, მაშინ როდესაც

როდბერტუსი, რომლის 1842 წლის სოციალური რეფორმა ერთობლივ მაშინდელი პრუსიის სახელმწიფოს თარგზეა გამოჭრილი, მთელს საქმეს საგამგებლოდ აძლევს ბიუროკრატიას, რომელიც მუშას მის საკუთარ პროდუქტს ზემოდან განუსაზღვრავს და უწყალობებს.

მეორე: რენტა და მოგებაც უნდა დარჩეს შეუკვეცელად. ეს იმიტომ, რომ მიწათმფლობელებიც და მრეწველი კაპიტალისტებიც ასრულებენ განსაზღვრულ ფუნქციებს, საზოგადოებრივად სასარგებლოს, ანდა აუცილებლად საჭიროსაც კი, თუმცა ეკონომიურად არა პროდუქტიულს, და ამისთვის ერთგვარ ჯამაგირად მიწის რენტას და მოგებას იღებენ. ეს გახლავთ შეხედულება, რომელიც 1842 წელსაც კი ახალს არას წარმოადგენდა. ნამდვილად თუ ვიტყვით, ეს მიწათმფლობელები და კაპიტალისტები დღეს ფრიად ბევრს იღებენ იმ მცირესთვის, რასაც, საკმაოდ ცუდად, ასრულებენ, და როდბერტუსს ესაჭიროება, ყოველ შემთხვევაში შემდგომი 500 წლისთვის მაინც, პრივილეგიური კლასი და ამიტომ (თუ სწორად ვიტყვით) უნდა დარჩეს, თუმცა გაუდიდებლად, ახლანდელი ზედმეტი ღირებულების ნორმაც; დღევანდელ ზედმეტი ღირებულების ნორმას როდბერტუსი 200%-ად ანგარიშობს, ე. ი. რომ დღიურად თორმეტი საათის შრომაში მუშამ თორმეტი საათის ბარათი კი არ უნდა მიიღოს, არამედ — მხოლოდ ოთხის, და დანარჩენ რვა საათში წარმოებული ღირებულება მიწათმფლობელსა და კაპიტალისტს შორის უნდა განაწილდეს. ამგვარად, როდბერტუსის შრომის დამადასტურებელი ბარათი საშინლად სტყუის. მაგრამ ადამიანი სწორედ პომერანელი მებატონე უნდა იყოს, რათა თავში ასეთი რამ გამოისახოს: რომ მუშათა კლასი თანახმა იქნება თორმეტი საათი იმუშაოს ოთხი საათის ბარათის მისაღებად. კაპიტალისტური წარმოება შეუძლებელი ხდება, როგორც კი მისი ფოკუსები, ასეთი

გულუბრყვილო ენით გამოთქმული, დაუფარავ ძარცვადაა დასახული. მუშისთვის მიცემული თითოეული ბარათი აჯანყებისადმი გამოწვევის მომასწავებელი და საიმპერიო სისხლის სამართლის კოდექსის § 110-ის დარღვევა იქნებოდა. ადამიანი რომ ასეთი უსირცხვილო წინადადებით გამოვიდეს მუშების წინაშე, მას არასოდეს სხვა პროლეტარიატი არ უნდა ენახოს გარდა იმ დღიური მუშებისა, რომლებიც პომერანიის საბატონო მამულებში მუშაობენ, სადაც ჯოხი და მათრახია გაბატონებული და სოფლის ყველა ლამაზი ქალი კეთილშობილი მებატონის ჰარამხანას ეკუთვნის. მაგრამ ჩვენი კონსერვატორები ჩვენი უდიდესი რევოლიუციონერები არიან.

სამაგიეროდ, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი მუშები იმდენად მშვიდნი აღმოჩნდებიან დაიჯერონ, რომ მთელი თორმეტსაათიანი მძიმე შრომის განმავლობაში ისინი ნამდვილად მხოლოდ ოთხ საათს მუშაობდენ, მათ გარანტია ეძლევა იმისა, რომ უკუნითი უკუნისამდე მათი წილი მათ საკუთარ პროდუქტში ხელფასის სახით ერთ მესამედზე დაბლა არ დაიწევს. ეს ისეთი სამერმისო კრიმანჭულია, რომელიც საბავშვო საყვირს შეეფერება, და მასზე, რასაკვირველია, არ ღირს ლაპარაკი. ამგვარად, რამდენადაც როდბერტუსი ახალ რამეს იძლევა შრომითი ფულის საშუალებით საწარმოებელი გაცვლა-გამოცვლის უტოპიაში, ეს ახალი ნამდვილად უბრალო სიბავშვეს წარმოადგენს და ბევრად უფრო დაბლა დგას, ვიდრე ნაშრომები მის მეტოქეთა, რომელთაც მასზე ადრე და მას შემდეგ უწერიათ.

იმ დროისთვის, როდესაც როდბერტუსის „Zur Erkenntnis etc." გამოვიდა, ეს ნაწარმოები უეჭველად მნიშვნელოვანი წიგნი იყო. მის მიერ რიკარდოს ღირებულების თეორიის განვითარება ამ მიმართულებით ბევრის მქადებელ დასაწყისს წარმოადგენდა. ეს განვითარება, თუმცა იგი, ახალი იყო მხოლოდ მისთვის

და გერმანიისთვის, საერთოდ ისეთსავე სიმაღლეზეა მის მიერ აყვანილი, როგორც ნაშრომები მის საუკეთესო ინგლისელ წინამორბედთა. მაგრამ ეს იყო მარტოოდენ დასაწყისი, რომლიდანაც მხოლოდ შემდგომი მეცნიერული და კრიტიკული მუშაობით შეიძლებოდა ნამდვილი [illegible] შექმნა თეორიისათვის. ეს შემდგომი განვითარების გზა როდბერტუსმა თვითონ მოიჭრა იმით, რომ რიკარდოს თეორიის განვითარება მან იმთავითვე დაიწყო აგრეთვე მეორე მიმართულებით, უტოპიის მიმართულებით. ამით მან დაჰკარგა პირველი პირობა ყოველი კრიტიკისა, — დამოუკიდებლობა. იგი მუშაობდა წინასწარ დასახული მიზნისთვის და გახდა ტენდენციური ეკონომისტი. რაკი ერთხელ დაეტყვევა თავის უტოპიას, შემდეგ მან დაიხშო ყველა შესაძლებლობა მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. 1842 წლიდან ვიდრე თავის სიკვდილამდე იგი წრეში ტრიალებს, იმეორებს იმავე აზრებს, რომლებიც უკვე პირველ ნაწარმოებში აქვს გამოთქმული ან მითითებული, სჩივის, რომ იგი არ იცნეს, სთვლის თავის თავს გაძარცულად იქ, სადაც გასაძარცვი არა იყო რა, და, ბოლოს, არ უნდა სცნოს, — არა უგანზრახვოდ, — რომ მან აღმოაჩინა არსებითად მხოლოდ ის, რაც უკვე დიდი ხნის აღმოჩენილი იყო.

---

გერმანული თარგმანი რამდენსამე ადგილას განსხვავდება დაბეჭდილი ფრანგული ორიგინალისგან. ეს მოხდენილია მარქსის ხელნაწერი ცვლილებების საფუძვლით; ეს ცვლილებები შეტანილი იქნება ახალ ფრანგულ გამოცემაშიც, რომელიც ახლა მზადდება.

საეჭვოა საჭირო იყოს მკითხველის ყურადღების მიქცევა იმაზე, რომ ამ წიგნში ხმარებული ტერმინოლოგია სავსებით იგივე არ არის, რაც „კაპიტალისა“. ასე, მაგა-

ლითად, აქ ჯერ კიდევ ლაპარაკია სამუშაო ძალის ნაცვლად შრომაზე როგორც საქონელზე, შრომის ყიდვასა და გაყიდვაზე.

დამატებად ამ გამოცემას დართული აქვს: 1) ერთი ადგილი მარქსის ნაწარმოებიდან: „Zur Kritik der politischen Oekonomie, Berlin 1859“, შესახებ შრომითი ფულის საშუალებით წარმოებული გაცვლა-გამოცვლის პირველი უტოპიისა, რომელიც ჯონ გრეის (John-Gray) ეკუთვნის, და 2) თარგმანი 1847 წელს მარქსის მიერ ბრიუსელში წარმოთქმული სიტყვისა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რაც ავტორის განვითარების იმავე პერიოდს ეკუთვნის, როგორც „ფილოსოფიის სილატაკე“.

ფრიდრიხ ენგელსი

ლონდონი, 1884 წ.
ოქტომბრის 23.

ეროვნული

## ფრიდრიხ ენგელსის წინასიტყვაობა მეორე გერმანული გამოცემისთვის

მეორე გამოცემის გამო მხოლოდ ის უნდა მოვიხსენიო, რომ ფრანგულ გამოცემაში შეცდომით აღნიშნული სახელი Hopkins-ი აქ სწორი სახელით: Hodgskin-ით არის შეცვლილი[1] და William Thompson-ის წიგნის გამოცემის წელიწადი გასწორებულია (1824 წ.). იმედი მაქვს, ამის შემდეგ ბ-ნი პროფესორი ანტონ მენგერის ბიბლიოგრაფიული სინდისი დამშვიდებული იქნება.

ფრიდრიხ ენგელსი

ლონდონი, 1892 წ.
მარტის 29.

---

[1] მარქსს „ფილოსოფიის სილატაკეში" მოხსენებული აქვს Hopkins-ის „პოლიტიკური ეკონომია" (1822 წ.). ანტონ მენგერმა თავის წიგნში „Das Recht auf den vollen Arbeitsertrag" (მე-2 გამოც., 1891 წ., გვ. 52) გამოსთქვა მოსაზრება, რომ მარქსმა შეცდომით ჩასთვალა Hopkins-ის ნაწარმოებად ქ-ბნი მარსეტის მიერ დაწერილი თხზულება შემდეგი სათაურით: „John Hopkins' notions on political economy" (1833 წ.). ენგელსმა იფიქრა, რომ მარქსმა შეცდომით დასწერა Hopkins-ი ნაცვლად Hodgskin-ისა, და შესაფერი შესწორება შეიტანა „სილატაკის ფილოსოფიის" გერმანულ თარგმანში. მაგრამ ნამდვილად მარქსს სწორედ Hopkins-ი ჰყავდა მხედველობაში და არა—Hodgskin-ი. როგორც ეტყობა, მარქსი გულისხმობს თომას ჰოპკინსის წიგნს შემდეგი სათაურით: „Economical inquiries relative to the laws, wich regulate rent, profit, wages and the value of money" (London, 1822), რომელსაც იხსენიებს აგრეთვე „ზედმეტი ღირებულების თეორიების" მე-2 ტომში. შენიშ. რუს. გამოც.

## კ. მარქსი პრუდონის შესახებ

### 1. კ. მარქსის წერილი პ. ვ. ანენკოვისადმი

ბრიუსელი, დეკემბრის 27[1]. — Rue d'Orléans, 42, Fbg. Namur.

ძვირფასო ბ-ნო ანენკოვ!

თქვენ უკვე დიდი ხანია გექნებოდათ ჩემგან პასუხი თქვენს ნოემბრის 1-ის წერილზე, ჩემს წიგნებით მოვაჭრეს წარსულ კვირემდე რომ არ დაეგვიანებინა ჩემთვის ბ-ნი პრუდონის წიგნის „Philosophie de la Misère"-ის გამოგზავნა. მე იგი სწრაფად გადვიკითხე ორ დღეში, რათა შეძლება მქონებოდა დაუხანებლად შემეტყობინებია თქვენთვის ჩემი აზრი. რადგან წიგნი მე ძალიან ნაჩქარევად წავიკითხე, ამიტომ არ შემიძლია გავჩერდე დეტალებზე, — შემიძლია ვილაპარაკო მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებაზე, რომელიც მან ჩემზე მოახდინა. თუ თქვენ მოისურვებთ, შემიძლია უფრო დაწვრილებით გავარჩიო იგი შემდეგ წერილში.

გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ამ წიგნს მე ვთვლი ცუდ წიგნად და — ძალიან ცუდ წიგნად. თქვენ თვითონ ოხუნჯობთ თქვენს წერილში „გერმანული ფილოსოფიის იმ კუნჭულის" გამო, რომლითაც ბ-ნი პრუდონი კოხტაობს ამ უფორმო და პრეტენზიებით აღსავსე ნაშრომში, მაგრამ ფიქრობთ, რომ მისი ეკონომიური კონსტრუქციები არაა მისი ფილოსოფიის საწამლავით მოშხამული. მეც შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბ-ნი პრუდონის ეკონომიური კონსტრუქციების შეცდომები მივაწერო მის ფილოსოფიას. ბ-ნი პრუდონი პოლიტიკური ეკონომიის

[1] [1846 წ.].

ყალბ კრიტიკას იძლევა არა იმიტომ, რომ სასაცილო ფილოსოფიის პატრონი არის, — იგი გვიმასპინძლდება სასაცილო ფილოსოფიით იმიტომ, რომ სრულებით არ გაუგია თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება მისი გადაბმულობაში (dans son engrenement), [illegible] ამ ტერმინს, რომელსაც, როგორც ბევრ სხვა რამეს, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ფ უ რ ი ე ს გ ა ნ სესხულობს.

რატომ ლაპარაკობს პ რ უ დ ო ნ ი ღმერთზე, საყოველთაო გონებაზე, კაცობრიობის უპიროვნო გონებაზე, რომელიც არასოდეს არ სცდება, რომელიც ყოველთვის თავის თავის სწორია, რომელზედაც საკმარისია მხოლოდ შევადგინოთ სწორი წარმოდგენა, რომ შევიქნეთ მპყრობელნი ჭეშმარიტებისა? რატომ მიმართავს იგი ცუდად შეთვისებულ ჰეგელიანობას, რათა ღრმა მოაზროვნედ დასახოს თავის თავი?

იგი თვითონ გვაძლევს ამ გამოცანის გასაღებს. ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ისტორიაში ხედავს განსაზღვრულს მწკრივს საზოგადოებრივ ევოლიუციათა; იგი ჰგონებს, რომ ისტორიაში პროგრესი ხორციელდება; დაბოლოს, იგი ფიქრობს, რომ ადამიანები, ინდივიდუუმებად აღებულნი, მოქმედებენ არა ცნობიერად, რომ მათ არ გაეგებათ თავიანთი საკუთარი განვითარება, ე. ი. რომ მათი საზოგადოებრივი განვითარება ერთი შეხედვით მოსჩანს მათი ინდივიდუალური განვითარებისაგან განსხვავებულ, განცალკევებულ, დამოუკიდებელ მოვლენად. ამ ფაქტების ახსნა მას არ ძალუძს და — გამოსავალს პოულობს ჰიპოტეზაში საყოველთაო გონების შესახებ, რომელიც თავის თავს ააშკარავებს ისტორიაში. მისტიური მიზეზების, ე. ი. ყოველგვარ აზრს მოკლებული ფრაზების, გამოგონებაზე ადვილი არა არის რა.

მაგრამ განა ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, აღიარებს რა, რომ არ ესმის კაცობრიობის ისტორიული განვითარება, — და ამას

იგი აღიარებს, როდესაც მიმართავს მყვირალა სიტყვებს: „საყოველთაო გონებას“, „ღმერთის“ და სხვ., — განა იგი ამით აუცილებლად არ აღიარებს იმასაც, რომ არ ძალუძს გაერკვეს ეკონომიური განვითარების პროცესში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის საზოგადოება, როგორიც უნდა იყოს მისი ფორმა? — პროდუქტი ადამიანთა ურთიერთმოქმედებისა. არიან ადამიანები თავისუფალნი საზოგადოებრივი წყობილების ამა თუ იმ ფორმის არჩევაში? სრულიადაც არა. იგულისხმეთ განსაზღვრული ხარისხი ადამიანთა საწარმოო უნარის (facultés) განვითარებისა და — თქვენ მიიღებთ გაცვლა-გამოცვლისა და მოხმარების განსაზღვრულ ფორმას. იგულისხმეთ განსაზღვრული საფეხური წარმოების, გაცვლა-გამოცვლის, მოხმარების განვითარებისა და — თქვენ მიიღებთ საზოგადოებრივი აგებულების განსაზღვრულ ფორმას, ოჯახის, წოდებათა ან კლასთა განსაზღვრულ ორგანიზაციას, ერთის სიტყვით, — სამოქალაქო საზოგადოების განსაზღვრულ ფორმას. იგულისხმეთ მოცემული ფორმა სამოქალაქო საზოგადოებისა და — თქვენ მიიღებთ განსაზღვრულ პოლიტიკურ წყობილებას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ოფიციალურ გამოხატულებას წარმოადგენს. მხოლოდ, აი, ამას პრუდონი ვერასოდეს ვერ გაიგებს, ვინაიდან იგი დარწმუნებულია, დიად საქმეს აკეთებს, როდესაც სახელმწიფოდან უხმობს სამოქალაქო საზოგადოებას, ე. ი. საზოგადოების ოფიციალური გამოხატულებიდან — თვით ოფიციალურ საზოგადოებას.

საჭირო არაა დავუმატოთ, რომ ადამიანებს სრულიადაც არ შეუძლიათ იყვნენ თავისუფალი განმკარგულებელნი თავიანთ საწარმოო ძალთა, რომელნიც წარმოადგენენ მთელი მათი ისტორიის საფუძველს, ვინაიდან ყოველი საწარმოო ძალა არის

ძალა, უკვე დაპყრობილი, ნაყოფი წინანდელი მოქმედებისა. ამგვარად, საწარმოო ძალები ადამიანთა მოქმედობითი ენერგიის შედეგს წარმოადგენს, მაგრამ თვითონ ეს ენერგია ზღვარდებულია იმ პირობებით, რომლებშიაც ადამიანები ჩაყენებულნი არიან უკვე დაპყრობილი საწარმოო ძალების მიერ, ზღვარდებულია საზოგადოებრივი აგებულების ფორმით, რომელიც მათზე ადრე არსებობდა, რომელსაც ისინი, ამიტომ, არ ჰქმნიან და რომელიც წინათობის მოქმედების პროდუქტს წარმოადგენს. იმ უბრალო ფაქტის წყალობით, რომ თითოეული შემდგომი თაობა მიიღებს თავის განკარგულებაში საწარმოო ძალებს, რომელნიც დაპყრობილნი არიან წინათაობის მიერ და მას ემსახურებიან ნედლ მასალად ახალი წარმოებისათვის, — იქმნება ადამიანთა განუწყვეტელი კავშირი ისტორიაში, იქმნება კაცობრიობის ისტორია, რომელიც მით უფრო იქცევა კაცობრიობის სრულ ისტორიად, რაც უფრო იზრდება საწარმოო ძალები ადამიანთა და, მაშასადამე, მათი საზოგადოებრივი ურთიერთობა. ამით განისაზღვრება აუცილებელი შედეგი: ადამიანთა საზოგადოებრივი ისტორია წარმოადგენს ყოველთვის, — აქვთ მათ ამის ცნობიერება თუ არა, — მხოლოდ მათი ინდივიდუალური განვითარების ისტორიას. მათი ნივთიერი ურთიერთობა შეადგენს ყველა მათი ურთიერთობის საფუძველს. ეს ნივთიერი ურთიერთობა წარმოადგენს მხოლოდ აუცილებელ ფორმას, რომელშიაც ხორციელდება მათი ნივთიერი და ინდივიდუალური მოქმედება.

ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ერთმანეთში ურევს იდეებსა და ნივთებს. ადამიანები არასდროს ხელს არ იღებენ იმაზე, რაც უკვე მოუპოვებიათ, მაგრამ ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არასოდეს ხელს არ იღებენ იმ საზოგადოებრივ ფორმაზეც, რომელშიაც დაპყრობილი იყო განსაზღვრული საწარმოო ძალები. სრულიად პირიქით. რათა მოპოებული

შედეგები არ მოესპოთ, ცივილიზაციის ნაყოფი არ დაეკარგათ, ადამიანები, როგორც კი წესი მათი ურთიერთშორისი თანაზიარობისა (commerce) უკვე დაპყრობილ საწარმოო ძალებს აღარ შეეფერება, იძულებულნი ხდებიან შესცვალონ ყველა ტრადიციული საზოგადოებრივი ფორმა. მე ვხმარობ აქ სიტყვას „commerce“ მისი სრულიად ზოგადი აზრით, — იმ აზრით, რა აზრითაც ვხმარობთ გერმანულად სიტყვას „Verkehr“. მაგალითად: საშუალო საუკუნეების პრივილეგიები, ამქრული და კორპორატიული დაწესებულებანი, რეგლამენტაციის რეჟიმი — წარმოადგენდენ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შეეფერებოდა მაშინ უკვე დაპყრობილ საწარმოო ძალებს და წინა საზოგადოებრივ წყობილებას, ამ დაწესებულებათა წარმომშობს. კორპორატიული წყობილებისა და რეგლამენტაციის რეჟიმის მფარველობის ქვეშ დაგროვდა კაპიტალი, განვითარდა საზღვაო ვაჭრობა, დაარსდა ახალშენები, და ადამიანები თანდათან დაჰკარგავდენ ნაყოფს თავიანთი ღონისძიებებისას, რომ მოენდომებიათ იმ ფორმების შენარჩუნება, რომელთა მფარველობის ქვეშ ეს ნაყოფი მომწიფდა. აი, რატომ დაიგრგვინა ორმა მეხმა, — 1640 და 1688 წლ. რევოლიუციებმა. ყველა ძველი ეკონომიური ფორმა, მათი შესაფერი საზოგადოებრივი ურთიერთობა, პოლიტიკური წყობილება, რომელიც ძველი სამოქალაქო საზოგადოების გამოსახულებას წარმოადგენდა, დამსხვრეულ იქნა ინგლისში.

ამგვარად, ეკონომიური ფორმები, რომელთა ფარგალში ადამიანები წარმოებას, მოხმარებას, გაცვლა-გამოცვლას ეწევიან, წ ა რ მ ა ვ ა ლ და ი ს ტ ო რ ი უ ლ ფ ო რ მ ე ბ ს წარმოადგენს. ახალი საწარმოო უნარის (facultés) მიღწევისთანავე ადამიანები სცვლიან წარმოების წესს და წარმოების წესთან ერთად სცვლიან ყველა ეკონომიურ

ურთიერთობას, რომელიც მარტოოდენ წარმოების ამ განსაზღვრული წესის აუცილებელ ურთიერთობას წარმოადგენდა.

სწორედ ეს ვერ გაიგო ბ-ნმა პრუდონმა და კიდევ უფრო ნაკლებ დაამტკიცა იგი. ბ-ნი პრუდონი, რომელსაც არ ძალუძს გადაგვიშალოს ისტორიის რეალური მოძრაობა, გვიმასპინძლდება ფანტასმაგორიით, რომლის პრეტენზია ის არის, რომ ცნობილ იქნეს დიალექტიკურ ფანტასმაგორიად. იგი საჭიროდ არ სთვლის გველაპარაკოს მე-XVII, მე-XVIII ან მე-XIX საუკუნეზე, ვინაიდან მისი ისტორია მიმდინარეობს ოცნების ბურუსიან არეში და ნავარდობს დროისა და სივრცის ზემოდ. ერთის სიტყვით, — ეს ჰეგელიანური ნაგავია, ეს არ არის ისტორია საზოგადოდ, არ არის საერო ისტორია, ისტორია ადამიანთა, არამედ — სამღვთო ისტორია, ისტორია იდეათა. მისი თვალსაზრისით ადამიანი არის მარტოოდენ იარაღი, რომელსაც იდეა ანუ მარადიული გონება გამოიყენებს თავისი განვითარებისთვის. ევოლიუციები, რომლებზედაც ბ-ნი პრუდონი ლაპარაკობს, თავისებური ევოლიუციებია, რომლებიც აბსოლუტური იდეის მისტიურ წიაღში მიმდინარეობს. სცადეთ ჩამოაცალოთ საბურველი მის მისტიურ ფრაზეოლოგიას და — თქვენ დაინახავთ, რომ ბ-ნი პრუდონი აგვიწერს მხოლოდ იმ წყობას, რომლის მიხედვით ეკონომიური კატეგორიები, მის თავშია დალაგებული. დიდი თავის ტეხა არ დამჭირდება დაგიმტკიცოთ, რომ ეს წყობა არის წყობა ფრიად არეული თავისა.

ბ-ნი პრუდონი თავის წიგნს იწყებს მსჯელობით ღირებულების შესახებ, რომელიც მის საყვარელ საგანს (son dada) შეადგენს. ამჟამად მე არ შევჩერდები ამ მსჯელობის გასარჩევად.

მარადიული გონების მთელი რიგი ეკონომიური ევოლიუციები იწყება შრომის დანაწილებით. ბ-ნი

პრუდონისთვის შრომის დანაწილება სრულიად უბრალო რამ არის. მაგრამ განა კასტური წყობილება არ წარმოადგენდა შრომის დანაწილების განსაზღვრულ სახეს? განა ამქრული წყობილება არ იყო სხვა სახე შრომის დანაწილებისა? და განა შრომის დანაწილება მანუფაქტურულ პერიოდში, რომელიც იწყება მე-XVII საუკუნის ნახევრიდან და თავდება ინგლისში მე-XVIII საუკუნის მიწურულში, ძირითადად არ განირჩევოდა იმ შრომის დანაწილებისგან, რომელსაც ადგილი აქვს მსხვილი მრეწველობის, თანამედროვე ინდუსტრიის დროს?

ბ-ნი პრუდონი ისე დაშორებულია ჭეშმარიტებას, რომ იმასაც კი არ აქცევს ყურადღებას, რასაც ჩვეულებრივი ეკონომისტები ეხებიან. შრომის დანაწილებაზე მსჯელობისას არც კი გრძნობს საჭიროებას შეეხოს მსოფლიო ბაზარს. და განა შრომის დანაწილება მე-XIV და მე-XV საუკუნეებში, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა კოლონიები, როდესაც ევროპისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ამერიკა, როდესაც აღმოსავლეთ აზიასთან მიმოსვლა-კავშირი მხოლოდ კონსტანტინოპოლის გზით ჰქონდათ, განა ყოველის მხრივ განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო მე-XVII საუკუნეში არსებული შრომის დანაწილებისგან, როდესაც უკვე ფართო ახალშენები არსებობდა?

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არ არის. განა ხალხთა მთელი შინაგანი ორგანიზაცია, მთელი მათი საერთაშორისო ურთიერთობა სხვა რამეს წარმოადგენს თუ არ განსაზღვრული სახის შრომის დანაწილებას? და განა ყველაფერი ეს არ უნდა იცვლებოდეს შრომის დანაწილების ცვლილებასთან ერთად?

ბ-ნ პრუდონს ისე ნაკლებად ესმის საკითხი შრომის დანაწილების შესახებ, რომ იგი არც კი იხსენიებს სოფლისგან ქალაქის განცალკევებას, — განცალკევებას, რომელიც გერმანიაში, მაგალითად, მე-IX-დან მე-XII საუკუნემდე

მოხდა. და რადგანაც ბ-ნმა პრუდონმა არ იცის ამ განცალკევების არც წარმოშობა, არც განვითარება, ამიტომ იგი მას უნდა ეჩვენებოდეს მარადის არსებულად. მთელი წიგნის მანძილზე იგი ისე მსჯელობს, თითქოს წარმოების განსაზღვრული წესის ამ ქმნილებას ხანგრძლივობა ეწეროს უკუნითი უკუნისამდე. ყველაფერი, რასაც ბ-ნი პრუდონი შრომის დანაწილების შესახებ ამბობს, მარტოოდენ რეზიუმეა, და ამასთანავე — ფრიად ზერელე, ფრიად არა სრული რეზიუმე იმისა, რაც მის წინად უთქვამს ადამ სმიტს და ათასს სხვას.

მეორე ევოლიუცია — ესაა მანქანები. ბ-ნი პრუდონის წარმოდგენაში შინაგანი კავშირი შრომის დანაწილებასა და მანქანებს შორის სრულიად მისტიურია. შრომის დანაწილების თითოეულ სახეს წარმოების სპეციფიური იარაღები ჰქონდა. მაგალითად, მე-XVII საუკუნის ნახევრიდან მე-XVIII საუკუნის ნახევრამდე ადამიანები ყველაფერს ხელით არ აკეთებდენ. მათ ჰქონდათ ინსტრუმენტები, ინსტრუმენტები ფრიად რთული, როგორიცაა დაზგა, ხომალდი, ბერკეტი და სხვ. და სხვ.

ამიტომ ამაზე უფრო სასაცილო არა იქნება რა, რომ მანქანების წარმოშობა აეხსნათ საზოგადოდ შრომის დანაწილების ზეგავლენით.

აღვნიშნავ გაკვრით კიდევ, რომ ბ-ნი პრუდონი, რომელიც ასე ნაკლებად მიხვდა მანქანების ისტორიულ წარმოშობას, კიდევ უფრო ნაკლებ მიხვდა მათი განვითარების პროცესს. შეიძლება ვთქვათ, რომ 1825 წლამდე, — პირველი საყოველთაო კრიზისის დრომდე, — მოხმარების მოთხოვნილება საერთოდ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე წარმოება, და რომ მანქანების განვითარება გადაჭრით განისაზღვრებოდა ბაზრის საჭიროებით. 1825 წელს შემდეგ მანქანების გამოგონება და გამოყენება განისაზღვრება მარტოოდენ ომით მესარეწეებსა და მუშებს

შორის. ეს კია, რომ ეს მართალია მარტო ინგლისისათვის. რაც შეეხება ევროპიელ ხალხებს, მათ მანქანების გამოსაყენებლად ძალას ატანდა ინგლისის კონკურენცია როგორც მათ საკუთარ ბაზრებზე, ისე მსოფლიო ბაზარზეც. დაბოლოს, ჩრდილოეთ ამერიკაში მანქანების შემოღებას იწვევდა სხვა ხალხთა კონკურენციაც და მუშა-ხელის ნაკლებობაც, ე. ი. შეუსაბამობა ჩრდილო ამერიკის მოსახლეობის რაოდენობასა და სამრეწველო მოთხოვნილებებს შორის. ამ ფაქტებიდან თქვენ შეგიძლიათ დაასკვნათ, თუ როგორ ბრძნულ გამჭრიახობას იჩენს ბ ნ ი პ რ უ დ ო ნ ი, როდესაც იგი ჰკრულავს კონკურენციის აჩრდილს, იმ კონკურენციის, რომელიც მიაჩნია მესამე ევოლიუციად, მანქანების ანტითეზად!

და საერთოდ, ეს ხომ ჭეშმარიტად სისულელეა — მ ა ნ ქ ა ნ ი ს ამართვა ეკონომიურ კატეგორიად შრომის დანაწილების, კონკურენციის, კრედიტის და სხვათა გვერდით.

მანქანა უფრო მეტად არ წარმოადგენს ეკონომიურ კატეგორიას, ვიდრე ხარი, რომელიც გუთანს სწევს. მანქანის თანამედროვე გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ჩვენი თანამედროვე ეკონომიური წყობილების ერთი ურთიერთობათაგანია, მაგრამ მანქანების ექსპლოატაციის წესი თვით მანქანებისგან სრულიად განსხვავებული რამეა. დენთი დენთად რჩება, იხმართ თქვენ მას ადამიანისთვის ჭრილობის მისაყენებლად თუ — მიყენებული ჭრილობის მოსარჩენად.

მაგრამ ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი თავის თავს აღემატება, როდესაც თავის გონებაში აზვიადებს კონკურენციის, მონოპოლიის, ხარკის ან საზოგადოებრივი წესრიგის, სავაჭრო ბალანსის, კრედიტის და საკუთრების მნიშვნელობას, აშწკრივებს რა მათ იმ რიგზე, როგორც მე ჩამოვთვალე. თითქმის ყველა საკრედიტო დაწესებულება უკვე განვითარებული იყო ინგლისში მე-XVIII საუკუნის დასაწყისს, — მაშასადამე, მანქანების გამოგონებამდე. სახელმწიფო კრედიტი

წარმოადგენდა მხოლოდ ახალ წესს ხარკების გადიდებისა და, ამგვარად, ახალ მოთხოვნილებათა დაფარვისას, მოთხოვნილებათა, რომელთაც იწვევდა ძალაუფლების გადასვლა ბურჟუაზიული კლასის ხელში.

დასასრულ, *საკუთრება* შეადგენს უკანასკნელ კატეგორიას ბ-ნი *პრუდონის* სისტემაში. რეალურ ცხოვრებაში, პირიქით, შრომის დანაწილება და ბ-ნი *პრუდონის* ყველა დანარჩენი კატეგორია მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობანია, რომელნიც ერთობლივ ჰქმნიან იმას, რასაც დღეს *საკუთრება* ეწოდება; ამ ურთიერთობათა გარეშე ბურჟუაზიული საკუთრება მეტაფიზიკურ ანუ იურიდიულ ილუზიას წარმოადგენს. სხვა ეპოქის საკუთრება, ფეოდალური საკუთრება სულ სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა შიგნით ვითარდება. ბ-ნი *პრუდონი*, სახავს რა საკუთრებას დამოუკიდებელ ურთიერთობად, უარესს სჩადის, ვიდრე მეთოდოლოგიური შეცდომა; იგი ცხადად გვიჩვენებს, რომ ვერ გაურკვევია თავისთვის ის კავშირი, რომელიც აერთიანებს *ბურჟუაზიული* წარმოების ყველა ფორმას, რომ ვერ გაუგია განსაზღვრული ეპოქის წარმოების ფორმების *ისტორიული და გარდამავალი* ხასიათი. ბ-ნ *პრუდონს*, რომელიც ჩვენს საზოგადოებრივ დაწესებულებებში არ ხედავს ისტორიულ შედეგს, რომელსაც არ ესმის არც მათი წარმოშობა და არც მათი განვითარების პროცესი, მათი მარტოოდენ დოგმატიური კრიტიკა შეუძლია აწარმოოს.

ამიტომაც ბ-ნი *პრუდონი* იძულებულია მათი განვითარების ასახსნელად *ფიქციას* მიმართოს. მას წარმოუდგენია, რომ შრომის დანაწილება, კრედიტი, მანქანები და სხვ. მისი აკვიატებული იდეის, თანასწორობის იდეის, გულისთვის იყო გამოგონილი. მისი ახსნა-განმარტება ჭეშმარიტად მომხიბლველ-გულუბრყვილოა. ყველა

ეს თანასწორობისთვის იყო გამოგონილი, მაგრამ, სამწუხაროდ, მან თანასწორობის წინააღმდეგ იბრუნა პირი. ყველა მისი მსჯელობა ამ დასკვნამდე მიდის. სხვა სიტყვებით: იგი მიიღებს სრულიად თვითნებურ [illegible], და, რადგანაც რეალური განვითარება და მისი ფიქცია ყოველ ფეხის ნაბიჯზე ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, აქედან დაასკვნის, რომ არსებობს წინააღმდეგობა. მაგრამ ამასთან იგი მალავს, რომ წინააღმდეგობა არსებობს მხოლოდ მის აკვიატებულ იდეებსა და რეალურ მოძრაობას შორის.

ამგვარად, ბ-ნმა პ რ უ დ ო ნ მ ა, — უმთავრესად, თავისი ისტორიული ცოდნის არასაკმარისობის გამო, — ვერ გაიგო, რომ ადამიანები, როდესაც ანვითარებენ თავიანთ საწარმოო უნარს (facultés), ე. ი. როდესაც ცხოვრობენ, — ჰქმნიან ერთმანეთს შორის განსაზღვრულ ურთიერთობათ და რომ ამ ურთიერთობათა ფორმები აუცილებლად იცვლება ამ საწარმოო უნარის ცვლილებასა და ზრდასთან ერთად. მან ვერ შეამჩნია, რომ ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი ამ რეალურ ურთიერთობათა ა ბ ს ტ რ ა ქ ც ი ე ბ ი ა მხოლოდ, რომ ისინი მხოლოდ იმდენად წარმოადგენენ ჭეშმარიტებას, რამდენადაც ეს ურთიერთობანი მართლა არსებობენ. ამგვარად, იგი იმავე შეცდომას სჩადის, რასაც ბურჟუაზიული ეკონომისტები, ეკონომიურ კატეგორიებს რომ სთვლიან მარადიულ კანონებად და არა ისტორიულ კანონებად, რომელნიც კანონობენ ისტორიული განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ საფეხურზე, საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე. ამნაირად, იმის ნაცვლად, რომ ეს პოლიტიკურ-ეკონომიური კატეგორიები განიხილოს როგორც რეალურ, წარმავალ, ისტორიულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა აბსტრაქციები, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი მთელს კონსტრუქციას უკუღმა აბრუნებს თავის მისტიურ წარმოდგენაში, მხოლოდ

ამ აბსტრაქციების განხორციელებას ხედავს რეალურ ურთიერთობაში. და თვით ეს აბსტრაქციები წარმოადგენს ფორმულებს, რომელნიც ქვეყნის გაჩენიდანვე სთვლემდენ მამა ღმერთის წიაღში.

მაგრამ აქ ჩვენი კეთილი ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ღრმა გონებრივ თრთოლვას განიცდის. თუ ყველა ეს ეკონომიური კატეგორია ღვთის გულის ემანაციაა, თუ იგი ფარული და მარადიული სიცოცხლეა ადამიანთა, მაშ როგორ ხდება, ჯერ ერთი, ის, რომ არსებობს განვითარება, და, მეორე, ის, რომ ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი არაა კონსერვატორი? და ამ ცხად წინააღმდეგობათ იგი ხსნის ანტაგონიზმების მთელი სისტემით.

ამ ანტაგონიზმთა სისტემის გასარკვევად ავიღოთ მაგალითი.

მ ო ნ ო პ ო ლ ი ა — კარგი რამ არის, ვინაიდან იგი ეკონომიური კატეგორიაა, მაშასადამე, — ღვთის ემანაციაა. კონკურენციაც კარგი რამ არის, ვინაიდან ისიც ეკონომიური კატეგორიაა. მაგრამ რაც არ არის კარგი, ესაა — რეალობა მონოპოლიის და რეალობა კონკურენციის. და ამაზე უარესი კიდევ ის არის, რომ მონოპოლია და კონკურენცია ერთი მეორის შ თ ა ნ თ ქ მ ე ლ ი ა. როგორღა უნდა მოვიქცეთ აქ? რადგანაც ორივე ეს მარადიული აზრი ღვთისა ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, ამიტომ ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს წარმოდგენით ცხადია, რომ ღმერთს ამ ორი აზრის სინთეზიც აქვს, — სინთეზი, რომელშიაც მონოპოლიის ბოროტება კონკურენციით გაწონასწორდება და — პირიქით. ორსავე იდეას შორის ბრძოლა იმ შედეგს მოიტანს, რომ ისინი მარტოოდენ თავიანთი კარგი მხარეების გამომჟღავნებელნი იქნებიან. ამიტომ საჭიროა ღმერთს გამოვგლიჯოთ მისი ფარული აზრი, შემდეგ იგი გამოვიყენოთ ცხოვრებაში და — ყველაფერი კარგად წავა; საჭიროა გზითა გამოცხადებისა გამოვააშკარაოთ სინთეთიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა, კაცობრიობის უპიროვნო გონებაში დაფარული. და ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი სრულიად უყოყმანოდ ასრულებს ქადაგის როლს.

მაგრამ ერთ წუთს დააკვირდით რეალურ ცხოვრებას. თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში თქვენ ჰპოვებთ არა მარტო კონკურენციას და მონოპოლიას, არამედ მათ სინთეზსაც, რომელიც წარმოადგენს არა ფ ო რ მ უ ლ ა ს, არამედ — მ ო ძ რ ა ო ბ ა ს. მონოპოლია წარმოშობს კონკურენციას, კონკურენცია — მონოპოლიას. მაგრამ ეს განტოლება არა თუ არ სპობს თანამედროვე მდგომარეობის სიძნელეს, როგორც ეს წარმოდგენილი აქვთ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, არამედ უფრო ძნელსა და უფრო დახლართულ მდგომარეობას ჰქმნის. და ასე, როდესაც თქვენ სცვლით იმ საფუძველს, რომელზედაც შენდება თანამედროვე ეკონომიური ურთიერთობა, როდესაც სპობთ წარმოების თანამედროვე წ ე ს ს, თქვენ სპობთ არა მარტო კონკურენციას, მონოპოლიას და მათ ანტაგონიზმს, არამედ — მათ ერთიანობასაც, მათ სინთეზს, — მოძრაობას, რომელიც მართლა აწონასწორებს კონკურენციასა და მონოპოლიას.

ახლა მე თქვენ მოგიყვანთ ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს დიალექტიკის მაგალითს.

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა და მ ო ნ ო ბ ა შეადგენს ანტაგონიზმს. მე არ მჭირდება თავისუფლების არც კარგსა და არც ცუდ მხარეებზე ლაპარაკი. რაც შეეხება მონობას, — მე არ მჭირდება ლაპარაკი მის ცუდ მხარეებზე. ერთადერთი რამ, რაც ახსნილი უნდა იქნეს, ეს არის — კარგი მხარე მონობისა. ლაპარაკია არა არაპირდაპირს მონობაზე, პროლეტარის მონობაზე; ლაპარაკია პირდაპირს მონობაზე, შავკანიანთა მონობაზე სურინამში, ბრაზილიაში, ჩრდილო-ამერიკის სამხრეთ ოლქებში.

პირდაპირი მონობა თანამედროვე ჩვენი ინდუსტრიალიზმის საფუძველს წარმოადგენს იმ ზომისადვე, როგორც

მანქანები, კრედიტი და სხვ. არ არის მონობა, — არ არის ბამბა, არ არის ბამბა, — არ არის თანამედროვე ინდუსტრია. მონობამ აქცია ძვირფასად ახალშენები, ახალშენებმა გამოიწვიეს მსოფლიო ვაჭრობა, ხოლო მსოფლიო ვაჭრობა აუცილებელი პირობაა მსხვილი მანქანური მრეწველობის. ამიტომ ზანგებით ვაჭრობის დამყარებამდე ახალშენები ძალიან მცირე პროდუქტებს აძლევდენ ძველ ქვეყანას და მათ ძალიან სუსტი გავლენა ჰქონდათ მსოფლიოს საერთო მდგომარეობაზე. ამგვარად, მონობა უდიდესად მნიშვნელოვან ეკონომიურ კატეგორიას წარმოადგენს. უმონობოდ ჩრდილო-ამერიკა, ეს ფრიად პროგრესიული მხარე, პატრიარქალურ მხარედ გადაიქცეოდა. ამოშალეთ ხალხთა რუკიდან მარტოოდენ ჩრდილო-ამერიკა და—თქვენ მიიღებთ ანარქიას, თანამედროვე ვაჭრობისა და თანამედროვე ცივილიზაციის სრულს დაცემას. და მონობის მოსპობა იქნებოდა ჩრდილო-ამერიკის ამოშლა ხალხთა რუკიდან. რადგანაც მონობა ეკონომიური კატეგორიაა, ამიტომ ჩვენ ვხვდებით მას ქვეყნის დასაწყისიდან ყველა ხალხში. თანამედროვე ხალხებმა მოახერხეს მხოლოდ დაემალათ თავიანთ შორის მონობა და აბდილად. შეეტანათ იგი ახალს ქვეყანაში. როგორ მოიქცევა ჩვენი კეთილი ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი მონობაზე ამ მსჯელობის შემდეგ? იგი დაიწყებს თავისუფლებისა და მონობის სინთეზის ძებნას, ნამდვილ ოქროს შუაგულის ძებნას, სხვა სიტყვებით, — მონობასა და თავისუფლებას შორის წონასწორობის ძებნას.

ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი კარგად მიხვდა, რომ ადამიანები აწარმოებენ მაუდს, ტილოს, აბრეშუმის ქსოვილებს. იფიქრეთ, რა დიდ დამსახურებას ნიშნავს ყველა ამის გაგება! მაგრამ რასაც ბ ნ ი პ რ უ დ ო ნ ი ვერ მიხვდა, ეს არის ის, რომ ადამიანები, მათი უნარის მიხედვით, ჰქმნიან ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ურთიერთობათაც, რომლებშიაც

ისინი მაუდსა და ტილოს აწარმოებენ. კიდევ უფრო ნაკლებ მიხვდა ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი იმას, რომ ადამიანები, რომელნიც ჰქმნიან საზოგადოებრივ ურთიერთობათ მათი მატერიალური პროდუქტიულობის შესაბამისად, ჰქმნიან აგრეთვე ი დ ე ე ბ ს, კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ს, ე. ი. აბსტრაქტულ, იდეალურ გამოხატულებათ თვით ამ საზოგადოებრივ ურთიერთობათა. ამგვარად, კატეგორიები ისევე ნაკლებად არის მარადიული, როგორც ის ურთიერთობანი, რომელთაც ისინი გამოხატავენ. ისინი ისტორიულ და წარმავალ პროდუქტს წარმოადგენენ. ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს თ ვ ი ს, პირიქით, აბსტრაქციები, კატეგორიები პირველადს მიზეზს წარმოადგენს. მისი აზრით, სწორედ ისინი, და არა ადამიანები, ჰქმნიან ისტორიას. ა ბ ს ტ რ ა ქ ც ი ა, კ ა ტ ე გ ო რ ი ა, ა ღ ე ბ უ ლ ი რ ო გ ო რ ც ა ს ე თ ი, ე. ი. ადამიანებისა და მათი მატერიალური საქმეებისგან განცალკევებულად, — რასაკვირველია, უკვდავია, შეუმუსრავია, უვნებოა; იგი წმინდა გონების არსებაა, რაც მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ აბსტრაქცია, აღებული როგორც ასეთი, აბსტრაქტულია. დიდებული ტ ა ვ ტ ო ლ ო გ ი ა ა!

მაშასადამე, ეკონომიური ურთიერთობანი, კატეგორიების ფორმით განხილულნი, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს თ ვ ი ს მარადიულ ფორმულებს წარმოადგენენ, რომელთაც არც დასაწყისი აქვთ და არც განვითარება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი პირდაპირ არ ამტკიცებს, რომ მას ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა წარმოდგენილი აქვს მ ა რ ა დ ი უ ლ ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა დ, მაგრამ ამას იგი ამბობს არაპირდაპირ, როდესაც აღმერთებს იმ კატეგორიებს, რომელნიც აზრის ფორმით ბურჟუაზიულ ურთიერთობათა გამომხატველნი არიან. ბურჟუაზიული საზოგადოების პროდუქტი მას მიაჩნია სპონტანურ, თავისთავადი სიცოცხლით დაჯილდოებულ,

მარადიულ არსებად, როგორც კი იგი მის წინ დადგება კატეგორიის, აზრის სახით. მაშასადამე, იგი ბურჟუაზიულ ჰორიზონტზე მაღლა აწევას ვერ ახერხებს. და რადგანაც იგი ბურჟუაზიული იდეებით აზროვნებს, რომლებიც მუდამ ჭეშმარიტი ჰგონია, ამიტომ იგი ეძებს ამ იდეების სინთეზს, მათ წონასწორობას და ვერ ამჩნევს, რომ მათი თანამედროვე წესი ერთი მეორის გაწონასწორებისა არის ერთად ერთი წესი, რომელიც კი შესაძლებელია.

ნამდვილად იგი სწორედ ისე იქცევა, როგორც ყველა კეთილი ბურჟუა. ყველა ასეთი ბურჟუა ამბობს, რომ კონკურენცია, მონოპოლია და სხვ. პრინციპში, ე. ი. აბსტრაქტული იდეის სახით აღებული, წარმოადგენს ცხოვრების საფუძველს, მაგრამ რომ სინამდვილეში ბევრის მხრივ არაა დამაკმაყოფილებელი. ყველა მათ უნდათ კონკურენცია უ მის დამღუპველ შედეგებოდ. ყველა მათ სურთ შეუძლებელი, ე. ი. ბურჟუაზიული ცხოვრების პირობები უ აუცილებელ შედეგებოდ ამ პირობებისა. ყველა მათ, ყველას ერთნაირად, არ ესმით, რომ წარმოების ბურჟუაზიული ფორმა ისტორიული და წარმავალი ფორმაა სწორედ ისევე, როგორც ფეოდალური ფორმა იყო. ეს შეცდომა წარმოსდგება იქიდან, რომ მათ თვალში ადამიანი-ბურჟუა ყოველი საზოგადოების ერთადერთ შესაძლებელ საფუძველს წარმოადგენს; წარმოსდგება იქიდან, რომ მათ ვერ წარმოუდგენიათ საზოგადოების ისეთი წყობილება, სადაც ადამიანი აღარ იყოს ბურჟუა.

ამიტომ ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი აუცილებლობით არის დ ო ქ ტ რ ი ნ ე რ ი. ის ისტორიული მოძრაობა, რომელიც მთელი ქვეყნიერობის შემძვრელია, მისთვის იხსნება სამართლიანი წონასწორობის, ორი ბურჟუაზიული იდეის სინთეზის აღმოჩენის პრობლემაში. ოსტატური ხერხიანობით ეს მარჯვე ყმაწვილი ფარდას ჰხდის ღვთის

ფარულ აზრს, ერთიანობას ორი განცალკევებული იდეისას, რომელნიც განცალკევებულნი არიან მხოლოდ იმიტომ, რომ ბ-ნმა პ რ უ დ ო ნ მ ა ისინი განაცალკევა პრაქტიკული ცხოვრებისგან, [illegible] წარმოებისგან, რომელიც წარმოადგენს ამ იდეებით გამოხატულ რეალობათა კომბინაციას. იმ დიადი ისტორიული მოძრაობის ადგილას, რომელიც წარმოიშვება კონფლიქტის ნიადაგზე ადამიანების უკვე დაპყრობილ საწარმოო ძალთა და მათ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შორის, რომელნიც აღარ შეესაბამებიან იმ საწარმოო ძალებს; იმ საშინელ ბრძოლათა ადგილას, რომლებიც მზადდება თითოეული ერის სხვადასხვა კლასებს შორის და სხვადასხვა ერებს შორის; მასების იმ პრაქტიკული და ძალადობითი მოქმედების ადგილას, რომელსაც მარტოოდენ შეუძლია გადასჭრას ამ შეჯახების საქმე; ამ ფართო, ხანგრძლივი და რთული მოძრაობის ადგილას ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი აყენებს საკუთარი თავის ბავშურ (cacadauphin) მოძრაობას. და ამნაირად გამოდის, რომ სწავლულები, ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ მოსტაცონ ღმერთს მისი გულითადი აზრი, ქმნიან ისტორიას. დაბალი ხალხის საქმე კი მარტოოდენ ისაა, რომ მათი გამოცხადება გაატაროს ცხოვრებაში.

თქვენ ახლა მიმხვდარი ხართ, თუ რატომ არის ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ყოველი პოლიტიკური მოძრაობის გადაჭრით წინააღმდეგი. თანამედროვე პრობლემების გადაჭრა მისთვის საზოგადოებრივ მოქმედებაში კი არ მდგომარეობს, არამედ — მისი საკუთარი თავის დიალექტიკურ წრებრუნვაში. სწორედ იმიტომ, რომ მისთვის კატეგორიები მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, საჭირო არაა პრაქტიკული ცხოვრების შეცვლა კატეგორიების შესაცვლელად. სრულიად პირიქით. უნდა შეიცვალოს კატეგორიები და — შედეგად ამისა იქნება რეალური საზოგადოების ცვლილება.

სურს რა შეარიგოს წინააღმდეგობანი, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი არც კი კითხულობს, — ხომ არ არის შეუძლებელი ამ წინააღმდეგობათა თვით საფუძვლის მოსპობა. იგი ყველაფერში იმ პოლიტიკურ დოქტრინებს ჰგავს, რომელიც მოითხოვს მეფეს, დეპუტატთა პალატასა და ლორდთა პალატას როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ნაწილებს, როგორც მარადიულ კატეგორიებს. მხოლოდ იგი ეძიებს ახალ ფორმულას წონასწორობისათვის ხელისუფლების ამ ორგანოთა შორის (მაშინ როდესაც მათ შორის წონასწორობა სწორედ თანამედროვე მოძრაობაში მდგომარეობს, რომელშიაც ერთ-ერთი ამ ორგანოთაგან ხან იმარჯვებს სხვებზე და ხან დამარცხება-დამონავებას განიცდის). სწორედ ამგვარადვე მე-XVIII საუკუნეში ბევრი მდარე მოაზროვნე იმ ფორმულის ძიებაში იყო, რომელიც დაამყარებდა წონასწორობას საზოგადოებრივ წოდებებსა, თავადაზნაურობასა, მეფესა, პარლამენტებსა და სხვ. შორის, მაგრამ მეორე დღეს არ აღმოჩნდა უკვე არც მეფე, არც პარლამენტი, არც თავადაზნაურობა. ნამდვილ წონასწორობას ამ ანტაგონიზმებს შორის წარმოადგენდა დამხობა ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა, რომელნიც საფუძველს შეადგენდენ ამ ფეოდალური ქმნილებებისა და მათ შორის არსებული ანტაგონიზმისათვის.

რადგანაც ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი აყენებს, ერთის მხრივ, მარადიულ იდეებს, წმინდა გონების კატეგორიებს, და, მეორეს მხრივ, ადამიანთ და მათ პრაქტიკულ ცხოვრებას, რომელიც, როგორც იგი ამტკიცებს, ამ კატეგორიების გამოყენებას წარმოადგენს, ამიტომ თქვენ თავიდანვე ნახავთ მის ნაწერში დ უ ა ლ ი ზ მ ს ცხოვრებასა და იდეებს შორის, სულსა და სხეულს შორის, — დუალიზმს, რომელიც შემდგომ სხვადასხვა ფორმით მეორდება. თქვენ ხედავთ ახლა, რომ ეს ანტაგონიზმი არის

მარტოოდენ უუნარიანობა ბ-ნი პრუდონისა გაიგოს მის მიერ გაღმერთებული კატეგორიების მიწიური წარმოშობა და მიწიური ისტორია.

წერილი ძალიან გამიგრძელდა და [illegible] შემიძლია შევეხო ბ-ნი პრუდონის სასაცილო [illegible] კომუნიზმის წინააღმდეგ. დამეთანხმეთ ჯერჯერობით, რომ იმ კაცს, რომელმაც თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება ვერ გაიგო, კიდევ უფრო ნაკლებ უნდა ესმოდეს როგორც ამ წყობილების დამხობისაკენ მიმართული მოძრაობა, ისე ამ რევოლიუციონური მოძრაობის ლიტერატურული გამოსახულება.

ერთადერთი პუნქტი, რაშიაც მე ბ-ნ პრუდონს სავსებით ვეთანხმები, ესაა მისი ზიზღი სოციალისტური სანტიმენტალობისადმი. ჯერ კიდევ მასზე ადრე მე ბევრი მტერი მოვიპოვე იმით, რომ სასაცილოდ ვიღებდი ცხვრულ, სანტიმენტალურ, უტოპიურ სოციალიზმს. მაგრამ განა უცნაური ილუზიებით არ ირთობს თავს ბ-ნი პრუდონი, როდესაც იგი თავის წვრილ ბურჟუას სანტიმენტალობას, — მე მინდა ვთქვა: თავის დეკლამაციებს ოჯახისა, ცოლქმრული სიყვარულისა და სხვა მსგავსი ვულგარობის შესახებ, — უპირისპირებს სოციალისტურ სანტიმენტალიზმს, რომელიც ფურიეს ნაწერში, მაგალითად, ბევრად უფრო ღრმა არის, ვიდრე ჩვენი კეთილი პრუდონის პრეტენზიებით აღსავსე სისულელეები? იგი იმდენად გრძნობს თავისი არგუმენტების არარაობას, თავის სრულს უუნარიანობას საგანზე მსჯელობისას, რომ, თავდავიწყებული, შმაგობს, გაჰკივის, ბრაზობს irae hominis probi (კეთილშობილი კაცის გულისწყრომით), დორბლმორეული ილანძღება, ბრალსა სდებს სხვებს, ჰგოდებს საძრახობაზე, შავჭირზე, გულში ხელს იცემს და ტრაბახობს ღვთისა და ადამიანთა წინაშე, რომ მას ბრალი არ მიუძღვის სოციალისტურ უშვერობაში.

სოციალისტურ სანტიმენტალობას ანუ იმას, რასაც ასეთად სცვლის, იგი კი არ ებრძვის, როგორც კრიტიკოსი. არა, თითქოს წმინდანიაო, თითქოს პაპიაო, იგი შეაჩვენებს საწყალ ცოდვილებს და დიდებას უგალობს წვრილ ბურჟუაზიას და მისი ოჯახური კერის უბადლო, საყვარელ და პატრიარქალურ ილიუზიებს. და ეს სრულიადაც შემთხვევითი არაა. ბ-ნი პრუდონი თავიდან ფეხებამდე წვრილი ბურჟუაზიის ფილოსოფოსი და ეკონომისტია. წვრილი ბურჟუა განვითარებულ საზოგადოებაში, თავისი მდგომარეობის მეოხებით, ხდება, ერთის მხრივ, სოციალისტი და, მეორეს მხრივ, ეკონომისტი, სხვა სიტყვებით: იგი თვალმოჭრილია მსხვილი ბურჟუაზიის დიდებულებით და თანაუგრძნობს ხალხის ტანჯვას. იგი ერთსა და იმავე დროს ბურჟუაც არის და ხალხიც. გულში თავი მოაქვს იმით, რომ იგი პირუთვნელია, რომ მან ჰპოვა ჭეშმარიტი წონასწორობა, რომელსაც აქვს პრეტენზია ოქროს შუაგულიდან განსხვავებულობისა. ასეთი წვრილი ბურჟუა აღმერთებს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს, ვინაიდან წინააღმდეგობაშია მთელი მისი არსება. მთლად იგი ცოცხალი, მოქმედი საზოგადოებრივი წინააღმდეგობაა. მან თეორიით უნდა დაასაბუთოს ის, რასაც იგი წარმოადგენს სინამდვილეში. და ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს ეკუთვნის ეს დამსახურება, — რომ იგი საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის მეცნიერული განმმარტებელია, რაც ნამდვილ დამსახურებას წარმოადგენს, ვინაიდან წვრილი ბურჟუაზია აუცილებელი მონაწილე იქნება ყველა იმ სოციალურ რევოლუციაში, რომლებიც მზადდება.

მე მინდოდა ამ წერილთან ერთად გამომეგზავნა ჩემი წიგნი პოლიტიკური ეკონომიის შესახებ, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე გამოცემა ამ ნაშრომის და აგრეთვე გერმანიის ფილოსოფოსებისა და სოციალისტების კრიტიკისაც, რომელზედაც მე თქვენ გელაპარაკეთ ბრიუსელში.

არ დაიჯერებთ, რაოდენ დიდ დაბრკოლებას ხვდება გერმანიაში ამგვარი გამოცემა, ჯერ ერთი, — პოლიციის მხრივ, და მეორე, — გამომცემელთა მხრივ, რომელნიც თვითონ არიან დაინტერესებული წარმომადგენლები იმ პრინციპების, რომელთაც მე ვებრძვი. რაც შეეხება ჩვენს საკუთარ პარტიას, იგი არა მხოლოდ ღარიბია, არამედ გერმანიის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო ნაწილი უკმაყოფილოც არის ჩემი იმიტომ, რომ მე მის უტოპიებსა და დეკლამაციებს ვებრძვი.

თქვენი კარლ მარქსი.

P. S. იქნებ თქვენ მკითხოთ: რატომ მოგწერეთ ცუდი ფრანგული ენით, ნაცვლად იმისა, რომ მომეწერა კარგი გერმანულით? ეს იმიტომ, რომ საქმე ფრანგ მწერალს შეეხება.

დიდად დამავალებთ, თუ ძალიან არ დამიყოვნებთ თქვენს პასუხს, რათა ვიცოდე, გაგებული ვარ თუ არა თქვენ მიერ ამ ბარბაროსული ფრანგულის სამოსელში.

ეროვნული

## 2. კ. მარქსის წერილი „სოციალდემოკრატის" რედაქტორისადმი

(„Sozialdemokrat"-იდან 1865 წ., № 16, 17 და 18)

ლონდონი, 1865 წ. იანვრის 24.

დიდად პატივცემულო ბატონო!

გუშინ მივიღე თქვენი წერილი, რომელშიაც პრუდონის დაწვრილებით შეფასებას მთხოვთ. ვწუხვარ, რომ დროის უქონლობა ნებას არ მაძლევს შევასრულო თქვენი სურვილი. თანაც არც ერთი მისი ნაწერი ხელთ არა მაქვს. მაგრამ, რათა ჩემი კეთილი სურვილი დაგიმტკიცოთ, ვწერ ნაჩქარევად ამ მოკლე მიმოხილვას. თქვენ შეგიძლიათ მასში ჩაურთოთ, ჩაუმატოთ, გამოაკლოთ,—ერთის სიტყვით, მოექცეთ მას ისე, როგორც გსურთ. („ჩვენ საუმჯობესოდ ვსცანით, უცვლელად დაგვებეჭდაო",—დასძენდა რედაქცია სასხოლიო შენიშვნაში).

პრუდონის პირველი ლიტერატურული ცდები მე აღარ მაგონდება. მისი მოწაფეური ნაშრომი „Langue universelle"-ის (მსოფლიო ენის) შესახებ გვიმტკიცებს, თუ როგორ მოურიდებლად ხელს ჰკიდებს იგი ისეთ პრობლემებს, რომელთა გადასაჭრელად მას ჯერ კიდევ სრულიად ელემენტარული ცოდნა არ მოეპოება.

მისი პირველი თხზულება: „Qu'est-ce que la Propriété?" უეჭველად მისი საუკეთესო ნაწარმოებია. იგი ეპოქის შემქმნელია, თუ თავისი შინაარსის სიახლით არა, ყოველ შემთხვევაში, ყველაფრის თქმის ახალი და გაბედული მანერით. რასაკვირველია, ფრანგი სოციალისტებისა და კომუნისტების თხზულებებში, რომლებსაც იგი

იცნობდა, „la propriété“ [„საკუთრება“] იყო არა თუ კრიტიკაში გატარებული, არამედ — უტოპისტურად „მოხმობილიც“. სენ-სიმონისა და ფურიეს მიმართ პრუდონი ამ ნაწერში დაახლოებით იმასვე წარმოადგენს, რასაც ფეიერბახი — ჰეგელის მიმართ. ფეიერბახი ფრიად ღარიბია ჰეგელთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ჰეგელს შემდეგ იგი ეპოქის შემქმნელი იყო, რადგანაც მან ხაზი გაუსვა ზოგიერთ ქრისტიანული ცნობიერებისათვის უსიამოვნო და კრიტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვან პუნქტს, რომელიც ჰეგელის მიერ მისტიურ clair obscur-ში [ბინდბუნდში] იყო დატოვებული.

შემდეგ, პრუდონის ამ ნაწერს ახასიათებს, თუ შეიძლება ასე ვთქვა, სტილის ძლიერი ძარღვიანობა, და, ჩემის აზრით, სწორედ სტილი შეადგენს მის მთავარ ღირსებას. იქაც კი, სადაც პრუდონი სხვების ძველ ნათქვამს იმეორებს, თქვენ გრძნობთ, რომ იგი ამ სათქმელს დამოუკიდებლად პოულობს, რომ ის, რასაც იგი ამბობს, მისთვის ახალი იყო და თვითონაც ახლად მიაჩნია.

მისი გამომწვევი გაბედულობა, რომელიც არ დრკება პოლიტიკური ეკონომიის „წმიდათა წმიდაზე“ თავსდასხმის წინაშე, მისი გონებამახვილი პარადოქსები, რომლებითაც იგი დასცინის ბურჟუას ჩვეულ წარმოდგენებს, მისი გესლიანი კრიტიკა, მისი მწარე ირონია, აქა-იქ ღრმა და ჭეშმარიტი აღშფოთების გრძნობა არსებული წყობილების უმსგავსოების წინააღმდეგ, რევოლუციონური გულახდილობა, — ყველაფერი ეს „Qu'est-ce que la propriété?“-ს მკითხველს ელექტრონს უღვივებდა და წიგნის გამოსვლის დღიდანვე დიდ იმპულსს ჰქმნიდა საზოგადოებისათვის. პოლიტიკური ეკონომიის წმინდა მეცნიერულ ისტორიაში ეს ნაწარმოები არც კი იქნებოდა მოხსენების ღირსი. მაგრამ ამგვარი სენსაციური ნაწარმოები მეცნიერებაშიაც

ასრულებს განსაზღვრულ როლს, ისე როგორც სიტყვაკაზმულ მწერლობაში. აიღეთ, მაგალითად, მალთუსის წიგნი „Population“-ის [„მოსახლეობის“] შესახებ. მისი პირველი გამოცემა სხვას არას წარმოადგენს გარდა „sensational pamphlet“-ისა [„სენსაციური პამფლეტისა“], ამასთან — პლაგიატისა თავიდან ბოლომდე. მიუხედავად ამისა, რაოდენ დიდი იმპულსი მისცა ამ პასკვილმა ადამიანთა მოდგმას!

პრუდონის წიგნი რომ ხელთ მქონდეს, მე ადვილად დაგანახვებდით რამდენსამე მაგალითზე მისი წერის პირველ მანერას. იმ პარაგრაფებში, რომლებიც თვითონ მას უმნიშვნელოვანესად მიაჩნია, იგი კანტის ანტინომიების მეთოდს ჰბაძავს, — კანტი იყო ერთადერთი გერმანელი ფილოსოფოსი, რომელსაც იგი მაშინ თარგმანებით იცნობდა, — და იმ მტკიცე შთაბეჭდილებას გვიტოვებს, რომ მისთვის, როგორც კანტისთვის, ანტინომიების ახსნა ადამიანის გონების „მიღმა“ არის, ე. ი. რომ მის საკუთარ გონებას ამ ანტინომიების ახსნა არ ძალუძს.

მაგრამ, გარეგნულად საშინელი რევოლუციონერობის მიუხედავად, ჩვენ უკვე „Qu'est-ce que la propriété?“-ში ვამჩნევთ ამ წინააღმდეგობას: რომ პრუდონი, ერთის მხრივ, საზოგადოებას კრიტიკას უწევს საფრანგეთის წვრილი გლეხის (შემდგომ წვრილი ბურჟუას) თვალსაზრისის მიხედვით და, მეორეს მხრივ, — იმავე საზოგადოებას იმ საზომით უდგება, რომელიც მის მიერ სოციალისტებისგანაა აღებული.

უკვე სათაური ამჟღავნებს წიგნის ნაკლს. კითხვა ისე ყალბად იყო დასმული, რომ მასზე სწორი პასუხის გაცემა არ შეიძლებოდა. ანტიურმა „საკუთრების ურთიერთობამ“ ადგილი დაუთმო ფეოდალურს, ფეოდალურმა — ბურჟუაზიულს. ამგვარად, თვით ისტორიამ

შეასრულა წარსული საკუთრების ურთიერთობის კრიტიკა. ის, რასაც პრუდონისთვის საკითხი არსებითად შეეხებოდა, იყო არსებული თანამედროვე ბურჟუაზიული საკუთრება. იმ კითხვაზე, თუ რა არის ეს საკუთრება, პასუხის გაცემა შეიძლებოდა მხოლოდ „პოლიტიკური ეკონომიის“ კრიტიკული ანალიზით, რომელიც უნდა შეხებოდი საკუთრების ურთიერთობათ მთლიანად, არა მათ იურიდიულ გამოხატულებას ნებისყოფის ურთიერთობის სახით, არამედ — მათ რეალურ სახეობას, ე. ი. როგორც საწარმოო ურთიერთობათ. მაგრამ რადგანაც პრუდონმა ამ ეკონომიურ ურთიერთობათა ერთობლიობა „საკუთრების“, „la propriété“-ს იურიდიულ ცნებას დაუქვემდებარა, მას აღარ შეეძლო იმ პასუხს გასცდენოდა, რომელიც ბრისომ (Brissot) იმავე სიტყვებით მსგავსსავე ნაწარმოებში უკვე 1789 წლის წინად მოგვცა: „La Propriété c'est le vol“ [„საკუთრება ქურდობაა“] [1].

უკეთეს შემთხვევაში, აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ბურჟუაზიულ-იურიდიული ცნება „ქურდობისა“ ბურჟუას „პატიოსან“ შეძენასაც უდგება. მეორეს მხრივ, რადგანაც „ქურდობა“, როგორც საკუთრების ძალადობითი დარღვევა, უკვე წინასწარ გულისხმობს საკუთრების არსებობას, ამიტომ პრუდონი დაიხლართა მისთვისვე ბუნდოვან და ფანტასტიურ ცნებებში შესახებ ჭეშმარიტი ბურჟუაზიული საკუთრებისა.

პარიზში ყოფნის დროს, 1844 წელს, მე პირადი ურთიერთობა მქონდა პრუდონთან. ამას მე ვიხსენიებ

[1] Brissot de Warville: „Recherches sur le droit de propriété et sur le vol“, etc., Berlin 1782 (მე-VI ტომში „Bibliothèque philosophique du législateur“-ისა par Brissot de Warville).

იმიტომ, რომ რაოდენადმე მე მიმიძღვის ბრალი პრუდონის „სოფისტიკაციისთვის“: ეს არის სიტყვა, რომელსაც ინგლისელები საქონლის გაყალბებას უწოდებენ. ხშირი ხანგრძლივი კამათის დროს, რაც არა იშვიათად ღამღამობით გათენებამდე გვიგრძელდებოდა, მე მას გადავდე ჰეგელიანიზმი,—მისთვის ფრიად საზიანოდ, ვინაიდან, რადგან გერმანული ენა არ იცოდა, საგნის საფუძვლიანად შესწავლა მას არ შეეძლო. ჩემ მიერ დაწყებული, პარიზიდან ჩემი განდევნის შემდეგ, განაგრძო ბნმა კარლ გრიუნმა. ამ უკანასკნელს, როგორც გერმანული ფილოსოფიის მასწავლებელს, ჩემთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ არა გაეგებოდა რა ამ ფილოსოფიის.

ცოტათი ადრე მისი მეორე მნიშვნელოვანი ნაწარმოების: „Philosophie de la Misère“ etc.-ს გამოსვლამდე, თვითონ პრუდონმა მაცნობა წინასწარ ამ თხზულების შესახებ გრძელი წერილით, რომელშიც სხვათა შორის მწერდა: „J'attends votre fèrule kritique“ [„ველი თქვენს სასტიკ კრიტიკასო“]. მალე მას კიდეც დაეცა თავს ეს კრიტიკა (შემდეგი ჩემი თხზულების სახით: Misère de la Philosophie“ etc. [„ფილოსოფიის სიღატაკე“ და სხვ.], Paris 1847) და თან — იმგვარი, რომ სამუდამოდ ბოლო მოუღო ჩვენს მეგობრობას.

ნათქვამიდან თქვენ ხედავთ, რომ პრუდონი პირველად „Philosophie de la Misère ou Système des contradictions èconomiques“-ში იძლევა არსებითად პასუხს კითხვაზე: „Qu'est-ce que la propriété?“ [„რა არის საკუთრება?“]. ნამდვილად მხოლოდ ამ პირველი თხზულების გამოცემის შემდეგ დაიწყო პრუდონმა ეკონომიური საკითხების შესწავლა; მან აღმოაჩინა, რომ მის მიერ წამოყენებულ საკითხზე პასუხი უნდა გაეცეს არა ბრალდებით, არამედ — თანამედროვე „პოლიტიკური

ეკონომიის“ ანალიზის გზით. ამავე დროს იგი შეეცადა ეკონომიურ კატეგორიათა სისტემის გადმოცემას დიალექტიკურად. კანტის აუხსნელადი ანტინომიების ადგილი აქ უნდა დაეჭირა ჰეგელის „წინააღმდეგობას“, როგორც საშუალებას განვითარებისა.

ამ სქელი, ორტომიანი ნაწარმოების კრიტიკისათვის მე ჩემს საპასუხო თხზულებაზე უნდა მიგითითოთ. იქ მე მკითხველს დავანახვე, სხვათა შორის, თუ რაოდენ ნაკლებად ჩასწვდა პრუდონი მეცნიერული დიალექტიკის საიდუმლოებას, რაოდენ, მეორეს მხრივ, იგი იზიარებს სპეკულიატიური ფილოსოფიის ილუზიებს, როდესაც მას ეკონომიური კატეგორიები, ნაცვლად იმისა, რომ დასახოს ისტორიულ, მატერიალური წარმოების განვითარების განსაზღვრული საფეხურის შესაფერ საწარმოო ურთიერთობათა[1] თეორიულ გამოხატულებად, წარმოდგენილი აქვს ყოველ რეალობამდე წინაარსებულ

[1] თუ რა არის საწარმოო ურთიერთობა, ამას მარქსი ასე განმარტავს „Lohnarbeit und Kapital-“ში (გვ. 21):

„წარმოებაში ადამიანები ზემოქმედებას ახდენენ არა მარტო ბუნებაზე, არამედ—ერთმანეთზედაც. ისინი აწარმოებენ მხოლოდ იმის მეოხებით, რომ განსაზღვრული წესით ერთად მოქმედებენ და თავიანთ მოქმედებას ერთი მეორეს უცვლიან. რათა შესძლონ წარმოება, ისინი დგებიან ერთმანეთთან განსაზღვრულ კავშირსა და ურთიერთობაში, და მხოლოდ ამ საზოგადოებრივი კავშირისა და ურთიერთობის ფარგალში აქვს ადგილი მათს ზემოქმედებას ბუნებაზე, აქვს ადგილი წარმოებას.

„ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებშიაც მწარმოებელნი ერთმანეთს უპირისპირდებიან, ის პირობები, რომლებშიაც ისინი თავიანთ მოქმედებას ერთმანეთს უცვლიან, რასაკვირველია, იცვლებიან საწარმოო საშუალებათა ხასიათის მიხედვით. ახალი საომარი იარაღის, თოფის, გამოგონებასთან ერთად აუცილებლობის გზით შეიცვალა ჯარის მთელი შინაგანი ორგანიზაცია, შეიცვალა ურთიერთობა, რომლის შიგნით ჯარში შემავალ ადამიანთ ჯარის შედგენა და ჯა-

მარადიულ იდეებად, და როგორ უბრუნდება იგი ამ მოხვეული გზით კვლავ ბურჟუაზიული ეკონომიის თვალსაზრისს[1].

შემდეგ, იქვე მე დავანახვე მკითხველს, თუ რაოდენ არასაკმარისი და ნაწილობრივაც მოწაფეური იყო მისი ცოდნა „პოლიტიკური ეკონომიისა", რომლის კრიტიკა მან წამოიწყო, თუ როგორ ეძიებს იგი უტოპისტებსავით ეგრეთწოდებულ „მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ს", საიდანაც, აპრიორული მოსაზრებების საშუალებით, გამოყვანილი უნდა იქნეს ფორმულა „სოციალური საკითხის გადასაჭრელად",

რისებურად მოქმედება შეეძლოთ, შეიცვალა აგრეთვე სხვადასხვა ჯარების დამოკიდებულება ერთმანეთთან.

„მაშასადამე, საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებშიაც ადამიანები წარმოებას ეწევიან, ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ს ა წ ა რ მ ო ო ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი ი ც ვ ლ ე ბ ი ა ნ, გ ა რ დ ა ი ქ მ ნ ე ბ ი ა ნ ნ ი ვ თ ი ე რ ს ა წ ა რ მ ო ო ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა, ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ თ ა ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ს ა დ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ. ს ა წ ა რ მ ო ო ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი ე რ თ ო ბ ლ ი ვ ა დ შ ე ა დ გ ე ნ ე ნ ი მ ა ს, რ ა ს ა ც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ურ თ ი ე რ თ ო ბ ა თ, ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს უ წ ო დ ე ბ ე ნ, მ ხ ო ლ ო დ — გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ, ი ს ტ ო რ ი უ ლ ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე მ ყ ო ფ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს, თავისებური, განსხვავებული ხასიათის მქონე საზოგადოებას. ასეთ საწარმოო ურთიერთობათა ერთობლივობას წარმოადგენს ა ნ ტ ი უ რ ი საზოგადოება, ფ ე ო დ ა ლ უ რ ი საზოგადოება, ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი საზოგადოება, და თითოეული ეს საზოგადოება წარმოადგენს ამასთანავე განვითარების განსაკუთრებულ საფეხურს კაცობრიობის ისტორიაში". — გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი.

[1] „როდესაც ეკონომისტები ამბობენ, თანამედროვე ურთიერთობანი,—ბურჟუაზიული წარმოების ურთიერთობანი,—ბუნებრივიაო, ისინი ამით გვამცნობენ, რომ ესაა ურთიერთობანი, რომლებშიაც სიმდიდრე იქმნება და საწარმოო ძალები ვითარდება ბუნების კანონების თანახმად. მაშ თვით ეს ურთიერთობანი დროის გავლენისაგან დამოუკიდებელ ბ უ ნ ე ბ რ ი ვ კ ა ნ ო ნ ე ბ ს წარმოადგენენ. ეს მ ა რ ა დ ი უ ლ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი ა, რომელნიც მუდამ განაგებენ საზოგადოებას. ამგვარად, წინად კი იყო ისტორია, მაგრამ დღეს იგი აღარ არის" („Misère de la philosophie", p. 167—168).

ნაცვლად იმისა, რომ მეცნიერება მიიღოს ისტორიული მოძრაობის შეცნობიდან, — მოძრაობის, რომელიც თვით ჰქმნის განთავისუფლების მატერიალურ პირობებს. იქ ნაჩვენებია სახელდობრ, [illegible] ბუნდოვანად და ყალბად აქვს პრუდონს წარმოდგენილი მთელი პოლიტიკური ეკონომიის საფუძველი, — საცვლელი ღირებულება: გარემოება, რომელსაც შედეგად მოსდევს ის, რომ პრუდონი რიკარდოს ღირებულების თეორიის უტოპისტურ ინტერპრეტაციაში ხედავს ახალი მეცნიერების საფუძველს. ჩემი შეხედულება მისი საერთო თვალსაზრისის შესახებ გამოთქმული მაქვს შემდეგი დასკვნის სახით:

„ყოველ ეკონომიურ ურთიერთობას კარგი და ცუდი მხარე აქვს: ეს არის ერთადერთი პუნქტი, სადაც ბ-ნი პრუდონი თავის თავს არ ღალატობს. კარგი მხარე, მისი აზრით, აღნიშნულია ეკონომისტების მიერ; ცუდი მხარე ნამხილებია სოციალისტების მიერ. ეკონომისტებისაგან იგი სესხულობს მარადიულ ურთიერთობათა აუცილებლობას, ხოლო სოციალისტებისაგან სესხულობს ამ ილუზიას: რომ სიღატაკეში მარტოოდენ სიღატაკეა დასანახი (ნაცვლად იმისა, რომ მასში დანახულ იქნეს რევოლიუციონური, დამრღვევი მხარე, რომელიც გარდაქმნის საზოგადოებას). პირველებთანაც და მეორეებთანაც იგი თანხმობაშია, როდესაც ცდილობს მეცნიერების ავტორიტეტს დაეყრდნოს. მისთვის მეცნიერება პაწაწა ზომის მეცნიერულ ფორმულას წარმოადგენს; იგი ფორმულების მაძიებელი კაცია. და ასე, ბ-ნი პრუდონი სიამოვნებით იმედოვნებს, რომ მოგვცა კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიისა და კომუნიზმისაც; ნამდვილად კი იგი ორივეზე დაბლა დგას. ეკონომისტებზე დაბლა დგას,ვინაიდან ჰგონია, რომ მას, როგორც ფილოსოფოსს, რომელსაც ხელთ უპყრია მისნური ფორმულა, არ ესაჭიროება

წმინდა ეკონომიური დეტალების განხილვა; სოციალისტებზე დაბლა დგას, ვინაიდან მას არ აქვს არც საკმაო გამბედაობა, არც საკმაო გამჭრიახობა იმისათვის, რომ აიწიოს, თუნდაც მარტოოდენ სპეკულატიურად, ბურჟუას ჰორიზონტზე მაღლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...მას სურს ინავარდოს, როგორც მეცნიერმა ადამიანმა, ბურჟუებსა და პროლეტარებზე მაღლა; იგი წვრილი ბურჟუაა მხოლოდ, რომელიც კაპიტალსა და შრომას შორის, პოლიტიკურ ეკონომიასა და კომუნიზმს შორის მუდამ მერყეობს" (ფრანგ. გამოც., გვ. 174—175).

რაგინდ მძაფრად გვეჩვენებოდეს ეს მსჯავრი, მე მზად ვარ ახლაც ხელი მოვაწერო მის ყოველ სიტყვას. მაგრამ ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროს, როდესაც მე გამოვაცხადე და თეორიულად დავამტკიცე კიდეც, რომ პ რ უ დ ო ნ ი ს წიგნი მარტოოდენ წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის კოდექსს წარმოადგენდა, ეკონომისტებმა და სოციალისტებმა ერთად იგივე პ რ უ დ ო ნ ი შეჩვენებას მისცეს, როგორც არხი-რევოლიუციონერი. ამიტომაც შემდეგში ჩემი ხმა არასოდეს არ შემიერთებია განგაშისთვის შესახებ მისი „ღალატისა" რევოლიუციისადმი. მას ბრალი არ მიუძღოდა იმაში, თუ მან, თავდაპირველად სხვებისა და თავის მიერაც ყალბად გაგებულმა, ვერ გაამართლა მასზე დამყარებული უსაფუძვლო იმედები.

„Philosophie de la Misère"-ში, წინააღმდეგ „Qu'est-ce que la propriété?"-სა, ადამიანს განსაკუთრებით ეცემა თვალში პ რ უ დ ო ნ ი ს გადმოცემის მანერის ყველა ნაკლი. წიგნის სტილი ხშირად იმგვარია, რომელსაც ფრანგები ampoulé-ს (გაბერილს) ეძახიან. მაღალფარდოვანი სპეკულიატიური აბდაუბდა, რომელიც ვითომ გერმანულ ფილოსოფიად უნდა იქნეს მიჩნეული, უხვად მოპნეულია ყველგან, სადაც ავტორს გალური გონების სიმახვილე

შემოჰკლებია. სმენას გვიჭრის მისი მყვირალა, თავმაქებარი, ტრაბახა კილო და განსაკუთრებით მუდმივი ბაქიობა თავისი „მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი თ“. ნამდვილი და ბუნებრივ სითბოს ნაცვლად, რომლითაც მოცულია მისი პირველი წიგნი, ჩვენ აქ ბევრ ადგილას ვხვდებით ხელოვნურად შემთბარ დეკლამაციებს. ამას მიუმატეთ უსიამოვნო ყალბი სწავლულობა თვითგანვითარების გზით განსწავლულისა, რომელსაც ბუნებრივი სიამაყე ორიგინალური აზროვნებისათვის უკვე დაუკარგავს და რომელიც,—ახლა მეცნიერების ვიგინდარა,—ცდილობს შეიმოსოს იმად, რაც არ არის, და იქოს თავი იმით, რაც არა აქვს. შემდეგ: წვრილბურჟუაზიული სულიერი განწყობილება, რომელიც მას აიძულებს იერიში მიიტანოს უზრდელად და უხეშად — და თან ეს მისი კრიტიკა არც მახვილია, არც ღრმა და სამართლიანი—ისეთ ადამიანზე, როგორიც კ ა ბ ე ა,—ყოველთვის პატივსაცემი პროლეტარიატისადმი თავისი პრაქტიკული განწყობილების გამო, მაშინ როდესაც, მაგალითად, დ ი უ ნ უ ა ი ე ს (Dunoyer) (მართალი კია: ეს კაცი „სახელმწიფოს მრჩეველია“) მოწიწებით ეპყრობა, თუმცა ამ დ ი უ ნ უ ა ი ე ს მთელი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ თავის სამ სქელ აუტანელად მოსაწყენ ტომში იგი კომიკური სერიოზულობით ქადაგებს იმ რიგორიზმს, რომელსაც ასე ახასიათებს ჰ ე ლ ვ ე ც ი უ ს ი (Helvetius): „On veut que les malheureux soient parfaits“ („უბედურთაგან მოითხოვენ, რომ იყვნენ უნაკლულონი“).

თებერვლის რევოლიუცია სწორედ არამკითხე სტუმარი იყო პ რ უ დ ო ნ ი ს ა თ ვ ი ს, ვინაიდან ამან სულ რამდენიმე კვირით ადრე უცილობლად დაამტკიცა, „რევოლიუციების ხანა“ სამუდამოდ წასულიაო. მისი ყოფაქცევა ეროვნულ კრებაში, თუმცა იგი არ მოწმობს არსებული მდგომარეობის გაგებას მის მიერ, ღირსია ყოველგვარი ქებისა. ივნისის აჯანყების შემდეგ ასეთი მისი ყოფაქცევა

დიდ გამბედაობას ნიშნავდა. ამას ის სასარგებლო შედეგიც ჰქონდა, რომ ბ-მა *ტიერმა* (Thiers) *პრუდონის* წინადადებათა წინააღმდეგ წარმოთქმულ თავის საპასუხო სიტყვაში, რომელიც შემდგომ ცალკე წიგნადაც გამოვიდა, მთელი ევროპის წინაშე გამოააშკარავა, [illegible] საბავშვო კატეხიზმოს ეყრდნობოდა საფრანგეთის ბურჟუაზიის ეს გონებრივი ბურჯი. *ტიერთან* დაპირისპირებით მართლაც წარღვნის წინადროინდელ გიგანტად გამოჩნდა *პრუდონი.*

*პრუდონის* მიერ „მუქთი კრედიტის" („Crèdit qratuit") აღმოჩენა და ამ კრედიტზე დაფუძნებული „სახალხო ბანკი" („Banque du peuple") იყო მისი უკანასკნელი ეკონომიური „საქმე". ჩემს წიგნში: „Zur Kritik der Politischen Oekonomie, Berlin 1859", მკითხველი იპოვის იმის დამტკიცებას, რომ *პრუდონის* თეორიული იდეები დამყარებული იყო მის სრულ უცოდნელობაზე ბურჟუაზიული „პოლიტიკური ეკონომიის" ძირითადი ელემენტებისა, სახელდობრ დამოკიდებულებისა საქონელსა და ფულს შორის, ხოლო პრაქტიკული ზედნაშენი წარმოადგენდა უკვე მასზე ადრე და გაცილებით უკეთ შემუშავებული გეგმების რეპროდუქციას. ეჭვს გარეშეა და თავისთავად ცხადი, რომ კრედიტის განვითარებას, რომელმაც ინგლისში მე-XVIII საუკუნის და შემდეგ მე-XIX საუკუნის დასაწყისში ხელი შეუწყო ქონების გადასვლას ერთი კლასიდან მეორე კლასის ხელში, შეუძლია აგრეთვე, განსაზღვრულ პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში, ხელი შეუწყოს მუშათა კლასის განთავისუფლების დაჩქარებას. მაგრამ *სარგებლის მძლეველი კაპიტალის აღიარება კაპიტალის მთავარ ფორმად,* ხოლო კრედიტის განსაკუთრებული გამოყენების, სარგებლის ვითომ მოსპობის, მიჩნევა საზოგადოებრივი გარდაქმნის საფუძვლად,—ეს ისეთი ფანტაზიაა, რომელიც მხოლოდ *წვრილ*

ბურჟუას შეიძლება თავში მოუვიდეს. ამიტომ ჩვენ ვხედავთ კიდეც, რომ ამ ფანტაზიით გართული იყვნენ უკვე მე-XVII საუკუნის ინგლისის „წვრილი ბურჟუაზიის ეკონომიურ მისწრაფებათა“ წარმომადგენელნი. პრუდონის პოლემიკაში ბასტიასთან (1850 წ.) სარგებლის მძლეველი კაპიტალის გამო, მის „Philosophie de la Misère-ზე ბევრად მდარეა. ის ამასაც კი ახერხებს, რომ ბასტიას თავი დაამარცხებინოს, და აყენებს სასაცილო ღრიანცელს, როდესაც მოწინააღმდეგე მაგრად ურტყამს.

რამდენიმე წლის წინად პრუდონმა დასწერა კონკურსისთვის, რომელიც, თუ არ ვცდები, ლოზანის მთავრობის მიერ იყო გამოცხადებული, თხზულება „ბარკების“ შესახებ. აქ გამქრალია ყოველგვარი ნასახი გენიალობისა. აქ პრუდონი წმინდა წყლის წვრილ ბურჟუად (petit bourgeois tout pur) გვევლინება.

რაც შეეხება პრუდონის პოლიტიკურ და ფილოსოფიურ ნაწერებს, — ყველას ისეთივე ორმაგი და წინააღმდეგობით აღსავსე ხასიათი აქვს, როგორც მის ეკონომიურ ნაშრომებს. ამასთან იმ ნაწერებს ადგილობრივ ფრანგული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მისი იერიშები სარწმუნოებაზე, ეკლესიაზე და სხვ. ადგილობრივად დიდ დამსახურებას წარმოადგენდა განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც საფრანგეთის სოციალისტებს მე-XVIII საუკუნის ბურჟუაზიული ვოლტერიანიზმისა და მე-XIX საუკუნის გერმანული ათეიზმის წინაშე თავი მოჰქონდათ თავიანთი სარწმუნოებიანობით. პეტრე დიდმა ბარბაროსობით დაამხო რუსეთის ბარბაროსობა, და პრუდონსაც სწორედ ლაზღანდარა ხალხის, მიუძღვის, რომ შეეცადა ფრანგული ფრაზეოლოგიის განადგურებას ფრაზისავე საშუალებით.

როგორც არა თუ ცუდი, არამედ როგორც სრულიად უგვანო ნაწარმოები, თუმცა მისი უგვანობა წვრილ-

ბურჟუაზიულ თვალსაზრისს სავსებით შეესაბამება, უნდა მოვიხსენიოთ პ რ უ დ ო ნ ი ს ნაწერი „სახელმწიფო გადატრიალების“ („coup d'ètat“) შესახებ, სადაც ავტორი ლ. ბ ო ნ ა პ ა რ ტ ს ეალერსება და ცდილობს მისაღები გახადოს იგი საფრანგეთის მუშებისათვის, ხოლო თვით, მისი უკანასკნელი ნაწერი პ ო ლ ო ნ ე თ ი ს წინააღმდეგ, სავსე კრეტინული ცინიზმით რუსეთის მეფის სასახელოდ.

პ რ უ დ ო ნ ი ხშირად რ უ ს ო ს თ ვ ი ს შეუდარებიათ. ამაზე უფრო ყალბი შედარება აღარ შეიძლება. იგი უფრო ჰგავს ნ ი კ. ლ ი ნ გ ე ს (Nicolas Linguet), რომლის წიგნი „Théorie des Lois Civiles“ — შევნიშნავთ გაკვრით — ფრიად გენიალური ნაწარმოებია.

პ რ უ დ ო ნ ს ბუნებით მიდრეკილება ჰქონდა დიალექტიკისადმი, მაგრამ რადგან მან ნამდვილი მეცნიერული დიალექტიკა ვერასოდეს ვერ გაიგო, იგი სოფისტიკას ვერ გასცილდა. ნამდვილად ეს მის წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისთან იყო დაკავშირებული. წვრილი ბურჟუა ისტორიკოს რ ა უ მ ე რ ს ა ვ ი თ (Raumer) ამბობს ყოველთვის: „ერთის მხრივო“ და „მეორეს მხრივო“. ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო მიდენილობით არის მოცული მისი მატერიალური ინტერესები და, ა მ ი ტ ო მ, მისი პოლიტიკური, რელიგიური, სამეცნიერო და სახელოვნო შეხედულებანიც. ასეა იგი ზნეობაშიც, ასეა everything-ში [ყველაფერში]. იგი ცოცხალი წინააღმდეგობაა. თუ იგი, როგორც პ რ უ დ ო ნ ი, გონებამახვილი კაცია, მალე ისწავლის თავის საკუთარ წინააღმდეგობებთან თამაშს და გარემოების მიხედვით მათ უცნაური, მყვირალა, ხან სკანდალური, ხან ბრწყინვალე პარადოქსების სახეს მისცემს. მეცნიერული თაღლითობა და პოლიტიკური შეგუება განუშორებელია ამ თვალსაზრისისაგან. რჩება მხოლოდ ერთადერთი მამოძრავებელი მოტივი, — სუბიექტის მ ე დ ი დ უ რ ო ბ ა, და მისთვის, როგორც ყველა მედიდურისთვის, მნიშვნელოვანია

მხოლოდ წუთიერი გამარჯვება, ერთ დღეს სახელის მოხვეჭა. ამნაირად, ადამიანი აუცილებლად ჰკარგავს უბრალო მორალურ ტაქტს, რომელიც რ უ ს ო ს, მაგალითად, იფარავდა არსებული ხელისუფლების მიმართ ყოველგვარი კომპრომისისაგან, სრულიად გარეგნულადაც კი.

საფრანგეთის ისტორიის ეს ახლობელი დრო შთამომავლობამ იქნებ ასე დაახასიათოს: ლ უ ი ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი იყო მისი ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი და პ რ უ დ ო ნ ი — რ უ ს ო - ვ ო ლ ტ ე რ ი ო.

თქვენ თვითონ უნდა აგოთ პასუხი იმისათვის, რომ ასე მალე ადამიანის სიკვდილს შემდეგ მისი მსაჯულის როლი დამაკისრეთ.

თქვენი ერთგული

კ ა რ ლ მ ა რ ქ ს ი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფილოსოფიის სიღატაკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წინასიტყვაობა

**პრუდონის** საუბედუროდ, ევროპაში უცნაურად ყალბი აზრი აქვთ მის შესახებ. საფრანგეთში მას აქვს უფლება იყოს ცუდი ეკონომისტი, რადგანაც იქ იგი კარგ გერმანელ ფილოსოფოსად ითვლება; გერმანიაში, პირიქით, მას აქვს უფლება იყოს ცუდი ფილოსოფოსი, რადგანაც მას იქ საფრანგეთის ძლიერ ეკონომისტად სთვლიან. ჩვენ, როგორც გერმანელს და ეკონომისტს ერთსა და იმავე დროს, გვინდა პროტესტი განვაცხადოთ ამ ორმაგი შეცდომის წინააღმდეგ.

მკითხველი მიხვდება, რომ ამ უმადურ შრომაში ჩვენ ხშირად დაგვჭირდა ბ-ნი **პრუდონის** კრიტიკის მიტოვება, რათა გაგვეწია გერმანული ფილოსოფიის კრიტიკა და იმავე დროს გვეწარმოებია კრიტიკული შენიშვნები პოლიტიკური ეკონომიის შესახებ.

კარლ მარქსი

ბრიუსელი, 1847 წ. ივნისის 15.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ-ნი პრუდონის ნაწარმოები არაა უბრალო ტრაქტატი პოლიტიკური ეკონომიისა, არაა ჩვეულებრივი წიგნი, — იგი მთელი ბიბლიაა; იქაა — „საიდუმლოებანი“, „ღვთის წიაღიდან ამოგლეჯილი იდუმალებანი“, „გამოცხადებანი“, — ყველაფერი უკლებლივ. მაგრამ რადგან ამ ჩვენს დროში წინასწარმეტყველებს უფრო სასტიკ კრიტიკას უწევენ, ვიდრე ჩვეულებრივ ავტორებს, ამიტომ მკითხველი უნდა ალიჭურვოს მოთმინებით და ჩვენთან ერთად განვლოს მშრალი და ბუნდოვანი ერუდიცია წიგნისა „დაბადებისა“, რათა შემდგომ ბ-ნ პრუდონთან ერთად ალვიდეს სუპრა-სოციალიზმის ეთეროვანსა და ნაყოფიერს სფეროსა შინა (იხ. პრუდონის „Philosophie de la Misère“, Prologue, p. III ligne. 20).

## თავი პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერული აღმოჩენა

## § 1. სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების წინააღმდეგობა

„ყველა პროდუქტის — ბუნების მიერაა იგი შექმნილი თუ მრეწველობის მიერ — იმ თვისებას, რომ იგი ადამიანის არსებობის შენარჩუნებას ემსახურება, აქვს განსაკუთრებული სახელწოდება: სახმარი ღირებულება; პროდუქტთა იმ თვისებას კი, რომლის მეოხებით ისინი ერთიმეორეზე გაიცვლებიან, საცვლელი ღირებულება ეწოდება... რაგვარად იქცევა სახმარი ღირებულება საცვლელ ღირებულებად?.. (საცვლელი) ღირებულების იდეის წარმოშობა საკმაო გულდასმით არ აღუნიშნავთ ეკონომისტებს, ამიტომ საჭიროა ჩვენ მასზე შევჩერდეთ. რადგან ბევრი იმ საგანთაგან, რომელთაც მე ვსაჭიროებ, შეზღუდულის რაოდენობით მოიპოება ბუნებაში ანდა სრულიად არ მოიპოება, — მე იძულებული ვარ ხელი შევუწყო იმის წარმოებას, რაც მაკლია, და ვინაიდან მე არ შემიძლია ხელი მოვკიდო ასე მრავალ საგანთა წარმოებას, მე წინადადებას მივცემ სხვა ადამიანებს, ჩემს თანამშრომლებს სხვადასხვა საქმიანობის დარგებში, ერთი ნაწილი თავიანთი პროდუქტებისა დამითმონ ჩემს პროდუქტში გაცვლის გზით“ (პრუდონი, ტ. I, თავი II).

ბ-ნი პრუდონი მიზნად ისახავს, პირველ ყოვლისა, გაგვიმარტოს ღირებულების ორმაგი ბუნება, „სხვაობა

ღირებულებაში“, ის მოძრაობა, რომელიც სახმარ ღირებულებას საცვლელ ღირებულებად აქცევს, ბ-ნ პრუდონთან ერთად ჩვენც უნდა შევჩერდეთ ამ გარდაქმნის აქტზე. აი, როგორ ხდება, ჩვენი ავტორის [illegible] ფაქტი.

ფრიად დიდი რაოდენობა ნაწარმ[illegible] მოიპოვება ბუნებაში, არამედ იწარმოება მრეწველობის გზით. როდესაც მოთხოვნილება ბუნების მიერ წარმოებულ საგანთა რაოდენობას გადააჭარბებს, ადამიანი იძულებული ხდება სამრეწველო წარმოებას მიმართოს. რა არის ეს მრეწველობა, ბ-ნი პრუდონის აზრით? როგორია მისი წარმოშობა? მარტო ერთ ადამიანს, რომელსაც ბევრი საგანი ესაჭიროება, „არ შეუძლია ხელი მოჰკიდოს ასე მრავალ საგანთა წარმოებას“. დასაკმაყოფილებელ მოთხოვნილებათა ესოდენი სიმრავლე გულისხმობს ესოდენ მრავალ საგანთა წარმოებას,—უწარმოებლად პროდუქტი ვერ მოიპოვება. მაგრამ საწარმოებელ საგანთა სიმრავლისას აღარ იგულისხმება მათ მწარმოებლად მარტო ერთი ადამიანის ხელი. ხოლო როდესაც თქვენ იგულისხმებთ ერთზე მეტ ხელს წარმოების განსახორციელებლად, ამით თქვენ უკვე გულისხმობთ მთელს, შრომის დანაწილებაზე დამყარებულ, წარმოებას. ამგვარად, მოთხოვნილება, რომელსაც ბ-ნი პრუდონი გულისხმობს, თვით გულისხმობს მთელ შრომის დანაწილებას. როდესაც ვიგულისხმებთ შრომის დანაწილებას, ამით ჩვენ ხელთ გვეძლევა გაცვლა-გამოცვლა და, მაშასადამე, საცვლელი ღირებულებაც. ასევე წარმატებით შეგვეძლო იმთავითვე გვეგულისხმნა საცვლელი ღირებულების არსებობა.

მაგრამ ბ-ნი პრუდონი მოხვეულ გზას რჩეობს. მივყვეთ მას ამ მიხვევ-მოხვეულობაში, რომელიც ყოველთვის კვლავ მის გამოსავალ წერტილთან დაგვაბრუნებს.

რათა გამოვიდე იმ მდგომარეობიდან, როდესაც თითოეული განმარტებულად აწარმოებს, და მივაღწიო

გაცვლა-გამოცვლას, „მე მივმართავ“, — ამბობს ბ-ნი პ რ უ-დ ო ნ ი, — „ჩემს თანამშრომლებს სხვადასხვა საქმიანობის დარგებში“, მაშასადამე, მე მყოლია სხვადასხვა საქმიანობის მაწარმოებელი თანამშრომლები მაშინაც, როდესაც მე და ყველა ისინი, იმავე ბ-ნი პრუდონის ნაგულისხმევის თანახმად, ჯერ კიდევ არ გამოვსულვართ რობინზონის განმარტოებული და ნაკლებად სოციალური მდგომარეობიდან. თანამშრომლები და სხვადასხვა საქმიანობა, შრომის დანაწილება და გაცვლა-გამოცვლა, რომელსაც ეს უკანასკნელი გულისხმობს, — ყველაფერი ეს ზეციდან ჩამოვარდნილა.

დავასკვნათ: მე მაქვს მოთხოვნილებანი, რომელნიც დაფუძნებული არიან შრომის დანაწილებასა და გაცვლა-გამოცვლაზე. როდესაც ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი გულისხმობს ამ მოთხოვნილებებს, ამით იგი უკვე გულისხმობს გაცვლა-გამოცვლასა და საცვლელ ღირებულებას, რომლის „წარმოშობა“ სწორედ მას უნდა „აღენიშნოს მეტის გულდასმით, ვიდრე ეს მოუხდენიათ სხვა ეკონომისტებს“.

ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს ასევე კარგად შეეძლო გადაეყირავებია მოვლენათა წყობა დასკვნების სისწორის შეურყვნელად. საცვლელი ღირებულების ასახსნელად საჭიროა გაცვლა-გამოცვლა. გაცვლა-გამოცვლის ასახსნელად საჭიროა შრომის დანაწილება. შრომის დანაწილების ასახსნელად საჭიროა მოთხოვნილებები, რომელნიც საჭიროდ ხდიან შრომის დანაწილებას. ამ მოთხოვნილებათა ასახსნელად ჩვენ უნდა „ვ ი გ უ ლ ი ს ხ მ ო თ“ თვით ეს მოთხოვნილებანი, რაც არ ნიშნავს მათს უარყოფას, წინააღმდეგ ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს პროლოგის პირველი აქსიომისა: „ღმერთის გულისხმობა ნიშნავს მის უარყოფასო“ (Prologue, გვ. 1).

ახლა ვიკითხოთ: როგორ ხსნის ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, რომელიც შრომის დანაწილებას ცნობილად გულისხმობს,

როგორ ხსნის საცვლელ ღირებულებას, რომელიც მუდამ უცნობი რჩება მისთვის?

„ადამიანი წინადადებას აძლევს სხვა ადამიანებს, თავის თანამშრომლებს სხვადასხვა საქმიანობის დარგებში“ დაამყარონ გაცვლა-გამოცვლა და გარჩევა სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის. თანხმდებიან რა ამ წინადადებას, რომ დაამყარონ ეს გარჩევა, თანამშრომლები ბ-ნ პრუდონს „საზრუნავს“ არას უტოვებენ გარდა იმისა, რომ მან მოიხსენიოს, „აღნიშნოს“ თავის პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატში „ღირებულების წარმოშობის იდეა“. მაგრამ ჩვენ მან, ჩვენ, უნდა აგვიხსნას ამ წინადადების „წარმოშობა“, უნდა გვითხრას, ბოლოსდაბოლოს, თუ როგორ მოხდა, რომ ამ განმარტოებულ ადამიანს, ამ რობინზონს, უცებ აზრად მოუვიდა ცნობილი სახის წინადადება მიეცა „თავისი თანამშრომლებისათვის“ და როგორ მოხდა, რომ ამ თანამშრომლებმა სრულიად უპროტესტოდ მიიღეს ეს წინადადება.

ბ-ნი პრუდონი ამ გენეალოგიურ დეტალებს არ ეხება. იგი უბრალოდ ისტორიულ ბეჭედს ასვამს გაცვლა-გამოცვლის ფაქტს, წარმოგვიდგენს რა მას წინადადების სახით, რომელიც გაუკეთებია მესამე პირს გაცვლა-გამოცვლის დასამყარებლად.

აი, ეს არის „ისტორიული და აღწერილობითი მეთოდის“ ნიმუში ბ-ნი პრუდონისა, რომელსაც თვითონ დიადი ზიზღი აქვს ადამ სმიტთა და რიკარდოთა „ისტორიული და აღწერილობითი“ მეთოდისათვის.

გაცვლა-გამოცვლას თავისი განსაკუთრებული ისტორია აქვს. მას განვითარების სხვადასხვა ფაზები აქვს გავლილი.

იყო დრო, როგორც, მაგალითად, საშუალო საუკუნეები, როდესაც სცვლიდენ მხოლოდ იმას, რაც ზედმეტი, გარდამეტი იყო წარმოებისა მოხმარებაზე.

იყო კიდევ დრო, როდესაც არა მარტო ზედმეტი, არამედ ყველა პროდუქტი, მრეწველობის მთელი ნაწარმები გადავიდა ვაჭრობის ფარგალში, როდესაც მთელი წარმოება სავსებით გაცვლა-გამოცვლაზე დამოკიდებული შეიქნა. როგორ უნდა აიხსნას გაცვლა-გამოცვლის ეს მეორე ფაზა, — საცვლელი ღირებულება მის მეორე ხარისხში აყვანილი?

ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს მზად აქვს ხელად პასუხი: იგულისხმეთ, რომ ადამიანმა „წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა მ ი ს ც ა სხვა ადამიანებს, თავის თანამშრომლებს სხვადასხვა საქმიანობის დარგებში“ აეყვანათ საცვლელი ღირებულება მის მეორე ხარისხშიო.

დაბოლოს დადგა დრო, როდესაც ყველაფერი, რაც ადამიანთ შეუძლებლად მიაჩნდათ გასხვისებული ყოფილიყო, გაცვლა-გამოცვლის, ვაჭრობის საგნად გადაიქცა და შესაძლებელი გახდა გასხვისებულიყო. ეს ის დროა, როდესაც ისეთი ნივთებიც კი, რომლებსაც მანამდე ადამიანები ერთმანეთს აცნობებდენ კი, მაგრამ არასოდეს არ სცვლიდენ, გასცემდენ კი, მაგრამ არასოდეს არ ჰყიდდენ, მოიპოვებდენ კი, მაგრამ არასოდეს არ ყიდულობდენ: სათნოება, სიყვარული, რწმენა, ცოდნა, სინდისი და სხვ.— ერთის სიტყვით, ყველაფერი ვაჭრობის საგანი შეიქნა. ეს არის დრო საერთო გათახსირების, საყოველთაო გასასყიდობისა, ანუ, თუ პოლიტიკური ეკონომიის ენით ვიტყვით,—დრო, როდესაც ყოველი ნივთი, ზნეობრივია იგი თუ ფიზიკური, ბაზარზე გაიტანება როგორც სავაჭრო ღირებულება, რათა იქ შეფასებული იქნეს მისი ჭეშმარიტი ღირებულების მიხედვით.

როგორ უნდა აიხსნას გაცვლა-გამოცვლის ეს ახალი და უკანასკნელი ფაზა,— საცვლელი ღირებულება, აყვანილი მის მესამე ხარისხში?

ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს აქაც მზად აქვს პასუხი: იგულისხმეთ, რომ ერთმა პიროვნებამ „წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა მ ი ს ც ა სხვა

პიროვნებათ, თავის თანამშრომელთ სხვადასხვა საქმიანობის დარგებში“, სავაჭრო ღირებულებად აქციონ სათნოება, სიყვარული და სხვ., მის მესამე და უკანასკნელ ხარისხში აიყვანონ საცვლელი ღირებულებად.

მკითხველი ხედავს, რომ ბ-ნი პრუდონის „ისტორიული და აღწერილობითი მეთოდი“ ყველაფრისთვის გამოსადეგია, ყველაფერზე პასუხს იძლევა, ყველაფრის ამხსნელია. როდესაც საკითხი შეეხება განსაკუთრებით „ეკონომიური იდეის წარმოშობის“ ისტორიულად ახსნას, იგი გულისხმობს ადამიანს, რომელიც წინადადებას აძლევს სხვა ადამიანებს, თავის თანამშრომლებს სხვადასხვა საქმიანობის დარგებში, შეასრულონ წარმოშობის ეს აქტი, და—საკითხი სავსებით ამოწურულია.

ამიერიდან ჩვენ ვლებულობთ საცვლელი ღირებულების „წარმოშობას“ შესრულებულ აქტად; ჩვენ მარტოოდენ გვრჩება ახლა გასარკვევად საცვლელი ღირებულების დამოკიდებულება სახმარ ღირებულებასთან. მოვუსმინოთ ბ-ნ პრუდონს.

„ეკონომისტებმა ძალიან კარგად გამოააშკარავეს ღირებულების ორმაგი ხასიათი; მაგრამ მათ ასეთივე სიცხადით არ გამოუმჟღავნებიათ მისი წინააღმდეგობიანი ბუნება, და ჩვენი კრიტიკაც აქ იწყება... არ კმარა აღნიშვნა ამ საკვირველი კონტრასტისა სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის, რომელშიაც ეკონომისტები ჩვეულებრივ სრულიად მარტივ რამეს ხედავენ: საჭიროა იმის დანახვება, რომ ეს ვითომდა სიმარტივე მალავს თავისში ღრმა საიდუმლოებას, რომელიც ჩვენ მოვალე ვართ გამოვააშკარავოთ... ტეხნიკური ენით თუ ვიტყვით, სახმარი ღირებულება და საცვლელი ღირებულება შებრუნებით შეეფარდება ერთი მეორეს“.

თუ ჩვენ ბ-ნი პრუდონის აზრი სწორად გავიგეთ, მას სურს შემდეგი ოთხი პუნქტი დაამყაროს:

1. სახმარი ღირებულება და საცვლელი ღირებულება წარმოადგენს ერთი მეორის „საკვირველ კონტრასტს“, წინააღმდეგობას.

2. სახმარი ღირებულება და საცვლელი ღირებულება შებრუნებულ შეფარდებაშია, წინააღმდეგობაშია ერთი მეორისადმი.

3. ეკონომისტებმა ვერ შეამჩნიეს და ვერც შეიგნეს როგორც ეს კონტრასტი, ისე ეს წინააღმდეგობაც.

4. ბ-ნი პრუდონის კრიტიკა იწყება ბოლოდან.

ჩვენც ბოლოდან დავიწყებთ და, რათა ეკონომისტებს ბ-ნი პრუდონის ბრალდება მოვაცილოთ, ორს საკმაოდ ცნობილ ეკონომისტს ვალაპარაკებთ.

სისმონდი (Sismondi): „ვაჭრობამ ყველაფერი დაიყვანა წინააღმდეგობამდე სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის“ და სხვ. („Études“, ტ. II, გვ. 162, ბრიუსელში გამოცემ.).

ლოდერდალი (Lauderdale): „საზოგადოდ ეროვნული სიმდიდრე (სახმარი ღირებულება) კლებულობს პროპორციულად იმისა, როგორც ინდივიდუალური ქონებანი იზრდებიან საცვლელი ღირებულების გადიდებით; და რაზომითაც ეს ქონებანი მცირდებიან ამ ღირებულების შემცირებით, იმ ზომითვე პირველი მატულობს საზოგადოდ“ („Recherches sur la nature et l'origine de la richesse publique, traduit par Largentie de Lavaise. Paris 1808) [1].

წინააღმდეგობაზე სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის სისმონდიმ ააგო თა-

[1] დედანში სწერია: Largentil de Lavaraise,—ცხადია, ბეჭდვის შეცდომაა. კ. კაუტსკი.—გერმანულ თარგმანში წიგნის გამოსვლის დროდ კ. კაუტსკის შეცდომით აღნიშნული აქვს 1807 წელი. შესაძლებელია, მან ეს შემცდარი ცნობა აიღო Quénard-ისგან: La France littéraire, ტ. IV, 1830, გვ. 611.—შენიშ. რუს. გამოც.

თავისი მთავარი მოძღვრება, რომლის თანახმად შემოსავლის შემცირება პროპორციულია წარმოების ზრდისა.

ლ ო დ ე რ დ ა ლ მ ა თავისი სისტემა დაამყარა ორიოვეგვარი ღირებულების შებრუნებულ შეფარდებაზე, და მისი მოძღვრება იმდენად პოპულიარული გახდა იმ დროს, რომ ამ უკანასკნელს შეეძლო მასზე ლაპარაკი როგორც საყოველთაოდ ცნობილ საგანზე. „იმის გამო, რომ საცვლელი ღირებულების იდეას და სიმდიდრის (სახმარი ღირებულების) იდეას ერთი მეორეში ურევდენ, ზოგიერთები ფიქრობდენ, რომ არსებობისათვის აუცილებელ, სასარგებლო თუ სასიამოვნო საგანთა რაოდენობის შემცირების გზით შესაძლებელია სიმდიდრის გადიდება“ (R i c a r d o, „Principes d'économie politique, traduit par Constancio, annotés par J.-B. Say, Paris 1835, ტ. II, თავი ღირებულებისა და სიმდიდრის შესახებ).

ჩვენ ეს არის ვნახეთ, რომ ეკონომისტებს ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ა მ დ ე „აღუნიშნავთ“ კონტრასტისა და წინააღმდეგობის ღრმა საიდუმლოება. ახლა ვნახოთ, თუ როგორ ხსნის, თავის მხრივ, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ამ საიდუმლოებას ეკონომისტებს შემდეგ.

მოთხოვნის უცვლელობისას, პროდუქტის საცვლელი ღირებულება კლებულობს იმ ზომით, რა ზომითაც იზრდება მიწოდება; სხვა სიტყვებით: რაც უფრო უხვად არის პროდუქტი მ ო თ ხ ო ვ ნ ა ს თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ი თ, მით უფრო დაბალია მისი საცვლელი ღირებულება ანუ ფასი. და პირიქით: რაც უფრო სუსტია მიწოდება მოთხოვნასთან შედარებით, მით უფრო მაღლა იწევს მიწოდებული პროდუქტის საცვლელი ღირებულება ანუ ფასი; სხვა სიტყვებით: რაც უფრო დიდია მიწოდებული პროდუქტის იშვიათობა მოთხოვნასთან შედარებით, მით უფრო დიდია სიძვირე. პროდუქტის საცვლელი ღირებულება დამოკიდებულია მის სიუხვესა თუ იშვიათობაზე,

მაგრამ—ყოველთვის მოთხოვნასთან შედარებით. წარმოიდგინეთ იშვიათზე იშვიათი პროდუქტი,—ვთქვათ, თავის კვალობაზე ერთადერთი: ეს ერთადერთი პროდუქტი უხვზე უხვი იქნება, ზედმეტი იქნება, თუ იგი არ მოითხოვება. სამაგიეროდ, წარმოიდგინეთ პროდუქტი, მილიონობით გამრავლებული, — იგი მუდამ იშვიათი იქნება, თუ მოთხოვნას არ ჰყოფნის, ე. ი. თუ მეტად არის მოთხოვნილი.

ყველა ეს თითქმის ბანალური ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენ დაგვჭირდა მისი განმეორება ბ-ნი პრუდონის საიდუმლოებათა გასაგებინებლად.

„ასე რომ, თუ პრინციპს მის უკანასკნელ დასკვნებამდე გავყვებით, ჩვენ იმ სრულიად ლოგიკურ დასკვნას მივაღწევთ, რომ ის საგნები, რომელთა მოხმარება აუცილებელია და რაოდენობა—უსაზღვრო, არაფრად უნდა ფასობდეს, ხოლო ის ნივთები, რომელთა სასარგებლობა არარაა და იშვიათობა უაღრესად დიდია, უსასრულოდ დიდი ფასისა უნდა იყოს. უმწვერვალეს გასაჭირში გვაგდებს კიდევ ის გარემოება, რომ ამ უკიდურესობათ ადგილი არა აქვთ პრაქტიკაში: ერთის მხრივ, ადამიანის ვერც ერთი პროდუქტი ვერ გაიზრდება უსაზღვრო რაოდენობით; მეორეს მხრივ, უიშვიათესი ნივთიც კი რაოდენადმე სასარგებლო უნდა იყოს,—უამისოდ მას არავითარი ღირებულება არ ექნება. ამგვარად, სახმარი ღირებულება და საცვლელი ღირებლება საბედისწეროდ გადაბმულია ერთი მეორეზე, თუმცა თავიანთი ბუნებით ერთიმეორის გამორიცხვისაკენ მიისწრაფება მუდამ“ (ტომი I, გვ. 39).

რა აგდებს ბ-ნ პრუდონს უმწვერვალეს გასაჭირში? ის, რომ მას სრულებით დაავიწყდა მოთხოვნა და რომ ესა თუ ის ნივთი მხოლოდ იმდენად შესაძლებელია იყოს სიუხვისა ან იშვიათობის წარმომადგენელი, რამდენადაც იგი მოითხოვება. გვერდზე გადასდო რა მოთხოვნა,

ბ-ნი პრუდონი აიგივებს საცვლელ ღირებულებასა და იშვიათობას, სახმარ ღირებულებასა და სიუხვეს. როდესაც იგი ამბობს: „ნივთები, რომელთა სასარგებლობა არარაა და იშვიათობა უაღრესად დიდია, უსასრულოდ დიდი ფასისა არის“, [illegible] ნამდვილად მხოლოდ ამ აზრს გამოთქვამს,—საცვლელი ღირებულება მარტოოდენ იშვიათობა არისო. „უაღრესად დიდი იშვიათობა და სასარგებლობის არარაობა“—ეს არის იშვიათობა სრულიად წმინდა სახით. „უსასრულოდ დიდი ფასი“—ეს საცვლელი ღირებულების მაქსიმუმია,—საცვლელი ღირებულებაა სრულიად წმინდა სახით. ამ ორ გამოთქმას იგი ერთი მეორის სწორად სახავს. ამგვარად, საცვლელი ღირებულება და იშვიათობა თანასწორმნიშვნელოვანი სახელწოდებებია. მიაღწია რა ამ ვითომდა „უკიდურეს დასკვნებს“, ბ-ნმა პრუდონმა მართლაც გასჭიმა უკიდურესობამდე, მხოლოდ—არა შინაარსი, არამედ სიტყვები, რომელნიც მას გამოხატავენ, და ეს უფრო მეტად რიტორიკას მოწმობს, ვიდრე ლოგიკას. იქ, სადაც მას ჰგონია, რომ ახალი დასკვნები იპოვა, იგი კვლავ პოულობს მარტოოდენ თავის პირვანდელ ჰიპოთეზებს მათი სრული სიშიშვლით. იმავე ხერხის მეოხებით იგი ახერხებს სახმარი ღირებულებისა და წმინდა სახის სიუხვის გაიგივებას.

მას შემდეგ, რაც საცვლელი ღირებულება და იშვიათობა, სახმარი ღირებულება და სიუხვე ერთი მეორეს გაუთანასწორა, ბ-ნი პრუდონი საშინლად გაკვირვებულია, რომ ვერ პოულობს ვერც სახმარ ღირებრლებას იშვიათობასა და საცვლელ ღირებულებაში და ვერც საცვლელ ღირებულებას სიუხვესა და სახმარ ღირებულებაში; და როდესაც ამჩნევს, რომ პრაქტიკაში ამ უკიდურესობათ ადგილი არა აქვთ, მას არა დარჩენია რა გარდა იმისა, რომ იწამოს იდუმალება. მისთვის არსებობს

უსასრულოდ დიდი ფასი მხოლოდ იმის გამო, რომ მყიდველები არ არიან, და ამ მყიდველებს იგი ვერასოდეს ვერ იპოვის, სანამ მხედველობის გარეშე დატოვებული ექნება მოთხოვნა.

მეორეს მხრივ, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს სიუხვე თითქოს რაღაც თავისთავად წარმოშობილს წარმოადგენს. მას სრულიად ავიწყდება, რომ არსებობენ ადამიანები, რომელნიც ამ სიუხვეს აწარმოებენ, და რომ ამ ადამიანთა ინტერესი მოითხოვს, რომ მათ არასოდეს არ დასტოვონ მოთხოვნა მხედველობის გარეშე. თუ არა და—როგორ შეეძლო ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს ეთქვა,—საგნებს, რომლებიც ძალიან სასარგებლოა, ძალიან დაბალი ფასი უნდა ჰქონდეს ან ფასი სრულიადაც არ უნდა ჰქონდესო? მას, პირიქით, ეს უნდა დაესკვნა: საჭიროა სიუხვის, ძალიან სასარგებლო საგანთა წარმოების შეზღუდვა, თუ გვინდა მათი ფასის, საცვლელი ღირებულების, აწევაო.

როდესაც საფრანგეთის უწინდელი მევენახეები თხოულობდენ კანონის გამოცემას, რომელსაც ახალი ზვრების გაშენება უნდა აეკრძალა, როდესაც ჰოლანდიელები აზიურ სანელებელს სწვავდენ და მოლუკის კუნძულებზე მიხაკის ხეებს მიწიდან სთხრიდენ, — მათ სწორედ სიუხვის შემცირება უნდოდათ, რათა ამით აეწიათ საცვლელი ღირებულება. იმავე პრინციპის თანახმად მოქმედებდა საზოგადოება მთელი საშუალო საუკუნეების განმავლობაში, როდესაც კანონების გზით ზღუდავდა ქარგალთა რიცხვს, რომელთა დაჭერის უფლება ერთ ოსტატს ჰქონდა, ზღუდავდა სამუშაო იარაღების რიცხვს, რომელთა ხმარება ერთ ოსტატს შეეძლო (იხ. Anderson: „Histoire du commerce").

მას შემდეგ, რაც სიუხვე სახმარ ღირებულებად და იშვიათობა საცვლელ ღირებულებად დაგვისახა,—აბა ამის დამტკიცებაზე ადვილი რაღაა, რომ სიუხვე და იშვიათობა

შებრუნებით შეეფარდება ერთი მეორეს, — ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი აიგივებს სახმარ ღირებულებასა და მ ი წ ო დ ე ბ ა ს, აიგივებს აგრეთვე საცვლელ ღირებულებასა და მ ო - თ ხ ო ვ ნ ა ს. რათა უფრო მკვეთრად გაშუქდეს ანტითეზი, იგი სცვლის ტერმინოლოგიას და საცვლელი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ადგილას ხმარობს „ მ ო ს ა ზ რ ე - ბ ი თ ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს“. ამგვარად, ბრძოლის ნიადაგი იცვლება, და ჩვენ გვაქვს, ერთის მხრივ, სასარგებლობა (სახმარი ღირებულება, მიწოდება), ხოლო მეორეს მხრივ, — მ ო ს ა ზ რ ე ბ ა (საცვლელი ღირებულება, მოთხოვნა).

როგორ შევარიგოთ ერთმანეთს ეს ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ფაქტორი? როგორ შევათანხმოთ? იქნებ შესაძლებელია ერთი შესადარი წერტილი მაინც ვპოვოთ მათ შორის საერთო?

„რასაკვირველია, — გვეუბნება ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, — არის ასეთი წერტილი; ესაა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ნ ე ბ ი ს - ყ ო ფ ა. ფასი, რომელიც შედეგია ამ ბრძოლისა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, სასარგებლობასა და მოსაზრებას შორის, ვერ იქნება მარადიული სამართლიანობის გამომხატველი“.

ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი განაგრძობს ამ ანტითეზის განვითარებას:

„მე, როგორც თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი მ ყ ი დ ვ ე ლ ი, მსაჯული ვარ ჩემი მოთხოვნილების, მსაჯული ვარ საგნის შესაფერებლობის, მსაჯული ვარ ფასის, რომელიც მასში მ ი ნ დ ა მივცე. მეორეს მხრივ, თქვენ, როგორც თ ა - ვ ი ს უ ფ ა ლ ი მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი, უფალი ხართ დ ა მ - ზ ა დ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა და, მაშასადამე, გაქვთ შესაძლებლობა შეამციროთ თქვენი ხარჯები“ (ტ. I, გვ. 42).

და რადგანაც მოთხოვნა ანუ საცვლელი ღირებულება იგივეა, რაც მოსაზრება, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ი[illegible]ებულია სთქვას:

„დამტკიცებულია, რომ ადამიანის თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ა იწვევს წინააღმდეგობას სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის. როგორ უნდა გადაიჭრას ეს წინააღმდეგობა, ვიდრე განაგრძობს არსებობას თავისუფალი ნებისყოფა? როგორ განვწიროთ ეს უკანასკნელი ისე, რომ ადამიანის განწირვა არ მოგვიხდეს?“ (ტომი I, გვ. 51).

ამგვარად, აქ შეუძლებელია შედეგს მივაღწიოთ. აქ ბრძოლაა ორს, ასე ვთქვათ, არათანაზომადს ფაქტორს შორის,—სასარგებლობასა და მოსაზრებას, თავისუფალ მყიდველსა და თავისუფალ მწარმოებელს შორის.

შევხედოთ საგანს უფრო ახლოდან.

მიწოდება არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლობას, მოთხოვნა არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მოსაზრებას. ის, ვინც მომთხოვნელია, განა იმავე დროს არ არის მიმწოდებელიც რაიმე პროდუქტის ან ყველა პროდუქტთა წარმომადგენელი ნიშნის,—ფულისა, და იგი, როდესაც მიმწოდებლად გამოდის, განა არ წარმოადგენს, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს თანახმად, სასარგებლობას ანუ სახმარ ღირებულებას?

მეორეს მხრივ, მიმწოდებელი განა იმავე დროს არ არის მომთხოვნელიც რაიმე პროდუქტის ან ყველა პროდუქტთა წარმომადგენელი ნიშნის: ფულისა? და, ამგვარად, განა იგი არ ხდება მოსაზრების, მოსაზრებითი ღირებულების ანუ საცვლელი ღირებულების წარმომადგენლად?

მოთხოვნა იმავე დროს არის მიწოდება, მიწოდება იმავე დროს არის მოთხოვნა. ამგვარად, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს ანტითეზი, რომელიც მიწოდებას აიგივებს სასარგებლობასთან და მოთხოვნას — მოსაზრებასთან, ფუჭ აბსტრაქციაზეა დამყარებული.

რასაც ბ-ნი პრუდონი სახმარ ღირებულებას უწოდებს, სხვა ეკონომისტები ისეთივე უფლებით მოსაზრებით ღირებულებას უწოდებენ. ჩვენ მხოლოდ შტორხს (Storch) დავასახელებთ („Cours d'économie politique", Paris 1823, გვ. 88 და 99).

შტორხის მიხედვით, მოთხოვნილება ეწოდება ნივთს, რომლისათვის ჩვენ მოთხოვნილებას ვგრძნობთ; ღირებულება ეწოდება ნივთს, რომელსაც ჩვენ ღირებულებას მივაწერთ. ნივთთა უმრავლესობას მხოლოდ იმის გამო აქვს ღირებულება, რომ ისინი აკმაყოფილებენ მოთხოვნილებათ, რომელთაც წარმოშობს მოსაზრება. მოსაზრება ჩვენ მოთხოვნილებათა შესახებ შეიძლება შეიცვალოს და ამიტომ შეიცვალოს ნივთთა სასარგებლობაც, რომელიც გამოხატავს მხოლოდ მათ დამოკიდებულებას ჩვენს მოთხოვნილებებთან. თვით ბუნებრივი მოთხოვნილებანიც კი განუწყვეტლივ იცვლებიან. და მართლაც, რაოდენ დიდ სხვადასხვაობას ვხედავთ იმ საგნებში, რომლებიც მთავარ საჭმელს წარმოადგენს სხვადასხვა ხალხთათვის!

ბრძოლა ჩაღდება არა სასარგებლობასა და მოსაზრებას შორის: იგი ჩაღდება მიმწოდებლების მიერ მოთხოვნილ სავაჭრო ღირებულებასა და მომთხოვნელის მიერ მიწოდებულ სავაჭრო ღირებულებას შორის. პროდუქტის საცვლელი ღირებულება თითოეულ შემთხვევაში ამ საწინააღმდეგო შეფასებათა შედეგი არის.

საბოლოო ანალიზით, მიწოდება და მოთხოვნა წარმოადგენს წარმოებისა და მოთხოვნის დაპირისპირებას ერთი მეორისადმი, მაგრამ — დაპირისპირებას ინდივიდუალურ გაცვლა-გამოცვლაზე დამყარებული წარმოებისა და მოხმარებისას.

მიწოდებული პროდუქტი თავისთავად სასარგებლობას არ წარმოადგენს. მის სასარგებლობას მომხმარებელი

განსაზღვრავს. და მაშინაც კი, როდესაც აღიარებულია მისი სასარგებლობის თვისება, იგი მარტოოდენ სასარგებლობას არ წარმოადგენს. წარმოების განმავლობაში იგი გაცვლილ იქნა წარმოების ყველა ხარჯზე, როგორიცაა ნედლი მასალა, მუშების ხელფასი და სხვ.,—ერთის სიტყვით, ისეთ ნივთებზე, რომელთაც სავაჭრო ღირებულება აქვთ. ამიტომ პროდუქტი მწარმოებლის თვალში წარმოადგენს განსაზღვრული ჯამის სავაჭრო ღირებულებას. მწარმოებლის მიერ მიწოდებული საგანი არის არა მარტო სასარგებლობის შემცველი, არამედ—აგრეთვე და განსაკუთრებით სავაჭრო ღირებულებაც.

რაც შეეხება მოთხოვნას, იგი ეფექტიურია იმდენად, რამდენადაც მის განკარგულებაში გაცვლა-გამოცვლის საშუალებანი მოიპოებიან. თვით ეს საშუალებანი კი პროდუქტებია, სავაჭრო ღირებულებანია.

ამგვარად, მიწოდებასა და მოთხოვნაში ჩვენ ვპოულობთ, ერთის მხრივ: პროდუქტს, რომლის წარმოებაზე სავაჭრო ღირებულება დახარჯულა, და გაყიდვის მოთხოვნილებას; მეორეს მხრივ: საშუალებებს, რომელთა მოპოებაზე სავაჭრო ღირებულება დახარჯულა, და ყიდვის სურვილს.

ბ-ნი პრუდონი თავისუფალ მყიდველს უპირისპირებს თავისუფალ მწარმოებელს, ერთსაც და მეორესაც იგი წმინდა მეტაფიზიკური თვისებებით მოსავს. და ეს გარემოებაა, რომ მას ათქმევინებს: „დამტკიცებულია, რომ ადამიანის თავისუფალი ნებისყოფა იწვევს წინააღმდეგობას სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის".

მწარმოებელი სანამ შრომის დანაწილებასა და ინდივიდუალურ გაცვლა-გამოცვლაზე დამყარებულ საზოგადოებაში ეწევა წარმოებას,—და ბ-ნი პრუდონის ჰიპოთეზი ასეთია,—იგი იძულებულია ნაწარმოები გაჰყიდოს. ბ-ნი პრუდონი მწარმოებელს ხდის უფლად

წარმოების საშუალებათა, მაგრამ იგი დაგვეთანხმება, რომ წარმოების საშუალებები თავისუფალ ნებისყოფაზე არაა დამოკიდებული. ამაზე მეტიც: წარმოების საშუალებებს ეს ნებისყოფა მეტწილად [illegible]იდან ილებს, და თანამედროვე წარმოების [illegible] კია თავისუფალი აწარმოოს იმდენი, რამდენიც სურს. აწინდელი ხარისხი საწარმოო ძალთა განვითარებისა მას აიძულებს აწარმოოს ამა თუ იმ მასშტაბით.

არც მომხმარებელია მწარმოებელზე უფრო თავისუფალი. მისი მოსაზრება ემყარება მის საშუალებებსა და მოთხოვნილებებს. ერთიც და მეორეც განსაზღვრავს მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სოციალურ ორგანიზაციაზე მთლიანად. მართალია, მუშა, რომელიც ქოთნობილს ყიდულობს, და ხასა, რომელიც მაქმანს ყიდულობს, ორივე თავიანთი მოსაზრების მიხედვით იქცევიან; მაგრამ მათ მოსაზრებათა სხვადასხვაობა აიხსნება მდგომარეობის სხვადასხვაობით, რომელი მდგომარეობაც მათ აქვთ საზოგადოებაში და რომელიც თავის მხრივ აგრეთვე პროდუქტია სოციალური ორგანიზაციის.

რაზეა დამყარებული მოთხოვნილებათა სისტემა მთლიანად,—მოსაზრებაზე თუ წარმოების მთელ ორგანიზაციაზე? უმრავლეს შემთხვევაში, მოთხოვნილება წარმოიშობა უშუალოდ წარმოებიდან ან წარმოებაზე დამყარებული საერთო მდგომარეობიდან. მსოფლიო ვაჭრობა თითქმის მთლიანად მოძრაობს წარმოებისა და არა ინდივიდუალური სახსრების მოთხოვნილებათა საფუძველზე. ანდა, სხვა მაგალითი რომ ავიღოთ, განა მოთხოვნილება ნოტარითა ყოლისა არ გულისხმობს გარკვეულ სამოქალაქო სამართალს, რომელიც საკუთრების, ე. ი. წარმოების, განსაზღვრული განვითარების გამოხატულებას წარმოადგენს მხოლოდ?

ბ-ნი პრუდონი არ კმაყოფილდება იმით, რომ მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებული დამოკიდებულებიდან განდევნა ელემენტები, რომლებზედაც ჩვენ ეს არის ვილაპარაკეთ. მას უკიდურესობამდე მიჰყავს აბსტრაქცია, რომელსაც სთქვეფავს ყველა მწარმოებელთ ერთადერთ მწარმოებელში, ყველა მომხმარებელთ— ერთადერთ მომხმარებელში, და ამყარებს ბრძოლას ამ ორ ქიმერულ პიროვნებას შორის. ნამდვილ ცხოვრებაში კი საქმე სულ სხვაგვარად სწარმოებს. კონკურენცია მიმწოდებელთა შორის და ასევე კონკურენცია მომთხოვნელთა შორის შეადგენს აუცილებელ ელემენტს ბრძოლისას მყიდველთა და გამყიდველთა შორის, რომლის შედეგს სავაჭრო ღირებულება წარმოადგენს.

თავისი მსჯელობიდან წარმოების ხარჯებისა და კონკურენციის განდევნის შემდეგ ბ-ნ პრუდონს, რასაკვირველია, ადვილად შეუძლია სურვილისამებრ აბსურდად აქციოს მოთხოვნისა და მიწოდების ფორმულა.

„მიწოდება და მოთხოვნა სხვა არა არის რა, თუ არ ორი ცერემონიალური ფორმა, რომელიც იმას ემსახურება, რომ დაუპირისპიროს ერთი მეორეს სახმარი ღირებულება და საცვლელი ღირებულება და გამოიწვიოს მათი შერიგება. ეს ორი ელექტრული პოლუსია, რომელთა შეერთებას შედეგად უნდა ექნეს ლტოლვის მოვლენა, რასაც გაცვლა-გამოცვლა ეწოდება“ (ტომი I, გვ. 49 და 50).

ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა იმის თქმაც, რომ გაცვლა-გამოცვლა სხვა არა არის რა, თუ არ „ცერემონიალური ფორმა“, რათა ერთი მეორეს დაუპირისპირდეს მომხმარებელი და საგანი მოხმარებისა. ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა იმის თქმაც, რომ ყველა ეკონომიური ურთიერთობანი წარმოადგენენ „ცერემონიალურ ფორმებს“, რომელთა საშუალებით ხორციელდება უშუალო

ლო მოხმარება. მიწოდება და მოთხოვნა,—არც მეტად და არც ნაკლებად, ვიდრე ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლის აქტი,—წარმოადგენს განსაზღვრული წარმოების ურთიერთობას.

ამრიგად, რაშილა მდგომარეობს ბ-ნი პრუდონის დიალექტიკა? იმაში, რომ სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების, მიწოდებისა და მოთხოვნის სანაცვლოდ იგი იღებს განყენებულ და ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნებებს, როგორიცაა იშვიათობა და სიუხვე, სასარგებლობა და მოსაზრება, ერთი მწარმოებელი და ერთი მომხმარებელი,—ორივე რაინდნი თავისუფალი ნებისყოფისა.

და რისი მიღწევა სურდა მას ამით?

იმის, რომ შემონახული ჰქონებოდა ერთი მის მიერ განდევნილი ელემენტთაგანი, სახელდობრ წარმოების ხარჯები შემდეგში გამოსაყენებლად როგორც სინთეზი სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის. და ამიტომაა, რომ მის თვალში წარმოების ხარჯები სინთეთიურ ღირებულებას ანუ ჩამოყალიბებულ ღირებულებას შეადგენს.

## § II. ჩამოყალიბებული ანუ სინთეთიური ღირებულება

საცვლელი „ღირებულება ეკონომიური შენობის ქვაკუთხედი არის“. „ჩამოყალიბებული“ ღირებულება ქვაკუთხედია ეკონომიურ წინააღმდეგობათა სისტემის.

რა არის ეს „ჩამოყალიბებული ღირებულება“, რომელიც შეადგენს ბ-ნი პრუდონის მთელს აღმოჩენას პოლიტიკურ ეკონომიაში?

იგულისხმება რა უკვე სასარგებლობა, შრომა არის წყარო ღირებულებისა. შრომის საზომს წარმოადგენს

დრო. პროდუქტთა შეფარდებითი ღირებულება განისაზღვრება სამუშაო დროით, რომელიც დასჭირდა მათ წარმოებას. ფასი არის პროდუქტის შეფარდებითი ღირებულების მონეტური გამოხატულება. დაბოლოს, პროდუქტის ჩამოყალიბებული ღირებულება კი ღირებულებაა, რომელიც ამ პროდუქტში განხორციელებული სამუშაო დროით ჩამოყალიბდება.

როგორც ადამ სმიტმა შრომის დანაწილება აღმოაჩინა, ისევე ბ-ნი პრუდონი იჩემებს „ჩამოყალიბებული ღირებულების“ აღმოჩენას. ამაში სწორედ „გაუგონარი“ არა არის რა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეკონომიური მეცნიერების არც ერთ აღმოჩენაში არ მოიპოება რაიმე გაუგონარი. ბ-ნი პრუდონი, რომელიც გრძნობს თავისი აღმოჩენის მთელს სიდიადეს, ცდილობს მაინც შეასუსტოს მისი მნიშვნელობა, „რათა დაამშვიდოს მკითხველი თავისი ორიგინალობის გამოისობით პრეტენზიების შესახებ და შეირიგოს გონებანი, რომელთაც, გაუბედაობის გამო, არ აქვთ ახალი იდეების შეთვისების მიდრეკილება“. მაგრამ იმ ზომის მიხედვით, რა ზომითაც თითოეულ თავის წინამორბედს არგუნებს წილს ღირებულების განსაზღვრაში, იგი იძულებული ხდება ხმამაღლა აღიაროს, რომ უდიდესი, ლომის წილი მასში თვითონ მას ეკუთვნის.

„სინთეთიური ღირებულების იდეა ადამ სმიტმა შეიცნო ბუნდოვანად... მაგრამ ეს ღირებულების იდეა ად. სმიტისა ინტუიციური იყო, საზოგადოება კი თავის ჩვეულებებს არ იცვლის ინტუიციების საფუძვლით: იგი ფაქტების ავტორიტეტს უჯერებს მხოლოდ. საჭირო იყო ანტინომიის უფრო გარკვევით და მკაფიოდ გამოთქმა; ჟ. ბ. სეი (J. B. Say) იყო მისი მთავარი ამხსნელ-განმმარტებელი“.

აი, სინთეთიური ღირებულების აღმოჩენის მთელი მზამზარეული ისტორია: ა. სმიტს ეკუთვნის ბუნდოვანი

ინტუიცია, ჟ. ბ. სეის — ანტინომია, ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს — ჩამომყალიბებელი და „ჩამოყალიბებული“ ჭეშმარიტება. და ნუ დაივიწყებთ: ყველა სხვა ეკონომისტი, ს ე ი დ ა ნ დაწყებული პ რ უ დ ო ნ ა მ დ ე, მხოლოდ ანტინომიის კვალს მიჰყვებოდა. „სწორედ დაუჯერებლობაა, რომ ესოდენ გონიერი ადამიანი მთელი 40 წლის განმავლობაში იბრძოდა ასეთი მარტივი იდეის წინააღმდეგ. მაგრამ არა, ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა შ ე დ ა რ ე ბ ა ხ დ ე ბ ა ი ს ე, რ ო მ ა რ ა რ ი ს მ ა თ შ ო რ ი ს ა რ ა ვ ი თ ა რ ი შ ე ს ა დ ა რ ი წ ე რ ტ ი ლ ი დ ა ა რ ა რ ი ს ს ა ზ ო მ ი ე რ თ ე უ ლ ი, — აი, თანასწორობის რევოლიუციონური თეორიის შეცნობის ნაცვლად, რას ამტკიცებდენ მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე ს ა უ კ უ ნ ი ს ე კ ო ნ ო მ ი ს ტ ე ბ ი ყველას მიმართ და ყველას წინააღმდეგ. რას იტყვის ამაზე შთამომავლობა?“ (ტ. I, გვ. 68).

შთამომავლობა, ასე მოულოდნელად დაკითხული, უწინარეს ყოვლისა, შეკრთება ქრონოლოგიის გამო. იგი ძალაუნებურად იკითხავს: რ ი კ ა რ დ ო და მისი სკოლა განა მეცხრამეტე საუკუნის ეკონომისტებს არ წარმოადგენენ? 1817 წლიდან აქვს დასაწყისი რ ი კ ა რ დ ო ს სისტემას, რომელშიაც პრინციპად არის გამოცხადებული, „რომ საქონელთა შეფარდებითი ღირებულება მხოლოდ და მხოლოდ მათი წარმოებისთვის საჭირო შრომის რაოდენობაზეა დამყარებული“. რ ი კ ა რ დ ო მეთაურია მთელი სკოლის, რომელიც რესტავრაციის დროიდან დაწყებული გაბატონებულია ინგლისში. რ ი კ ა რ დ ო ს მოძღვრება სასტიკი, ულმობელი გამოხატულებაა მთელი ინგლისის ბურჟუაზიის, რომელიც, თავის მხრივ, თანამედროვე ბურჟუაზიის ტიპს წარმოადგენს. „რას იტყვის ამაზე შთამომავლობა?“ იგი არ იტყვის, რ ი კ ა რ დ ო ს ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი არ იცნობდაო, ვინაიდან ეს უკანასკნელი რ ი კ ა რ დ ო ზ ე ლაპარაკობს, გრძლად ლაპარაკობს, ყოველთვის მას

უბრუნდება და ათავებს იმით, რომ მის მოძღვრებას „აბდაუბდას“ უწოდებს. თუ შთამომავლობა როდესმე ჩაერია ამ საკითხში, შეიძლება მან თქვას, რომ ბ-ნმა პრუდონმა, თავის მკითხველთა ანგლოფობობის წინაშე მორიდების გამო, არჩია თავისი პასუხისმგებლობით გამოეცა რიკარდოს იდეები. ყოველ შემთხვევაში, ეს შთამომავლობა საკმაო გულუბრყვილობად ჩასთვლის, რომ ბ-ნი პრუდონი „მერმისის რევოლიუციონურ თეორიად“ სახავს იმას, რაც რიკარდომ მეცნიერულად გადმოგვცა როგორც თანამედროვე, ბურჟუაზიული საზოგადოების თეორია, და რომ ბ-ნი პრუდონი სასარგებლობასა და საცვლელ ღირებულებას შორის ანტინომიად მიიჩნევს იმას, რაც რიკარდომ და მისმა სკოლამ უკვე დიდი ხნით მასზე ადრე წარმოგვიდგინეს როგორც ანტინომიის ერთი მხარის, საცვლელი ღირებულების, მეცნიერული ფორმულა. მაგრამ დავანებოთ თავი სამუდამოდ შთამომავლობას და დავუპირისპიროთ ბ-ნი პრუდონი მის წინამორბედ რიკარდოს. აი, ამ ავტორის თხზულებიდან რამდენიმე ამონაწერი, რომელიც ღირებულების შესახებ მისი მოძღვრების რეზიუმეს იძლევა:

„სასარგებლობა არ არის საცვლელი ღირებულების საზომი, თუმცა მისთვის აბსოლუტურად აუცილებელია“ („Principes de l'économie politique“ etc., traduit de l'anglais par J. S. Constancio, Paris 1835, ტ. I, გვ. 3).

„ნივთი, რაკი იგი თავისთავად სასარგებლოდაა ცნობილი, თავის საცვლელ ღირებულებას მოიღებს ორი წყაროდან: თავისი იშვიათობიდან და იმ შრომის რაოდენობიდან, რომელიც აუცილებელია მის მოსაპოებლად. არის ნივთები, რომელთა ღირებულება მხოლოდ მათს იშვიათობაზეა დამოკიდებული. რადგან არავითარ შრომას არ შეუძლია მათი რაოდენობის გადიდება, ამიტომ მათმა

ღირებულებამ არ შეიძლება დაიწიოს მათი უფრო დიდი სიუხვის გამო. ასეთებია ქანდაკებები ან ძვირფასი სურათები და სხვ. ეს ღირებულება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ პირთა ქონებასა, გემოვნებასა და ხუსტურზე, რომელთაც სურთ ამ საგნების შეძენა (l. c., ტ. I, გვ. 4 და 5). „მაგრამ ისინი შეადგენენ ფრიად მცირე ნაწილს საქონელთა, რომელთა გაცვლა-გამოცვლა სწარმოებს ყოველდღიურად. რადგანაც უდიდესი უმრავლესობა საგანთა, რომელთა შეძენა ადამიანთ სურთ, შრომის ნაყოფია, ამიტომ შესაძლებელია მათი გამრავლება — არა თუ ერთ ქვეყანაში, არამედ მრავალ ქვეყანაშიაც, — თითქმის უსაზღვრო რაოდენობით, თუ კი მზად ვართ გავიღოთ შრომა, რომელიც აუცილებელია მათ დასამზადებლად" (l. c., ტ. I, გვ. 5). „ამგვარად, როდესაც საქონელთა, მათი საცვლელი ღირებულებისა და იმ პრინციპების შესახებ ვლაპარაკობთ, რომელთა თანახმად საქონელთა შეფარდებითი ფასი წესრიგდება, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის საქონელნი, რომელთა რაოდენობის გადიდება შესაძლებელია ადამიანის შრომით, რომელთა წარმოება წახალისებულია კონკურენციით და არ არის შეფერხებული არავითარი დაბრკოლებით" (ტ. I, გვ. 5).

რიკარდო იმოწმებს ა. სმიტს, რომელმაც, მისი სიტყვით, „დიდის ზედმიწევნილობით" განსაზღვრა საცვლელი ღირებულების თავდაპირველი წყარო (ტ. I, გვ. 5), და უმატებს:

„რომ (სამუშაო დრო) არის ნამდვილად საფუძველი ყველა საგანთა საცვლელი ღირებულების, იმათ გამოკლებით, რომელთა გამრავლება სურვილისამებრ არ შეიძლება ადამიანის შრომით, ეს შეადგენს უაღრესად მნიშვნელოვან დებულებას პოლიტიკურ ეკონომიაში: ვინაიდან არც ერთი სხვა წყაროდან არ წარმომდგარა იმდენი შეცდომა, არ წარმოშობილა ესოდენ აზრთა სხვადასხვაობა ჩვენს

მეცნიერებაში, როგორც იმ ბუნდოვანი და ნაკლებად მკაფიო აზრიდან, რომელსაც უკავშირებენ სიტყვა „ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს“ (ტ. I, გვ. 8). „თუ საგანში მოთავსებული შრომის რაოდენობა განსაზღვრავს მის გაცვლით ღირებულებას, აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ შრომის რაოდენობის ყოველმა გადიდებამ აუცილებლად უნდა გაადიდოს ღირებულება საგნისა, რომლისთვისაც იგი გამოყენებულ იქნა, და ასევე შრომის ყოველმა შემცირებამ უნდა შეამციროს მისი ფასი“ (ტ. I, გვ. 9).

შემდეგ რ ი კ ა რ დ ო უსაყვედურებს ა. ს მ ი ტ ს:

1. რომ მან „ღირებულებისათვის სხვა საზომი გამოაცხადა, ვიდრე შრომა, — ხან ხორბლის ღირებულება, ხან შრომის რაოდენობა, რომლის ყიდვა საგანს შეუძლია“, და სხვ. (ტ. I, გვ. 9 და 10).

2. რომ იგი „პრინციპს სცნობს შეურყევლად და იმავე დროს ზღუდავს მის გამოყენებას განუვითარებელი საზოგადოების მდგომარეობით, რომელიც წინ უძღვის კაპიტალთა დაგროვებას და მიწის კერძო საკუთრებას“ (ტ. I, გვ. 21).

რ ი კ ა რ დ ო ცდილობს დაამტკიცოს, რომ მიწის საკუთრებას, ე. ი. (მიწის) რენტას, არ შეუძლია შესცვალოს საარსებო საშუალებათა შეფარდებითი ღირებულება და რომ კაპიტალთა დაგროვება მხოლოდ დროებითსა და რყევად გავლენას ახდენს შეფარდებითს ღირებულებაზე, რომელიც მის წარმოებაზე მოხმარებული შრომის შედარებითი რაოდენობით განისაზღვრება. ამ დებულების დასამტკიცებლად, იგი ანვითარებს თავის სახელგანთქმულ რენტის თეორიას, აკეთებს კაპიტალის ანალიზს და, ბოლოს და ბოლოს, კაპიტალში მხოლოდ დაგროვილ შრომას პოულობს. შემდგომ იგი ანვითარებს ხელფასისა და მოგების მთელს თეორიას და ამტკიცებს, რომ ხელფასსა და მოგებას აწევისა და დაწევის მოძრაობა აქვს შებრუნებული

პროპორციით ერთი მეორის მიმართ, გავლენის მოუხდენლად პროდუქტის შეფარდებითს ღირებულებაზე. ამასთანავე იგი უყურადღებოდ არ სტოვებს იმ გავლენას, რომელიც კაპიტალთა დაგროვებას დაბანდების ვადების სხვადასხვაობას (ძირითადი კაპიტალები და საბრუნავი კაპიტალები), აგრეთვე ხელფასის ნორმას შეუძლია იქონიოს პროდუქტთა შეფარდებითს ღირებულებაზე. პირიქით, ეს მთავარი პრობლემებია, რომლებსაც რ ი კ ა რ დ ო არკვევს.

„შრომის ყოველი ეკონომია, — ამბობს იგი, — მუდამ აუცილებლად გამოიწვევს საქონლის შეფარდებითი ღირებულების[1] შემცირებას, — სულერთია, შეეხება ეს ეკონომია თვით საგნის დამზადებისათვის აუცილებელ შრომას, თუ — შრომას, რომელიც აუცილებელია ამ წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის შესაქმნელად“ (ტ. I, გვ. 28[2]). „ამიტომ მანამდე, ვიდრე ერთი დღის შრომა ერთს აძლევს თევზის იმავე რაოდენობას და მეორეს — ნადირის იმავე რაოდენობას, სათანადო საგაცვლა-გამოცვლო ფასების ბუნებრივი ნორმა მუდამ იგივე დარჩება, რაგინდ ცვალებადობას განიცდიდეს ხელფასი და მოგება და როგორიც უნდა იყოს კაპიტალის დაგროვების მოქმედება“ (ტ. I, გვ. 32).

[1] როგორც ცნობილია, რ ი კ ა რ დ ო საქონლის ღირებულებას განსაზღვრავს „შრომის რაოდენობით, რომელიც საჭიროა მის მოსაპოებლად“. მაგრამ საქონლის წარმოებაზე დამყარებულ ყოველ წარმოების წესში, მაშასადამე, — კაპიტალისტურშიც, გაბატონებული გაცვლა-გამოცვლის ფორმა იწვევს იმას, რომ ეს ღირებულება პირდაპირ შრომის რაოდენობაში კი არ გამოიხატება, არამედ — სხვა საქონლის რაოდენობაში. ერთი საქონლის ღირებულებას, სხვა საქონლის (სულ ერთია, — ფულია ეს თუ — არა) რაოდენობაში გამოხატულს, რ ი კ ა რ დ ო შეფარდებით ღირებულებას უწოდებს. — ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი.

[2] დედანში შეცდომით არის აღნიშნული რ ი კ ა რ დ ო ს ფრანგული თარგმანის გვ. 48. — შ ე ნ ი შ. რ უ ს. გ ა მ ო ც.

„ჩვენ შრომა განვიხილეთ როგორც ნივთთა ღირებულების საფუძველი და მათ საწარმოებლად აუცილებელი შრომის რაოდენობა,—როგორც ნორმა, საქონლის იმ რაოდენობით განსაზღვრული, რომელიც გაცვლა-გამოცვლისას გაცემული უნდა იქნეს სხვა საქონლისთვის; მაგრამ ჩვენ აზრად არა გვაქვს უარვყოთ, რომ საბაზრო ფასში ადგილი აქვს რაოდენადმე შემთხვევითსა და დროებითს გადახრას ამ თავდაპირველი და ბუნებრივი ფასისაგან" (ტ. I, გვ. 105). „ნივთთა ფასებს, ბოლოს და ბოლოს, წარმოების ხარჯები განსაზღვრავს და არა, როგორც ამას ხშირად ამტკიცებდენ, შეფარდება მოწოდებასა და მოთხოვნას შორის" (ტ. II, გვ. 253).

ლორდმა ლოდერდალმა გამოიკვლია საცვლელი ღირებულების ცვლილებანი მიხედვით მიწოდების და მოთხოვნის კანონისა ანუ იშვიათობის და სიუხვისა მოთხოვნასთან შედარებით. მისი აზრით, ნივთის ღირებულება შეიძლება გადიდდეს, როდესაც მისი რაოდენობა მცირდება, ან როდესაც მისი მოთხოვნა იზრდება; იგი შეიძლება შემცირდეს მისი რაოდენობის გადიდებისა ან მოთხოვნის შემცირების მიხედვით. ამგვარად, საგნის ღირებულება შეიძლება შეიცვალოს რვა სხვადასხვა მიზეზის მოქმედებით, სახელდობრ: თვით ამ საგანთან დაკავშირებული ოთხი მიზეზისა და კიდევ ფულთან ან სხვა, ღირებულების საზომად გამოყენებულ, საქონელთან დაკავშირებული ოთხი მიზეზის მოქმედებით. რიკარდო არღვევს ამას შემდეგნაირად:

„იმ პროდუქტების ღირებულება, რომელნიც კერძო პირისა ან კომპანიის მონოპოლიას შეადგენენ, ლორდი ლოდერდალის მიერ მოცემული კანონის თანახმად იცვლება: ძირს იწევს მიწოდების ზრდის შესაბამისად და მაღლა იწევს მათი შეძენისათვის მყიდველთა სურვილის ზრდასთან ერთად; მათი ფასი არაა აუცილებელს

დამოკიდებულებაში მათს ბუნებრივ ღირებულებასთან. მაგრამ რაც შეეხება იმ საგნებს, რომელნიც დაქვემდებარებიან კონკურენციას გამყიდველთა შორის და რომელთა რაოდენობა შეიძლება ზომიერად გადიდებულ იქნეს, მათი ფასი დამოკიდებულია, ბოლოს და ბოლოს, არა მოთხოვნისა და მოწოდების მდგომარეობაზე, არამედ მათი წარმოების ხარჯების გადიდებასა თუ შემცირებაზე“ (ტ. II, გვ. 259[1]).

მკითხველისთვის მიგვინდვია, ასეთი ზედმიწევნითი, ნათელი და მარტივი ენა რიკარდოსი შეადაროს იმ რიტორიულ ძაბვას, რომელსაც ბ-ნი პრუდონი ეწევა, რათა მოახერხოს სამუშაო დროით განსაზღვროს შეფარდებითი ღირებულება.

რიკარდო გვიჩვენებს ბურჟუაზიული წარმოების ნამდვილ მოძრაობას, რომელიც აყალიბებს ღირებულებას. ბ-ნი პრუდონი კი, რომლის მიერ აბსტრაქციაყოფილია ეს ნამდვილი მოძრაობა, „იბრძვის“, რათა გამოიგონოს ახალი პროცესები ქვეყნიერობის მოსაწყობად ვითომდა ახალი ფორმულის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ თეორიულ გამოხატულებას არსებული რეალური მოძრაობისას, რაც ისე ჩინებულად გადმოცემულია რიკარდოს მიერ. თავის გამოსავალ წერტილს რიკარდო იღებს აწინდელი საზოგადოებიდან, რათა დაგვანახვოს, თუ როგორ ხდება ამ საზოგადოების მიერ ღირებულების ჩამოყალიბება. ბ-ნი პრუდონი კი გამოსავალ წერტილად იღებს ჩამოყალიბებულ ღირებულებას, რათა ამ ღირებულების საშუალებით ჩამოაყალიბოს სოციალიური ქვეყნიერობა. ბ-ნი პრუდონის თანახმად, ჩამოყალიბებულმა ღირებულებამ წრე უნდა გააკეთოს და ხელახლა უნდა გახდეს ჩამომყალიბებელი ღირებულება

[1] დედანში შეცდომით არის აღნიშნული რიკარდოს ფრანგული თარგმანის გვ. 159.—შენიშ. რუს. გამოც.

საზოგადოებისათვის, რომელიც უკვე არის ჩამოყალიბებული სწორედ ამ შეფასების წესისამებრ. ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით *რიკარდოსთვის* წარმოადგენს საცვლელი ღირებულების კანონს; ბ-ნი *პრუდონისთვის* იგი სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების სინთეზი არის. ღირებულებათა თეორია *რიკარდოსი* აწინდელი ეკონომიური ცხოვრების მეცნიერულ ახსნა-განმარტებას წარმოადგენს; ბ-ნი *პრუდონის* ღირებულებათა თეორია *რიკარდოს* თეორიის უტოპიური ახსნა-განმარტებაა. *რიკარდო* ამტკიცებს ჭეშმარიტებას თავისი ფორმულისას, გამოჰყავს რა ეს უკანასკნელი ყველა ეკონომიურ ურთიერთობათაგან და ხსნის რა ამ საშუალებით ყველა მოვლენას, ისეთსაც კი, რომელიც, პირველი შეხედვით, თითქოს ეწინააღმდეგება მას, როგორიცაა რენტა, კაპიტალთა დაგროვება და ხელფასის დამოკიდებულება მოგებასთან; სწორედ ესაა, რომ მეცნიერულ სისტემად ხდის მის მოძღვრებას; ბ-ნი *პრუდონი*, რომელმაც *რიკარდოს* ეს ფორმულა სრულიად თვითნებური ჰიპოთეზების საშუალებით ჰპოვა ხელახლა, იძულებულია შემდეგ ეძიოს ცალკე ეკონომიური ფაქტები, რომელთაც იგი აწვალებს და აყალბებს, რათა შესძლოს მათი დასახვა თავისი განმანახლებელი იდეის მაგალითებად, მის უკვე არსებულ გამოყენებად, მისი განხორციელების დასაწყისად (იხ. ჩვენი § III: *ჩამოყალიბებული ღირებულების გამოყენება*).

გადავიდეთ ახლა იმ დასკვნებზე, რომლებიც ბ-ნ *პრუდონს* გამოჰყავს (სამუშაო დროით) ჩამოყალიბებული ღირებულებიდან.

— შრომის განსაზღვრული რაოდენობა თანასწორღირებულია იმ პროდუქტის, რომელიც შექმნილია შრომის იმავე რაოდენობით.

— თითოეული სამუშაო დღე ღირებულია სხვა სამუშაო დღის, ე. ი., თანასწორი რაოდენობისას, ერთი დღის შრომა ღირებულია სხვა დღის შრომის: არ არსებობს არავითარი თვისებრივი განსხვავება. შრომის თანასწორი რაოდენობისას, ერთი დღის პროდუქტი სხვა დღის პროდუქტში გაიცვლება. ყველა ადამიანი დაქირავებული მუშაა და ყველა დაქირავებული მუშა თანასწორი შრომის დროისათვის თანასწორად გაისტუმრება. გაცვლა-გამოცვლა სრული თანასწორობის საფუძველზე სწარმოებს.

წარმოადგენს კი ეს დასკვნები ბუნებრივ და აუცილებელ დასკვნებს, გამომდინარეს „ჩამოყალიბებული“ ანუ სამუშაო დროით განსაზღვრული ღირებულებიდან?

თუ საქონლის შეფარდებითი ღირებულება მის საწარმოებლად საჭირო შრომის რაოდენობით განისაზღვრება, აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ის, რომ შრომის შეფარდებითი ღირებულებაც ანუ ხელფასიც იმ შრომის რაოდენობით განისაზღვრება, რომელიც საჭიროა ხელფასის საწარმოებლად. ამგვარად, ხელფასი, ე. ი. შეფარდებითი ღირებულება ანუ შრომის ფასი, განისაზღვრება სამუშაო დროით, რომელიც საჭიროა ყველა იმის საწარმოებლად, რაც აუცილებელია მუშის არსებობისათვის. „შეამცირეთ ქუდების წარმოების ხარჯები, და — მათი ფასი, ბოლოსდაბოლოს, დაიწევს ახალ ბუნებრივ ფასამდე, თუნდაც რომ მოთხოვნა გაორკეცდეს, გასამკეცდეს ან გაოთხკეცდეს. შეამცირეთ, არსებობისათვის საჭირო საჭმლისა და ტანისამოსის ბუნებრივი ფასის შემცირებით, ადამიანის შენახვის ხარჯები, და — თქვენ ნახავთ, რომ ხელფასი, ბოლოსდაბოლოს, დაიწევს, თუნდაც რომ მოთხოვნა თვალსაჩინოდ გაიზარდოს“ (რიკარდო, ტ. II, გვ. 253).

რასაკვირველია, რიკარდოს ენა მეტად ცინიკურია. ქუდების საწარმოო ხარჯების და ადამიანის შენახვის

ხარჯების ერთსა და იმავე რიგში დაყენება ნიშნავს ადამიანის გადაქცევას ქუდად. მაგრამ ნურავინ ასტეხს განგაშს ცინიზმის გამო. ცინიზმი საგანშია და არა მის გამომხატველ სიტყვებში. საფრანგეთის მწერლები, როგორიც არიან ბ-ნნი დ რ ო (Droz), ბ ლ ა ნ კ ი (Blanqui), რ ო ს ს ი (Rossi) და სხვები, უმანკო სიამოვნებას განიცდიან იმით, რომ ჰგონიათ ინგლისელ მწერლებზე უპირატესნი არიან, რადგან ზრდილობიანი „ჰუმანიტარული" ენის ხმარებას ცდილობენ. თუ ისინი რ ი კ ა რ დ ო ს და მის სკოლას ცინიკურ ენას უსაყვედურებენ, ამას სჩადიან იმიტომ, რომ ნაწყენნი არიან, რადგან სრულიად დაუფარავად გადმოცემულს და გამომჟღავნებულს ხედავენ ეკონომიურ ურთიერთობას, ბურჟუაზიის საიდუმლოებას.

დავასკვნათ: შრომა, რომელიც თვითონ საქონელს წარმოადგენს, გაიზომება, როგორც ასეთი, სამუშაო დროით, რომელიც საჭიროა შრომა-საქონლის საწარმოებლად. და რაა საჭირო შრომა-საქონლის საწარმოებლად? სწორედ ის სამუშაო დრო, რაც საჭიროა იმ საგანთა საწარმოებლად, რომლებიც აუცილებელია შრომის შეუწყვეტელი არსებობისათვის, ე. ი. რათა მუშამ შესძლოს არსებობა და თავისი მოდგმის წარმოშობა. შრომის ბუნებრივი ფასი მხოლოდ ეს არის: ხელფასის მინიმუმი[1]. როდესაც

[1] ეს დებულება, რომ სამუშაო ძალის „ბუნებრივი", ე. ი. ნორმალური ფასი თანაემთხვევა ხელფასის მინიმუმს, ე. ი. იმ საარსებო საშუალებათა ღირებულების ეკვივალენტს, რომლებიც აბსოლუტურად აუცილებელია მუშის არსებობისა და მოდგმის განგრძობისათვის,— ეს დებულება პირველად მე დავამყარე „Umrisse zu einer Kritik der Nationalökonomie"-ში („Deutsch-Französische Jahrbücher", Paris 1844 წ.) და „Lage der arbeitenden Klasse in England"-ში. როგორც მკითხველი აქ ხედავს, მ ა რ ქ ს მ ა მაშინ ეს დებულება მიიღო. ჩვენგან იგი ლ ა ს ა ლ მ ა გადაიღო. მაგრამ, თუმცა სინამდვილეში შრომის ხელფასს მუდამ აქვს ტენდენცია თავის მინიმუმს მიუახლოვდეს, ზემოაღნიშნული დებულება ყალბია. იმ ფაქტს, რომ სა-

ხელფასის საბაზრო ფასი მის ბუნებრივ ფასზე მაღლა იწევს, ეს ხდება სწორედ იმის გამო, რომ ღირებულების კანონი, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს მიერ პრინციპად გამოცხადებული, თავის საპირწონეს პოულობს მიწოდებისა და მოთხოვნის შეფარდების ცვალებადობაში. მაგრამ ხელფასის მინიმუმი მაინც რჩება იმ ცენტრად, რომლისადმი მიზიდულება აქვს ხელფასის საბაზრო ფასს.

ამგვარად, სამუშაო დროით გაზომილი შეფარდებითი ღირებულება აუცილებლობის გზით არის ფორმულა მუშის თანამედროვე მონობისა, იმის ნაცვლად, რომ, როგორც ეს ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს სწადია, იყოს იგი პროლეტარიატის განთავისუფლების „რევოლიუციონური თეორია“.

ახლა ვნახოთ, რამდენ შემთხვევაში არის სამუშაო დროის გამოყენება ღირებულების საზომად შეუთავსებელი კლასთა არსებულ ანტაგონიზმთან და პროდუქტის უთანასწორო განაწილებასთან უშუალო მშრომელსა და დაგროვილი შრომის მფლობელს შორის.

ავიღოთ რაიმე პროდუქტი, — მაგალითად, ტილო. ეს პროდუქტი, როგორც ასეთი, შეიცავს შრომის განსაზღვრულ რაოდენობას. შრომის ეს რაოდენობა ყოველთვის იგივე იქნება, როგორიც უნდა იყოს პროდუქტის წარმოების მონაწილეთა მდგომარეობა ერთმანეთის მიმართ

ავიღოთ მეორე პროდუქტი: მაუდი, რომელსაც, ვთქვათ, შრომის იგივე რაოდენობა მოუნდა, როგორც ტილოს.

---

მუშაო ძალა ჩვეულებრივ და საშუალოდ თავის ღირებულებაზე დაბლა იყიდება, არ შეუძლია შესცვალოს მისი ღირებულება. „კაპიტალში“ (განყოფილება: „სამუშაო ძალის ყიდვა და გაყიდვა“) მ ა რ ქ ს მ ა გაასწორა ზემოაღნიშნული დებულება, აგრეთვე (თავი XXIII: „კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონი“) გაარკვია ის გარემოებანი, რომელნიც კაპიტალისტურ წარმოებას საშუალებას აძლევენ, სამუშაო ძალის ფასი მან უფრო და უფრო მის ღირებულებაზე დაბლა დასწიოს. — ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი.

ამ პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლისას ადგილი აქვს შრომის თანასწორ რაოდენობათა გაცვლა-გამოცვლას. შრომის ამ თანასწორ რაოდენობათა გაცვლა-გამოცვლისას სრულიადაც არ ხდება მწარმოებელთა მდგომარეობის გაცვლა-გამოცვლა, არც რაიმე ცვლილება მუშებისა და ფაბრიკანტების მდგომარეობაში ერთმანეთის მიმართ. ამის თქმა: სამუშაო დროით გაზომილ ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლას შედეგად აქვსო თანასწორი განაწილება ყველა მწარმოებელთა შორის, მოასწავებს იმის გულისხმობას, რომ პროდუქტის თანასწორი განაწილება გაცვლა-გამოცვლამდე არის მომხდარი. მაუდისა და ტილოს გაცვლა-გამოცვლის შესრულების შემდეგ მაუდის მწარმოებლებს ხელთ ექნებათ ისეთი წილი ტილოში, როგორიც შეესაბამება მათ წინანდელ წილს მაუდში.

ბ-ნი პრუდონის ილუზია იქიდან წარმოსდგება, რომ იგი შედეგად სთვლის იმას — რაც, დიდი-დიდი — მარტოოდენ დაუმტკიცებელ ჰიპოთეზად არის მისაჩნევი.

წავიდეთ ქვევით.

სამუშაო დრო, როგორც ღირებულების საზომი, გულისხმობს კი ამას მაინც, რომ (სამუშაო) დღეები ეკვივალენტებს წარმოადგენს და რომ ერთის დღე იმდენად ღირებულია, რამდენადაც მეორის დღე? არა, არ გულისხმობს.

ვთქვათ, ოქრომჭედლის ერთი დღე უდრის ფეიქრის სამს დღეს; ამ შემთხვევაში სამკაულის ღირებულების ცვლილებას ქსოვილთან შედარებით, — რამდენადაც იგი მოთხოვნისა და მიწოდების რყევის შედეგი არაა, — მიზეზად ექნება ერთისა თუ მეორე სახის პროდუქტის დასამზადებლად დახარჯული სამუშაო დროის შემცირება ან გადიდება. თუ, ვთქვათ, სხვადასხვა მუშების სამი სამუშაო დღე შეეფარდება ერთმანეთს როგორც 1, 2, 3, ყოველი ცვლილება მათ პროდუქტთა შეფარდებითს ღირებულებაში იქნება ცვლილება სწორედ ამ პროპორციის

მიხედვით — 1, 2, 3. მაშასადამე, შესაძლებელია ღირებულებათა გაზომვა სამუშაო დროით, მიუხედავად სხვადასხვა სამუშაო დღეთა ღირებულების უთანასწორობისა; მაგრამ, ასეთი საზომის გამოსაყენებლად, ჩვენ უნდა გვქონდეს შედარებითი მასშტაბი სხვადასხვა სამუშაო დღეებისათვის: ამ მასშტაბს კონკურენცია იძლევა.

ღირს თქვენი სამუშაო საათი ჩემად? ამ საკითხის გადამჭრელი კონკურენციაა.

კონკურენცია, ერთი ამერიკელი ეკონომისტის აზრით, განსაზღვრავს, რამდენი მარტივი (არაკვალიფიციური) შრომის დღე მოიპოვება რთული (კვალიფიციური) შრომის ერთ დღეში. ეს რედუქცია რთული შრომის დღეებისა მარტივი შრომის დღეებზე განა არ გულისხმობს იმას, რომ ღირებულების საზომად თვით მარტივი შრომაა მიჩნეული? ის გარემოება, რომ მარტოოდენ შრომის რაოდენობა, ხარისხის მიუხედავად, წარმოადგენს ღირებულების საზომს, გულისხმობს, თავის მხრივ, რომ მარტივი შრომა მრეწველობის საფუძვლადაა გამხდარი. იგი გულისხმობს, რომ, მანქანისადმი ადამიანის დაქვემდებარებისა თუ შრომის უკიდურესი დანაწილების გზით, სხვადასხვაგვარი შრომა ერთი მეორესთან არის გათანასწორებული; რომ ადამიანი დაჩრდილულია მანქანის წინაშე; რომ საათის ქანქარა გადაქცეულია ზედმიწევნით საზომად ორი მუშის შედარებითი საქმიანობისათვის, როგორც იგი საზომია ორი ორთქლმავალის სისწრაფისათვის. ამიტომ აღარ უნდა ვამბობდეთ, რომ (შრომის) ერთი საათი ერთისა ღირს ერთ საათად მეორისა, არამედ, უფრო სწორად, ასე: რომ ერთი ადამიანი ერთი საათის განმავლობაში ღირს მეორე ადამიანად ერთი საათის განმავლობაში. დრო ყველაფერია, ადამიანი აღარაფერია: იგი — დიდი-დიდი — განხორციელებაა დროისა. საკითხი აღარ შეეხება ხარისხს. მარტოოდენ რაოდენობაა ყველაფრის

გადამწყვეტი: საათი — საათისთვის, დღე — დღისთვის; მაგრამ შრომის ეს გათანასწორება არაა ბ-ნი პრუდონის მარადიული სამართლიანობის ნაწარმოები; იგია სრულიად უბრალოდ თანამედროვე მრეწველობის ფაქტი.

მანქანებით მომუშავე ფაბრიკაში ერთი მუშის შრომა თითქოს არაფრით განსხვავდება მეორე მუშის შრომისაგან: მუშებს შეუძლიათ ერთმანეთისაგან განირჩეოდენ მხოლოდ დროის რაოდენობის მიხედვით, რომელსაც ისინი მუშაობას ანდომებენ. მაგრამ მაინც ეს რაოდენობითი განსხვავება გვევლინება, განსაზღვრული თვალსაზრისით, როგორც თვისებრივი განსხვავება, რამდენადაც მუშაობისათვის მოსანდომებელი დრო ნაწილობრივ დამოკიდებულია წმინდა მატერიალურ მიზეზებზე, როგორიცაა ფიზიკური აგებულება, ასაკი, სქესი, ნაწილობრივაც — ზნეობრივ მიზეზებზე წმინდა უარყოფითი ხასიათისა, როგორიცაა მოთმინება, სიმშვიდე, გულმოდგინება. და ბოლოს, თუ მუშების შრომაში ადგილი აქვს თვისებითს განსხვავებას, ეს არის — დიდი-დიდი — თვისება უუმდარესი ხარისხისა, რომელიც არ წარმოადგენს სპეციალურ განმასხვავებელ თავისებურობას. აი, ასეთია, საბოლოო ანალიზით, მდგომარეობა თანამედროვე მრეწველობაში. და ამ, მანქანურ შრომაში უკვე განხორციელებულ, თანასწორობას ავლებს ბ-ნი პრუდონი იმ გათანასწორების“ რანდას, რომლის საყოველთაოდ განხორციელება მას სწადია „შემდგომი დროისათვის“.

ყველა „თანასწორობითი“ დასკვნა, რომელიც ბ-ნ პრუდონს გამოჰყავს რიკარდოს მოძღვრებიდან, ძირითად შეცდომაზეა დამყარებული. სახელდობრ, იგი ურევს საქონლის ღირებულებას, რომელიც მასში მოქცეული შრომის რაოდენობით გაიზომება, „შრომის ღირებულებით“ გაზომილ ღირებულებაში საქონლისა. ღირებულების გაზომვის ორივე ეს წესი რომ ერთსა და

იმავეს გამოხატავდეს, მაშინ შეიძლებოდა განურჩევლად გვეთქვა: ამა თუ იმ საქონლის ღირებულება გაიზომება მასში მოქცეული შრომით; ან: იგი გაიზომება შრომის რაოდენობით, რომლის ყიდვა იმით შეიძლება; ანდა კიდევ: იგი გაიზომება შრომის რაოდენობით, რომლითაც იმის ყიდვა შეიძლება. მაგრამ ეს სრულიადაც ასე არ არის. შრომის ღირებულებას ისევე ნაკლებად შეუძლია გასწიოს ღირებულების საზომობა, როგორც ყველა სხვა საქონლის ღირებულებას. რამდენიმე მაგალითი საკმარისი იქნება ამ ნათქვამის უკეთ გასაგებინებლად.

თუ ერთი შეფელი ხორბალი ახლა ორი დღის შრომად ღირს, მაშინ როდესაც უწინ იგი ერთი დღის შრომად ღირდა, მისი პირვანდელი ღირებულება გაორკეცებულია: მაგრამ იგი მოძრაობაში არ მოიყვანს შრომის ორმაგ რაოდენობას, ვინაიდან მასში წინანდელზე მეტი მასაზრდოებელი ნივთიერება არ მოიპოება. ამგვარად, ხორბლის ღირებულება, მის წარმოებაზე მონდომებული შრომის რაოდენობით გაზომილი, გაორკეცდა; მაგრამ გაზომილი ან იმ შრომის რაოდენობით, რომლის ყიდვა იმით შეიძლება, ან იმ შრომის რაოდენობით, რომლითაც იმის ყიდვა შეიძლება, — სრულიადაც არ გაორკეცებულა. მეორეს მხრივ, თუ იგივე შრომა ორჯერ მეტ ტანისამოსს აწარმოებს, ვიდრე უწინ, მისი შეფარდებითი ღირებულება განახევრდება; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ორმაგი რაოდენობის ტანისამოსის მყიდველობითი ძალა შრომის მიმართ არ გახდება ორჯერ ნაკლები, ანუ იგივე შრომა ვერ იყიდის ორმაგი რაოდენობის ტანისამოსს; და ეს იმიტომ, რომ ნახევარი რაოდენობის ტანისამოსი მუშას კვლავაც იმავე სამსახურს გაუწევს, როგორც უწინ.

ამგვარად, საარსებო საშუალებათა შეფარდებითი ღირებულების განსაზღვრა შრომის ღირებულებით ეწინააღმდეგება ეკონომიურ ფაქტებს. მცდარ წრეში მოქცევას

ნიშნავს ამის თქმა: შეფარდებითი ღირებულება განისაზღვრება შეფარდებითი ღირებულებით, რომელიც თვით საჭიროებს განსაზღვრას.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ბ-ნი პრუდონი ერთმანეთში ურევს გაზომვის ორ წესს, — გაზომვას საქონლის საწარმოებლად აუცილებელი შრომის დროით და გაზომვას შრომის ღირებულებით. „ყოველი ადამიანის შრომას,—ამბობს ის,—იმ ღირებულების ყიდვა შეუძლია, რომელსაც თავისში შეიცავს". ამგვარად, მისი აზრით, პროდუქტში მოქცეული შრომის განსაზღვრული რაოდენობა თანასწორია მუშის გასამჯელოსი, ე. ი. შრომის ღირებულებისა. ამავე საფუძვლითაა, რომ იგი წარმოების ხარჯებს და ხელფასს ერთმანეთში ურევს.

„რა არის ხელფასი? ესაა საწარმოო ფასი ხორბლისა და სხვ., ესაა ყოველი საგნის სრული ფასი". ცოტა ქვევით იგი ამბობს: „ხელფასია პროპორციულობა ელემენტების, რომელნიც სიმდიდრეს შეადგენენ". რა არის ხელფასი? იგია შრომის ღირებულება.

ადამ სმიტი ღირებულების საზომად იღებს ხან სამუშაო დროს, რომელიც აუცილებელია საქონლის საწარმოებლად, ხან შრომის ღირებულებას. რიკარდომ გამოამჟღავნა ეს შეცდომა, დაგვანახვა რა ნათლად ამ ორგვარი გაზომვის სხვადასხვაობა. ბ-ნი პრუდონი აძლიერებს კიდეც ადამ სმიტის შეცდომას, როდესაც აიგივეებს ორ საგანს, რომელთაც ად. სმიტი მარტოოდენ ერთი მეორის გვერდით აყენებს.

ბ-ნი პრუდონი ეძებს საქონელთა შეფარდებითს ღირებულებას იმისათვის, რომ იპოვოს სწორი პროპორცია, რომლის მიხედვითაც მუშებს წილი უნდა ჰქონდეთ პროდუქტებში, ანუ, სხვა სიტყვებით, რომ განსაზღვროს შრომის შეფარდებითი ღირებულება. შეფარდებითი ღირებულების განსასაზღვრავად მას უკეთესი ვერა მოუსაზრებია

რა გარდა იმისა, რომ შრომის განსაზღვრული რაოდენობის ეკვივალენტად გვისახავს ამ შრომის მიერ შექმნილ პროდუქტთა ჯამს, რაც იმის გულისხმობას მოასწავებს, რომ მთელი საზოგადოება შესდგება უბრალო მუშებისაგან, რომელნიც ხელფასად თავიანთ საკუთარ პროდუქტს იღებენ. გარდა ამისა, მას რეალურ ფაქტად მიაჩნია სხვადასხვა მუშების სამუშაო დღეთა თანასწორღირებულიანობა. ერთის სიტყვით: იგი ეძებს საქონელთა შეფარდებითი ღირებულების საზომს, რათა იპოვოს თანასწორი გასამრჯელო მუშებისთვის, და არსებულ ფაქტად ღებულობს ხელფასთა თანასწორობას, რათა შეუდგეს საქონელთა შეფარდებითი ღირებულების ძიებას. რა საკვირველი დიალექტიკაა!

„სეიმ და მის მომდევნო ეკონომისტებმა შენიშნეს, რომ შრომის მიღება ღირებულების პრინციპად და ნამდვილ მიზეზად მოასწავებს მცდარ წრეში მოქცევას, ვინაიდან შრომა თვითონ ექვემდებარება შეფასებას, თვითონ არის საქონელი ყველა სხვა საქონლის მსგავსად. ამ ეკონომისტებმა — თუ ამის თქმისთვის ისინი არ გამიწყრებიან — ამ საკითხში საოცარი უყურადღებობა გამოიჩინეს. შრომა ღირებულების მქონედ („valoir“) მიაჩნიათ არა რამდენადაც იგი თვით წარმოადგენს საქონელს, არამედ — იმ ღირებულების გამო, რომელსაც მასში გულისხმობენ პოტენციალურ არსებულად. შრომის ღირებულება ფიგურალური გამოთქმაა, ანტიციპაციაა მიზეზისა შედეგამდე. ეს იმგვარივე ფიქციაა, როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი ვ ო ბ ა. შრომა აწარმოებს, კაპიტალი ღირებულების მქონეა (vaut)... ერთგვარი ელიპსის გამო ამბობენ, — შრომის ღირებულებაო... შრომა თავისუფლებასავით... თავისი ბუნებით ბუნდოვანი და გაურკვეველი რამ არის, რომელიც თვისებრივად ობიექტის მიერ განისაზღვრება, ე. ი. პროდუქტის მეშვეობით იქცევა რეალობად.

„მაგრამ რა საჭიროა ამაზე შეჩერება? რომელსაც ეკონომისტი (წაიკითხეთ: ბ-ნი პრუდონი) სცვლის ნივთთა სახელწოდებას, vera rerum vocabula-ს, იგი ამით არაპირდაპირ — implicite — აღიარებს თავის უძლურებას და ხმალს ხელიდან აგდებს“ (პრუდონი, I, გვ. 188).

ჩვენ ვნახეთ, რომ შრომის ღირებულებას ბ-ნი პრუდონი პროდუქტთა ღირებულების „ნამდვილ მიზეზად“ აქცევს, ასე რომ ხელფასი — ოფიციალური სახელწოდება „შრომის ღირებულებისა“ — ყოველი ნივთის სრულ ფასს შეადგენს. აი, რატომ აკრთობს ძას სეის შენიშვნა. შრომა-საქონელში, რომელიც საშინელ რეალობას წარმოადგენს, იგი მხოლოდ გრამატიკულ ელიპსს ხედავს. ამგვარად, მთელი თანამედროვე საზოგადოება, შრომა-საქონელზე დამყარებული, ამიერიდან პოეტურ ლიცენციაზე, ფიგურალურ გამოთქმაზეა დაფუძნებული. თუ საზოგადოებას სურს „მოსპოს ყველა ის მოუწყობლობა“, რომელიც მას სტანჯავს, უნდა განდევნოს არაკეთილხმოვანი გამოთქმები, შესცვალოს ენა, და ამისათვის მას მარტო ის სჭირია, რომ მიმართოს აკადემიას თხოვნით, გამოუშვას მან თავისი ლექსიკონის ახალი გამოცემა. ყველა იმის შემდეგ, რაც ვნახეთ, ჩვენთვის ადვილი გასაგები ხდება, თუ რატომაა, რომ პოლიტიკური ეკონომიის დარგის თხზულებაში ბ-ნმა პრუდონმა საჭიროდ სცნო გრძელი მსჯელობა გაემართა ეტიმოლოგიასა და გრამატიკის სხვა ნაწილებზე. და ასე, იგი მეცნიერულ მსჯელობას ეწევა დაძველებული წარმოების შესახებ სიტყვის servus-ისა სიტყვა servare-დან. ამ საფილოლოგიო მსჯელობაში ღრმა აზრია, ეზოტერული აზრია, იგი შეადგენს არსებით ნაწილს ბ-ნი პრუდონის არგუმენტაციისას.

შრომა, რამდენადაც იგი იყიდება და გაიყიდება, საქონელია ყველა სხვა საქონელსავით და, მაშასადამე, მას აქვს საცვლელი ღირებულება. მაგრამ შრომის ღირებულება,

ანუ შრომა-საქონელის სახით ისევე ნაკლებად აწარმოებს, როგორც ხორბლის ღირებულება, ანუ ხორბალი საქონელის სახით საზრდოობას უწევს ადამიანს.

შრომა „ღირს“ მეტად ან ნაკლებად, იმის მიხედვით, თუ რაოდენ დიდი ან მცირეა საარსებო საშუალებათა ფასი, თუ რა ზომისაა მუშა ხელის არსებული მოთხოვნამიწოდება და სხვ. და სხვ.

შრომა სრულიადაც არ წარმოადგენს „ბუნდოვან რამეს“; იგია ყოველთვის განსაზღვრული შრომა, არასოდეს — შრომა საზოგადოდ, რომელსაც ჰყიდიან და ყიდულობენ. და თუ შრომა თვისებრივად ობიექტით განისაზღვრება, ობიექტიც, თავის მხრივ, განისაზღვრება შრომის სპეციფიური თვისებით.

შრომა, რამდენადაც იგი გაყიდვისა და ყიდვის საგანს შეადგენს, თვით საქონელია ყველა სხვა საქონელსავით. რისთვის ყიდულობენ მას? „იმ ღირებულებისთვის, რომელსაც მასში გულისხმობენ პოტენციალურ არსებულად“. მაგრამ როდესაც ამბობენ, ესა თუ ის ნივთი საქონელიაო, — ლაპარაკი აღარ შეეხება იმ მიზანს, რომლის გულისთვისაც მას ყიდულობენ, ე. ი. არ შეეხება იმ სარგებლობას, რომელიც სურთ მიიღონ იმ ნივთისგან, არ შეეხება მოხმარებას, რომლისთვისაც სურთ იგი გამოიყენონ. ის ნივთი საქონელია როგორც საგანი ვაჭრობისა. ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს ყველა მსჯელობას ეს აზრი აქვს: შრომას არ ყიდულობენ როგორც უშუალო მოხმარების საგანს. არა, შრომას ყიდულობენ როგორც წარმოების საშუალებას, როგორც ყიდულობენ, მაგალითად, მანქანას. რამდენადაც შრომა საქონელია, იგი ღირს, მაგრამ კი არ აწარმოებს. ბ.ნ პ რ უ დ ო ნ ს ასევე კარგად შეეძლო ეთქვა, რომ საზოგადოდ არ არსებობს არავითარი საქონელი, ვინაიდან ყოველ საქონელს რაიმე მოხმარების მიზნით ყიდულობენ და არასოდეს — როგორც საქონელს თავისთავად.

როდესაც ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი საქონელთა ღირებულებას შრომით ზომავს, იგი ხედავს ბუნდოვანად, რომ შეუძლებელია ამავე საზომს აარიდოს შრომაც, რამდენადაც იგი ღირებულების მქონეა, აარიდოს შრომა-საქონელს. ის გრძნობს, რომ ამით ხელფასის მინიმუმის ღირებულება ექ-ნებოდა უშუალო შრომის ბუნებრივ და ნორმალურ ფასად, რომ ეს იქნებოდა შერიგება საზოგადოების არსებულ წყობილებასთან. ამიტომ, რათა ამ საბედისწერო შედეგს თავი დააღწიოს, იგი უცებ პირს იბრუნებს და ამტკიცებს, რომ შრომა არ არის საქონელი, რომ მას არ შეიძლება ჰქონდეს ღირებულება. ავიწყდება, რომ თვით მიიღო შრომის ღირებულება საზომად; ავიწყდება, რომ მთელი მისი სისტემა დამყარებულია შრომა-საქონელზე, — შრომაზე, რომელიც ვაჭრობის საგანს შეადგენს, რომელსაც ჰყიდიან და ყიდულობენ, რომელიც გაიცვლება სხვა პროდუქტებზე და სხვ., შრომაზე, დასასრულ, რომელიც უშუალო შემოსავლის წყარო არის მუშისთვის. მას ყველაფერი ავიწყდება.

რათა იხსნას სისტემა, იგი თანხმდება გასწიროს საფუძველი.

„Et propter vitam vivendi perdere causas!“

ახლა ჩვენ მივადექით „ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ უ ლ ი ღირებულების“ ახალ განსაზღვრას.

„ღირებულება შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ა პროდუქტთა პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ო ბ ი ს, რომელნიც სიმდიდრეს შეადგენენ“.

შევნიშნავთ, პირველ ყოვლისა, რომ უბრალო გამოთქმა: „შეფარდებითი ანუ საცვლელი ღირებულება“ უკვე შეიცავს იდეას რაიმე შეფარდებისას, რომლის მიხედვით პროდუქტები ერთმანეთზე იცვლება. ამ შეფარდებისათვის სახელად „პროპორციულობის შეფარდების“ მიცემით არაიცვლება რა, გარდა გამოთქმისა. ღირებულების არც შემცირება და არც გადიდება არ უსპობს პროდუქტს

სიმდიდრის შემადგენელი სხვა პროდუქტების მიმართ რაიმე „პროპორციულობის შეფარდებაში“ ყოფნის თვისებას.

რაღა საჭიროა ეს ახალი ტერმინი, რომელიც არ იძლევა არავითარ ახალ აზრს?

„პროპორციულობის შეფარდება“ ბევრ სხვა ეკონომიურ შეფარდებასაც გვაფიქრებინებს, როგორიცაა წარმოების პროპორციულობა, სწორი პროპორცია მიწოდებასა და მოთხოვნას შორის და სხვ.; და ყველა ეს ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ი სახეში ჰქონდა, როდესაც საცვლელი ღირებულების ამ დიდაქტიურ პარაფრაზს ადგენდა.

უწინარეს ყოვლისა: რადგანაც პროდუქტთა შეფარდებითი ღირებულება განისაზღვრება იმ შრომის შედარებითი რაოდენობით, რომელიც დახარჯულია თითოეული მათგანის დამზადებაზე, ამიტომ პროპორციულობის შეფარდება, ამ სპეციალური შემთხვევისთვის გამოყენებული, ნიშნავს სათანადო რაოდენობას პროდუქტთა, რომელთა დამზადება შეიძლება მოცემული დროის განმავლობაში და რომელნიც, ამიტომ, გაიცვლებიან ერთმანეთზე.

აბა ვნახოთ, რა დასკვნას აკეთებს ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ამ პროპორციულობის შეფარდებიდან.

ყველამ იცის, რომ, როდესაც მიწოდება და მოთხოვნა წონასწორობაშია მოსული, თითოეული პროდუქტის შეფარდებითს ღირებულებას განსაზღვრავს ზედმიწევნით ის შრომის რაოდენობა, რომელიც მასშია მოქცეული, ე. ი. ეს შეფარდებითი ღირებულება გამოხატავს პროპორციულობის შეფარდებას სწორედ იმ აზრით, რომელიც ჩვენ მას ეს არის მივაკუთვნეთ. ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი აყირავებს საგანთა წყობას. იწყეთ, — ამბობს ის, — პროდუქტის შეფარდებითი ღირებულების გაზომვა მასში მოქცეული შრომის რაოდენობით, და — მაშინ მიწოდება და მოთხოვნა აუცილებლად წონასწორობაში მოვა. წარმოება შესაბამისი იქნება მოხმარებისა, პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლა

მუდამ მოხდება, მათი საბაზრო ფასი ზედმიწევნით მათი ჭეშმარიტი ღირებულების გამომხატველი იქნება. ნაცვლად იმისა, რომ სთქვას, როგორც ყველა ამბობს: როცა კარგი დარია, ბევრ მოსეირნე ადამიანს ვხედავთო, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ასეირნებს თავის ადამიანებს, რათა ამით უზრუნველჰყოს კარგი დარი.

რასაც ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი აპრიორულად სამუშაო დროით განსაზღვრული საცვლელი ღირებულების შედეგად გვისახავს, შეიძლება გასამართლებელი ყოფილიყო მხოლოდ შემდეგი, დაახლოებით ამგვარად გამოთქმული, კანონით:

ამიერიდან პროდუქტები ერთი მეორეზე უნდა იცვლებოდეს ზედმიწევნით მათზე დახარჯული სამუშაო დროის შესაბამისად. როგორიც უნდა იყოს მიწოდებისა და მოთხოვნის შეფარდება, საქონელთა გაცვლა-გამოცვლა ყოველთვის ისე იწარმოებს, თითქოს ისინი წარმოებული იყონ პროპორციულად მოთხოვნისა. იკისროს ბ-ნმა პ რ უ დ ო ნ მ ა ასეთი კანონის გამოცემა და გატარება, — და ჩვენ მას თავისუფალვყოფთ დამტკიცებისაგან. ხოლო, თუ მას, პირიქით, როგორც ეკონომისტს, და არა როგორც კანონმდებელს, სურს გაამართლოს თავისი თეორია, მან უნდა დაამტკიცოს, რომ საქონლის საწარმოებლად საჭირო დ რ ო ზედმიწევნით აღნიშნავს მისი ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ი ს ხარისხს და გამოხატავს პროპორციულ შეფარდებას, მოთხოვნასთან და, მაშასადამე, მთელ საზოგადოებრივ სიმდიდრესთან. ამ შემთხვევაში, თუ პროდუქტი მისი წარმოების ხარჯების თანასწორ ფასად გაიყიდება, მიწოდება და მოთხოვნა ყოველთვის წონასწორობაში იქნება, ვინაიდან იგულისხმება, რომ წარმოების ხარჯები გამომხატველია მიწოდების ჭეშმარიტი შეფარდებისა მოთხოვნასთან.

მართლაც, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სამუშაო დრო, რომელიც საჭიროა პროდუქტის

დასამზადებლად, გამოხატავს მის ჭეშმარიტ შეფარდებას მოთხოვნილებებთან, ასე რომ ის საგნები, რომლების წარმოებას უმცირესი დრო სჭირდება, უდიდეს უშუალო სასარგებლობას წარმოადგენს, და ასე შემდეგომ საფეხურიდან საფეხურზე. მარტოოდენ რაიმე ფუფუნების საგნის წარმოება ამტკიცებს უკვე, ამ მოძღვრების მიხედვით, რომ საზოგადოებას ზედმეტი დრო აქვს, რომელიც მას ნებას აძლევს დაიკმაყოფილოს ფუფუნების მოთხოვნილება.

თავისი დებულების დამტკიცებას ბ-ნი პრუდონი პოულობს იმ დანაკვირვებ გარემოებაში, რომ უაღრესად სასარგებლო ნივთები უმცირეს დროს მოითხოვს წარმოებისათვის, რომ საზოგადოება მრეწველობის უადვილესი დარგებით იწყებს და შემდეგ თანდათან „ეჭიდება ისეთ საგანთა დამზადებას, რომელთა წარმოება მეტ სამუშაო დროდ ღირს და რომელნიც უფრო მაღალი საფეხურის მოთხოვნილებებს შეეფერებიან“.

ბ-ნი პრუდონი ბ-ნ დიუნუაიესაგან სესხულობს მომპოვებელი მრეწველობის მაგალითს, — ნაყოფთა მოკრეფას, ძოვას, ნადირობას, თევზაობას და სხვ., — რაც უმარტივეს მრეწველობას წარმოადგენს, ნაკლებ ხარჯების მომთხოვნს, და რომლითაც ადამიანმა დაიწყო „პირველი დღე თავისი მეორედ გაჩენისა“. მისი პირველი გაჩენის პირველი დღე მოთხრობილია დაბადებაში, რომელიც ღმერთს გვიხატავს ქვეყნიერობის პირველ მრეწველად.

სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად ხდება, ვიდრე ეს ბ-ნ პრუდონს ჰგონია. იმ მომენტიდან, როდესაც ცივილიზაცია იწყება, წარმოებას საფუძვლად ედება ანტაგონიზმი ხელობათა, წოდებათა, კლასთა, დასასრულ — ანტაგონიზმი დაგროვილი შრომის და უშუალო შრომისა. უანტაგონიზმოდ არ არსებობს წინმსვლელობა: ეს არის კანონი, რომელსაც ცივილიზაცია ემორჩილებოდა დღემდე. საწარმოო ძალები დღემდე კლასთა ანტაგონიზმის

ამ რეჟიმის წყალობით ვითარდებოდა. ამჟამად იმის თქმა, რომ, ვინაიდან ყველა მშრომელთა ყველა მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იყო, ადამიანთ შეეძლოთ ხელი მოე-კიდათ უფრო მაღალი საფეხურის პროდუქტთა წარმოე-ბისათვის, უფრო რთული მრეწველობისათვის, ნიშნავს კლასთა ანტაგონიზმის დატოვებას მხედველობის გარეშე და მთელი ისტორიული განვითარების გადაყირავებას. ეს იგივეა, რომ ვინმემ თქვას: ვინაიდან რომაელი იმპერა-ტორების დროს მორენებს ხელოვნურ გუბეებში ჰკვებავ-დნენ, — რომის მოსახლეობის გამოსაკვებად საჭმელი უხვად მოიპოებოდაო, მაშინ როდესაც სრულიად წინააღმდეგს ჰქონდა ადგილი: რომის ხალხს არ მოეპოებოდა აუცი-ლებლად საჭირო საშუალება პურის საყიდლად, ხოლო რომის არისტოკრატებს იმდენი მონები მოეპოებოდათ, რომ მორენებს უყრიდნენ შესაჭმელად.

საარსებო საშუალებათა ფასი თითქმის განუწყვეტლივ იზრდებოდა, მაშინ როდესაც მანუფაქტურულ და ფუფუ-ნების საგანთა ფასი თითქმის მუდამ მცირდებოდა. ავი-ღოთ თვით სასოფლო მეურნეობა: აუცილებლად საჭირო საგნების, როგორიცაა ხორბალი, ხორცი და სხვ., ფასი მაღლა იწევს, მაშინ როდესაც ბამბის, შაქრის, ყავის და სხვ. ფასი საოცარის პროპორციით კლებულობს განუწყ-ვეტლივ. და საკუთრივ სანოვაგეთა შორის ფუფუნების საგნები, როგორიცაა ხაჭიჭორა, სატაცური და სხვ., დღეს შედარებით უფრო იაფია, ვიდრე პირველი მოთხოვნილე-ბის სანოვაგე. ამ ჩვენს დროში იმის წარმოება, რაც ზედ-მეტს წარმოადგენს, უფრო ადვილია, ვიდრე აუცილებ-ლად საჭიროსი. დაბოლოს, სხვადასხვა ისტორიულ ეპო-ქებში ფასების სათანადო შეფარდება არა თუ სხვადასხვა-ობას წარმოადგენს, არამედ — პირდაპირ წინააღმდეგო-ბას. მთელი საშუალო საუკუნეების განმავლობაში სასო-ფლო მეურნეობის პროდუქტები შედარებით უფრო იაფი

იყო, ვიდრე მანუფაქტურული პროდუქტები; ახალს დროში მათ შორის შებრუნებული დამოკიდებულებაა. განა ამის გამო სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა სასარგებლობა შემცირდა საშუალო საუკუნეებს შემდეგ?

პროდუქტთა მოხმარება განისაზღვრება სოციალური პირობებით, რომლებშიაც მომხმარებლები იმყოფებიან, და თვით ეს პირობები დაფუძნებულია კლასთა ანტაგონიზმზე.

ბამბა, ქართობილი და არაყი საყოველთაო მოხმარების საგნებია. ქართობილმა წარმოშვა სურავანდი; ბამბამ მეტწილად განდევნა სელი და მატყლი, თუმცა სელი და მატყლი ბევრ შემთხვევაში უფრო სასარგებლოა, თუნდაც მარტოოდენ ჰიგიენურის თვალსაზრისით; არაყმა, დასასრულ, გაიმარჯვა ლუდსა და ღვინოზე, თუმცა არაყი, როგორც სასმელი, ყველას მიერ საწამლავადაა აღიარებული. მთელი საუკუნის განმავლობაში მთავრობები იბრძოდენ, უნაყოფოდ, ევროპიული ოპიუმის წინააღმდეგ; ეკონომიამ გაიმარჯვა, — მან უკარნახა მოხმარებას თავისი ბრძანება.

რატომ იქცა ბამბა, ქართობილი და არაყი ბურჟუაზიული საზოგადოების ქვა-კუთხედად? იმიტომ, რომ მათ საწარმოებლად უმცირესი შრომაა საჭირო და რომ ამ საგნებს ამის გამო უმცირესი ფასი აქვს. რატომ განსაზღვრავს ფასის მინიმუმი მოხმარების მაქსიმუმს? იქნებ იმის გამო, რომ ამ საგანთ აბსოლუტური სასარგებლობა აქვთ, შინაგანი სასარგებლობა, სასარგებლობა იმ მხრივ, რომ ისინი უფრო სასარგებლო წესით შეეფერებიან მუშის, როგორც ადამიანის, და არა ადამიანის, როგორც მუშის, მოთხოვნილებას? არა, არა ამის გამო, არამედ იმიტომ, რომ *სიღატაკეზე* დაფუძნებულ საზოგადოებაში *ღატაკურ* ნაწარმოებს აქვს პრივილეგია ემსახუროს მოსახლეობის ფართო მასის მოხმარებას.

ამის თქმა, უაღრესად იაფი საგნები, რადგან ისინი უაღრესად მოიხმარებიან, უაღრეს სასარგებლობას წარმოადგენსო, იმის თქმას ნიშნავს, რომ არაყის მოხმარება, ესოდენ დიდად გავრცელებული მისი წარმოების ხარჯების სიმცირის გამო, ფრიად დამარწმუნებელი დამტკიცებაა მისი სასარგებლობის; ეს ნიშნავს იმის თქმას პროლეტარისთვის, რომ მისთვის ქართობილი უფრო სასარგებლოა, ვიდრე ხორცი: ეს ნიშნავს, დასასრულ, *ბ-ნ პრუდონთან* ერთად, საზოგადოების აპოლოგიას ისე, რომ არ გაეგებოდეს კაცს თვით ეს საზოგადოება.

მომავალ საზოგადოებაში, სადაც კლასთა ანტაგონიზმი მოსპობილი იქნება, სადაც კლასები აღარ იქნებიან, წარმოების დროის *მინიმუმი* აღარ იქნება მოხმარების განმსაზღვრელი, არამედ თვით საზოგადოებრივი წარმოების დრო, რომელიც სხვადასხვა საგნებს მოხმარდება, საზოგადოებრივი სასარგებლობით იქნება განსაზღვრული.

მაგრამ, თუ *ბ-ნი პრუდონის* დებულებას დავუბრუნდებით: რადგან სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია საგნის საწარმოებლად, არ გამოხატავს მისი სასარგებლობის ხარისხს, ამიტომ ამ საგნის ღირებულებას, რომელიც მასში განხორციელებული სამუშაო დროით არის წინასწარ განსაზღვრული, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მოაწესრიგოს მიწოდების სწორი შეფარდება მოთხოვნასთან, ე. ი. პროპორციულობის შეფარდება იმ აზრით, რომელსაც *ბ-ნი პრუდონი* მას აკუთვნებს ამ წუთში.

წარმოების ხარჯების ფასად პროდუქტის გაყიდვა კი არ აყალიბებს „პროპორციულობის შეფარდებას“ მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, ანუ ამ პროდუქტის პროპორციულ რაოდენობას მთელ წარმოებასთან დაპირისპირებით, არამედ — *მოთხოვნისა და მიწოდების*

რყევა, რომელიც ანიშნებს მწარმოებელს, თუ რა რაოდენობით უნდა აწარმოოს მან განსაზღვრული საქონელი, რათა გაცვლისას წარმოების ხარჯების ანაზღაურება მაინც მიიღოს. და რადგანაც ეს რყევა განუწყვეტლივ სწარმოებს, ამიტომ განუწყვეტელია აგრეთვე მოძრაობაც კაპიტალების მოქცევის და მიქცევისა მრეწველობის სხვადასხვა დარგებში.

„მხოლოდ ასეთი რყევის წყალობით ხდება კაპიტალების გამოყენება სწორედ საჭირო პროპორციით და არა ამაზე მეტად სხვადასხვა საქონელთა წარმოებისათვის, რომელთათვის მოთხოვნა არსებობს. ფასების აწევის თუ დაწევის გამო მოგება საერთო დონეზე მაღლა ან დაბლა იწევს, და ამით კაპიტალი მიიზიდება მრეწველობის იმ დარგში ან უკუმიიქცევა იმ დარგიდან, რომელმაც ერთგვარი თუ მეორეგვარი რყევა განიცადა.

„თუ ჩვენ დიდი ქალაქების ბაზრებს გადავხედავთ, დავინახავთ, როგორის რეგულიარობით სწარმოებს მათი მომარაგება საჭირო რაოდენობის ყოველგვარი საქონლით, შინაურით და უცხოთიც, რაგინდ იცვლებოდეს მოთხოვნა ქინისა და გემოვნების გავლენის გამო ანდა მოსახლეობის ცვალებადობის მიზეზით, და სწარმოებს ისე, რომ ადგილი არა აქვს ხშირად არც ბაზრის უზომო გავსებას ჭარბი მომარაგების გამო და არც უზომო სიძვირეს მოთხოვნასთან შედარებით სუსტი მომარაგების მიზეზით, — და ჩვენ უნდა ვცნოთ, რომ ის პრინციპი, რომელიც მრეწველობის სხვადასხვა დარგებს ზედმიწევნილად საჭირო პროპორციით უნაწილებს კაპიტალს, ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვეულებრივ ჰგონიათ“ (რიკარდო, ტ. I, გვ. 105 და 108).

თუ ბ-ნი პრუდონი სცნობს, რომ პროდუქტთა ღირებულება სამუშაო დროით განისაზღვრება, მან უნდა სცნოს ეს რყევადი მოძრაობაც, რომელიც მარტოოდა ხდის

სამუშაო დროს ღირებულების საზომად[1]. არ არსებობს მზად ჩამოყალიბებული „შეფარდება პროპორციულობისა“, არსებობს მხოლოდ ჩამომყალიბებელი მოძრაობა.

ჩვენ ეს არის ვნახეთ, თუ რა აზრითაა სწორი ვილაპარაკოთ „პროპორციულობაზე“, როგორც მეთოდზე ღირებულების განსაზღვრისა სამუშაო დროის საშუალებით. ახლა ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ იქცევა ეს დროის საშუალებით გაზომვა, რომელსაც ბ-ნი *პრუდონი* „პროპორციულობის კანონს“ უწოდებს, *უპროპორციულობის* კანონად.

ყოველი ახალი გამოგონება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ერთ საათში წარმოებულ იქნეს ის, რაც მანამდე ორ საათში იწარმოებოდა, ფასს უკარგავს ყველა ერთგვაროვან ნაწარმოებს, რომელიც ბაზარზე მოიპოვება. კონკურენცია აიძულებს მწარმოებელს ორი საათის ნაწარმოები ისევე იაფად გაჰყიდოს, როგორც ერთი საათის პროდუქტი. კონკურენცია ანხორციელებს იმ კანონს, რომლის თანახმად პროდუქტის შეფარდებითი ღირებულება მის საწარმოებლად აუცილებელი სამუშაო დროთი განისაზღვრება. ამგვარად, ის ფაქტი, რომ სამუშაო დრო საცვლელი ღირებულების საზომს წარმოადგენს, ხდება კანონად შრომის განუწყვეტელი *ფასდაკარგვისა*. მეტსაც ვიტყვით. ფასდაკარგვა შეეხება არა მარტო იმ საქონელთ, რომლებიც ბაზარზე იქნება გამოტანილი, არამედ საწარმოო იარაღებსა და მთელ სახელოსნოებსაც. ამ ფაქტს უკვე *რიკარდო* აღნიშნავს, როდესაც ამბობს: „წარმოების სიადვილის მუდმივი გადიდებით ჩვენ მუდამ

[1] როგორც სჩანს *ენგელსის* ხელნაწერი შენიშვნებიდან, რომელთა ფოტოასლი *კ. მარქსისა* და *ფ. ენგელსის ინსტიტუტში* ინახება, *ენგელსი* და *მარქსი* ფიქრობდენ, ამ ადგილას ჩაემატებიათ შემდეგი სიტყვები: „ინდივიდუალურ გაცვლა-გამოცვლაზე დამყარებულ საზოგადოებაში“.—*შენიშ. რუს. გამოც.*

ვამცირებთ ზოგიერთ, წინად წარმოებულ, საგანთა ღირებულებას" (ტ. II, გვ. 58). *სისმონდი* უფრო შორს მიდის. სამუშაო დროით „*ჩამოყალიბებულ* ღირებულებაში" იგი ხედავს თანამედროვე მრეწველობისა და ვაჭრობის ყველა წინააღმდეგობათა წყაროს. „საცვლელ ღირებულებას,—ამბობს ის,—განსაზღვრავს, საბოლოო ანალიზით, მუდამ ის შრომის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია შეფასებული ნივთის მოსაპოვებლად: არა ის შრომის რაოდენობა, რომელიც მასზე დახარჯულა აქამომდე, არამედ—ის, რომელიც ამიერიდან, იქნებ გაუმჯობესებულ საწარმოო საშუალებათა გამო, დაიხარჯება. და ამ შრომის რაოდენობას, თუმცა იგი სისწორით ძნელად განსასაზღვრავია, ყოველთვის ზედმიწევნილად ამყარებს კონკურენცია... ამ საფუძველზე დამყარებით არის გამონაგარიშებული როგორც ფასის მოთხოვნა გამყიდველის მიერ, ისე ფასის შეძლევა მყიდველის მიერ. პირველმა, იქნებ, იწყოს იმის მტკიცება, რომ საგანი მას ათი დღის შრომად დაუჯდა, მაგრამ თუ მეორე დარწმუნებულია, რომ ამიერიდან იმ საგნის წარმოება რვა დღეშია შესაძლებელი და კონკურენციაც ორსავე მხარეს მისცემს საამისო დამტკიცებას,—საგნის ღირებულება რვა დღეზე ჩამოვა და ვაჭრობაც ამ ფასით დასრულდება. გარიგების ორივე მონაწილემ იცის, რასაკვირველია, რომ საგანი სასარგებლოა, რომ იგი სასურველია, რომ თუ საიმისო სურვილი არ იქნებოდა, არც გაყიდვას ექნებოდა ადგილი; მაგრამ ფასის განსაზღვრა არას მხრივ არაა დამოკიდებული სასარგებლობაზე" („Études" etc., ტ. II, გვ. 267, ბრიუსელში გამოცემ.).

მნიშვნელოვანია მხედველობაში ვიქონიოთ შემდეგი გარემოება: რომ ღირებულებას ის დრო კი არ განსაზღვრავს, რომლის განმავლობაშიაც საგანი იქნა წარმოებული, არამედ—დროის ის *მინიმუმი*, რომლის

განმავლობაშიაც საგანი შესაძლებელია დამზადდეს, და ამ მინიმუმის აღმნიშვნელი არის კონკურენცია. წარმოვიდგინოთ ერთ წუთს, რომ კონკურენცია აღარ არსებობს და, მაშასადამე, აღარც საშუალება იმ შრომის მინიმუმის აღსანიშნავად, რომელიც აუცილებელია საქონლის საწარმოებლად; რა იქნებოდა ამის შედეგი? საკმარისი იქნებოდა ერთ მწარმოებელს საგნის წარმოებისათვის მოენდომებია ექვსი საათის შრომა, რათა, ბ-ნი პრუდონის თანახმად, უფლება ჰქონებოდა მოეთხოვა გაცვლისას ექვსჯერ მეტი, ვიდრე მეორეს, რომელმაც იმავე საგნის წარმოებას მხოლოდ ერთი საათი მოანდომა.

„პროპორციულობის შეფარდების“ ნაცვლად, ჩვენ ხელთ გვაქვს უპროპორციულობის შეფარდება, თუ საზოგადოდ გვინდა დავრჩეთ შეფარდების, ცუდისა თუ კარგის, ფარგალში.

შრომის შეუწყვეტელი ფასდაკარგვა მხოლოდ ერთი მხარეა, მხოლოდ ერთი შედეგია საქონელთა შეფასებისა სამუშაო დროით. ფასების უზომო გადიდება, ჭარბი წარმოება და სამრეწველო ანარქიის ბევრი სხვა მოვლენა შეფასების ამ წესში პოულობს თავის ახსნა-განმარტებას.

მაგრამ წარმოშობს ღირებულების საზომად გამოყენებული სამუშაო დრო პროდუქტთა იმ პროპორციულ სხვადასხვაობას მაინც, რომელიც ბ-ნ პრუდონს ხიბლავს?

სრულიად წინააღმდეგ: მისი თანმყოლია პროდუქტთა სფეროს შემპყრობელი მონოტონური მონოპოლია, რომელიც, როგორც ეს ყველამ იცის და ყველას თვალწინ ხდება, უკვე იპყრობს საწარმოო საშუალებათა სფეროს. სწრაფი წინსვლა შეუძლია მხოლოდ მრეწველობის რამდენსამე დარგს, როგორც, მაგალითად, ბამბეულისას. ამ წინსვლის ბუნებრივი შედეგი არის, მაგალითად, ის, რომ საბამბო მანუფაქტურის პროდუქტთა ფასები სწრაფად მცირდება. მაგრამ რამდენადაც ბამბის ფასი ეცემა,

სელის ფასმა შედარებით უნდა აიწიოს. რა ახლავს ამას შედეგად? სელის ადგილის დაჭერა ბამბის მიერ. ამნაირად განიდევნა სელი თითქმის მთელი ჩრდილო-ამერიკიდან. და, პროდუქტთა პროპორციული სხვადასხვაობის ნაცვლად, ჩვენ მივიღეთ ბამბის ბატონობა.

რაღა რჩება ამ „პროპორციულობის შეფარდებიდან“? არაფერი, თუ არ სურვილი პატიოსანი ადამიანისა, რომელსაც სწადია საქონელი ისეთი პროპორციით იწარმოებოდეს, რომ მისი პატიოსნურ ფასად გაყიდვა შეიძლებოდეს. ყველა დროში კეთილ ბურჟუებსა და ფილანტროპ ეკონომისტებს უყვარდათ ასეთი უმანკო სურვილის გამოთქმა.

ვალაპარაკოთ მოხუცი ბუა-გილბერი (Bois-Guillebert):

„საქონელთა ფასი,—ამბობს ის,—ყოველთვის პროპორციული უნდა იყოს, ვინაიდან მხოლოდ ასეთი საურთიერთო თანხმობა აძლევს მათ შესაძლებლობას ერთად იარსებონ, რათა გაიცემოდენ ერთმანეთში ყოველ წამს (აი, ბ-ნი პრუდონის განუწყვეტელი გაცვლისუნარიანობა) და მოიღებდენ ერთმანეთისაგან წარმოშობას... რადგანაც სიმდიდრე სხვა არა არის რა, თუ არ ასეთი განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლა ადამიანთა შორის, ხელობათა შორის და სხვ., ამიტომ საშინელი შეცდომა იქნება სიღატაკის მიზეზი ადამიანმა ეძიოს სხვაგან და არა ასეთი ურთიერთობის შეწყვეტაში, რომელიც გამოიწვევა ფასების პროპორციულობის დარღვევით“ („Dissertation sur la nature des richesses“, édit. Daire).

მოვუსმინოთ ერთ თანამედროვე ეკონომისტსაც:

„ერთი დიდი კანონი, რომელიც უნდა მივუყენოთ წარმოებას, არის კანონი პროპორციულობისა (the law of proportion), რომელსაც მარტოსლა შეუძლია

ღირებულების შეუწყვეტლობის დაცვა... ეკვივალენტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს... ყველა ნაცადი სცადა სხვადასხვა ეპოქაში, მრავალი სავაჭრო რეგლამენტისა და შეზღუდვის საშუალებით, განეხორციელებინათ განსაზღვრულ ზომამდე ეს პროპორციულობის კანონი, მაგრამ ადამიანის ბუნების თანდაყოლილმა ეგოიზმმა აიძულა ისინი, დაემხოთ მთელი ეს რეგლამენტაციის რეჟიმი. გაპროპორციებული წარმოება (proportionate production) წარმოადგენს სოციალ-ეკონომიური მეცნიერების სრული ჭეშმარიტების განხორციელებას“ (W. Atkinson, „Principles of Political Economy“, London 1840, გვ. 170—195).

Fuit Troja! ეს ჭეშმარიტი პროპორცია მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, რომელიც კვლავ საგანია ესოდენ მრავალ წადილთა, უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს. იგი სიძველეთა რიცხვში მოექცა. იგი მარტოოდენ იმ ეპოქებში იყო შესაძლებელი, როდესაც წარმოების საშუალებები შეზღუდული იყო, როდესაც გაცვლა-გამოცვლა ძალიან ვიწრო ფარგლებში სწარმოებდა. მსხვილი მრეწველობის წარმოშობისთანავე ეს ჭეშმარიტი პროპორცია უნდა მოსპობილიყო, და წარმოება აუცილებლობის გზით იძულებულია განვლოს ხოლმე მუდმივი თანმიმდევრობით მდგომარეობა აყვავებისა, დეპრესიისა, კრიზისისა, შეფერხებისა, ახალი აყვავებისა და ასე შემდგომ განმეორებით.

ისინი, რომელთაც, როგორც სისმონდის, სურთ წარმოების სწორ პროპორციულობას დაუბრუნდნენ და ამასთან ერთად თანამედროვე საზოგადოების საფუძველი შეინარჩუნონ, რეაქციონერები არიან, ვინაიდან მათ, თუ თანმიმდევრობას გამოიჩენენ, წარსული დროის მრეწველობის ყველა სხვა პირობის აღდგენაც უნდა სურდეთ.

რა აჩერებდა მრეწველობას სწორს ან დაახლოებით სწორს პროპორციაში? მოთხოვნა, რომელიც ბატონობდა

მიწოდებაზე და მას წინ უძღოდა. წარმოება კვალდაკვალ მიჰყვებოდა მოხმარებას. მსხვილ მრეწველობას, რომელიც თვით თავისი საწარმოო იარაღების გამო იძულებულია ფართო მასშტაბით აწარმოოს, არ შეუძლია მოთხოვნას ელოდოს. წარმოება წინ უძღვის მოხმარებას, მიწოდება მოთხოვნას იწვევს ძალაუნებურად.

დღევანდელ საზოგადოებაში, ინდივიდუალურ გაცვლა-გამოცვლაზე დამყარებულ მრეწველობაში, წარმოების ანარქია, რომელიც ამდენი უბედურობის წყაროა, იმავე დროს წყაროა ყოველი პროგრესისაც.

ამგვარად, ორში ერთი:

ან თქვენ გსურთ წარსულ საუკუნეთა სწორი პროპორციულობა თანამედროვე საწარმოო საშუალებებთან ერთად, და ამ შემთხვევაში თქვენ ხართ ერთსა და იმავე დროს რეაქციონერი და უტოპისტი.

ანდა თქვენ გსურთ პროგრესი უანარქიოდ: ამ შემთხვევაში თქვენ, საწარმოო ძალთა შესანარჩუნებლად, ხელი უნდა აიღოთ ინდივიდუალურ გაცვლა-გამოცვლაზე.

ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლა შესათავსებელია მხოლოდ წვრილ მრეწველობასთან მისი დამახასიათებელი „სწორი პროპორციულობითურთ“, ანდა — მსხვილ მრეწველობასთან მთელი მისი თანმყოლი სიღატაკითა და ანარქიითურთ.

ყველა ჩვენ მიერ ნათქვამის შემდეგ ცხადია, რომ ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროთი, ე. ი. ფორმულა, რომელსაც ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი მერმისის განმაახლებელ ფორმულად წარმოგვიდგენს, მარტოოდენ მეცნიერული გამოხატულებაა ახლანდელი საზოგადოების ეკონომიურ ურთიერთობათა, როგორც ეს დიდი ხნით ადრე ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ა მ დ ე ნათლად და გარკვევით დაამტკიცა რ ი კ ა რ დ ო მ.

მაგრამ ამ ფორმულის „თანასწორობითი“ გამოყენება მაინც ეკუთვნის კი ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს? პირველად მან მოისაზრა კი საზოგადოების გარდაქმნა ყველა ადამიანთა უშუალო მუშებად გარდაქმნის გზით, რომელნიც შრომის თანასწორ რაოდენობათა გაცვლა-გამოცვლ[illegible]ბენ? აქვს კი მას უფლება უსაყვედუროს კომუნისტებს, — პოლიტიკურ ეკონომიაში ამ ყოველ ცოდნას მოკლებულ ადამიანებს, ამ „დაჟინებით სულელებს“, ამ „სამოთხის მეოცნებეებს“, — უსაყვედუროს, რომ მათ, მასზე უწინ, ვერ იპოვეს ეს „პროლეტარიატის პრობლემის ახსნა“?

ვინც ცოტად მაინც გაცნობილია პოლიტიკური ეკონომიის განვითარებას ინგლისში, არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ამ ქვეყნის თითქმის ყველა სოციალისტს სხვადასხვა დროს, გამოჰქონდა ეს გათანასწორებითი დასკვნა რ ი კ ა რ დ ო ს თეორიიდან. ჩვენ შეგვეძლო ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს თ ვ ი ს დაგვესახელებია ჰ ო პ კ ი ნ ს ი ს (Hopkins) „პოლიტიკური ეკონომია“, 1822 წ.[1]; უილიამ ტ ო მ პ ს ო ნ ი ს (William Thompson) „An Inquiry into the Principles of the distribution of wealth, most conductive to human happiness“, 1824 წ.[2]; ტ. რ. ე დ მ ო ნ დ ს ი ს (T. R. Edmonds) „Practical, moral and political Economy“, 1828 წ., და სხვ. და სხვ. და კიდევ ოთხი გვერდი „სხვ. და სხვ“. ჩვენ დავკმაყოფილდებით ვალაპარაკოთ ერთი ინგლისელი კ ო მ უ ნ ი ს ტ ი, ბ-ნი ბ რ ე ი (Bray). ჩვენ ამოვწერთ რამდენსამე ძირითადი მნიშვნელობის ადგილს მისი შესანიშნავი თხზულებიდან: „Labour's wrongs and Labour's remedy“, Leeds 1839 წ., და მასზე ჩვენ საკმაოდ

[1] მ ა რ ქ ს ს მხედველობაში უნდა ჰქონდეს თომას ჰ ო პ კ ი ნ ს ი ს შემდეგი წიგნი: „Economical inquiries relative to the laws, which regulate rent, profit, wages and the value of money“, ლონდონი 1822 წ. — შ ე ნ ი შ. რ უ ს. გ ა მ ო ც.

[2] დედანში აღნიშნულია 1827 წ. — ცხადია, ბეჭდვის შეცდომაა. კ ა უ ტ ს კ ი.

დიდ ხანს შევჩერდებით, იმიტომ, ჯერ ერთი, რომ ბ-ნი ბრეი ჯერ კიდევ ნაკლებად არის ცნობილი საფრანგეთში, და მეორეც—იმიტომ, რომ ჩვენ გვგონია, მის წიგნში ვიპოვეთ მასალები ბ-ნი პრუდონის უწინდელ, ამჟამინდელ და სამერმისო თხზულებათა.

„ძირითადი პრინციპების გაშუქება არის ერთადერთი საშუალება ჭეშმარიტების მისაღწევად. მივიდეთ სასწრაფოდ იმ წყაროსთან, საიდანაც მთავრობანი გამომდინარეობენ. და თუ ჩვენ ასე საგნის დასაბამთან მივალთ, ვნახავთ, რომ მთავრობის ყოველი ფორმა, რომ ყოველი სოციალური და პოლიტიკური უსამართლობა გამომდინარეობს ამჟამად გაბატონებული სოციალური სისტემიდან,—საკუთრების დაწესებულებიდან, როგორც იგი ამჟამად არსებობს (the institution o property as it at present exists) და რომ ამიტომ, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს დღევანდელი უსამართლობა და სილატაკე, საჭიროა თანამედროვე საზოგადოების წყობილება დაიმხოს ძირიანად... როდესაც ეკონომისტებს მათსავე ნიადაგზე და მათივე იარაღით შევუტევთ, ჩვენ მათ წავართმევთ გამნაწილებელთა და დოქტრინერთა შესახებ ყმედობის საბაბს, რასაც ისინი ყოველთვის მზად არიან მოჰყვნენ. თუ ისინი არ უარჰყოფენ ან ხელს არ აიღებენ აღიარებულ ჭეშმარიტებებსა და პრინციპებზე, რომლებზედაც თვითონ აფუძნებენ თავიანთ არგუმენტებს, იმათ არ შეეძლებათ უარჰყონ დასკვნები, რომლებსაც ჩვენ ვაღწევთ ამ მეთოდების საშუალებით (ბრეი, გვ. 17 და 41). მხოლოდ შრომაა ღირებულების შემქმნელი (it is labour alone which bestows value)... ყოველ ადამიანს აქვს უცილობელი უფლება ყველაფერზე, რაც მის პატიოსნურ შრომას მისთვის მოუპოვებია. ამიტომ, თუ იგი მიითვისებს თავისი შრომის ნაყოფს, ამით არ ჩაიდენს

არავითარ უსამართლობას სხვა ადამიანთა მიმართ, ვინაიდან არაფრით არ არღვევს ასევე მოქმედების სხვის უფლებას... ყველა ცნება უმაღლესი და უდაბლესი მდგომდგომარეობისა, ბატონის და ყმისა, იქიდან [illegible] წარმომდგარი, რომ ძირითადი პრინციპები [illegible] გარეშე იქნა დატოვებული და რომ ამის შედეგად ქონების უთანასწორობა დამყარდა (and to the consequent rise of inequality of possessions). სანამ ეს უთანასწორობა შენარჩუნებული იქნება, შეუძლებელია ეს ცნებები აღმოიფხვრას ანდა ის დაწესებულებანი დაიმხონ, რომელნიც მათზე არიან დაფუძნებული. ბევრს დღემდე კიდევ ასულდგმულებს ფუჭი იმედი ახლანდელი ბუნების საწინააღმდეგო წყობილების გაუმჯობესებისა არსებული უთანასწორობის მოსპობის გზით და მასთან უთანასწორობის მიზეზის ხელუხლებლად დატოვებით; მაგრამ ჩვენ მალე დავამტკიცებთ, რომ მთავრობა არის არა მიზეზი, არამედ — შედეგი, რომ იგი კი არ ჰქმნის, არამედ თვით არის შექმნილი, — რომ, ერთის სიტყვით, იგი შედეგი არის ქონების უთანასწორობის (the offspring of inequality of possessions) და რომ ქონების უთანასწორობა განუყრელად დაკავშირებულია დღევანდელ საზოგადოებრივ სისტემასთან (ბრეი, გვ. 33, 36 და 37).

„თანასწორობის სისტემის სასარგებლოდ ლაპარაკობს არა მარტო მისი დიდი უპირატესობა, არამედ — უდიდესი სამართლიანობაც... თითოეული ადამიანი წარმოადგენს რგოლს და ამასთან აუცილებელ რგოლს მოქმედებათა იმ ჯაჭვში, რომელიც თავის გამოსავალ წერტილს იღებს იდეისგან, რათა მიაღწიოს, — შეიძლება, — ერთი ნაჭერი მაუდის წარმოებას. ამგვარად, იმ გარემოებიდან, რომ ადამიანებს ერთნაირი მისწრაფება არა აქვთ სხვადასხვა პროფესიისადმი, არ უნდა დავასკვნათ, რომ ერთის

შრომა უკეთ უნდა დაჯილდოვდეს, ვიდრე მეორესი. გამომგონებელი ყოველთვის მიიღებს, სამართლიან ფულად გასამრჯელოს გარდა, ხარკად ჩვენს აღფრთოვანებას, რომლის ჩვენგან მოპოება მხოლოდ გენიოსს შეუძლია...

„შრომისა და გაცვლა-გამოცვლის თვით ბრეის, თანახმად, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყველა გამცვლელთ ჰქონდეთ სარგებლობა არა თუ საურთიერთო, არამედ — თანასწორიც (all exhangers should be not only mutually, but they should likewise be equally benefitted). მხოლოდ ორი რამის გაცვლა შეუძლიათ ადამიანებს ერთმანეთს შორის, სახელდობრ: შრომისა და შრომის ნაწარმოების. გაცვლა-გამოცვლა რომ სამართლიანი სისტემის თანახმად სწარმოებდეს, ყველა საგანთა ღირებულება მათი წარმოების სრული ხარჯებით იქნებოდა განსაზღვრული და თანასწორი ღირებულებანი ყოველთვის თანასწორ ღირებულებაზე გაიცვლებოდენ (if a just system of exchanges were acted upon, the value of all articles would be determined by the entire cost of production, and equal values should always exchange for equal values). თუ, მაგალითად, მექუდე ქუდის დამზადებას ერთ დღეს ანდომებს და მეწაღეც — იმდენსავე დროს ერთი წყვილი ფეხსაცმელის დამზადებას (ვგულისხმობ, რომ მათ მიერ გამოყენებული ნედლი მასალა თანასწორი ღირებულებისაა) და ისინი ერთმანეთს უცვლიან ამ საგნებს, — სარგებლობა, რომელსაც ისინი აქედან მიიღებენ, არის ერთსა და იმავე დროს საურთიერთო და თანასწორი. სარგებლობა, რომელიც აქედან გამომდინარეობს ერთი მხარისთვის, არ შეიძლება იყოს საზარალო მეორე მხარისთვის, ვინაიდან ორივემ თანასწორი რაოდენობის შრომა გასწიეს და მათ მიერ გამოყენებული ნედლი მასალაც თანასწორი

ღირებულებისა იყო. მაგრამ თუ მექუდემ, იმავე ნაგულისხმევ პირობებში, ორი წყვილი წაღა მი[illegible] ერთ ქუდში,—ცხადია, გაცვლა უსამართლო ექნება; ამ შემთხვევაში მექუდე ერთი დღის შრომას [illegible] მეწაღეს, და თუ იგი ყველა გაცვლა-გამო[illegible] ასე მოიქცევოდა, იგი ნახევარი წლის შრომაში მეორე პირის მთელი წლის პროდუქტს მიიღებდა. დღემდე ჩვენ ყოველთვის გაცვლა-გამოცვლის ამ უაღრესად უსამართლო სისტემას მივსდევდით: მუშები მუდამ აძლევდენ კაპიტალისტს გაცვლის გზით მთელი წლის შრომას ნახევარი წლის შრომის სანაცვლოდ (The workmen have given the capitalist the labour of a whole year, in exchange for the value of only half a year), — და აქედან, და არა ინდივიდუუმთა ფიზიკურ და გონებრივ ძალთა ვითომ უთანასწორობიდან, წარმოსდგა სიმდიდრისა და ძალა-უფლების უთანასწორობა. გაცვლა-გამოცვლის უთანასწორობამ, ყიდვა-გაყიდვისას ფასთა სხვაობამ მხოლოდ იმ პირობით შეიძლება იარსებოს, რომ კაპიტალისტები მუდამ კაპიტალისტებად და მუშები მუდამ მუშებად რჩებიან, ერთნი — მტარვალთა კლასად და მეორენი -- მონათა კლასად... ამგვარად, ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ კაპიტალისტები და მესაკუთრენი მუშას მის კვირეულ შრომაში აძლევენ მხოლოდ ნაწილს სიმდიდრისას, რომელიც მათ მოიპოვეს მისგან გასული კვირის განმავლობაში, ე. ი. რომ რაღაცასთვის ისინი მას არაფერს აძლევენ (nothing for something)... გარიგება მუშასა და კაპიტალისტს შორის მარტოოდენ კომედიაა; ფაქტიურად იგი უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ უსირცხვილო გაქურდვას, თუმცა — კანონიერს (The whole transaction between the producer and the capitalist is a mere farce: it is, in fact, in thousands of insctances no other than a

bare-faced though l e g a l r o b b e r y). (ბ რ ე ი, გვ. 45, 48, 49 და 50).

„მესარეწის მოგება ყოველთვის დანაკარგი იქნება მუშისთვის, სანამ გაცვლა-გამოცვლა ურთიერთშორის თანასწორი არ გახდება, ხოლო გაცვლა-გამოცვლა არ შეიძლება თანასწორი გახდეს, სანამ საზოგადოება დანაწილებულია კაპიტალისტებად და მწარმოებლებად, და უკანასკნელნი ცხოვრობენ თავიანთი შრომით, მაშინ როდესაც პირველნი ამ შრომის მოგებით სუქდებიან...

„ცხადია, — განაგრძობს ბ-ნი ბ რ ე ი, — რომ მართველობის როგორი ფორმაც უნდა დაამყაროთ თქვენ... როგორც უნდა იქადაქოთ მორალისა და ძმური სიყვარულის სახელით... საურთიერთობა შეუთავსებელია გაცვლა-გამოცვლის უთანასწორობასთან. გაცვლა-გამოცვლის უთანასწორობა, რომელიც ქონების უთანასწორობის წყაროს წარმოადგენს, ფარული მტერია, რომელიც ჩვენ გვნთქავს (No reciprocity can excit, where there are unequal exchanges. Inequality of exchanges, as being the cause of inequality of possessions, is the secret enemy that devours us (ბ რ ე ი, გვ. 51 და 52).

„საზოგადოების მიზნისა და დანიშნულების განხილვა უფლებას მაძლევს დავასკვნა, რომ არა თუ ყველა ადამიანი უნდა შრომობდეს და ამ გზით მოიპოებდეს გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობას, არამედ თანასწორი ღირებულებანი თანასწორ ღირებულებაზე უნდა იცვლებოდენ. კიდევ მეტი: რახან სარგებლობა ერთისა არ უნდა ნიშნავდეს მეორის დანაკარგს, ღირებულება უნდა განისაზღვრებოდეს წარმოების ხარჯებით. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ აწინდელ სოციალურ წყობილებაში კაპიტალისტისა და მდიდარი ადამიანის მოგება ყოველთვის მოასწავებს დანაკარგს მუშისათვის, რომ ამ შედეგს აუცილებლად უნდა ექნეს ადგილი და ღარიბი მდიდრის

ანაბარად იქნეს დარჩენილი მართვაგამგეობის ყოველი ფორმის დროს, სანამ გაცვლა-გამოცვლის უთანასწორობა არსებობს, და რომ გაცვლა-გამოცვლის თანასწორობა მხოლოდ იმ სოციალურ წყობილებას შეუძლია უზრუნველჰყოს, რომელიც სცნობს შრომის მყოფელთაობას... გაცვლა-გამოცვლის თანასწორობა გამოიწვევდა სიმდიდრის თანდათან გადასვლას ახლანდელი კაპიტალისტებისაგან მუშების ხელში (ბრეი, გვ. 54 და 55).

„სანამ გაცვლა-გამოცვლის უთანასწორობის ეს სისტემა ძალაში იქნება, მწარმოებლები ყოველთვის ისევე ღარიბნი, ისევე უვიცნი, ისევე უზომო ჯაფაში იქნებიან, როგორც დღეს არიან, თუნდაც რომ მოსპობილ იქნეს ყველა სახელმწიფო ხარკი და გამოსაღები... მხოლოდ სისტემის მთლიან ცვლილებას, შრომისა და გაცვლა-გამოცვლის თანასწორობის შემოღებას შეუძლია გააუმჯობესოს დღევანდელი მდგომარეობა და უზრუნველჰყოს ადამიანთათვის უფლებების ჭეშმარიტი თანასწორობა... მწარმოებლებმა მხოლოდ ძალღონე უნდა მოიკრიბონ, — მხოლოდ მათ მართებთ მათივე ხსნისათვის ძალღონის მოკრება, — და მათი ჯაჭვი სამუდამოდ დაიმსხვრევა... პოლიტიკური თანასწორობა როგორც მიზანი — შეცდომა არის, იგი შეცდომაა აგრეთვე როგორც საშუალება (As an end, the political equality is there a failure, as a means, also it is there a failure).

„გაცვლა-გამოცვლის თანასწორობისას მოგება ერთისა არ შეიძლება იყოს მეორის დანაკარგი, ვინაიდან გაცვლა-გამოცვლა მაშინ მხოლოდ უბრალო გადატანაა შრომისა და სიმდიდრის, იგი არ მოითხოვს არავითარ მსხვერპლს. ამგვარად, გაცვლა-გამოცვლის თანასწორობაზე დამყარებულ სოციალურ სისტემაში მწარმოებელს შეეძლება სიმდიდრეს მიაღწიოს დაზოგვის საშუალებით; მაგრამ მისი სიმდიდრე იქნება მხოლოდ მისი საკუთარი

შრომის დაგროვილი პროდუქტი. მას შეეძლება თავისი სიმდიდრე გასცვალოს ან სხვას მისცეს; მაგრამ მისთვის შეუძლებელი იქნება დარჩეს მდიდარი რაიმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მას შეეძლება, რომ შრომას თავს დაანებებს. გაცვლა-გამოცვლის თანასწორობის გამო სიმდიდრე დაჰკარგავს, ასე ვთქვათ, თავისთავად განახლებისა და აღდგენის ახლანდელ ძალას: მას აღარ შეეძლება იმ სიცარიელის ამოვსება, რომელსაც გააჩენს მოხმარება, ვინაიდან სიმდიდრე, თუ იგი შრომით ახლად არ შეიქმნება, ერთხელ მოხმარებული, სამუდამოდ დაკარგულია. ის, რასაც ჩვენ დღეს მოგებასა და სარგებელს ვეძახით, თანასწორი გაცვლა-გამოცვლის სისტემაში არ შეიძლება არსებობდეს. მწარმოებელი და ისპირიც, რომელიც განაწილებას ასრულებს, თანასწორს გასამრჯელოს მიიღებენ, და მთელი მათი შრომა იქნება ყოველი წარმოებული და მომხმარებელთან მიტანილი საგნის ღირებულების განმსაზღვრელი...

„გაცვლა-გამოცვლის თანასწორობის პრინციპს ბუნებრივის აუცილებლობით შედეგად უნდა მოჰყვეს საყოველთაო შრომა“ (ბრეი, გვ. 76, 88, 89, 92 და 109).

უკუაგდო რა ეკონომისტების შენიშვნები კომუნიზმის წინააღმდეგ, ბ-ნი ბრეი განაგრძობს ასე:

„თუ, ერთის მხრივ, აუცილებელია ადამიანის ხასიათის შეცვლა, რათა განხორციელდეს ერთობაზე დამყარებული სოციალური სისტემა მისი სრულყოფილი სახით; თუ, მეორეს მხრივ, დღევანდელი წესწყობილება არ წარმოადგენს არც გარემოებას, არც სასურველ შესაძლებლობას ხასიათის ამ ცვლილების მისაღწევად და ადამიანთა მოსამზადებლად უკეთესი მდგომარეობისათვის, რომელიც ჩვენ ყველას გვსურს, — მაშინ, ცხადია, მდგომარეობა, აუცილებლობის გზით, უნდა დარჩეს ისეთი, როგორიც დღეს არის, თუ აღმოჩენილი და გამოყენებული არ

იქნება მომმზადებელი სოციალური წყობილება, — პროცესი, რომელიც როგორც აწინდელ, ისე სამერმისო სისტემას (ერთობის სისტემას) ეკუთვნის, — ერთგვარი გარდამავალი საფეხური, რომელზედაც შეიძლება [illegible]დგეს საზოგადოება ყველა მისი სიჭარბითა [illegible]ბითურთ, რათა შემდეგ დასტოვოს იგი მან, გამდიდრებულმა იმ უნარითა და თვისებებით, რომლებიც საარსებო პირობებს შეადგენს ერთობის სისტემისათვის (ბრეი, გვ. 136).

„მთელი ეს პროცესი მხოლოდ უმარტივესი ფორმის კოოპერაციის მომთხოვნელი იქნებოდა... წარმოების ხარჯები განსაზღვრელი იქნებოდა ყოველ შემთხვევაში პროდუქტის ღირებულებისა და ადგილი ექნებოდა თანასწორ ღირებულებათა გაცვლას თანასწორ ღირებულებაზე. ორი ადამიანისგან, რომელთაგან ერთი მთელ კვირეს იმუშავებდა და მეორე — ნახევარ კვირეს, პირველი მიიღებდა ორმაგ გასამრჯელოს მეორისას; მაგრამ ეს ზედმეტი სასყიდელი არ იქნებოდა პირველისთვის მიცემული მეორის საზარალოდ: უკანასკნელის დანაკარგი არასგზით არ ჩაუვარდებოდა პირველს. ყოველი ადამიანი გასცვლიდა თავის ინდივიდუალურად მიღებულ ხელფასს ამ ხელფასისავე ღირებულების საგნებზე, და, არავითარ შემთხვევაში, ერთი ადამიანის ან ერთი სამრეწველო დარგის მიერ მოპოებული მოგება არ იქნებოდა მეორე ადამიანის ან მეორე სამრეწველო დარგის დანაკარგის შემადგენელი. თითოეული ინდივიდუუმის შრომა იქნებოდა ერთადერთი საზომი მისი მოგების და მისი ზარალისა...

„... საერთო და ადგილობრივი კანტორების (boards of trade) საშუალებით მოხდებოდა განსაზღვრა მოხმარებისთვის საჭირო სხვადასხვა საგანთა რაოდენობისა და ყოველი საგნის შეფარდებითი ღირებულებისა სხვა საგნებთან შედარებით (შრომის სხვადასხვა დარგებში

საჭირო მუშების რიცხვისა), ერთის სიტყვით — ყველაფრის, რაც შეეხება საზოგადოებრივ წარმოებისა და განაწილებას. ეს ოპერაციები მთელი ერისათვის შესრულდებოდა ისე მოკლე დროში და ისეთის სიმარტივით, როგორც დღევანდელ წყობილებაში ესენი სრულდება კერძო საზოგადოების მიერ... ინდივიდუუმები დაჯგუფდებოდნენ ოჯახებად, ოჯახები — თემებად, როგორც ეს აწინდელ რეჟიმში არის... მოსახლეობის სოფლად და ქალაქად განაწილებაც კი, რაგინდ საზიანო იყოს იგი, არ იქნებოდა უცებ მოსპობილი. ამ ასოციაციაში თითოეული ინდივიდუუმი ახლანდელსავით თავისუფალი იქნებოდა დაეგროვებია ქონება თავისი სურვილისამებრ და დაგროვილი მოეხმარნა თავისი შეხედულებისამებრ... ჩვენი საზოგადოება იქნებოდა, ასე ვთქვათ, ერთი დიდი სააქციო საზოგადოება, შედგენილი უამრავ წვრილ სააქციო საზოგადოებათაგან, რომელნიც — ყველანი — მუშაობენ, აწარმოებენ და თავიანთ პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლას ეწევიან სრული თანასწორობის საფუძველზე... სააქციო საზოგადოებათა ჩვენი ახალი სისტემა, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ დათმობას დღევანდელი საზოგადოების მიმართ კომუნიზმისკენ მიმავალ გზაზე და რომელიც იმგვარადაა დაწესებული, რომ შესაძლებელს ხდის პროდუქტთა ინდივიდუალური საკუთრების თანაარსებობას საწარმოო ძალთა საზოგადოებრივ საკუთრებასთან, თითოეული ინდივიდუუმის ბედს ხდის დამოკიდებულად მის საკუთარ მოქმედებაზე და მას თანასწორ წილს აკუთვნებს ყველა იმ სარგებლობაში, რომელიც მოიცემა ბუნებითა და ტეხნიკის განვითარებით. ამიტომ ასეთი სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებული საზოგადოების მიმართაც და მით ეს საზოგადოება მომზადდეს შემდგომი ცვლილებებისათვის“. (ბრეი, გვ. 158, 160, 162, 168, 194 და 199).

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გვაქვს სათქმელი საპასუხოდ ბ-ნი ბ რ ე ი ს ა, რომელიც, ჩვენგან დამოუკიდებლივ და ჩვენი სურვილის წინააღმდეგ, შეენაცვლა ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბ-ნი ბ რ ე ი, სრულიად ამ აზრს დაშორებული,—კაცობრიობის უკანასკნელ სიტყვას ვამბობთ, იძლევა მარტოოდენ წინადადებას ღონისძიებათა, რომელნიც მას მიაჩნია გამოსადეგად გარდამავალი ეპოქისათვის დღევანდელ საზოგადოებასა და კომუნისტურ სისტემას შორის.

პეტრეს ერთი საათის შრომა იცვლება პავლეს ერთი საათის შრომაზე. აი, ეს არის ბ-ნი ბ რ ე ი ს ძირითადი აქსიომა.

წარმოვიდგინოთ, რომ პეტრეს წინაა თორმეტი საათის ნამუშევარი და პავლეს წინ — მხოლოდ ექვსის: მაშინ პეტრეს პავლესთან მხოლოდ ექვსის ექვსზე გაცვლა შეუძლია. მაშასადამე, პეტრეს დარჩება ნაშთად ექვსი საათის შრომა. რა უნდა უყოს მან ამ ექვსი საათის შრომას?

ან სრულიად არაფერი, და მაშინ მისმა ექვსი საათის შრომამ ფუჭად ჩაიარა; ან ის არაფერს გააკეთებს ექვსი საათის განმავლობაში, რათა წონასწორობაში ჩადგეს, ანდა, და ეს უკანასკნელი გამოსავალია მისთვის, იგი პავლესვე მისცემს დამატებით ამ ექვს საათს, რომელიც მას ზედმეტად აქვს.

ამგვარად, რაღა მოიგო, ბოლოს და ბოლოს, პეტრემ პავლესთან შედარებით? შრომის საათები? არა. მან მოიგო მხოლოდ დასვენების საათები,—იგი იძულებული იქნება უქმად იყოს ექვსი საათის განმავლობაში. და რათა უქმად ყოფნის ამ ახალ უფლებას არა თუ სცნობდეს ახალი საზოგადოება, არამედ კიდეც აფასებდეს, ამისთვის საჭიროა, რომ ეს ახალი საზოგადოება სიზარმაცეში ჰპოვებდეს თავის უდიდეს კეთილდღეობას და შრომას სთვლიდეს მძიმე ჯაჭვად, რომლისგანაც უნდა გაინთავისუფლოს

თავი, რა ფასადაც უნდა დაუჯდეს ეს. და, გარდა ამისა, — რათა ჩვენს მაგალითს დავუბრუნდეთ, — რეალური მოგება ნეტა მაინც იყოს ეს უქმად ყოფნის საათები, რომელიც პეტრემ მოიგო პავლესთან შედარებით! მაგრამ არა, პავლე, რომელიც იმით იწყებს, რომ ექვს საათს მუშაობს, რეგულიარული და განწესრიგებული შრომით აღწევს იმ შედეგს, რასაც პეტრე მხოლოდ იმ გზით აღწევს, რომ ზომაზე მეტად მუშაობას იწყებს. ყველა მოინდომებს პავლედ ყოფნას, შეიქნება პავლეს ადგილის მოსაპოვებლად კონკურენცია, სიზარმაცის კონკურენცია.

და, ამგვარად, რა მოგვეტანა შრომის თანასწორ რაოდენობათა გაცვლა-გამოცვლამ? ჭარბი წარმოება, ფასდაცემა, მოჭარბებული მუშაობა, რომელსაც ახლავს უმუშევრად ყოფნა, ერთის სიტყვით, — ყველა ის ეკონომიური ურთიერთობანი, რომელთაც, შრომის კონკურენციის გამოკლებით, ჩვენ ვხედავთ ფაქტად თანამედროვე საზოგადოებაში.

მაგრამ არა, — ჩვენ ვსცდებით. არის კიდევ ერთი საშუალება ახალი საზოგადოების, პეტრესა და პავლეს საზოგადოების, ხსნისათვის. პეტრე თვითონ შესჭამს იმ ექვსი საათის შრომის პროდუქტს, რომელიც მას რჩება. მაგრამ იმ მომენტიდან, როდესაც პეტრეს შეუძლია აწარმოოს და იმავე დროს გაცვლას არ მიმართოს, მისთვის წარმოებაც აღარაა საჭირო იმ მიზნით, რომ გასცვალოს, და ამით კი ირღვევა მთელი ჰიპოთეზი საზოგადოებისა, რომელიც გაცვლა-გამოცვლასა და შრომის დანაწილებაზეა დაფუძნებული. გაცვლა-გამოცვლის თანასწორობის ხსნა ხერხდება მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის არსებობის მოსპობით: როდესაც პავლე და პეტრე რობინზონის მდგომარეობას დაუბრუნდებიან.

ამგვარად, თუ ვიგულისხმებთ, რომ საზოგადოების ყველა წევრნი უშუალო მშრომელები არიან, სამუშაო

საათების თანასწორ რაოდენობათა გაცვლა-გამოცვლა მხოლოდ იმ პირობით არის შესაძლებელი, რომ წინდაწინვე შეთანხმება იქნება დადებული საათების რიცხვის შესახებ, რომელიც უნდა მოხმარდეს ნივთიერ წარმოებას, მაგრამ ასეთი შეთანხმება ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლის უარყოფაა.

ბიბლიოთეკა

ჩვენ კვლავ იმავე დასკვნას მივაღწევთ, თუ გამოსავალ წერტილად ავიღებთ არა დამზადებულ პროდუქტთა განაწილებას, არამედ—წარმოების აქტს. მსხვილ მრეწველობაში პეტრე არაა თავისუფალი თვითონ განსაზღვროს თავისი სამუშაო დრო, ვინაიდან მარტო პეტრეს შრომა არას წარმოადგენს ყველა პეტრეთა და პავლეთა დაუხმარებლად, რომელნიც სახელოსნოში არიან თავმოყრილი. ამით აიხსნება ინგლისელ ფაბრიკანტთა უჯიათი წინააღმდეგობა *ათი საათის ბილის* მიმართ. იმათ ძალიან კარგად იცოდენ, რომ ქალებისა და ბავშვებისთვის ორი საათით შრომის შემცირებას უნდა გამოეწვია აგრეთვე სამუშაო დროის შემცირება მოზრდილებისთვისაც. თვით ბუნება მსხვილი მრეწველობისა მოითხოვს თანასწორ სამუშაო დროს ყველასთვის. რაც დღეს შედეგია კაპიტალისა და მუშებს შორის კონკურენციის, ის ხვალ, თუ შრომისა და კაპიტალის ურთიერთობას მოვსპობთ, შედეგი იქნება შეთანხმების, რომელიც საწარმოო ძალთა ჯამის არსებულ მოთხოვნილებათა ჯამთან შეფარდებაზე იქნება დამყარებული.

მაგრამ ასეთი შეთანხმება სასიკვდილო განაჩენს მოასწავებს ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლისთვის, და, აი, ჩვენ კვლავ მივადექით ჩვენს პირველ შედეგს.

პრინციპიალურის თვალსაზრისით, არსებობს არა პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლა, არამედ გაცვლა-გამოცვლა წარმოებაში მონაწილე შრომათა. საწარმოო ძალთა გაცვლა-გამოცვლის წესზე არის დამოკიდებული პროდუქტთა

გაცვლა-გამოცვლის წესი. საზოგადოდ პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლის ფორმა შეესაბამება წარმოების ფორმას. შესცვალეთ ეს უკანასკნელი, და — ამას შედეგად მოჰყვება პირველის ცვლილებაც. ამიტომაც საზოგადოების ისტორიაში ჩვენ ვხედავთ, რომ პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლის წესი მათი წარმოების წესით განისაზღვრება. ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლაც წარმოების განსაზღვრულ წესს შეესაბამება, რომელიც, თავის მხრივ, კლასთა ანტაგონიზმს შეესაბამება. ამგვარად, კლასთა ანტაგონიზმს გარეშე არ არსებობს ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლა.

მაგრამ პატიოსანი კაცის სინდისი უარს ამბობს აღიაროს ეს ცხადი ფაქტი. ვიდრე ადამიანი ბურჟუად რჩება, მას არ შეუძლია ამ ანტაგონიზმზე დამყარებულ ურთიერთობაში არ დაინახოს ჰარმონიისა და მარადიული სამართლიანობის მდგომარეობა, რომელიც ნებას არავის აძლევს წინ წაიწიოს სხვის საზარალოდ. ბურჟუას აზრით, ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლა შეიძლება არსებობდეს კლასთა უანტაგონიზმოდ: მისთვის ეს ორი მოვლენა სრულიად ერთი მეორისგან განცალკევებულია. ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლა, რომელიც ბურჟუას აქვს წარმოდგენილი, სრულიად არ ჰგავს იმ ინდივიდუალურ გაცვლა-გამოცვლას, რომელსაც სინამდვილეში აქვს ადგილი.

ბ-ნი *ბრეი* პატიოსანი ბურჟუას *ილუზიას* სახავს *იდეალად*, რომლის განხორციელება მას სწადია. იმის გამო, რომ მან გასწმინდა ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლა, მოაშორა მას ყველა ის ანტაგონისტური ელემენტი, რომელიც მასში ჰპოვა, მას ჰგონია, — იპოვა ის „*თანასწორობითი*“ დამოკიდებულება, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს საზოგადოებაში.

ბ-ნ *ბრეის* აზრად არ მოსდის, რომ ის თანასწორობითი დამოკიდებულება, ის *გამაუმჯობესებელი*

იდეალი, რომლის ქვეყნად მოვლინება მას სურს, თვით არის მარტოოდენ ანარეკლი თანამედროვე საზოგადოებისა და რომ, ამიტომ, სრულიად შეუძლებელია საზოგადოების რეკონსტრუქცია ისეთ საფუძველზე, რომელიც ამ საზოგადოების შელამაზებულ ჩრდილს წარმოადგენს მხოლოდ. რამდენადაც ეს ჩრდილი კვლავ სხეულად იქცევა, იმდენადვე ამ სხეულს ემჩნევა, რომ, ნაოცნებარი გარდაქმნილობის ნაცვლად, იგი არის ახლანდელი სხეული საზოგადოებისა[1].

## § III. ღირებულების პროპორციულობის კანონის გამოყენება

### A. ფული

„ოქრო და ვერცხლი პირველი საქონელია, რომლის ღირებულებამ მიაღწია თავის ჩამოყალიბებას“.

ამგვარად, ოქრო და ვერცხლი ყოფილა პირველი გამოყენება ბ-ნი პრუდონის მიერ „ჩამოყალიბებული ღირებულებისა. და რადგანაც ბ-ნი პრუდონი პროდუქტთა ღირებულებას იმით აყალიბებს, რომ მას პროდუქტებში

[1] როგორც ყველა სხვა თეორიამ, ბ-ნი ბრეის თეორიამაც იპოვა მომხრეები, რომლებიც გარეგნობით მოსტყუვდენ. ლონდონში, შეფილდში, ლიდსში და ინგლისის ბევრ სხვა ქალაქში დაარსებულ იქნა equitable labour-exchange-bazars [ბაზრები შრომის პროდუქტთა სამართლიანი გაცვლა-გამოცვლისათვის]. ეს ბაზრები, რომლებმაც თვალსაჩინო კაპიტალები შთანთქა, ყველა სამარცხვინოდ გაკოტრდა. ამის შემდეგ მათ მიმართ ხალისი სამუდამოდ გაჰქრა: avis [გაფრთხილება] ბ-ნ პრუდონს!—(ცნობილია, რომ ბ-ნმა პრუდონმა ამ გაფრთხილებით არ ისარგებლა. 1849 წელს თვითონ მან სცადა გაცვლა-გამოცვლის ახალი ბანკის დაარსება პარიზში. მაგრამ ბანკი დაიმხო უკვე მანამდე, ვიდრე იგი წესიერად მოქმედებას დაიწყებდა. პრუდონის სამართალში მიცემამ დაჩრდილა ეს კრახი. — ფრ. ენგელსი).

განხორციელებული შრომის შედარებითი რაოდენობით განსაზღვრავს, მას მხოლოდღა ის უნდა დაემტკიცებია, რომ ოქროსა და ვერცხლის ღირებულების *ცვალებადობის* ახსნას მუდამ მათ საწარმოებლად საჭირო სამუშაო დროის ცვალებადობა იძლევა. ბ-ნი *პრუდონი* ამაზე არც ფიქრობს. იგი ლაპარაკობს ოქროსა და ვერცხლზე არა როგორც საქონელზე, არამედ — როგორც ფულზე.

მთელი მისი ლოგიკა, თუ იქ რაიმე ლოგიკა არის, იმის მოხერხებას ემსახურება, რომ ოქრო-ვერცხლის თვისება *ფულის* როლის გაწევისა მიაკუთვნოს ყველა საქონელთ, რომელთა ღირებულება სამუშაო დროის საზომით გაიზომება. უეჭველია, ეს მოხერხება მოწმობს უფრო გულუბრყვილობას, ვიდრე ეშმაკობას.

ესა თუ ის სასარგებლო საგანი, რომლის ღირებულება მისი წარმოებისთვის აუცილებელი სამუშაო დროით შეფასდება, ყოველთვის მისაღებია გაცვლა-გამოცვლაში. ამის დამამტკიცებელია — გაიძახის ბ-ნი *პრუდონი* — ოქრო და ვერცხლი, რომლებიც ჩემ მიერ ნასურვებ „გაცვლის უნარიანობის“ მდგომარეობაში იმყოფებაო. ამ რიგად, ოქრო და ვერცხლი წარმოადგენს ჩამოყალიბებული სახის ღირებულებას, წარმოადგენს ბ-ნი *პრუდონის* იდეის განხორციელებას. სწორედ რომ ბედი სწყალობს ბ-ნ *პრუდონს* მისი მაგალითის არჩევაში. ოქრო-ვერცხლს, გარდა იმ თვისებისა, რომ წარმოადგენს საქონელს, რომელიც, ყველა სხვა საქონლის მსგავსად, სამუშაო დროით შეფასდება, კიდევ ის თვისებაც აქვს, რომ გაცვლა-გამოცვლის საყოველთაო საშუალებას, ფულს, შეადგენს. ამიტომ, თუ ოქრო-ვერცხლს სამუშაო დროით „*ჩამოყალიბებული ღირებულების*“ გამოყენებად მივიჩნევთ, იმის დამტკიცებაზე ადვილი აღარა არის რა, რომ ყოველი საქონელი, რომლის ღირებულება სამუშაო დროით

იქნება ჩამოყალიბებული, იქნება გაცვლის უნარის მქონე; იქნება ფული.

ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს ებადება თავში ეს სრულიად მარტივი კითხვა: რატომ აქვს ოქრო-ვერცხლს „ჩამოყალიბებული ღირებულების“ ტიპად ყოფნის პრივილეგია?

„ჩვეულების მიერ ძვირფას ლითონებისადმი მიკუთვნებული ფუნქცია აღებმიცემობის მოსაშუალეობისა სრულიად პირობითი ფუნქციაა, და ამ როლის შესრულება ისევე საიმედოდ, თუმცა ნაკლებ მოხერხებულად, შეეძლო ყოველ სხვა საქონელსაც: ეკონომისტები სცნობენ ამას და ამისათვის არა ერთსა და ორს მაგალითს ასახელებენ. მაშ რა არის იმის მიზეზი, რომ ლითონებს ყველას მიერ მიკუთვნებული აქვს პრივილეგია ფულად ყოფნისა, და როგორ უნდა აიხსნას ფულის ფუნქციათა ეს თავისებურობა, რომელსაც ანალოგია არა აქვს პოლიტიკურ ეკონომიაში?.. იქნებ შესაძლებელი იყოს აღვადგინოთ ის მ წ კ რ ი ვ ი მოვლენათა, რომელსაც ფული, ეტყობა, გამოეცალა, და, ამგვარად, ეს ფული დავუბრუნოთ ისევ მის ჭეშმარიტ პრინციპს?“

უკვე ამით, რომ კითხვა ასე გამოთქვა, ბ-ნმა პ რ უ დ ო ნ მ ა წინასწარ იგულისხმა ფ უ ლ ი. უპირველეს ყოვლისა, მას უნდა ეკითხა, თუ რატომ მიეცა ადგილი თანამედროვე სახის გაცვლა-გამოცვლაში საცვლელი ღირებულების, ასე ვთქვათ, ინდივიდუალიზაციას გაცვლა-გამოცვლის სპეციალური საშუალების შექმნის გზით. ფული არ არის ნივთი, იგი საზოგადოებრივი ურთიერთობაა. რატომ ფულად წოდებული ურთიერთობა არის წარმოების ურთიერთობა, როგორც ყოველი სხვა ეკონომიური ურთიერთობა, — როგორც შრომის დანაწილება და სხვ.? ბ-ნ პრუდონს რომ თავისთვის ანგარიში მიეცა ამ ურთიერთობის შესახებ, იგი ფულში აღარ დაინახავდა გამონაკლისს, უცნობი ან საპოვნელი მწკრივიდან გამოცალკევებულ წევრს.

იგი, პირიქით, დაინახავდა, რომ ეს ურთიერთობა ერთერთი რგოლია სხვა ეკონომიურ ურთიერთობათა გადაბმულობისა და, როგორც ასეთი, მასთან მჭიდროდ დაკავშირებულია და რომ ეს ურთიერთობა შეესაბამება წარმოების განსაზღვრულ წესს, სწორედ ისე, როგორც შეესაბამება მას ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლა. იგი კი რას სჩადის? იწყებს იმით, რომ თანამედროვე წარმოების წესის ერთობლივობიდან გამოგლეჯს ფულს, რათა შემდეგ აქციოს იგი ოცნებაში წარმოდგენილი, ჯერ კიდევ საპოვნელი მწკრივის პირველ წევრად.

რაკი ერთხელ ვსცანით გაცვლა-გამოცვლის განსაკუთრებული საშუალების აუცილებლობა, ე. ი. ფულის აუცილებლობა, შემდეგ ასახსნელია მხოლოდ ის, თუ რატომ ეს განსაკუთრებული ფუნქცია მიეკუთვნა უპირატესად ოქრო-ვერცხლს, ვიდრე სხვა საქონელს. ეს მეორეხარისხოვანი საკითხია, რომლის ახსნა უნდა ვეძიოთ არა საწარმოო ურთიერთობათა გადაბმულობაში, არამედ — იმ სპეციფიურ შინაგან თვისებებში, რომლებიც ოქრო-ვერცხლს აქვს როგორც ნივთიერებას. და თუ, ამის თანახმად, ეკონომისტები ამ შემთხვევაში „გასცილდენ მათი მეცნიერების ფარგალს, თუ მათ იწყეს ლაპარაკი ფიზიკასა, მექანიკასა, ისტორიასა და სხვაზე", როგორც ამას უსაყვედურებს მათ ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, — მათ მხოლოდ ის გააკეთეს, რაც უნდა გაეკეთებიათ. ეს საკითხი არ ეკუთვნის პოლიტიკური ეკონომიის დარგს.

„ვერც ერთმა ეკონომისტმა, ამბობს ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, ვერ შეამჩნია, ვერც გაიგო ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი იმ უპირატესობის მიკუთვნებისა, რომელიც ძვირფას ლითონთ აქვთ მოპოვებული".

ის ეკონომიური საფუძველი, რომელიც ვერავინ — და სრულიად საპატიო მიზეზის გამო — ვერ შეამჩნია, ვერც

გაიგო, ბ-ნმა პ რ უ დ ო ნ მ ა შეამჩნია, გაიგო და უანდერძა შთამომავლობას.

„ვერავინ შეამჩნია, სახელდობრ, რომ ყველა საქონელთაგან ოქრო და ვერცხლი პირველი საქონელია, რომლის ღირებულებამ თავის ჩამოყალიბებას მიაღწია. პატრიარქალურ პერიოდში ოქრო და ვერცხლი ჯერ კიდევ შეადგენს ვაჭრობის საგანს და მათი გაცვლა-გამოცვლა ზოდის სახით სწარმოებს, მაგრამ მათ ატყვია შესამჩნევი ტენდენცია გაბატონებისადმი და ცხადი საუმჯობესოდ მიჩნეულობა. თ ა ნ დ ა თ ა ნ მათ დაეუფლენ გამგებელნი ქვეყნისა და თავიანთი ბეჭედი დაასვეს: მთავრობის ამ სანქციიდან წარმოიშვა ფული, ე. ი. საქონელი par excellence [უპირატესად], საქონელი, რომელიც, ბაზრის ხშირი შერყევის მიუხედავად, ინარჩუნებს განსაზღვრულ პროპორციულ ღირებულებას და მისაღებია ყოველგვარ გადახდისას... ოქროსა და ვერცხლის განმასხვავებელი ნიშანი, ვიმეორებ, იქიდან წარმოსდგება, რომ, მათი ლითონური თვისებებისა, მათი წარმოების სიძნელისა და განსაკუთრებით სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გამო, ამ ლითონებმა ადრევე მოიპოვა, როგორც საქონელმა, სიმტკიცე და ნამდვილობა".

თქმა: ყველა საქონელთაგან ოქრო-ვერცხლი პირველი საქონელია, რომლის ღირებულებამ ჩამოყალიბებას მიაღწიაო, იმის თქმას ნიშნავს, ყველა ზემოდ აღნიშნულის შემდეგ, რომ ოქრო-ვერცხლი პირველად იქცა ფულად. აი, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს დიდი აღმოჩენა, აი ის ჭეშმარიტება, რომელიც მასზე უწინ ვერავინ აღმოაჩინა.

თუ ამ სიტყვებით ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს იმის თქმა უნდოდა, რომ ოქრო და ვერცხლი ის საქონელია, რომლის საწარმოებლად საჭირო დრო უფრო ადრე იყო ცნობილი, ვიდრე სხვა საქონელთა საწარმოებლად საჭირო დრო, მაშინ ესეც ერთერთი ჰიპოთეზია იმ მრავალთაგან,

რომლებითაც იგი ასე ხალისიანად ასაჩუქრებს თავის მკითხველებს. ჩვენ რომ გვინდოდეს ამ პატრიარქალურ ერუდიციას გავყვეთ, ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს ვაცნობებდით, რომ პირველად პირველი მოთხოვნილების საგნები, როგორიცაა რკინა და სხვ.— საწარმოებლად საჭირო დრო იქნა ცნობილი. საჩუქრად მივართმევთ მას ა დ ა მ ს მ ი ტ ი ს კლასიკურ შვილდ-ისარს.

მაგრამ როგორ შეუძლია, ყველა ამის შემდეგ, ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს იმსჯელოს ღირებულების ჩამოყალიბებაზე, როდესაც ღირებულება მარტოდ-მარტო არასოდეს არ ჩამოყალიბდება? ღირებულება ჩამოყალიბდება არა იმ სამუშაო დროით, რომელიც საჭიროა თავისთავად პროდუქტის წარმოებისათვის, არამედ — შეფარდებით ყველა სხვა პროდუქტთა რაოდენობასთან, რომლების წარმოება შესაძლებელია იმავე დროის განმავლობაში. ამგვარად, ოქროსა და ვერცხლის ღირებულების ჩამოყალიბება გულისხმობს უკვე ჩამოყალიბებულად მრავალ სხვა საგანთა ღირებულებას.

მაშასადამე, საქონელი, ოქრო-ვერცხლის სახით, კი არ იქცა „ჩამოყალიბებულ ღირებულებად“, არამედ ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს „ჩამოყალიბებული ღირებულება“, ოქრო-ვერცხლის სახით, იქცა ფულად.

განვიხილოთ ახლა ის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი, რომლებმაც, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს თანახმად, ოქროსა და ვერცხლს, მათი ღირებულების ჩამოყალიბების გზით, მიაკუთვნა უპირატესად, ვიდრე ყველა სხვა პროდუქტს, ფულის ხარისხი.

ეს ეკონომიური საფუძვლებია: „შესამჩნევი ტენდენცია გაბატონებისადმი“, უკვე „პატრიარქალურ პერიოდში ცხადი საუმჯობესოდ მიჩნეულობა“ და მარტივი ფაქტის მრავალი სხვა თარგმანება, რომელიც ადიდებს სიძნელეს, ვინაიდან ამრავლებს ფაქტს შემთხვევების

გამრავლების გზით, რომლებსაც ბ-ნი პრუდონი აღნიშნავს ფაქტის ახსნისათვის. მაგრამ ბ-ნ პრუდონს ჯერ კიდევ არ ამოუწურავს ყველა ვითომდა ეკონომიური საფუძველი. აი, კიდევ ერთი უდიდესი, უძლეველი ძალის საფუძველი:

ბიბლიოთეკა

„მთავრობის სანქციიდან წარმოიშვის ფული: ქვეყნის გამგებელნი დაეუფლენ ოქროსა და ვერცხლს და დაასვეს თავიანთი ბეჭედი“.

ამგვარად, მეფეთა თვითნებობა შეადგენს ბ-ნი პრუდონისთვის უაღრეს საფუძველს პოლიტიკურ ეკონომიაში!

ჭეშმარიტად, ადამიანი მოკლებული უნდა იყოს ყოველგვარ ისტორიულ ცოდნას, რათა არ იცოდეს, რომ ყველა დროში მეფეები ეკონომიურ პირობებს ემორჩილებოდენ და არასოდეს არ ყოფილა, რომ მათ ამ უკანასკნელთათვის კანონი დაედგინოთ. კანონმდებლობა, როგორც პოლიტიკური ისე სამოქალაქო, მხოლოდ გამოსთქვამს, ოქმში შეიტანს ეკონომიურ ურთიერთობათა სურვილს.

განა მეფე დაეუფლა ოქროსა და ვერცხლს, რათა მათზე ბეჭდის დასმით გაეხადა ისინი გაცვლა-გამოცვლის საყოველთაო საშუალებად, თუ, პირიქით, გაცვლა-გამოცვლის ეს უნივერსალური საშუალება დაეუფლა მეფეს, აიძულა რა იგი მისთვის ბეჭედი დაესვა და პოლიტიკური სანქცია მიეცა?

დამღა, რომელსაც ადებდენ და ადებენ ფულს, არის დამღა არა მისი ღირებულების, არამედ—მისი წონისა. ის სიმტკიცე და ნამდვილობა, რომელზედაც ბ-ნი პრუდონი ლაპარაკობს, მონეტის სინჯს შეეხება მხოლოდ, და ეს სინჯი აღნიშნავს, თუ რამდენ ლითონურ ნივთიერებას შეიცავს მონეტად მოჭრილი ფული. „ვერცხლის ერთი მარკის ერთადერთი შინაგანი ღირებულება,—ამბობს

თავისი ჩვეული გონიერებით ვოლტერი,—არის ღირებულება მარკა ვერცხლის, — ნახევარი ლივრი ვერცხლის წონით რვა უნციისა, მხოლოდ წონა და სინჯი ჰქმნის ამ შინაგან ღირებულებას“ (Voltaire, Sistème de Law). მაგრამ კითხვა: რა ღირებულების ერთი უნცი ოქრო ან ვერცხლი?—მაინც გასარკვევი რჩება. „Grand Colbert“-ის მაღაზიის კაშმირს რომ საფაბრიკო ნიშანი: „წმინდა მატყლი“ ჰქონდეს დასმული, ეს დამღა მაინც არაფერს გვეტყოდა კაშმირის ღირებულების შესახებ. მაინც გასარკვევი დარჩებოდა, თუ რა ღირს მატყლი. „საფრანგეთის მეფემ ფილიპე I-მა,—ამბობს ბ-ნი პრუდონი,— კარლოს დიდის ტურის გირვანქას ერთი მესამედი ლიგატური შეურია: იგი ფიქრობდა, რომ, რახან მონეტის ფაბრიკაციის მონოპოლია ჰქონდა, შეეძლო გაეკეთებია ის, რასაც აკეთებს ყოველი ვაჭარი, რომელსაც პროდუქტის მონოპოლია აქვს. რას წარმოადგენდა ნამდვილად მონეტის ეს გაყალბება, რომელსაც ასე უსაყვედურებენ ფილიპესა და მის მემკვიდრეებს? კომერციული რუტინის თვალსაზრისით — ფრიად სწორს, მაგრამ მეცნიერულის თვალსაზრისით — ფრიად მცდარ მოსაზრებას, სახელდობრ შემდეგს: რომ, რადგან მიწოდება და მოთხოვნაა ღირებულების მომწესრიგებელი, შეიძლება, ხელოვნური იშვიათობის შექმნით ან ფაბრიკაციის მონოპოლიით, გადიდება საგანთა შეფასებისა და, მაშასადამე, ღირებულებისაც, და რომ ეს ისევე სწორია ოქროსა და ვერცხლის მიმართ, როგორც ხორბლისა, ღვინისა, ზეთისა და თამბაქოს მიმართ. მაგრამ როგორც კი ხმა გავარდა ფილიპეს სიყალბის შესახებ, მაშინვე მისი ფულის ღირებულება ნამდვილი ღირებულების დონეზე დავიდა, და ფილიპემ ხელად დაჰკარგა ის, რის მოგებასაც — მოგებას თავის ქვეშევრდომთა ხარჯზე — ფიქრობდა. ასეთივე ბედი ეწია ყველა ანალოგიურ ცდას“.

ჯერ ერთი: მრავალჯერაა დამტკიცებული, რომ მეფე, როდესაც მონეტის გაყალბებას იწყებს, თვითონვე ზარალობს ამით. რასაც იგი ერთხელ იგებს პირველ ემისიაზე, ჰკარგავს იმდენჯერ, რამდენჯერაც გაყალბებული მონეტები მასვე უბრუნდება ხარკებისა და სხვ. სახით. მაგრამ ფილიპე და მისი მემკვიდრეები ახერხებდენ მეტ-ნაკლებ ამ ზარალისგან თავის დაზღვევას, ვინაიდან, როგორც კი გაყალბებულ ფულს მიმოქცევაში შეიტანდენ, მაშინვე ბრძანებას გამოსცემდენ საყოველთაოდ მონეტების გადადნობისა და ძველი ნიმუშის მიხედვით მოჭრის შესახებ.

და შემდეგ: ფილიპეს I-ლს მართლა ბ-ნ პრუდონსავით რომ ემსჯელნა, მისი მსჯელობა კარგი არ იქნებოდა „კომერციული თვალსაზრისით“. ვერც ფილიპე I-ლი და ვერც ბ-ნი პრუდონი ვერ იჩენენ ვაჭრულ უნარს, როდესაც ფიქრობენ, რომ ოქროსი და ყოველი სხვა საქონლის ღირებულების გაყალბება შეიძლება მარტოოდენ იმ საფუძვლით, რომ მათი ღირებულება განისაზღვრება მიწოდების შეფარდებით მოთხოვნასთან.

მეფე ფილიპეს რომ ბრძანება გაეცა, ერთ კოდ პურს ამიერიდან ორი კოდი პური ეწოდებოდესო, — იგი მატყუარა იქნებოდა. იგი მოატყუებდა ყველა რენტიერს, ყველა ადამიანს, რომელსაც ასი კოდი პური ჰქონდა მისაღები. ყველა ეს პირნი, ასი კოდი პურის ნაცვლად მხოლოდ ორმოცდაათს მიიღებდენ. წარმოვიდგინოთ, რომ მეფეს ასი კოდი პური ემართა; იგი ამას მხოლოდ ორმოცდაათით გადაიხდიდა. მაგრამ ვაჭრობაში ასი კოდის ღირებულება არას გზით არ იქნებოდა ორმოცდაათისაზე მეტი. საგანი არ გამოიცვლება სახელის გამოცვლით. პურის რაოდენობა, მიწოდებულის გინა მოთხოვნილის, არ შემცირდება და არც გადიდდება მარტოოდენ სახელის გამოცვლით. რადგან მიწოდების შეფარდება მოთხოვნასთან, სახელის იმ შეცვლის მიუხედავად, უცვლელი დარჩებოდა,

ამიტომ პურის ფასიც არავითარ ცვლილებას არ განიცდიდა. როდესაც ნივთთა მიწოდებასა და მოთხოვნას ამბობენ, ამით ნივთთა სახელის მიწოდებასა და მოთხოვნას კი არ ამბობენ. ფილიპე I-ლი არ ამჭრიდა ოქროს, როგორც ბ-ნი პრუდონი ამბობს, იგი მონეტის სახელს ჰქმნიდა. გამოაცხადეთ ფრანგული კაშმირი აზიურ კაშმირად: შესაძლებელია, ერთი ან ორი მყიდველი მოატყუოთ; მაგრამ როგორც კი გაიგება სიყალბე, მაშინვე თქვენი ვითომდა აზიური კაშმირის ფასი ფრანგული კაშმირის ფასამდე დაეცემა. ოქრო-ვერცხლზე ყალბი დამღით მეფე ფილიპე I-ლს შეეძლო მანამდე მოეღორებია ადამიანები, სანამ მისი სიყალბე არ გაიგებოდა. როგორც ყოველი მედუქნე, იგი საქონლის ყალბი სახელწოდებით ატყუებდა თავის მუშტრებს: ეს შეიძლებოდა მხოლოდ რამდენსამე ხანს გაგრძელებულიყო, ადრე თუ გვიან მას უნდა განეცადა ვაჭრობის კანონების სისასტიკე. განა ამის დამტკიცება სურდა ბ-ნ პრუდონს? არა. მისი აზრით, ფულისთვის ღირებულების მიმცემია მეფე და არა—აღებმიცემობა. და რა დაამტკიცა მან ნამდვილად? ის, რომ აღებმიცემობა მეფეზე უფრო ძლიერია. გასცეს მეფემ ბრძანება: ერთი მარკა ამიერიდან ორი მარკა იყოსო,—აღებმიცემობა მას ყოველთვის იმას ეტყვის, რომ ეს ორი მარკა მხოლოდ წინანდელ ერთ მარკად ღირს.

მაგრამ შრომის რაოდენობით განსაზღვრული ღირებულების საკითხი ყველა ამით ოდნავაც წინ არ წაწეულა. ისევ გასარკვევი რჩება, ეს ორი მარკა, წინანდელ ერთ მარკად ქცეული, საწარმოო ხარჯებით განისაზღვრება, თუ—მიწოდებისა და მოთხოვნის კანონით?

ბ-ნი პრუდონი განაგრძობს: „უნდა შევნიშნოთ აგრეთვე: მონეტის გაყალბების ნაცვლად, მეფეს რომ შესძლებოდა მონეტის რაოდენობის გაორკეცება, ოქრო-ვერცხლის საცვლელი ღირებულება მაშინვე განახევრ-

დებოდა, იმავე პროპორციულობისა და წონასწორობის მიზეზით“.

თუ ეს აზრი, რომელსაც ბ-ნი პრუდონი სხვა ეკონომისტებთან ერთად იზიარებს, მართალია, მაშინ იგი ლაპარაკობს სასარგებლოდ მათი მოძღვრებისა მიწოდების და მოთხოვნის შესახებ და სრულიადაც არა — ბ-ნი პრუდონის პროპორციულობის სასარგებლოდ. ვინაიდან: როგორიც უნდა ყოფილიყო ოქრო-ვერცხლის გაორკეცებულ მასაში განხორციელებული შრომის რაოდენობა, მისი ღირებულება განახევრდებოდა, თუ მოთხოვნა უცვლელი და მიწოდება გაორკეცებული იქნებოდა. ან იქნებ „პროპორციულობის კანონი“ ამხელად შემთხვევით თანაემთხვევა მიწოდებისა და მოთხოვნის ესოდენ პატივაყრილ კანონს? ბ-ნი პრუდონის ეს სწორი პროპორციულობა მართლაც იმდენად ელასტიურია, იმდენი ცვლილების, კომბინაციისა და გადანაცვლების შესაძლებლობას შეიცავს, რომ შეიძლება ერთხელ თანაემთხვიოს მოთხოვნასთან მიწოდების შეფარდებასაც.

იმ როლზე დაყრდნობით, რომელსაც ოქრო და ვერცხლი ასრულებს, „ყოველი საქონლის“ აღიარება „გაცვლისუნარიანად, თუ ფაქტიურად არა, უფლებრივად მაინც“, იმ როლის გაუგებლობას მოასწავებს. ოქრო-ვერცხლი გაცვლისუნარიანია უფლებრივად იმიტომ, რომ გაცვლისუნარიანია ფაქტიურად, და ფაქტიურად გაცვლისუნარიანია იმიტომ, რომ წარმოების ახლანდელი ორგანიზაცია გაცვლა-გამოცვლის საყოველთაო საშუალებას საჭიროებს. უფლება მხოლოდ ფაქტის ოფიციალურ აღიარებას წარმოადგენს.

ჩვენ ვნახეთ, რომ ფულის, როგორც ჩამოყალიბებას მიღწეული ღირებულების გამოსახულების, მაგალითი არჩეულია ბ-ნი პრუდონის მიერ მხოლოდ იმისთვის, რომ კონტრაბანდით გაატაროს თავისი მოძღვრება შესახებ გაცვლისუნარიანობისა, ე. ი. დაამტკიცოს, რომ ყოველი საქო-

ნელი, რომელიც თავისი საწარმოო ხარჯების მიხედვით შეფასდება, ფულად უნდა იქცეს. ყველაფერი ეს კარგი იქნებოდა, ამ უხერხულობას რომ ადგილი არ ჰქონდეს, სახელდობრ: რომ ყველა საქონელთაგან სწორედ ოქრო და ვერცხლია ფულის (ღირებულების ნიშნის) სახით ის ერთადერთი საქონელი, რომელიც საწარმოო ხარჯებით არ განისაზღვრება; და ეს იმდენად სწორეა, რომ მიმოქცევაში მათი შენაცვლება ქაღალდით შეიძლება. ვიდრე დაცულია განსაზღვრული პროპორცია მიმოქცევის მოთხოვნილებასა და გამოცემული ფულის რაოდენობას შორის, — სულერთია, იქნება ფულად ქაღალდი, ოქრო, პლატინა თუ სპილენძი, — მანამდე სრულიად ადგილი არა აქვს საკითხს შესახებ პროპორციის დაცვისა შინაგან ღირებულებასა (წარმოების ხარჯებსა) და მონეტის ნომინალურ ღირებულებას შორის. უეჭველია, საერთაშორისო აღებმიცემობაში მონეტი, როგორც ყოველი სხვა საქონელი, სამუშაო დროით განისაზღვრება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ საერთაშორისო აღებმიცემობაში ოქრო-ვერცხლი გაცვლა-გამოცვლის საშუალებას წარმოადგენს როგორც პროდუქტი და არა — როგორც მონეტა, ე. ი. ოქრო-ვერცხლი ჰკარგავს „სიმტკიცესა და ნამდვილობას“, „მთავრობის სანქციას“, რომელიც, ბ-ნი პრუდონის აზრით, ოქრო-ვერცხლის სპეციფიურ ხასიათს შეადგენს. რიკარდომ ისე კარგად შეიცნო ეს ჭეშმარიტება, რომ მთელი თავისი სისტემის სამუშაო დროით განსაზღვრულ ღირებულებაზე დამყარების შემდეგ და ამის თქმის შემდეგ: „ოქროსა და ვერცხლს, როგორც ყველა სხვა საქონელს, ღირებულება აქვს მხოლოდ იმ შრომის რაოდენობასთან შეფარდებით, რომელიც აუცილებელია მათ საწარმოებლად და ბაზარზე გამოსატანად“, — იგი უმატებს, რომ ფულის ღირებულება არ განისაზღვრება მის ნივთიერებაში განსახიერებული სამუშაო დროით, არამედ — მარტოოდენ მიწოდებისა და მოთხოვნის

კანონით. „თუმცა ქაღალდს არავითარი შინაგანი ღირებულება არა აქვს, მაგრამ, თუ მისი რაოდენობა შეზღუდულია, მისი საცვლელი ღირებულება შესაძლებელია თანასწორი იყოს იმავე სახელწოდების ლითონური მონეტის ანუ ამ მონეტის საზოდო ღირებულებისა, ასევე, იმავე პრინციპის საფუძვლით, ე. ი. იმის გამო, რომ მონეტების რაოდენობა შეზღუდული იქნება, ნაკლებღირებულებიან მონეტას შეუძლია მიმოიქცეოდეს იმავე ღირებულებით, რა ღირებულებისაც იგი იქნებოდა, მისი წონა და შემადგენლობა კანონის მიერ დაწესებულის სწორი რომ ყოფილიყო, და არა — შინაგანი ღირებულებით წმინდა ლითონისა, რომელსაც იგი შეიცავს. ამიტომ ინგლისის ფულის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენს მონეტას ამავე პროპორციით ფასი არასოდეს არ ეკარგებოდა, როგორც ხდებოდა მისი გაყალბება. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ არასოდეს არ ჰქონია ადგილი მონეტის რაოდენობის გადიდებას ღირებულების შემცირების პროპორციულად“ (რიკარდო, l. c.).

რიკარდოს ამ სიტყვების გამო ჟ. ბ. სეი შენიშნავს:

„ეს მაგალითი, მგონია, საკმარისი უნდა იყოს ავტორის დასარწმუნებლად, რომ ყოველი ღირებულების საფუძველს წარმოადგენს არა შრომის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია საქონლის დასამზადებლად, არამედ მისთვის არსებული მოთხოვნილება, მისი იშვიათობის მიხედულობით“.

ამგვარად, ფული, რომელიც, რიკარდოს აზრით, არ წარმოადგენს სამუშაო დროით განსაზღვრულ ღირებულებას და რომელსაც ჟ. ბ. სეი ამიტომ მაგალითად ილებს, რათა დაარწმუნოს რიკარდო, რომ სხვა ღირებულებანიც ასევე არ განისაზღვრებიან სამუშაო დროით, ეს ფული, ვამბობ მე, რომელსაც ჟ. ბ. სეი მხოლოდ

და მხოლოდ მიწოდებითა და მოთხოვნით განსაზღვრული ღირებულების მაგალითად იღებს, ბ-ნ პრუდონისთვის ხდება უაღრეს მაგალითად ღირებულებისა, რომელიც ...სამუშაო დროით ჩამოყალიბებულია.

რათა ამას მოვრჩეთ, შევნიშნავთ, რომ თუ ფული არ წარმოადგენს სამუშაო დროით „ჩამოყალიბებულ ღირებულებას“, მით უფრო ნაკლებ შეიძლება მას ჰქონდეს საერთო რამ ბ-ნი პრუდონის სწორ „პროპორციულობასთან“. ოქრო და ვერცხლი ყოველთვის გაცვლის უნარის მქონეა იმიტომ, რომ აქვს ფუნქცია გაცვლა-გამოცვლის საყოველთაო საშუალებად სამსახურისა, და სრულიადაც არა იმიტომ, რომ მთელი სიმდიდრისადმი პროპორციული რაოდენობით მოიპოვება; ანუ, კიდევ უკეთ რომ გამოვთქვათ, ოქრო და ვერცხლი ყოველთვის პროპორციულია, ვინაიდან ყველა საქონელთაგან მარტო ისინი ასრულებენ ფულის, გაცვლა-გამოცვლის საყოველთაო საშუალების როლს, როგორიც კი უნდა იყოს მათი რაოდენობა მთელ სიმდიდრესთან შეფარდებით. „მიმოქცევაში მყოფი ფული არასოდეს არ შეიძლება იყოს გადაჭარბებული რაოდენობისა, ვინაიდან: თუ თქვენ შეამცირებთ მის ღირებულებას, ამით თქვენ გაადიდებთ იმავე პროპორციით მის რაოდენობას, და თუ გაადიდებთ მის ღირებულებას, — ამით შეამცირებთ მის რაოდენობას“ (რიკარდო).

„რა დომხალია ეს პოლიტიკური ეკონომია!“ — გაიძახის ბ-ნი პრუდონი.

„დაწყევლილი ოქრო!“ — თავგამოწონედ გაიძახის კომუნისტი (ბ-ნი პრუდონის პირით). ასევე შეიძლებოდა ეთქვათ: დაწყევლილი ხორბალი, დაწყევლილი ვაზი, დაწყევლილი ცხვარი! ვინაიდან: „ოქრო - ვერცხლსავით ყოველმა სავაჭრო ღირებულებამაც თავის სრულიად ზედმიწევნით სწორ განსაზღვრას უნდა მიაღწიოს“.

ის იდეა, რომ ცხვარსა და ვაზს მიკუთვნებული ჰქონდეს ფულის თვისება, ახალი არ არის. საფრანგეთში იგი ლ უ ი მე-XIV-ის საუკუნეს ეკუთვნის. ამ ხანაში, როდესაც ფულმა თავისი ყოვლისშემძლებლობის დამყარება იწყო, ძალიან სჩიოდენ ყველა სხვა საქონელთა ფასდაკარგულობაზე და ნატრობდენ იმ მომენტს, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა „ყველა სავაჭრო ღირებულებას" მიეღწია თავისი სრულიად ზედმიწევნით სწორი განსაზღვრისათვის, გამხდარიყო ფული. აი, რას ვკითხულობთ ჩვენ უკვე ბ უ ა გ ი ლ ბ ე რ ი ს, საფრანგეთის ერთ-ერთი უძველესი ეკონომისტის ნაწერში: „მაშინ იმის გამო, რომ წარმოსდგებიან უამრავი მეტოქენი,—თვით საქონელნი, თავიანთ სწორ ღირებულებაში აღდგენილნი, — ფული მის ბუნებრივ ფარგალში იქნება ჩაყენებული" („Économistes financiers du dix-huitième siècle", p. 422, édit. Daire).

ჩვენ ვხედავთ: ბურჟუაზიის პირველი ილუზიები აგრეთვე მისი უკანასკნელი ილუზიებია.

### B. ზრთმის გარდამეტი

„პოლიტიკური ეკონომიის თხზულებებში შემდეგ უაზრო ჰიპოთეზს ვხვდებით: ყ ვ ე ლ ა ს ა გ ა ნ თ ა ფ ა ს ი თ უ გ ა ო რ კ ე ც დ ა ... თითქოს ყველა საგანთა ფასი არ წარმოადგენდეს საგანთა პროპორციას, და შესაძლებელი იყოს პროპორციის, შეფარდების კანონის გაორკეცება!" (პ რ უ დ ო ნ ი, ტ. I, გვ. 81).

ეკონომისტები ჩავარდენ ამ შეცდომაში იმიტომ, რომ არ იცოდენ „პროპორციულობის კანონისა" და „ჩამოყალიბებული ღირებულების" გამოყენება.

საუბედუროდ, თვით ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს თხზულებაში, ტ. I, გვ. 110, ვკითხულობთ ამ უაზრო ჰიპოთეზს, რომ „თუ ხელფასმა საყოველთაოდ აიწია, ყველა საგანთა

ფასი აიწევს“. გარდა ამისა, თუ პოლიტიკური ეკონომიის თხზულებებში ვხვდებით აღნიშნულ ფრაზას, რომ ვპოულობთ მის ახსნასაც. „როდესაც ამბობენ, ყველა საქონელთა ფასი მატულობს ან კლებულობსო, ყოველთვის გამორიცხავენ ამა თუ იმ საქონელს: გამორიცხული საქონელი ჩვეულებრივ არის ფული ან შრომა“ („Encyclopaedia Metropolitana or Universal Dictionary of Knowledge“, vol. IV, სტატია „Political Economy“ *სენიორისა* (Senior), London 1836. შეად. ამ გამოთქმის შესახებ აგრეთვე ჯ. სტ. *მილი* (J. St. Mill): „Essays on some unsettled questions of political economy“, London 1844, და *ტუკი* (Tooke): „An history of prices“ etc., London 1838.

გადავიდეთ ახლა „ჩამოყალიბებული ღირებულების“ *მეორე გამოყენებაზე* და მრავალ სხვა პროპორციულობაზე, რომელთა ერთადერთ ნაკლს ის შეადგენს, რომ მცირედ პროპორციულნი არიან, და ვნახოთ,—ბ-ნ *პრუდონს* აქ უფრო ხომ არ სწყალობს ბედი, ვიდრე *ცხვრების ფულად ქცევის* საქმეში.

„ყველა ეკონომისტის მიერ აქსიომად მიღებულია, რომ ყოველი შრომა გარდამეტს უნდა იძლეოდეს. ეს დებულება ჩემთვის უნივერსალური და აბსოლუტური ჭეშმარიტებაა: იგი დასრულებაა პროპორციულობის კანონისა, რომელიც მთელი ეკონომიური მეცნიერების მოკლე შინაარსად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ,—ბოდიშს ვიხდი ეკონომისტების წინაშე,—მათ პრინციპს, რომ *ყოველი შრომა გარდამეტს უნდა იძლეოდეს*, აზრი არა აქვს მათ თეორიაში და არაფრით არ შეიძლება მისი *დამტკიცება*“ (*პრუდონი*, 1 ed. p. 73).

რათა დაამტკიცოს, რომ ყოველი შრომა გარდამეტს უნდა იძლეოდეს, ბ-ნი *პრუდონი* აპიროვნებს საზოგადოებას; იგი ჰქმნის მისგან *საზოგადოება-პიროვნებას*,—საზოგადოებას, რომელიც სრულიადაც არაა

პიროვნებათა საზოგადოება, ვინაიდან მას თავისი განსაკუთრებული კანონები აქვს, რომელთაც საერთო არა აქვთ რა პიროვნებებთან, რომელთაგანაც საზოგადოება შესდგება, მას აქვს თავისი „საკუთარი [illegible]", რომელიც არის არა ჩვეულებრივი ადამიანის [illegible] გონი, რომელიც მოკლებულია ჩვეულებრივ ადამიანურ აზრს. ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ეკონომისტებს უსაყვედურებს, რომ მათ ვერ გაიგეს ამ კოლექტიური არსების პიროვნება. მის სიტყვებს ჩვენ სიამოვნებით ვუპირისპირებთ შემდეგ წინადადებას ერთი ამერიკელი ეკონომისტისას, რომელიც სულ საწინააღმდეგოს უსაყვედურებს სხვა ეკონომისტებს: „მორალურ პიროვნებას (the moral entity), გრამატიკულ არსს (the grammatical being), საზოგადოებად წოდებულს, მიაწერეს ისეთი თვისებები, რომლებსაც რეალური არსებობა აქვს მხოლოდ იმათ წარმოდგენაში, ვინც სიტყვას ნივთად აქცევენ... ეს, რამ მისცა ადგილი ბევრ სიძნელესა და სამწუხარო შეცდომას პოლიტიკურ ეკონომიაში" (Th. Cooper: „Lectures on the Elements of Political Economy", Columbia 1826).

„ეს შრომის გარდამეტის პრინციპი, განაგრძობს ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, ჭეშმარიტია ინდივიდუუმთა მიმართ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გამომდინარეობს საზოგადოებიდან, რომელიც განავრცობს მათზე თავის საკუთარ კანონთა მადლს".

უნდა ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს ამით მართლდებ ის სთქვას, რომ სოციალური ინდივიდუუმის წარმოება უფრო ნაყოფიერია ვიდრე განმარტოებული ინდივიდუუმისა? ლაპარაკობს ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი იმ გარდამეტზე, რომელიც აღლავს ასოციაციაში გაერთიანებულ ინდივიდუუმთა წარმოებას ასოციაციაში გაუერთიანებელ ინდივიდუუმთა წარმოებასთან შედარებით? თუ ეს ასეა, ჩვენ შეგვიძლია მას დავუსახელოთ ასი ეკონომისტი, რომელთაც

გამოთქმული აქვთ ეს მარტივი ჭეშმარიტება უ[illegible] იმ მისტიციზმით, რომელშიაც ეხვევა ბ-ნი პ რ უ დ ო ნ[illegible]არ, რას ამბობს, მაგალითად, ბ-ნი ს ა დ ლ ე რ ი (Sadler):

„კომბინური შრომა ისეთ შედეგებს [illegible] რომელთა მოცემას ვერასოდეს ვერ შესძლებდა [illegible]ური შრომა. ამიტომ, რაც უფრო გამრავლდება კაცობრიობა რიცხვობრივად, მით უფრო ერთობლივი მრეწველობის პროდუქტები ბევრად გადააჭარბებს ამ გამრავლების საფუძველზე გამონაგარიშებულ უბრალო შეკრების ჯამს... როგორც მექანიკურ მრეწველობაში, ისე მეცნიერების დარგში ერთ ადამიანს შეუძლია ერთ დღეში მეტი გააკეთოს, ვიდრე განმარტოებულ ინდივიდუუმს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. მათემატიკოსების აქსიომა, რომ მთელი მის ნაწილებს ეთანასწორება, მართალი არ არის ჩვენს საგანთან დაკავშირებით. რაც შეეხება შრომას, ადამიანის არსებობის ამ დიად საძირკველს (the great pillar of human existence), შეიძლება ითქვას, რომ შეერთებული ძალღონის პროდუქტი ბევრად აღემატება ყველა იმას, რისი შექმნაც შეუძლია ოდესმე ინდივიდუალურ და განმარტოებულ ძალღონეს“ (Th. Sadler: „The law of population“, London 1830).

დავუბრუნდეთ ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს. შრომის გარდამეტი, ამბობს იგი, პოულობს თავის ახსნას საზოგადოება-პიროვნებაში. ამ პიროვნების სიცოცხლე მიმდინარეობს იმ კანონების საწინააღმდეგო კანონების მიხედვით, რომლებიც ამოქმედებს ადამიანს როგორც ინდივიდუუმს; მას სურს ამის დამტკიცება „ფ ა ქ ტ ე ბ ი თ“.

„ახალი სამეურნეო წესის აღმოჩენა გამომგონს არასოდეს არ აძლევს იმის თანასწორ მოგებას, რასაც სძენს საზოგადოებას... შემჩნეულია, რომ სარკინისგზო სარეწაო ნაკლებ არის სიმდიდრის წყარო მესარეწისთვის, ვიდრე სახელმწიფოსთვის... საშუალო სატრანსპორტო

ფასი ჭაპან-საზიდით საწყობიდან წაღებული და საწყობში მიტანილი საქონლისთვის არის 18 სანტიმი ტონასა და კილომეტრზე. გამოუანგარიშნიათ, რომ ამ ფასის მიხედვით ჩვეულებრივი სარკინიგზო სარეწაო მხოლოდ 10% წმინდა მოგებას მიიღებდა, ხოლო სარკინიგზო სარეწაოს მოგებას უდრის დაახლოებით. მაგრამ ვიგულისხმოთ, რომ სარკინიგზო ტრანსპორტის სისწრაფე საჭაპან-საზიდოსას შეეფარდება როგორც 4 : 1; ამ შემთხვევაში, ვინაიდან საზოგადოებაში დრო თვით ღირებულებას წარმოადგენს, რკინიგზას, თანაბარი ფასის პირობებში, ჭაპან-საზიდთან შედარებით 400% მოგების უპირატესობა ექნება. მაგრამ ეს უზარმაზარი მოგება, საზოგადოებისთვის ფრიად რეალური, სრულიადაც არ არის იმავე პროპორციით მოგება სატრანსპორტო მესარეწისთვის, რომელიც, აძლევს რა საზოგადოებას 400%-ის სარგებლობას, თვითონ 10%-საც კი ვერ იღებს. მართლაც, წარმოვიდგინოთ უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის, რომ რკინიგზამ 25 სანტიმამდე აწია თავისი ტარიფი, ჭაპან-საზიდის ტარიფი კი 18 სანტიმი დარჩა: ამ შემთხვევაში რკინიგზა ხელად დაჰკარგავს ყველა თავის სატრანსპორტო ტვირთს. გამგზავნელნი, მიმღებნი, ყველანი დაუბრუნდებიან ურემს და, თუ საჭირო დარჩა, საორეველასაც კი. ორთქმავალს მიატოვებენ: 400%-ის საზოგადოებრივი სარგებლობა მსხვერპლად შეეწირება 35%-ის ზარალს. ამის მიზეზი ადვილად დასანახია: რკინიგზის სისწრაფიდან გამომდინარე სარგებლობა მთლიანად საზოგადოებრივია, და თითოეული ინდივიდუუმი მასში მინიმალური ზომით არის მონაწილე (ნუ დავივიწყებთ, რომ ამ წუთში საკითხი ეხება მხოლოდ საქონელთა ტრანსპორტს), მაშინ როდესაც ზარალს პირდაპირ და პირადად მომხმარებელი განიცდის. 400%-ის სოციალური სარგებლობა, თუ საზოგადოება მხოლოდ ერთ მილიონ

ადამიანთაგან შესდგება, ინდივიდუუმისთვის $\frac{4}{10000}$-ს წარმოადგენს, მაშინ როდესაც 33%-ის ზარალი მომხმარებლისთვის 33 მილიონის სოციალურ დეფიციტს გულისხმობს“ (პ რ უ დ ო ნ ი, 1 გამოც., p. 100 და 101).

მივიჩნიოთ, ვთქვათ, დასაშვებად, რომ ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი გაოთხკეცებულ სისწრაფეს თავდაპირველი სისწრაფის 400%-ით გამოხატავს; მაგრამ, როდესაც იგი სისწრაფის პროცენტებს უპირისპირებს მოგების პროცენტებს და პროპორციას ამყარებს ორ საგანს შორის, რომლებიც, თუმცა თითოეული თავისთავად პროცენტებით გაიზომება, ერთი მეორის უთანაზომადოა, — ეს ნიშნავს პროპორციის დამყარებას პროცენტებს შორის და თვით საგნების განზე დატოვებას.

პროცენტი ყოველთვის პროცენტია. 10% და 400% თანაზომადია, ერთი მეორეს შეეფარდება როგორც 10 : 400. მაშასადამე, დაასკვნის ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, 10%-ის მოგება გაოთხკეცებულ სისწრაფეზე 40-ჯერ ნაკლებია. რათა უშველოს გარეგნობას, იგი ამბობს, საზოგადოებისთვის დრო ღირებულებაა (time is money). ეს შეცდომა იქიდან წარმოსდგება, რომ მას ბუნდოვანად აგონდება, ღირებულებასა და სამუშაო დროს შორის შეფარდება არსებობსო, და იგი სისწრაფედ აიგივებს სამუშაო დროს სატრანსპორტო დროსთან, ე. ი. რამდენსამე ცეცხლფარეშს, კონდუქტორს და მისთანებს აიგივებს მთელს საზოგადოებასთან. ასე, სისწრაფე ერთბაშად გადაიქცა კაპიტალად, და ამ შემთხვევაში ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს სრულის უფლებით შეუძლია თქვას: „400%-ის საზოგადოებრივი სარგებლობა მსხვერპლად შეეწირება 35%-ის ზარალსო“. დაამყარა რა, როგორც მათემატიკოსმა, ეს უცნაური დებულება, იგი მის ახსნასაც გვაძლევს, როგორც ეკონომისტი.

„400%-ის სოციალური სარგებლობა, თუ საზოგადოება მხოლოდ ერთ მილიონ ადამიანთაგან შესდგება, ინდივიდუუმისთვის $\frac{4}{10000}$-ს წარმოადგენს“. თანახმა ვართ; მაგრამ საკითხი ეხება არა 400-ს, არამედ — 400%-ს, და 400%-ის სარგებლობა ინდივიდუუმისთვის წარმოადგენს 400%-ს, არც მეტს და არც ნაკლებს. როგორიც უნდა იყოს კაპიტალი, დივიდენდები ყოველვის 400-%-ის პროპორციით იანგარიშება. ბ-ნი *პრუდონი* კი რას შვრება? მან პროცენტი კაპიტალად მიიღო, და თითქოს შეეშინდაო, რომ ასეთი მისი ალრევა საკმაოდ ცხადი, საკმაოდ „თვალსაჩინო“ არ გახდეს, იგი განაგრძობს: „33%-ის ზარალი მომხმარებლისათვის 33 მილიონის სოციალურ დეფიციტს გულისხმობსო“. 33%-ის ზარალი მომხმარებლისათვის რჩება 33%-ის ზარალი ერთ მილიონ მომხმარებელთათვის. და შემდეგ: რა უფლებით შეუძლია ბ-ნ *პრუდონს* თქვას, სოციალური დეფიციტი, 33%-ის ზარალის შემთხვევაში, 33 მილიონს აღწევსო, როდესაც მან არ იცის არც საზოგადოებრივი კაპიტალი და არც კაპიტალი თუნდაც ერთი დაინტერესებული პირისა? ამგვარად, ბ-ნმა *პრუდონმა* არ იკმარა, რომ ერთმანეთში აურია *კაპიტალი* და *პროცენტები*; იგი თავის თავს აჭარბებს, როდესაც სარეწაოში მოთავსებულ *კაპიტალსა* და დაინტერესებულ პირთა *რიცხვს* აიგივებს.

„მართლაც, წარმოვიდგინოთ მეტი თვალსაჩინობისათვის“ განსაზღვრული კაპიტალი. 400%-ის სოციალური მოგება, ერთ მილიონ მონაწილეთა შორის განაწილებული, რომელთაგან თითოეული ერთი ფრანკითაა მონაწილე, შეადგენს 4 ფრანკს კაცის თავზე და არა 0,0004-ს, როგორც ამტკიცებს ბ-ნი *პრუდონი*. ასევე 33 %-ის ზარალი თითოეული მონაწილესათვის შეადგენს

330000 ფრანკის სოციალურ დეფიციტს და არა — 33 მილიონისას (100 : 33 = 1000000 : 330000).

ბ-ნი პრუდონი, თავისი საზოგადოება-პიროვნების თეორიით გატაცებული, ივიწყებს 100-ზე [illegible] ამიტომ მას გამოუდის 330000 ფრანკის [illegible] კაცის თავზე 4 ფრანკის მოგება 4 მილიონი ფრანკის მოგებას შეადგენს საზოგადოებისათვის. საზოგადოებისათვის რჩება 3670000 ფრანკის წმინდა მოგება. ეს ზედმიწევნილი ანგარიში იმის სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებს, რის დამტკიცებაც ბ-ნ პრუდონს სურდა, სახელდობრ: რომ საზოგადოების მოგება და ზარალი სრულიადაც არ არის შებრუნებულ შეფარდებაში ინდივიდუუმთა მოგებასა და ზარალთან.

ამ უბრალო არითმეტიკული შეცდომების გასწორების შემდეგ ვნახოთ, თუ რა შედეგებს მივაღწევდით, სისწრაფისა და კაპიტალის ის შეფარდება რომ მიგვეღო რკინისგზებისთვის, რომელსაც ბ-ნი პრუდონი იძლევა, საანგარიშო შეცდომების მოუხდენლად. წარმოვიდგინოთ, რომ ოთხჯერ უფრო სწრაფი ტრანსპორტი ოთხჯერ მეტად ღირს; ამ შემთხვევაში ეს ტრანსპორტი ნაკლებ მოგებას მომცემი არ იქნებოდა, ვიდრე ჭაპან-ზიდვა, რომელიც ოთხჯერ უფრო ნელია და მეოთხედ ფრახტად ღირს. მაშასადამე, თუ ჭაპან-ზიდვა 18 სანტიმს იღებს, რკინისგზას შეეძლება 72 სანტიმი აიღოს. ეს იქნებოდა „მათემატიკურის ზედმიწევნილობით" შედეგი ბ-ნ პრუდონის მიერ ნაგულისხმევისა, მხოლოდ — საანგარიშო შეცდომების მოუხდენლად. მაგრამ მოულოდნელად იგი გვეუბნება: თუ რკინისგზამ, არა თუ 72 სანტიმი, მხოლოდ 25 სანტიმი აიღო, იგი მაშინვე ყველა თავის სატრანსპორტო ტვირთს დაჰკარგავსო. მართლაც, ამ შემთხვევაში ადამიანები იძულებული იქნებოდენ დაბრუნებოდენ ურემს და სიტორევლასაც კი. მხოლოდ; ჩვენ რჩევას

მივცემთ ბ-ნ პრუდონს, — ნუ დაივიწყებს 100-ზე გაყოფას თავის „პროგრესიული ასოციაციის პროგრამაში“. მაგრამ ვაი, რომ იმედი არაა, ყურად იღოს მან ეს რჩევა, ვინაიდან ბ-ნი პრუდონი ისე აღტაცებულია თავისი „პროგრესიული“ ფორმულით, რომელიც „პროგრესიულ ასოციაციას“ შეესაბამება, რომ მედიდურად გაიძახის: „მე უკვე დავანახვე მკითხველს მე-II თავში, ღირებულების ანტინომიის ახსნის გზით, რომ ყოველი სასარგებლო აღმოჩენა შეუდარებლად ნაკლებ ხელსაყრელია გამომგონისთვის, რაგინდ იგი ამას ცდილობდეს, ვიდრე საზოგადოებისთვის; ამის დამტკიცება ჩემ მიერ მათემატიკურ ზედმიწევნილობამდეა მიყვანილი!“

დავუბრუნდეთ საზოგადოება-პიროვნების ფიქციას, რომლის დანიშნულება მხოლოდ ის იყო, რომ დაემტკიცებია ეს უბრალო ჭეშმარიტება: ახალი გამოგონება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა იმავე შრომის რაოდენობით წარმოებულ იქნეს საქონელთა უფრო დიდი რაოდენობა, დაბლა სწევს პროდუქტის საბაზრო ღირებულებას. საზოგადოება მოგებას პოულობს, მაგრამ არა იმიტომ, რომ მეტ საცვლელ ღირებულებას იღებს, არამედ იმიტომ, რომ იმავე ღირებულებით მეტ საქონელს მოიპოვებს. რაც შეეხება გამომგონს, კონკურენცია მის მოგებას დაბლა სწევს თანდათანობით მოგების საყოველთაო დონემდე. დაამტკიცა ბ-ნმა პრუდონმა ეს დებულება, რის დამტკიცებაც მას სურდა? არა; მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის ეკონომისტებს უსაყვედუროს, რომ მათ ეს დამტკიცება არ მოუციათ. რათა მას დავუმტკიცოთ წინააღმდეგი, ჩვენ მოვიყვანთ ამონაწერებს მხოლოდ რიკარდოსა და ლოდერდალის თხზულებებიდან; რიკარდო მეთაურია სკოლისა, რომელიც სამუშაო დროით განსაზღვრავს ღირებულებას, ლოდერდალი

ერთიერთი შეუდრეკელი დამცველია ღირებულების განსაზღვრისა მიწოდებითა და მოთხოვნით. ორთავეს ერთიდაიგივე დებულება აქვთ შემუშავებული.

„ვადიდებთ რა განუწყვეტლად წარმოების სიადვილეს, ჩვენ განუწყვეტლად ვამცირებთ ზოგიერთი წინად წარმოებულ საგანთა ღირებულებას, თუმცა ამავე გზით არა თუ ვმატებთ ეროვნულ სიმდიდრეს, არამედ ვადიდებთ სამერმისოდ წარმოების უნარსაც... როგორც კი ჩვენ მანქანებისა თუ საბუნებისმეტყველო ცოდნის საშუალებით ვაიძულებთ ბუნების ძალას შეასრულოს სამუშაო, რომელსაც წინად ადამიანი ასრულებდა, შედეგად ამისა ეცემა საცვლელი ღირებულება ამ სამუშაოსი. თუ ხორბლის დაფქვისათვის წისქვილის მოძრაობაში მოსაყვანად ათი კაცი იყო საჭირო, და აღმოჩენილი იქნა, რომ ქარისა ან წყლის საშუალებით შესაძლებელია ამ ათი კაცის შრომა დაზოგილ იქნეს, მაშინ ფქვილის — წისქვილის მოქმედების პროდუქტის — ღირებულება ამ მომენტიდან დაიწევს დაზოგილი შრომის ჯამის პროპორციულად და საზოგადოებას სიმდიდრე შეემატება ყველა იმ სავანთა ღირებულებისა, რომელთა შექმნას შესძლებს ამ ათი კაცის შრომა, ვინაიდან მუშების შესანახად დანიშნული ფონდი არ განიცდის არავითარ შემცირებას“ (რ ი კ ა რ დ ო).

ლ ო დ ე რ დ ა ლ ი, თავის მხრივ, ამბობს:

„კაპიტალის მოგება ყოველთვის იქიდან წარმოსდგება, რომ კაპიტალი თავის თავზე იღებს შრომის ნაწილს, რომელიც ადამიანს თავისი ხელით უნდა შეესრულებინა, ანუ ასრულებს შრომის ნაწილს, რომელიც ადამიანის პირად ძალღონეს აღემატება და თვით მის მიერ შესრულებული ვერ იქნებოდა. მცირე მოგებამ, რომელსაც იღებენ საზოგადოდ მანქანის პატრონები, შედარებით იმ შრომის ფასთან, რომელსაც მანქანა შეენაცვლება, იქნებ დაბადოს ეჭვი ამ შეხედულების სისწორის შესახებ. ერთი ორთქლტუმბო,

მაგალითად, ღლის განმავლობაში იმდენ წყალს ამოქაჩავს ნახშირის მაღაროდან, რამდენსაც ზურგით ვერ ამოიტანდა სამასი კაცი, თუნდაც რომ ისინი ერთმანეთის გვერდით ყოფილიყვნენ ჩამწკრივებული; და ამასთან, ეჭვს გარეშეა, ტუმბო ბევრად ნაკლებ ხარჯებს იწვევს მის მაგიერ შრომის შესრულებისათვის. ეგევე ითქმის ყველა მანქანის შესახებ. მანქანამ უფრო იაფად უნდა შეასრულოს შრომა, რომელიც ადამიანის ხელით სრულდებოდა და რომელსაც იგი შეენაცვლება... ვთქვათ, ვინმე გამოიგონა მანქანა, რომელიც ოთხი ადამიანის საქმეს ასრულებს, და ამაზე მან პატენტიც აიღო: ცხადია, რახან მისდამი მინიჭებული პრივილეგია ადგილს არ აძლევს კონკურენციას, გარდა იმ კონკურენციისა, რომელსაც მუშების შრომა იწვევს, პრივილეგიის განმავლობაში მუშების ხელფასი იქნება საზომი იმ ფასისა, რომელიც გამომგონმა უნდა დაადვას თავის ნაწარმოებს, ე. ი., რათა თავისი თავი უზრუნველჰყოს დაკვეთებით, იგი მოითხოვს ცოტათი იმაზე ნაკლებს, ვიდრე არის ხელფასი შრომისა, რომელსაც მისი მანქანა შეენაცვლება. მაგრამ პრივილეგიის ვადის გასვლისას გაიმართება იმგვარივე მანქანები და მისას კონკურენციას გაუწევს. მაშინ იგი ნაწარმოებს დაადებს ფასს საყოველთაო პრინციპის მიხედვით, მანქანების სიმრავლეზე დამოკიდებულებით. გამოყენებული ფონდების მოგება... თუმცა იგი შენაცვლებული შრომიდან გამომდინარეობს, საბოლოო ანგარიშით წესრიგდება არა შრომის ღირებულებით, არამედ, როგორც ყველა სხვა შემთხვევაშიაც, კონკურენციით კაპიტალის მესაკუთრეთა შორის; და ამ მოგების სიმაღლე ყოველთვის განისაზღვრება შეფარდებით ამ მიზნისათვის მიწოდებულ კაპიტალებსა და მათთვის არსებულ მოთხოვნას შორის“.

ამგვარად, გამოდის, საბოლოო ანგარიშით, რომ სანამ მოგება უფრო დიდია, ვინემ მრეწველობის სხვა დარგებში,

კაპიტალს ყოველთვის ექნება მიდრეკილება ახალი მრეწველობისაკენ, ვიდრე იქ მოგების ნორმა არ ჩამოვა საერთო დონემდე.

ჩვენ ეს არის ვნახეთ, რომ რკინის გზების მაგალითი სრულიად არ იყო გამოსადეგი საზოგადოება-პიროვნების ფიქციის გასაშუქებლად. მაგრამ ბ-ნი *პრუდონი* მაინც გაბედულად განაგრძობს თავის სიტყვას: „რაკი ეს მხარეები გაშუქებულია, არა არის რა იმაზე ადვილი, რომ ავხსნათ, თუ რატომ უნდა უტოვებდეს ყოველ მწარმოებელს შრომა გარდამეტს“.

რაც ახლა მოთხრობილი იქნება, კლასიკურ ძველ ხანას ეკუთვნის. ეს არის პოეტური მოთხრობა, რომლის დანიშნულებაა შესვენება მისცეს მკითხველს, რომელსაც დაღლილობა უნდა ეგრძნო წინანდელ მათემატიკურ დამტკიცებათა გამო. ბ-ნი *პრუდონი* თავის საზოგადოება-პიროვნებას *პრომეთეს* უწოდებს, რომლის დიად საქმეთა ქებათა-ქებას ასე გამოსთქვამს:

„თავდაპირველად *პრომეთე*, ბუნების წიაღიდან გამოსული, სიცოცხლეს მოიღებს მომხიბვლელობით აღსავსე უმოქმედობაში, და სხვ. და სხვ. *პრომეთე* ხელს ჰკიდებს საქმეს, და პირველი დღიდანვე, მეორედ გაჩენის პირველი დღიდანვე, *პრომეთეს* პროდუქტი, ე. ი. მისი სიმდიდრე, მისი კეთილდღეობა, ათს ეთანასწორება. მეორე დღეს *პრომეთე* ანაწილებს თავის შრომას, და მისი პროდუქტი ასს უთანასწორდება. მესამე და ყოველ შემდგომ დღეს *პრომეთე* გამოიგონებს მანქანებს, აღმოაჩენს ახალ სასარგებლო თვისებებს სხეულებში, ახალ ძალებს ბუნებაში... ყოველი ნაბიჯისთანავე, რომელსაც გადასდგამს მისი სამრეწველო მოქმედება, იზრდება მისი წარმოების ციფრი და ამცნობს მას მისი ბედნიერების ზრდას. დაბოლოს, რადგან მისთვის მოხმარება წარმოებას მოასწავებს, ცხადია, რომ ყოველი დღის მოხმარება,

რომელსაც წინა დღის პროდუქტი მიაქვს, უტოვებს მას პროდუქტის გარდამეტს ხვალინდელი დღისათვის".

ბ-ნი პრუდონის ეს პრომეთე უცნაური პროვ-ნებაა, ისევე სუსტი ლოგიკაში, როგორც პოლიტიკურ ეკონომიაში. რამდენადაც პრომეთე გულისხმობს მხოლოდ, რომ შრომის დანაწილება, მანქანების გამოყენება, ბუნების ძალთა და ტეხნიკურ მეცნიერებათა ექსპლოატაცია ადიდებს ადამიანთა საწარმოო ძალას და იძლევა გარდამეტს იმასთან შედარებით, რასაც განმარტოებული შრომა ჰქმნის, მას, ამ ახალ პრომეთეს, ის უბედურება სჭირს, რომ ძალიან დაგვიანებით არის მოსული. მაგრამ როგორც კი პრომეთე წარმოებასა და მოხმარებაზე იწყებს ლაპარაკს, იგი ნამდვილ სასაცილო ხდება. მისთვის მოხმარება წარმოებას მოსწავებს; ის ყოველდღე მოიხმარს იმას, რაც წინა დღეს დაამზადა, ასე რომ ერთი დღის მარაგი ყოველთვის აქვს; ეს სამარაგო დღე არის მისი „შრომის გარდამეტი". მგარამ, რახან იგი დღეს მოიხმარს იმას, რაც გუშინ აწარმოვა, — პირველ დღეს, რომელსაც „გუშინ" არ უძღოდა, მას ორი დღის სამყოფი უნდა ემუშავნა, რათა შემდეგში ერთი დღე ჰქონებოდა მარაგად. და როგორ მოიპოვა პრომეთემ ეს გარდამეტი პირველ დღეს, როდესაც არ არსებობდა არც შრომის დანაწილება, არც მანქანები, არც ბუნების ძალთა სხვა ცოდნა, გარდა ცეცხლისა? ამგვარად, „მეორედ გაჩენის პირველ დღემდე" უკუგადაწევით საკითხი ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ. ეს წესი საგანთა ახსნა-განმარტებისა ერთსა და იმავე დროს ბერძნული და ებრაულია, ერთსა და იმავე დროს მისტიური და ალეგორიულია, იგი სრულს უფლებას აძლევს ბ-ნ პრუდონს თქვას: „მე დავამტკიცე თეორიითა და ფაქტებით ის პრინციპი, რომ ყოველი შრომა გარდამეტს უნდა სტოვებდეს".

მისი ფაქტებია სასიქადულო პროგრესიული ანგარიში; თეორიაა მითი *პრომეთეს* შესახებ.

„მაგრამ, განაგრძობს ბ-ნი *პრუდონი*, ეს პრინციპი, რომელიც ისევე ურყევია, როგორც არითმეტიკული დებულება, ჯერ კიდევ შორსაა იმ მდგომარეობიდან, რომ განხორციელებული იყოს ყველასთვის. მაშინ, როდესაც კოლექტიური მრეწველობის წყალობით, თითოეული ინდივიდუალური სამუშაო დღე უფრო და უფრო დიდ პროდუქტს მოიღებს, როდესაც, ამის აუცილებელ შედეგად, მუშა, იმავე ხელფასით, დღითი-დღე უფრო მდიდარი უნდა გამხდარიყო,—საზოგადოებაში არსებობენ წოდებანი, რომელნიც მდიდრდებიან, და სხვები, რომელნიც სიღატაკეში ნადგურდებიან“.

1770 წელს დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს მოსახლეობა 15 მილიონს შეადგენდა და პროდუქტიული მოსახლეობა — 3 მილიონს. ტეხნიკურ გაუმჯობესებათა პროდუქტიული ძალა შეესაბამებოდა დაახლოებით 12 მილიონ ადამიანს; მაშასადამე, იყო მთლად 15 მილიონი პროდუქტიული ძალა. ამგვარად, პროდუქტიული ძალა შეეფარდებოდა მოსახლეობას, როგორც 1:1, და ტეხნიკურ გაუმჯობესებათა პროდუქტიული ძალა — ადამიანის სამუშაო ძალას, როგორც 4:1.

1840 წელს მოსახლეობა არ აღემატებოდა 30 მილიონს, პროდუქტიული მოსახლეობა შეადგენდა 6 მილიონს, მაშინ როდესაც ტეხნიკურ გაუმჯობესებათა პროდუქტიული ძალა 650 მილიონს აღწევდა, ე. ი. ტეხნიკურ გაუმჯობესებათა პროდუქტული ძალა შეეფარდებოდა მთელს მოსახლეობას, როგორც 21 : 1, და—ადამიანის სამუშაო ძალას, როგორც 108 : 1 და სხვ.

მაშასადამე, ინგლისის საზოგადოებაში სამუშაო დღის პროდუქტივობამ სამოცდაათ წელიწადში იმატა 2700%-ით, ე. ი. 1840 წელს იგი აწარმოებდა 27-ჯერ მეტს, ვიდრე

1770 წელს. ბ-ნი პრუდონის თანახმად, უნდა გვეკითხნა შემდეგი: რატომ არ იყო ინგლისელი ერი 1840 წელს 27-ჯერ უფრო მდიდარი, ვიდრე 1770 წელს? ასეთი კითხვის დასმა გულისხმობს, რასაკვირველია, რომ ინგლისელებს შეეძლოთ შეექმნათ თავიანთი სიმდიდრე ისე, რომ არ ყოფილიყო ის ისტორიული პირობები, რომლებშიაც ეს სიმდიდრე წარმოიშვა, როგორიცაა: კერძო კაპიტალების დაგროვება, შრომის თანამედროვე დანაწილება, მანქანური წარმოება, ანარქიული კონკურენცია, საქირაო შრომის სისტემა, ერთის სიტყვით,—ყველაფერი ის, რაც კლასთა ანტაგონიზმზეა დამყარებული. მაგრამ სწორედ ეს იყო საარსებო პირობა პროდუქტიულ ძალთა და შრომის გარდამეტის განვითარებისათვის. ამრიგად, ამ პროდუქტიულ ძალთა და ამ შრომის გარდამეტის განვითარების მისაღწევად აუცილებელი იყო არსებულიყო კლასები, რომელნიც მდიდრდებიან, და სხვები, რომელნიც სიღატაკეში ნადგურდებიან.

რა არის, ბოლოს და ბოლოს, ეს ბ-ნი პრუდონის მიერ მკვდრეთით აღდგენილი პრომეთე? ეს არის საზოგადოება, ესაა კლასთა ანტაგონიზმზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობა. ეს ურთიერთობაა არა ურთიერთობა ინდივიდუუმისა ინდივიდუუმთან, არამედ—მუშისა კაპიტალისტთან, მოიჯარადრისა — მემამულესთან და სხვ. წარხოცეთ ეს ურთიერთობა და—თქვენ მოსპობთ მთელ საზოგადოებას; თქვენი პრომეთე მოჩვენებაა უხელფეხოდ, ე. ი. უ მანქანურ წარმოებოდ, უ შრომის დანაწილებოდ, მოჩვენება, რომელსაც, ერთის სიტყვით, აკლია ყველაფერი ის, რაც თქვენ მას მიეცით თავდაპირველად, რათა შრომის ამ გარდამეტისათვის მიგეღწევინებიათ.

თუ თეორიაში კმაროდა, როგორც ამას ბ-ნი პრუდონი სჩადის, შრომის გარდამეტის ფორმულა თანასწორობის მნიშვნელობით ყოფილიყო განმარტებული,

წარმოების თანამედროვე პირობების მხედველობაში მიუღებლად, პრაქტიკაშიაც უნდა კმაროდეს ყველა ამჟამად მოპოვებული სიმდიდრის თანასწორი განაწილება მუშებს შორის, წარმოების თანამედროვე პირობების სრულიად რისამე შეუცვლელად. ეს განაწილება მაინცა და მაინც დიდ კეთილდღეობას არ მიანიჭებდა თითოეულ მონაწილეს.

მაგრამ ბ-ნი *პრუდონი* ისე პესიმისტი არაა, როგორც შეიძლებოდა ადამიანს ეფიქრა. რახან პროპორციულობა მისთვის ყველაფერია, ამიტომ მზამზარეულად მოცემულს *პრომეთეში*, ე. ი. დღევანდელ საზოგადოებაში, იგი ძალაუნებურად უნდა ხედავდეს თავისი საყვარელი იდეის განხორციელებას.

„მაგრამ სიმდიდრის პროგრესი, ე. ი. *ღირებულებათა პროპორციულობა*, ყველგან გაბატონებული კანონია; და როდესაც ეკონომისტები სოციალისტური პარტიის ჩივილის საპასუხოდ ეროვნული სიმდიდრის პროგრესსა და თვით უუბედურეს კლასთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიუთითებენ, ისინი ამით, თავიანთთვის შეუმჩნევლად, აცხადებენ ჭეშმარიტებას, რომელიც მათი თეორიების დამგმობი არის“ (*პრუდონი*, 1-ლი გამოც., გვ. 80).

რა არის სინამდვილეში კოლექტიური სიმდიდრე, საზოგადოებრივი ქონება? ეს არის სიმდიდრე ბურჟუაზიის და არა — თითოეული ცალკე ბურჟუისა. ჰოდა, — ეკონომისტებს სხვა არა უკეთებიათ რა გარდა იმისა, რომ არკვევდენ, თუ როგორ განვითარდა და უნდა განვითარდეს ამჟამად არსებულ წარმოების პირობებში ბურჟუაზიის სიმდიდრე. რაც შეეხება მუშათა კლასს, ჯერ კიდევ საკამათო საკითხია ეს, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა შედეგად ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებისა. თუ ეკონომისტები, თავიანთი ოპტიმიზმის გასამართლებლად, მიგვითითებენ ინგლისელ

მუშების მაგალითზე, რომელნიც ბამბის მრეწველობაში მოსაქმეობენ, ისინი თვალს აპყრობენ მათ მდგომარეობას მხოლოდ ვაჭრობის აყვავების იშვიათ მომენტებში. აყვავების ამ მომენტებს კრიზისისა და შეფერხების შემდეგ აქვს „სწორი პროპორციულობა“ 3-ისა 10-სამდე. ბურჟუა ეკონომისტებს, როდესაც ისინი გაუმჯობესებაზე ლაპარაკობენ, იქნებ მხედველობაში ჰყავთ ის მუშები, რომლებიც მილიონობით უნდა დალუპულიყვნენ აღმოსავლეთ-ინდოეთში, რათა იმავე მრეწველობაში მოსაქმე $1^1/_2$ მილიონი ინგლისელი მუშისთვის უზრუნველეყოთ აყვავების სამი წელიწადი ყოველ ათ წელიწადში.

რაც შეეხება დროებითს მონაწილეობას ეროვნული სიმდიდრის ზრდაში, ეს სულ სხვა რამეა. დროებითი მონაწილეობის ფაქტს ხსნის ეკონომისტების თეორია. ეს ფაქტი წარმოადგენს იმ თეორიის დადასტურებას და სრულიადაც არა — მის „დაგმობას“, როგორც ამას ამბობს ბ-ნი პრუდონი. თუ რაიმე დასაგმობია, ეს არის ბ-ნი პრუდონის სისტემა, რომელსაც ხელფასის მინიმუმზე ჩამოჰყავს მუშა, სიმდიდრის ზრდის მიუხედავად. მისი მხოლოდ ხელფასის მინიმუმზე ჩამოყვანის გზით შეეძლო ბ-ნ პრუდონს მოეხდინა ღირებულებათა სწორი პროპორციულობის, სამუშაო დროით „ჩამოყალიბებული ღირებულების“, გამოყენება. სწორედ იმიტომ, რომ ხელფასი, კონკურენციის შედეგად, მუშის საარსებოდ აუცილებელ საგანთა ფასზე ხან მაღლა იწევს და ხან დაბლა, მუშას შეუძლია საზოგადოებრივი სიმდიდრის განვითარების მონაწილე იყოს რაოდენადმე, მაგრამ დაიღუპოს აგრეთვე სილატაკის გამოც. ეს არის მთელი თეორია ეკონომისტებისა, რომელნიც ამ შემთხვევაში არავითარ ილუზიებს არ ეძლევიან.

მას შემდეგ, რაც დიდხანს საგანს გადაუხვია და მსჯელობდა რკინისგზებისა, პრომეთესა და ახალი

საზოგადოების შესახებ, რომელიც „ჩამოყალიბებული ღირებულების“ საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს, ბ-ნი პრუდონი თავს იოკებს და, გრძნობამორეული, მამობრივი კილოთი წარმოსთქვამს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვაფიცებ ეკონომისტებს, ერთ წუთს დაეკითხონ თავიანთ თავს გულმშვიდად, განშორებით იმ ცრუმორწმუნეობისგან, რომელიც მათ გზას ურევს, ყურადღების მიუქცევლად იმ თანამდებობისთვის, რომელიც უჭირავთ ან რომლის დაჭერას მოელიან, მხედველობაში მიუღებლად იმ ინტერესებისა, რომლებსაც ემსახურებიან, იმ საარჩევნო ხმებისა, რომლებსაც ეძიებენ, იმ წარჩინებისა, რომელსაც მათი მედიდურობა ელამუნება,—დაეკითხონ თავიანთ თავს და სთქვან: განა ეს პრინციპი, რომ ყოველი შრომა გარდამეტს უნდა სტოვებდეს, ჰქონდათ მათ იმ წინნამძღვარებისა და შედეგების გადაბმულობის სახით წარმოდგენილი, რომლებიც ჩვენ გამოვამჟღავნეთ?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თავი მეორე

# პოლიტიკური ეკონომიის მეტაფიზიკა

### § 1. მეთოდი

ახლა ჩვენ შიგ გერმანიაში ვართ! პოლიტიკურ ეკონომიაზე მსჯელობისას ჩვენ იმავე დროს მეტაფიზიკაზე უნდა ვიმსჯელოთ. და აქაც ჩვენ მხოლოდ მივყვებით ბ-ნი პრუდონის „წინააღმდეგობებს“. მან ეს არის გვაიძულა ინგლისურად გველაპარაკნა, რამდენადმე ინგლისელიც გავმხდარიყავით. ახლა სცენა იცვლება. ბ-ნ პრუდონს გადავყევართ ჩვენს ძვირფას სამშობლოში და გვაიძულებს გერმანელად გადვიქცეთ, — ჩვენი სურვილის წინააღმდეგ.

თუ ინგლისელი ადამიანებს ქუდებად გარდაქმნის, გერმანელი ქუდებს იდეებად გარდაქმნის. ინგლისელი — რიკარდოა, მდიდარი ბანკირი და გამოჩენილი ეკონომისტი; გერმანელი — ჰეგელია, უბრალო პროფესორი ფილოსოფიისა ბერლინის უნივერსიტეტში.

ლუი მე-XV-ს, უკანასკნელ აბსოლუტურ მეფეს, რომელიც საფრანგეთის მონარქიის დაცემის წარმომადგენელია, ჰყავდა სატახტო ექიმი, რომელიც საფრანგეთის პირველი ეკონომისტი იყო. ეს ექიმი, ეს ეკონომისტი, წარმომადგენელი იყო საფრანგეთის ბურჟუაზიის ახლობელი და უცილობელი ძლევამოსილობისა. დოქტორ კენემ (Quesnay) მეცნიერებად გახადა პოლიტიკური ეკონომია; მან

ხმის რეზიუმე მოგვცა თავის განთქმულ „Tableau économique“-ში. გარდა ათას-ერთი კომენტარიისა, რომელიც ამ „Tableau“-ს შესახებ დაწერილა, ჩვენ გვაქვს ერთი კომენტარია თვით დოქტორ კენესი. ეს არის „L'Analyse du tableau économique“, რომელსაც [illegible] აქვს „შვიდი მნიშვნელოვანი შენიშვნა“.

ბ-ნი პრუდონი მეორე დოქტორი კენეა. იგია კენე პოლიტიკური ეკონომიის მეტაფიზიკისა.

მაგრამ მეტაფიზიკა, მთელი ფილოსოფია, ჰეგელის აზრით, გამოისახება მეთოდში. ამიტომ ჩვენ უნდა შევეცადოთ გავაშუქოთ ბ-ნი პრუდონის მეთოდი, რომელიც „Tableau économique“-ზე ნაკლებ ბუნდოვანი არ არის. ამისათვის ჩვენ ვაკეთებთ შვიდ მეტ-ნაკლებ მნიშვნელოვან შენიშვნას. თუ ბ-ნი პრუდონი ჩვენი შენიშვნებით კმაყოფილი არ იქნება, მას შეუძლია აბატ ბოდოს (Baudeau) წაჰბაძოს და დასწეროს „ეკონომიურ-მეტაფიზიკური მეთოდის განმარტება“.

## პირველი შენიშვნა

„ჩვენ არ ვიძლევით ისტორიას დროის რიგის მიხედვით, არამედ — იდეების თანამიმდევრობის მიხედვით. ეკონომიური ფაზები ანუ კატეგორიები ხან თანამედროვეა თავიანთი გამოხატულებით, ხანაც — არეული რიგისა არის... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკონომიურ თეორიებს აქვს მაინც ლოგიკური თანამიმდევრობა და დამწკრივება გონებაში, აი, ეს რიგი, — ვიმედოვნებთ სიამოვნებით, — ჩვენ მიერ არის აღმოჩენილი“ (პრუდონი, ტ. I, გვ. 146).

ჭეშმარიტად, ბ-ნ პრუდონს ფრანგების დაშინება სურდა, როდესაც მათ ვითომდა ჰეგელის ფრაზები ს-

ხეში მიაყარა. ჩვენ საქმე გვაქვს, ამრიგად, ორ ადამიანთან: ჯერ ბ-ნ პრუდონთან და მერე ჰეგელთან. რით განირჩევა ბ-ნი პრუდონი სხვა ეკონომისტებისაგან? და რა როლს ასრულებს ჰეგელი ბ-ნ პრუდონის პოლიტიკურ ეკონომიაში?

ბიბლიოთეკა

ეკონომისტები ბურჟუაზიული წარმოების ურთიერთობათ, შრომის დანაწილებას, კრედიტს, ფულს და სხვ., სახავენ მტკიცე, ურყევ, მარადიულ კატეგორიებად. ბ-ნ პრუდონს, რომელსაც წინ აქვს ეს მზამზარეული კატეგორიები, სურს აგვიხსნას ამ კატეგორიების, პრინციპების, კანონების, იდეების, აზრების შექმნის აქტი, აგვიხსნას მათი წარმოშობა.

ეკონომისტები გაგვიმარტავენ, თუ როგორ ხდება მოცემულ ურთიერთობათა პირობებში წარმოება, მაგრამ არ გაგვიმარტავენ, თუ როგორ ხდება თვით ამ ურთიერთობათა წარმოება, ე. ი. არ გაგვიმარტავენ იმ ისტორიულ მოძრაობას, რომელიც მათ წარმოშობს. ბ-ნ პრუდონს, რომელსაც ეს ურთიერთობანი მიჩნეული აქვს პრინციპებად, კატეგორიებად, აბსტრაქტულ აზრებად, მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ რიგზე დააწყოს ეს აზრები, რომლებიც ანბანზე დალაგებული მოიპოვება პოლიტიკური ეკონომიის ყოველი ტრაქტატის ბოლოში. ეკონომისტების მასალას შეადგენს მოძრავი და მომქმედი ცხოვრება ადამიანთა; ბ-ნი პრუდონის მასალას შეადგენს დოგმები ეკონომისტთა. მაგრამ როდესაც ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ საწარმოო ურთიერთობათ, რომელთა მიმართ კატეგორიები მარტოოდენ თეორიულ გამოსახულებას წარმოადგენს; როდესაც ჩვენ ამ კატეგორიებში მხოლოდ თვითწარმომდგარ იდეებს, რეალურ ურთიერთობათაგან დამოუკიდებელ აზრებს ვხედავთ, მაშინ იძულებული ვხდებით ამ აზრების სათავედ წმინდა გონების მოძრაობა დავსახოთ. როგორ წარმოშობს ამ აზრებს წმინ-

და, მარადიული, უპიროვნო გონება? რა გზით წარმოშობს იგი მათ?

ჰეგელიანობის საკითხებში რომ ჩვენ ბ-ნი პრუდონის გამბედაობა გვქონდეს, ვიტყოდით: წმინდა გონება განირჩევა თავისში თავის თავისაგან. რას ნიშნავს ეს? რადგან უპიროვნო გონებას თავის გარეშე არა აქვს არც ნიადაგი, რომელზედაც შეიძლება დადგეს, არც ობიექტი, რომელსაც შეიძლება წინაღუდგეს, არც სუბიექტი, რომელსაც შეიძლება შეუერთდეს, ამიტომ იგი იძულებულია ნახტომები აკეთოს, — თვით დადგინდეს, თავის თავს წინაღუდგეს და თავის თავს შეუერთდეს. ესაა: მდგომარეობა, წინაღმდგომარეობა და შედგენილობა, ანუ ბერძნულად — თეზი, ანტითეზი და სინთეზი. იმ მკითხველებისათვის, რომელთაც ჰეგელის ენა არ იციან, ჩვენ გავაცლებთ იდუმალ ფორმულას, ეს არის: მტკიცყოფა, უარყოფა და უარყოფის უარყოფა. აი, რას ნიშნავს ის სიტყვები. ეს არ არის, რასაკვირველია, ებრაული ენა, თუ ბ-ნი პრუდონიც დაგვეთანხმება; მაგრამ იგია ინდივიდუუმისაგან განცალკევებული წმინდა გონების ენა. ჩვეულებრივი ინდივიდუუმის და მისი ლაპარაკისა და აზროვნების ჩვეულებრივი მანერის სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს აქ მარტოოდენ ეს ჩვეულებრივი მანერა მისი წმინდა სახით, — უინდივიდუუმოდ.

განა საკვირველია, რომ ყოველი საგანი, საბოლოო აბსტრაქციით, — ვინაიდან აქ არის აბსტრაქცია და არა ანალიზი, — გვევლინება როგორც ლოგიკური კატეგორია? განა საკვირველია, რომ, როდესაც თანდათან განვარიდებთ ყველაფერს, რაც სახლის ინდივიდუალობას შეადგენს, როდესაც მხედველობის გარეშე ვტოვებთ მასალას, რომლისგანაც სახლი შესდგება, ფორმას, რომელიც მას განასხვავებს, ბოლოს ჩვენს წინ მარტოოდენ სხეული რჩება, — რომ, როდესაც მხედველობაში არ ვიღებთ ამ სხეუ-

ლის მოხაზულობას, გვრჩება მხოლოდ სივრცე, — რომ, როდესაც, დასასრულ, სივრცის მოცულობასაც განვყენებთ, დაგვრჩება მხოლოდ რაოდენობა წმინდა სახით, კატეგორია ლოგიკური? თუ ასე თანდათანობით აბსტრაქციას ვყოფთ ყოველი სუბიექტისას, ყველა [illegible] შემთხვევითი ნიშნისას, სულიერის თუ უსულოსას, ადამიანთა თუ ნივთებისას, — ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ საბოლოო აბსტრაქციით სუბსტანციად მხოლოდ ლოგიკური კატეგორიები გვრჩება. ასევე მეტაფიზიკოსებს, რომელნიც ფიქრობენ ანალიზს აწარმოებენ ასეთი აბსტრაქციების გზით, რომელთაც ჰგონიათ, რომ, რაც უფრო შორდებიან ობიექტებს, მით უფრო უახლოვდებიან ამ ობიექტთა განჭვრეტას, — ამ მეტაფიზიკოსებს, თავის მხრივ, უფლება აქვთ თქვან, — ამქვეყნიური ნივთები არის მხოლოდ ნაქარგი, რომლის კანვას ლოგიკური კატეგორიები წარმოადგენსო. აი, რა განასხვავებს ფილოსოფოსს ქრისტიანისაგან. ქრისტიანმა იცის Logos-ის [სიტყვის] მხოლოდ ერთი განხორციელება, წინააღმდეგ ლოგიკისა; ფილოსოფოსისთვის კი განხორციელების რიცხვი უამრავია. აბა ვის უნდა გაუკვირდეს, რომ ყველაფერი, რაც არსებობს, ყველაფერი, რაც მიწაზე და წყალში ცოცხლობს, შეიძლება აბსტრაქციის გზით ლოგიკურ კატეგორიამდე იქნეს დაყვანილი, რომ ამნაირად მთელი რეალური სამყარო აბსტრაქციების, ლოგიკური კატეგორიების სამყაროში შეიძლება შთაინთქას?

ყველაფერი, რაც არსებობს, ყველაფერი, რაც ცოცხლობს მიწაზე და წყალში, არსებობს, ცოცხლობს მხოლოდ რაიმე მოძრაობის გზით. ამგვარად, ისტორიის მოძრაობა წარმოშობს სოციალურ ურთიერთობას, სამრეწველო მოძრაობა გვაძლევს სამრეწველო პროდუქტებს და სხვ.

ისევე, როგორც აბსტრაქციის საშუალებით ჩვენ ყოველი ნივთი ლოგიკურ კატეგორიად გარდავქმენით, საკმა-

რისია აბსტრაქციავყოთ სხვადასხვა მოძრაობის ყველა განმასხვავებელი ხასიათისა, რომ მივიღეთ აბსტრაქტული მდგომარეობის მოძრაობასთან, წმინდა ფორმალურ მოძრაობასთან, მივაღწიოთ მოძრაობის წმინდა ლოგიკურ ფორმულას. თუ, ერთის მხრივ, ლოგიკურ კატეგორიებში პოულობენ ყოველი ნივთის სუბსტანციას, მეორეს მხრივ,— ლოგიკურ ფორმულაში ფიქრობენ ჰპოვონ მოძრაობის აბსოლუტური მეთოდი, რომელიც არა თუ გვიხსნის ყოველ საგანს, არამედ შეიცავს აგრეთვე საგნის მოძრაობასაც.

ამ აბსოლუტურ მეთოდზეა, რომ ჰეგელი ამ სიტყვებით ლაპარაკობს: „მეთოდი არის აბსოლუტური, ერთადერთი, უმაღლესი, უსასრულო ძალა, რომელსაც არავითარ საგანს არ შეუძლია წინაღუდგეს; ეს არის გონების ტენდენცია ყოველ ნივთში თავის თავის კვლავ პოვნისა, თავის თავის ცნობისა“ („Logik“, ტ. III). თუ ყოველი ნივთი ლოგიკურ კატეგორიაზე დაიყვანება და ყოველი მოძრაობა, ყოველი აქტი წარმოებისა — მეთოდზე, აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ ნაწარმოებთა და წარმოების, ობიექტთა და მოძრაობის ერთობლიობა გამოყენებითს მეტაფიზიკაზე დაიყვანება. რაც ჰეგელმა შეასრულა რელიგიისა, სამართლისა და სხვ. შესახებ, ბ-ნი პრუდონი აპირობს იმის შესრულებას პოლიტიკური ეკონომიის შესახებ.

ამგვარად, რა არის ეს აბსოლუტური მეთოდი? მოძრაობის აბსტრაქცია. რა არის მოძრაობის აბსტრაქცია? მოძრაობა აბსტრაქტულ მდგომარეობაში. რა არის მოძრაობა აბსტრაქტულ მდგომარეობაში? მოძრაობის წმინდა ლოგიკური ფორმულა ანუ წმინდა გონების მოძრაობა. რაში მდგომარეობს წმინდა გონების მოძრაობა? იმაში, რომ თვით დადგინდეს, თავის თავს წინაღუდგეს და თავის თავს შეუერთდეს, ჩამოყალიბდეს როგორც თეზი, ანტითეზი, სინ-

თეზი, ანუ, სხვა სიტყვებით კიდევ, როგორც მტკიცუ-ფა, თავის აუარყოფა და თავისი უარყოფის უარყოფა.

მაგრამ როგორ ახდენს გონება თავის მტკიცუფას, თვითდადგინებას განსაზღვრული კატეგორიის ხარჯით? ეს საქმეა თვით გონებისა და მის აპოლოგეტიკისა.

მაგრამ, რაკი უკვე თვით დადგინდა თეზად, შემდეგ ეს თეზი, ეს აზრი, თავის თავისადმი წინაღდგომილი, ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრად იყოფა, დადებითად და უარყოფითად, ჰოდ და არად. ბრძოლა ამ ორი ანტაგონისტური ელემენტისა, რომელიც ანტითეზშია მოქცეული, შეადგენს დიალექტიკურ მოძრაობას. ჰო იქცევა არად, არა იქცევა ჰოდ, ჰო იქცევა ერთსა და იმავე დროს ჰოდ და არად, არა იქცევა ერთსა და იმავე დროს არად და ჰოდ; ამ გზით წინააღმდეგობანი ერთმანეთს აწონასწორებენ, თავიანთ თავს ანეიტრალებენ, აუქმებენ. ამ ორი ანტაგონისტური აზრის ერთად შედუღება ჰქმნის ახალ აზრს, რომელიც მათ სინთეზს წარმოადგენს. ეს ახალი აზრი კვლავ ორ საწინააღმდეგო აზრად იშლება, რომელიც, თავის მხრივ, ახალ სინთეზად გადადუღდება. დაბადების ეს პროცესი შობს აზრთა ჯგუფს. აზრთა ეს ჯგუფი იმავე დიალექტიკურ მოძრაობას მიჰყვება, როგორც მარტივი კატეგორია, და მას თავის ანტითეზად აქვს საწინააღმდეგო ჯგუფი. აზრთა ამ ორი ჯგუფიდან წარმოიშობა აზრთა ახალი ჯგუფი, რომელიც მათ სინთეზს წარმოადგენს.

როგორც მარტივი კატეგორიების დიალექტიკური მოძრაობიდან წარმოიშობა ჯგუფი, ისევე ჯგუფთა დიალექტიკური მოძრაობიდან წარმოიშობა მწკრივი და მწკრივთა დიალექტიკური მოძრაობიდან—მთელი სისტემა ერთობლივ.

მიუყენეთ ეს მეთოდი პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებს, და თქვენ მიიღებთ პოლიტიკური ეკონომიის

ლოგიკას და მეტაფიზიკას, ანუ, სხვა სიტყვებით, მიიღებთ ეკონომიურ კატეგორიებს, ყველას მიერ ცნობილს, გადათარგმნილს ნაკლებად ცნობილ ენაზე, რომელიც მათ ისეთ სახეს აძლევს, თითქოს ეს არის ახლა იყოს წმინდა გონებიან თავში გამოჩეკილი: იმ ზომამდე ეს კატეგორიები გვეჩვენება ერთი მეორის წარმომშობელად, ერთმანეთზე გადაბმულად და გადახლართულად მარტოოდენ დიალექტიკური მოძრაობის მოქმედების გამო. მკითხველს ნუ შეეშინდება ამ მეტაფიზიკის მთელი მისი კატეგორიების, ჯგუფების, მწკრივების და სისტემების ხარაჩოებითურთ. მიუხედავად დიდი მეცადინეობისა, რომელიც ბ-ნმა პრუდონმა გასწია წინააღმდეგობათა სისტემის მწვერვალზე ასასვლელად, მან ვერასოდეს ვერ მოახერხა მარტივი თეზისა და ანტითეზის პირველ ორ საფეხურზე ზევით აწევა, და აქაც მან მიაღწია მხოლოდ ორჯერ, მათში ერთხელ ძირს ჩამოვარდა ყირამალა.

აქამომდე ჩვენ გადმოვეცით მხოლოდ ჰეგელის დიალექტიკა. ქვევით ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ მოახერხა ბ-ნმა პრუდონმა ამ დიალექტიკის საშინლად დაკნინება. ამგვარად, ჰეგელისთვის ყველაფერი, რაც მომხდარა და რაც ხდება, სწორედ ისაა, რაც მის საკუთარ აზროვნებაში სწარმოებს. ამის თანახმად, ისტორიის ფილოსოფია წარმოადგენს მხოლოდ ისტორიას ფილოსოფიისას,—მისი საკუთარი ფილოსოფიისას. არ არსებობს „ისტორია დროის რიგის მიხედვით“, არსებობს მხოლოდ „იდეათა თანამიმდევრობა გონებაში“. იგი ლამობს ქვეყნიერობის აგებას აზრის მოძრაობის საშუალებით, მაშინ როდესაც ნამდვილად იგი აგებს სისტემატიურად და აწყობს აბსოლუტური მეთოდის მიხედვით იმ აზრებს, რომლებიც ყველას თავში მოიპოვება.

## მეორე შენიშვნა

ეკონომიური კატეგორიები მარტოოდენ თეორიული გამოსახულებაა, აბსტრაქციებია წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობათა. ბ-ნი პრუდონი, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსი, იღებს რა საგნებს უკუღმა, ხედავს მათში მხოლოდ იმ პრინციპების, იმ კატეგორიების განხორციელებას, რომლებიც, გვეუბნება კვლავ ფილოსოფოსი ბ-ნი პრუდონი, სთვლემდა „კაცობრიობის უპიროვნო გონების“ წიაღში.

ეკონომისტი ბ-ნი პრუდონი კარგად მიხვდა, რომ ადამიანები მაუდის, ტილოს, აბრეშუმის ქსოვილებს ამზადებენ განსაზღვრულ წარმოების ურთიერთობათა პირობებში. მაგრამ რასაც იგი ვერ მიხვდა, ეს არის ის, რომ ეს განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობანიც ისევე ადამიანთა მიერ არიან წარმოებული, როგორც ტილო, სელი და სხვ. საზოგადოებრივი ურთიერთობანი მჭიდროდ არიან დაკავშირებული საწარმოო ძალებთან. ახალ საწარმოო ძალთა შეძენასთან ერთად ადამიანები სცვლიან თავიანთ წესს წარმოებისას, და წარმოების წესის, თავიანთი არსებობის საშუალებათა მოპოების წესის ცვლილებით ისინი სცვლიან თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობათ. ხელის წისქვილი იძლევა ფეოდალ-ბატონიან საზოგადოებას, ორთქლის წისქვილი— მრეწველ-კაპიტალისტიან საზოგადოებას.

იგივე ადამიანები, რომელნიც აწესებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათ თავიანთი წარმოების წესის შესაბამისად ჰქმნიან აგრეთვე პრინციპებს, იდეებს, კატეგორიებს, თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესაბამისად.

ამგვარად, ეს იდეები, ეს კატეგორიები ისევე ნაკლებ არის მარადიული, როგორც ის ურთიერთობანი, რო-

მელთაც ისინი გამოსახავენ. ისინი ი ს ტ ო რ ი უ ლ და გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ პ რ ო დ უ ქ ტ ს წარმოადგენენ.

ადგილი აქვს შეუწყვეტელ მოძრაობას საწარმოო ძალთა ზრდისას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა რღვევისას, იდეათა წარმოშობისას; უმოძრაოა მხოლოდ მოძრაობის აბსტრაქცია,—mors immortalis [უკვდავი სიკვდილი].

## მ ე ს ა მ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა

ყოველი საზოგადოების საწარმოო ურთიერთობანი ერთ მთელს შეადგენენ. ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი განიხილავს ეკონომიურ ურთიერთობათ როგორც სათანადო რაოდენობის სოციალურ ფაზებს, რომელნიც ერთი მეორეს წარმოშობენ, ერთი მეორისგან გამომდინარეობენ, როგორც ანტითეზი თეზიდან, და თავიანთ ლოგიკურ თანამიმდევრობაში კაცობრიობის უპიროვნო გონებას განახორციელებენ.

ერთადერთი უხერხულობა ამ მეთოდის გამოყენებისას არის ის, რომ, როდესაც ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს უნდა გაარკვიოს მარტო ერთი რომელიმე ფაზა, მას არ შეუძლია მისი ახსნა, თუ ყველა დანარჩენ საზოგადოებრივ ურთიერთობათ არ მიმართა,—ურთიერთობათ, რომელნიც მას ჯერ კიდევ არ წარმოუშობინებია თავისი დიალექტიკური მოძრაობისათვის. როდესაც, შემდეგ, ბ-ნი პ რ უ - დ ო ნ ი, წმინდა გონების საშუალებით, სხვა ფაზების წარმოშობას იწყებს, იგი მათ ისე ექცევა, თითქოს ახლად დაბადებული ბავშვები იყვნენ,—ავიწყდება, რომ ისინი იმავე ასაკის არიან, როგორც პირველი.

ამგვარად, ღირებულების ჩამოყალიბებას, რაც მისთვის ყველა ეკონომიური ევოლიუციის საფუძველს წარმოადგენს, იგი ვერ აღწევს უმისოდ, რომ არ გამოიყენოს შრომის დანაწილება, კონკურენცია და სხვ., მაშინ

როდესაც მწკრივში, ბ-ნი პრუდონის გონებაში, ლოგიკურ თანამიმდევნობაში ეს ურთიერთობანი ჯერ კიდევ სრულიად არ არსებობენ.

როდესაც პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებით იდეოლოგიური სისტემის შენობას ვაგებთ, ჩვენ ვაცალკევებთ სოციალური სისტემის ორგანოებს. საზოგადოების სხვადასხვა ორგანოებს ჩვენ ვაქცევთ მათი სათანადო რაოდენობის განცალკევებულ საზოგადოებებად, რომელნიც ერთი მეორეს მიჰყვებიან. მართლაც, როგორ შეიძლება, რომ მოძრაობის, თანამიმდევნობის, დროის მარტოოდენ ლოგიკურმა ფორმულამ აგვიხსნას საზოგადოებრივი სხეული, რომელშიაც ყველა ურთიერთობანი იმავდროულად თანარსებობენ და ერთმანეთს ეყრდნობიან?

### მეოთხე შენიშვნა

ვნახოთ ახლა, რა ცვლილებებს ახდენს ბ-ნი პრუდონი ჰეგელის დიალექტიკაში, როდესაც მას პოლიტიკური ეკონომიისათვის გამოიყენებს.

ბ-ნი პრუდონის თვალში ყოველ ეკონომიურ კატეგორიას ორი მხარე აქვს, ერთი — კარგი, მეორე — ცუდი. იგი კატეგორიებს განიხილავს ისე, როგორც წვრილი ბურჟუა განიხილავს ისტორიის დიდ ადამიანებს: ნაპოლეონი დიდი ადამიანია; მან ბევრი კარგი რამ გააკეთა, ბევრი ცუდიც გააკეთა.

კარგი მხარე და ცუდი მხარე, უპირატესობა და ნაკლულევანობა, ერთად აღებული, შეადგენს, ბ-ნი პრუდონის აზრით, წინააღმდეგობას ყოველ ეკონომიურ კატეგორიაში.

გადასაჭრელი პრობლემაა კარგი მხარის შენარჩუნება, ცუდის მოშორება.

მონობა ეკონომიური კატეგორიაა, როგორც ყოველი სხვა. მაშასადამე, იმასაც აქვს ორი მხარე. ნუ შევ-

ჩერდებით ცუდ მხარეზე და ვილაპარაკოთ მონობის კარგ მხარეზე: თავის თავად იგულისხმება, აქ ლაპარაკია პირდაპირს მონობაზე, შავკანიანთა მონობაზე სურინამში, ბრაზილიაში, ჩრდილო-ამერიკის სამხრეთის შტატებში.

პირდაპირი მონობა ბურჟუაზიული მრეწველობის დასაყრდენია, ისე როგორც მანქანები, კრედიტი და სხვ. უმონობოდ არ იქნებოდა ბამბა, უბამბოდ არ იქნებოდა თანამედროვე მრეწველობა. მონობამ მისცა კოლონიებს მათი ღირებულება, კოლონიებმა შექმნეს მსოფლიო ვაჭრობა, მსოფლიო ვაჭრობა პირობაა მსხვილი მრეწველობისა. ამრიგად, მონობა უაღრესი მნიშვნელობის ეკონომიური კატეგორიაა.

უმონობოდ ჩრდილო-ამერიკა, ეს ყველაზე უფრო პროგრესიული ქვეყანა, პატრიარქალურ ქვეყანად გადაიქცეოდა. ამოშალეთ ჩრდილო-ამერიკა მსოფლიო რუკიდან და — თქვენ მიიღებთ ანარქიას, თანამედროვე ვაჭრობისა და ცივილიზაციის სრულს დაცემას. მოსპეთ მონობა და — თქვენ ამოშლით ამერიკას ხალხთა რუკიდან [1].

---

[1] 1847 წლისთვის ეს სრულიად მართალი იყო. მაშინ შეერთებული შტატების მსოფლიო ვაჭრობა უმთავრესად იმიგრანტებისა და სამრეწველო პროდუქტების იმპორტით და ბამბისა და თამბაქოს, ე. ი. სამხრეთის მონური შრომის პროდუქტების, ექსპორტით განისაზღვრებოდა. ჩრდილოეთის შტატები უმთავრესად ხორბალსა და ხორცს აწარმოებდენ მონათმფლობელი შტატებისთვის. მონობის მოსპობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთმა საექსპორტოდ იწყო ხორბლისა და ხორცის წარმოება და ამასთან სამრეწველო ქვეყანად იქცა, და ამერიკის ბამბის მონოპოლიას ინდოეთის, ეგვიპტეს, ბრაზილიის და სხვ. სახით ძლიერი კონკურენცია გაუჩნდა. და მაშინაც ამ მოსპობას შედეგად მოჰყვა განადგურება სამხრეთის, რომელმაც ვერ მოახერხა აშკარა ზანგთა მონობის შენაცვლება ინდოელი და ჩინელი კულის ფარული მონობით.— ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი.

და ასე, მონობას, რადგან იგი ეკონომიური კატეგორიაა, ყოველთვის ადგილი ჰქონდა ხალხთა დაწესებულებებს შორის. თანამედროვე ხალხებმა თავიანთ ქვეყანაში მონობას მხოლოდ ნიღაბი ააფარეს, ხოლო ახლა ქვეყანაში იგი დაუფარავად შემოიღეს.

რას იზამს ბ-ნი პრუდონი იმისათვის, რომ მონობა იხსნას? იგი დაადგენს პრობლემას: შენარჩუნებულ იქნეს ამ ეკონომიური კატეგორიის კარგი მხარე და მოშორებულ იქნეს ცუდი მხარე.

ჰეგელს არ აქვს პრობლემები დასადგენი. მას მხოლოდ დიალექტიკა აქვს. ბ-ნ პრუდონს ჰეგელის დიალექტიკის მხოლოდ სიტყვები აქვს. მისი საკუთარი დიალექტიკური მეთოდი მარტოოდენ კარგისა და ცუდის დოგმატიურ გარჩევაში მდგომარეობს.

თვით ბ-ნი პრუდონი ავიღოთ ერთ წუთს კატეგორიად. გავარკვიოთ მისი კარგი და ცუდი მხარე, მისი უპირატესობა და მისი ნაკლულევანობა.

თუ ბ-ნ პრუდონს ჰეგელთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ პრობლემებს დაადგენს, რომელთა ახსნას, კაცობრიობის საკეთილდღეოდ, თავისთვის იტოვებს, მას აქვს ნაკლულევანობაც, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ იგი სრულიად უნაყოფოა, როდესაც საქმე შეეხება ახალი კატეგორიის წარმოშობას დიალექტიკური მშობიარობის პროცესის გზით. სწორედ ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე მხარის თანარსებობა, მათი ბრძოლა და მათი ახალ კატეგორიად შედუღება შეადგენს დიალექტიკურ მოძრაობას. როდესაც ჩვენ ცუდი მხარის მოშორების პრობლემას ვისახავთ,—შუაზე ვწყვეტთ დიალექტიკურ მოძრაობას. აქ აღარ არის კატეგორია, რომელიც თვით დაიდგინება და თავის თავს წინაღუდგება თავისივე წინააღმდეგობის შემცვლელი ბუნების გა-

მო; აქ არის ბ-ნი პრუდონი, რომელიც კატეგორიის ორ მხარეს შორის მიიწ-მოიწევს, ფართხალობს, წვალობს.

და ასე ჩიხში მომწყვდეული, საიდანაც ძნელია გამოსვლა კანონიერი საშუალებით, ბ-ნი პრუდონი [illegible] მოხიდულ ნახტომს აკეთებს და ხელად [illegible] კატეგორიაში და, აი, მაშინ ცხადდება მის გაკვირვებულ თვალთა წინაშე მწკრივობა აზროვნებაში.

იგი იღებს, განურჩევლად, ერთ-ერთ კატეგორიას და მას მიაწერს თვითნებურად ისეთ თვისებას, რომლის წყალობით მან უნდა უწამლოს კატეგორიის ნაკლულევანობას, რომელიც განწმენდილ უნდა იქნეს. ასე: ხარკი, თუ ბ-ნ პრუდონს დავუჯერებთ, ასწორებს მონოპოლიის ნაკლულევანობას; სავაჭრო ბალანსი—ხარკის ნაკლულევანობას; მიწის საკუთრება—კრედიტის ნაკლულევანობას.

იღებს რა ასე ერთი მეორის მიყოლებით, ცალცალკე, ეკონომიურ კატეგორიებს და ხდის რა ერთს მეორის თრიახად, ბ-ნი პრუდონი ამ წინააღმდეგობების, წინააღმდეგობების და თრიახების ნარევისაგან ადგენს წინააღმდეგობათა ორ ტომს, რომელსაც სამართლიანად უწოდებს: ეკონომიურ წინააღმდეგობათა სისტემას.

მეხუთე შენიშვნა

„აბსოლუტურ გონებაში ყველა ეს იდეა თანასწორ მარტივი და ზოგადია... მართლაც, მეცნიერებას ჩვენ მივაღწევთ მხოლოდ ჩვენი იდეებისგან ერთგვარი ხარაჩოების აგების გზით. მაგრამ ჭეშმარიტება თავისთავად დამოუკიდებელია მისი დიალექტიკური სახეებისა და ჩვენი გონების კომბინაციებისგან“ (პრუდონი, ტ. II, გვ. 97).

აქ ჩვენ ვხედავთ,—მოულოდნელად, ერთგვარი მობრუნების წყალობით, რომლის საიდუმლოებას ჩვენ ამ-

ჟამად ვიცნობთ, პოლიტიკური ეკონომიის მეტაფიზიკა ილუზიად იქცა! ასეთი სიმართლე ბ-ნ პრუდონს არასოდეს არ უთქვამს. თავის თავად გასაგებია, რომ იმ მომენტიდან, როდესაც დიალექტიკური პროცესი იმ უბრალო პროცედურაზე დაიყვანება, რომ კარგი ცუდს დაუპირისპირდება, რომ პრობლემები დაისვას ცუდის მოსპობის მიზნით და ერთი კატეგორია თრიაქად გაუხდეს მეორეს,—ამ მომენტიდან კატეგორიებს აღარ აქვს თვითმოქმედება; იდეა „აღარ მოქმედებს“; მასში აღარ არის სიცოცხლე. იგი აღარც დაიდგინება და აღარც დაიშლება კატეგორიებად. კატეგორიების თანამიმდევნობა რაღაც ხარაჩოებადაა გადაქცეული. დიალექტიკა აღარ წარმოადგენს აბსოლუტური გონების მოძრაობას. დიალექტიკა გამქრალია, რჩება—დიდი-დიდი — მხოლოდ წმინდა სახის მორალი.

როდესაც ბ-ნი პრუდონი გველაპარაკებოდა მწკრივობაზე აზროვნებაში, კატეგორიების ლოგიკურ თანამიმდევნობაზე, იგი გადაჭრით აცხადებდა, რომ აზრად არა აქვს მოგვცეს ისტორია დროის მიხედვით, ე. ი. მოგვცეს, მისივე აზრით, ის ისტორიული თანამიმდევრობა, რომელშიაც გამომჟღავნებულა კატეგორიები. მისთვის მაშინ ყველაფერი გონების წმინდა ეთერში სრულდებოდა. ყველაფერი ამ ეთერიდან უნდა ყოფილიყო დიალექტიკის საშუალებით გამომდინარე. ახლა კი, როდესაც საქმე ამ დიალექტიკის პრაქტიკულად გამოყენებას შეეხება, გონება მას ღალატობს. ბ-ნი პრუდონის დიალექტიკა სიტყვას ატეხინებს ჰეგელის დიალექტიკას, და, აი, ბ-ნი პრუდონი იძულებულია გვაცნობოს, რომ ის რიგი, რომლის მიხედვით იგი ეკონომიურ კატეგორიებს იძლევა, არ არის რიგი, რომლის მიხედვით ეს კატეგორიები ერ-

თი მეორისგან წარმოიშობა. ეკონომიური ევოლუციები აღარ წარმოადგენს წმინდა გონების ევოლუციებს.

რაღას გვაძლევს, მაშ, ბ-ნი პრუდონი? ნამდვილ ისტორიას, ე. ი., — ბ-ნი პრუდონის გაგებით, ლოგიკურ თანამიმდევრობას, რომლის მიხედვით კატეგორიები გამომჟღავნდა დროის რიგში? არა. ისტორიას, როგორც იგი თვით იდეაში სრულდება? ამას კიდევ ნაკლებ. მაშ, არც კატეგორიების ჩვეულებრივ ისტორიას, არც მათ საღვთო ისტორიას! ჰო და, რაღა ისტორიას გვაძლევს იგი, ბოლოს და ბოლოს? თავის საკუთარ წინააღმდეგობათა ისტორიას. ვნახოთ, როგორ მიმდინარეობენ ეს წინააღმდეგობანი და როგორ თან მიათრევენ ბ-ნ პრუდონს.

ვიდრე ამ გამოკვლევას შევუდგებოდეთ, რომელიც საბაბს იძლევა მეექვსე მნიშვნელოვანი შენიშვნისათვის, ჩვენ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა გვაქვს გასაკეთებელი.

მივიჩნიოთ ბ-ნ პრუდონთან ერთად, რომ ნამდვილი ისტორია, ისტორია დროის რიგის მიხედვით, იმ ისტორიულ თანამიმდევრობას წარმოადგენს, რომელშიაც იდეები, კატეგორიები, პრინციპები გამომჟღავნდა.

თითოეულ პრინციპს თავისი საუკუნე ჰქონდა, რომელშიაც იგი მჟღავნდებოდა: ავტორიტეტის პრინციპს, მაგალითად, ჰქონდა მე-XI საუკუნე, ისევე ინდივიდუალიზმის პრინციპს — მე-XVIII საუკუნე. მაშასადამე, საუკუნე ეკუთვნოდა პრინციპს და არა პრინციპი — საუკუნეს. სხვა სიტყვებით: პრინციპი ჰქმნიდა ისტორიას და არა ისტორია — პრინციპს. თუ, შემდეგ, რათა დავიხსნათ როგორც პრინციპები, ისე ისტორია, ვიკითხავთ, — რატომ ესა თუ ის პრინციპი გამომჟღავნდა მე-XI ან მე-XVIII საუკუნეში და არა სხვაში, ჩვენ აუცილებლობის გზით იძულებული ვართ დაწვრილებით გამოვიკვლიოთ, რა ადამიანები იყვნენ მე-XI ან მე-XVIII საუკუნის ადამიანები, როგორი იყო მათი მოთ-

ხოვნილებები, მათი საწარმოო ძალები, მათი წარმოების
წესი, მათი წარმოების ნედლი მასალა, დასასრულ, — რო-
გორი იყო ადამიანის მიმართ ადამიანის ურთიერთობა, რო-
მელიც არსებობის ყველა ამ პირობათაგან გამომდინარეობ-
და. განა ყველა ამ საკითხთა გარკვევა არ ნიშნავს ნამ-
დვილი ისტორიის, თითოეული საუკუნის ადამიანთა ჩვეუ-
ლებრივი ისტორიის მოცემას, ამ ადამიანთა დასახვას ერთ-
სა და იმავე დროს ავტორებად და მსახიობებად მათი სა-
კუთარი დრამისა? მაგრამ როგორც კი ადამიანთ დასახავთ
მათი საკუთარი ისტორიის ავტორებად და მსახიობებად,
თქვენ უბრუნდებით, მოხვეული გზით, ნამდვილ გამოსა-
ვალ წერტილს, ვინაიდან თავს ანებებთ მარადიულ პრინცი-
პებს, რომლებსაც გამოსავალ წერტილად იღებდით უწინ.

მაგრამ ბ-ნი პრუდონი არც კი წაწეულა წინ საკმაოდ
იმ სამარჯვო ბილიკზე, რომელსაც დაადგება ხოლმე იდე-
ოლოგი ისტორიის ფართო შარა გზაზე გამოსასვლელად.

## მეექვსე შენიშვნა

დავადგეთ ბ-ნ პრუდონთან ერთად სამარჯვო
ბილიკს.

ვიგულვოთ, რომ ეკონომიური ურთიერთობანი, გარ-
დუვალი კანონების, მარადიული პრინცი-
პების, იდეალური კატეგორიების სახით გან-
ხილულნი, წინ უსწრებდენ მოძრავ და მომქმედ ადამია-
ნებს; ვიგულვოთ ისიც, რომ ეს კანონები, ეს პრინცი-
პები, ეს კატეგორიები ჟამთა დასაბამიდან სთვლემდა
„კაცობრიობის უპიროვნო გონებაში“. ჩვენ უკვე ვნახეთ,
რომ ყველამ ამ გარდუვალი და უცვლელი მარადიულო-
ბის დროს ადგილი აღარ აქვს ისტორიას; ისტორია
რჩება მხოლოდ — დიდი-დიდი — იდეაში, ე. ი. რჩება ის
ისტორია, რომელიც აირეკლება წმინდა გონების დია-
ლექტიკურ მოძრაობაში. მით, რომ ბ-ნი პრუდონი

ამბობს, დიალექტიკურ მოძრაობაში იდეების „დიფერენციაცია“ აღარ ხდება, იგი სპობს მოძრაობის ჩრდილსაც და ჩრდილთა მოძრაობასაც, რომელთა საშუალებით კიდევ ჰო, ასე [illegible] შეიძლებოდა ისტორიის რაიმე ნასახის შექმნა [illegible]ამისა, იგი თავის საკუთარ უძლურებას თავს ახვევს ისტორიას, ბრალს სდებს ყველას და ყველაფერს, ფრანგულ ენასაც კი. „არაა სწორი იმის თქმა, ამბობს ფილოსოფოსი ბ-ნი პრუდონი, რომ რაიმე ხდება, რაიმე წარმოსდგება: ცივილიზაციაში, ისე როგორც მსოფლიოში, ყველაფერი არსებობს, ყველაფერი მოქმედებს დასაბამითვე. ასეა ეს მთელი სოციალური ეკონომიის შესახებაც“ (ტომი II, გვ. 102).

ასეთია მწარმოებელი ძალა წინააღმდეგობათა, რომელნიც მოქმედებენ და ამოქმედებენ ბ-ნ პრუდონს: ეს უკანასკნელი, როდესაც მას სურს ახსნას ისტორია, იძულებულია უარჰყოს იგი; როდესაც სურს ახსნას სოციალურ ურთიერთობათა თანამიმდევნობითი მსვლელობა, იგი უარჰყოფს, რომ რაიმე შეიძლება მოხდეს; როდე-საც სურს ახსნას წარმოება ყველა მისი ფაზითურთ, იგი უარჰყოფს, რომ რაიმე წარმოება შეიძლებოდეს.

ამგვარად, ბ-ნი პრუდონისთვის აღარ არსებობს ისტორია, აღარც იდეათა თანამიმდევნობა, მაგრამ მისი წიგნი მაინც განაგრძობს არსებობას, და სწორედ ეს წიგნია, მისი საკუთარი სიტყვების თანახმად, „იდეათა თანამიმდევნობის შესაბამისი ისტორია“. როგორ უნდა იქნეს პოვნილი ისეთი ფორმულა, ვინაიდან ბ-ნი პრუდონი ფორმულების კაცია, რომელიც მას დაეხმარება ერთადერთი ახტომით თავს გადაახტეს ყველა თავის წინააღმდეგობათ?

ამისთვის მან ერთი ახალი გონება გამოიგონა, რომელიც აბსოლუტური, წმინდა და უმანკო გონება არ არის,

არც სხვადასხვა საუკუნეებში მოძრავ და მომქმედ ადამიანთა ჩვეულებრივი გონება, არამედ—სრულიად განსაკუთრებული გონება, საზოგადოება-პიროვნების, სუბიექტი კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს გონება, რომელიც ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს კალამს ქვეშ ხანდახან აგრეთვე „საზოგადოებრივი გ ე ნ ი ი ს“, „საყოველთაო გონების“ და, ბოლოს და ბოლოს, „კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს გ ო ნ ე ბ ი ს“ სახით გვევლინება. მაგრამ მაინც ეს გონება, ესოდენ მრავალი სახელწოდებით დატვირთული, ყოველ წამს თავს გვამცნობს, როგორც ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს ინდივიდუალური გონება თავისი კარგი და ცუდი მხრით, თავისი თრიახებითა და პრობლემებითურთ.

„ადამიანის გონება არ ჰქმნის ჭეშმარიტებას“, რომელიც აბსოლუტური, მარადიული გონების სიღრმეშია დამალული. მას მხოლოდ მისი გამოაშკარავება შეუძლია. მაგრამ ის ჭეშმარიტებანი, რომელნიც მან დღემდე გამოააშკარავა, არ არიან სრულნი, საკმაონი და ამისგამო ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ამიტომ თვით ეკონომიური კატეგორიებიც, რომელნიც ადამიანის გონების, საზოგადოებრივი გენიის მიერ აღმოჩენილ ჭეშმარიტებათ წარმოადგენენ, არაა სრული და წინააღმდეგობის ჩანასახს შეიცავს. ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ა მ დ ე საზოგადოებრივი გენია ხედავდა მხოლოდ ა ნ ტ ა გ ო ნ ი ს ტ უ რ ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ს და ვერ პოულობდა ს ი ნ თ ე თ ი უ რ ფორმულას, თუმცა ორივე ეს ერთსა და იმავე დროს ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ გ ო ნ ე ბ ა შ ი იმალება. ეკონომიური ურთიერთობანი, რომელნიც ამ უსრული ჭეშმარიტებათა, ამ არა საკმაო კატეგორიათა, ამ მოწინააღმდეგე ცნებათა ქვეყნად განხორციელებას წარმოადგენენ მხოლოდ, თავისში წინააღმდეგობის შემცველნი არიან და ორ მხარეს გვიჩვენებენ: ერთს—კარგს და მეორეს—ცუდს.

პოვნა სრული ჭეშმარიტების, სრული ცნების, პოვნა სინთეთიური ფორმულის, რომელიც გააქარწყლებს ანტიონომიას,—აი, ეს არის პრობლემა, რომელიც უნდა ახსნას საზოგადოების გენიამ. ამიტომაცაა, რომ ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს ილუზიაში საზოგადოების ეს გენია ერთი კატეგორიიდან მეორეს აწყდებოდა, მაგრამ დღემდე, მის კატეგორიათა მთელი ბატარიის მიუხედავად, ვერ შესძლო ღმერთისთვის, აბსოლუტური გონებისთვის, გამოეგლიჯა სინთეთიური ფორმულა.

„პირველად საზოგადოება (საზოგადოების გენია) დაადგენს პირველ ფაქტს, წამოაყენებს ჰ ი პ ო თ ე ზ ა ს... ჭეშმარიტ ანტინომიას, რომლის ანტაგონისტური შედეგები საზოგადოებრივ ეკონომიაში იმგვარადვე ვითარდება, როგორც მისი შედეგები შეიძლებოდა გამომდინარე ყოფილიყო გონებაში; ასე რომ სამრეწველო მოძრაობა, მისდევს რა ყველაფერში იდეათა დედუქციას, ორ მიმდინარეობად იყოფა: ერთია მიმდინარეობა სასარგებლო შედეგთა და მეორე—საზიანო შედეგთა. რათა ჰარმონიულად ჩამოაყალიბოს ეს ორსახიანი პრინციპი და ახსნას ეს ანტიონომია, საზოგადოება მას წარმოაშობინებს მ ე ო რ ე ანტიონომიას, რომელსაც მალე მესამე მოჰყვება, და ასეთი იქნება ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს გ ე ნ ი ი ს მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა მანამდე, როდესაც იგი, ყველა თავის წინააღმდეგობათა ამოწურვის შემდეგ,— ვგულისხმობ, თუმცა ეს არაა დამტკიცებული, რომ წინააღმდეგობას კაცობრიობაში ბოლო აქვს,—როდესაც იგი ერთის ნახტომით დაუბრუნდება ყველა თავის უწინდელ პოზიციას და ე რ თ ა დ ე რ თ ი ფ ო რ მ უ ლ ი თ ახსნის ყველა თავის პრობლემას“ (ტ. I, გვ. 135).

როგორც წინად ა ნ ტ ი თ ე ზ ი თ რ ი ა ხ ა დ გადაიქცა, ისევე ახლა თ ე ზ ი ჰ ი პ ო თ ე ზ ა დ იქცევა. მაგრამ ეს სიტყვების გამოცვლა არაფერია ისეთი, რამაც გაგვაკვირ-

ვოს ბ-ნი პრუდონის მხრივ. ადამიანის გონება, რომელიც ნაკლებად წმინდა გახლავთ, ვინაიდან მისი თვალსაზრისი ფრიად შეზღუდულია, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდება ახალ პრობლემებს გადასაჭრელად. ყოველი ახალი თეზი, რომელსაც იგი აბსოლუტურ გონებად მიიჩნევს და რომელიც პირველი თეზის უარყოფას წარმოადგენს, მისთვის იქცევა სინთეზად, რომელსაც იგი საკმაოდ გულუბრყვილობით მიიჩნევს მოცემული პრობლემის ახსნად. და ასე, ეს გონება მაშვრალობს სულ ახალ-ახალ წინააღმდეგობებში, ვიდრე იგი, წინააღმდეგობათა დასასრულს მიღწეული, არ შეამჩნევს, რომ ყველა მისი თეზი და სინთეზი მხოლოდ ერთი მეორის საწინააღმდეგო ჰიპოთეზები ყოფილა. სახტად დარჩენილი „ადამიანის გონება, საზოგადოების გენია, ერთის ნახტომით უბრუნდება ყველა თავის უწინდელ პოზიციას და ერთადერთი ფორმულით ახსნის ყველა თავის პრობლემას“. ეს ერთადერთი ფორმულა, ვამბობთ სხვათა შორის, წარმოადგენს ბ-ნი პრუდონის ჭეშმარიტ აღმოჩენას. იგია—ჩამოყალიბებული ღირებულება.

ჰიპოთეზებს აკეთებენ რაიმე მიზნისათვის. მიზანი, რომელსაც პირველ რიგში ისახავდა ბ-ნი პრუდონის პირით მოლაპარაკე საზოგადოების გენია, იყო ის, რომ განერიდებია ყველაფერი ცუდი, რაც ყოველ ეკონომიური კატეგორიაში მოიპოება, და დაეტოვებია მხოლოდ კარგი. ამ გენიისთვის კარგს, უმაღლეს სიკეთეს, ჭეშმარიტ პრაქტიკულ მიზანს, შეადგენს თანასწორობა. და რატომ საზოგადოების გენია რჩეობს უფრო თანასწორობას, ვიდრე უთანასწორობას, ძმობას, კათოლიზმს ან სხვა რომელსამე პრინციპს? იმიტომ, რომ „კაცობრიობამ ამდენი ცალკე ჰიპოთეზები მხოლოდ ერთი უმაღლესი ჰიპოთეზის გულისთვის განახორციელა“, რომელიც სწორედ თანასწორობაა. სხვა სი-

ტყვებით: იმიტომ, რომ თანასწორობა ბ-ნი პრუდონის იდეალია. მისი წარმოდგენით, შრომის დანაწილება, კრედიტი, კოოპერაცია სახელოსნოში, ერთის სიტყვით — ყველა ეკონომიური ურთიერთობა მხოლოდ თანასწორობის სასარგებლოდ იყო გამოგონილი, მაგრამ ამან ყოველთვის თანასწორობის წინააღმდეგ იბრუნა პირი. იქიდან, რომ ისტორია და ბ-ნი პრუდონის ფიქცია ყოველ ნაბიჯზე ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, ბ-ნი პრუდონი დაასკვნის, რომ არსებობს წინააღმდეგობა. მაგრამ თუ წინააღმდეგობა არსებობს, იგი არსებობს მხოლოდ მის აკვიატებულ იდეასა და ნამდვილ მოძრაობას შორის.

ამიერიდან ამა თუ იმ ეკონომიური ურთიერთობის კარგი მხარე ყოველთვის ის მხარეა, რომელიც განამტკიცებს თანასწორობას; ცუდი მხარე ისაა, რომელიც მას უარჰყოფს და უთანასწორობას აძლიერებს. ყოველი ახალი კატეგორია ჰიპოთეზაა საზოგადოების გენიისა წინა ჰიპოთეზის მიერ წარმოშობილი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ერთის სიტყვით,—თანასწორობა არის თავდაპირველი განზრახვა, მისტიური ტენდენცია, განგებითი მიზანი, რომელიც საზოგადოების გენიას მუდამ თვალწინ აქვს, როდესაც იგი ეკონომიურ წინააღმდეგობათა წრეში ტრიალებს. ამიტომაც განგება ის ორთქლმავალია, რომელიც ბ-ნი პრუდონის ეკონომიურ ბარგს უკეთ ამოძრავებს, ვიდრე მისი წმინდა და ჰაეროვანი გონება. მან განგებას უძღვნა მთელი თავი, რომელიც ხარკების შესახები თავის შემდეგ არის მოთავსებული.

განგება, განგებითი მიზანი,—აი, ეს არის ის დიადი სიტყვა, რომელსაც ამჟამად ხმარობენ ისტორიის მსვლელობის ასახსნელად. ნამდვილად კი ეს სიტყვა არაფერს ხსნის. ეს არის—დიდი-დიდი,—რიტორიული ფორმა, ერთ-ერთი წესი სხვა მრავალთაგან ფაქტების სიტყვიერ აღსანიშნავად.

ფაქტია, რომ შოტლანდიაში საადგილმამულო საკუთრებამ ახალი ღირებულება მიიღო ინგლისის მრეწველობის განვითარების წყალობით. ამ მრეწველობამ ახალი ბაზრები გაუხსნა მატყლს. მატყლის დიდი მასშტაბით წარმოებისათვის საჭირო იყო სახნავი მიწების გადაქცევა საძოვრებად. ამ გარდაქმნის განსახორციელებლად საჭირო იყო საკუთრების კონცენტრაცია. საკუთრების კონცენტრაციისთვის საჭირო იყო წვრილი ფერმების მოსპობა, ფერმერების განდევნა ათასობით მათ სამშობლოდან და მათ ადგილას რამდენიმე მწყემსის დაყენება მილიონობით ცხვრების მოსავლელად. ამგვარად, საადგილმამულო საკუთრებას შოტლანდიაში, თანამიმდევრო გარდაქმნათა გამო, შედეგად ჰქონდა ადამიანების განდევნა ცხვრების მიერ. თქვით ახლა, შოტლანდიაში საადგილმამულო საკუთრების განგებითი მიზანი ცხვრების მიერ ადამიანების განდევნა იყოვო, და—თქვენ იქნებით განგებითი ისტორიის გადმომცემი.

ცხადია, თანასწორობისადმი მისწრაფება ახასიათებს ამ ჩვენს საუკუნეს. მაგრამ ამის თქმა: ყველა წინანდელი საუკუნენი, სრულიად განსხვავებულნი მოთხოვნილებებისა, საწარმოო საშუალებებისა და სხვ. მხრივ, განგების თანახმად თანასწორობის განხორციელებას ემსახურებოდნენ,—ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, წარსული საუკუნეების ადამიანთა და საშუალებათა ადგილას ჩვენი საუკუნის ადამიანთა და საშუალებათა გულისხმობას და იმ ისტორიული მოძრაობის არ ცნობას, რომლის საშუალებით შემდგომი თაობანი წინა თაობათა მიერ მოპოვებული შედეგების გარდაქმნას აწარმოებდენ. ეკონომისტებმა ძალიან კარგად იციან, რომ იგივე საგანი, რაც ერთისთვის გადამუშავებულ პროდუქტს წარმოადგენს, მეორისთვის ნედლი მასალაა ახალ წარმოებაში.

იგულისხმეთ, როგორც ბ-ნი პრუდონი სჩადის, რომ საზოგადოების გენიამ ფეოდალური მებატონეები შექმნა, ანუ უკეთ, დააყენა ანაზდეულად იმისათვის, რომ მათ, განგების მიზნის თანახმად, ყმა გლეხებ[illegible]ქმნათ პასუხისმგებელ და თანასწო[illegible]ტო-მელებად, და—თქვენ მოახდენთ მიზანთა და პიროვნებათა შენაცვლებას, ღირსეულს იმ განგებისა, რომელმაც შოტლანდიაში საადგილმამულო საკუთრება დააწესა, რათა მის ბოროტ გულს სიამოვნება ეგრძნო ცხვრების მიერ ადამიანების განდევნის გამო.

მაგრამ, რახან ბ-ნი პრუდონი შეპყრობილია ასეთი ნარნარი გრძნობით განგებისადმი, ჩვენ მას მივუთითებთ „L'Histoire de l'Economie politique"-ზე ბ-ნი ვილნევ-ბარჟემონისა (Willeneuve-Bargemont), რომელიც აგრეთვე დასდევს განგების მიზანს. მხოლოდ: ეს მიზანი არის არა თანასწორობა, არამედ—კათოლიციზმი.

### მეშვიდე და უკანასკნელი შენიშვნა

ეკონომისტებს მსჯელობის უცნაური წესი აქვთ. მათთვის მხოლოდ ორგვარი დაწესებულება არსებობს,—ხელოვნური და ბუნებრივი. ფეოდალური დაწესებულებები ხელოვნურია, ბურჟუაზიული კი—ბუნებრივი. ამ მხრივ ისინი თეოლოგებს მოგვაგონებენ, რომელნიც აგრეთვე ორგვარ სარწმუნოებას ანსხვავებენ. ყოველი სარწმუნება, რომელიც მათი არ არის, ადამიანის გამოგონებაა, ხოლო მათი საკუთარი სარწმუნოება—ღვთიური გამოცხადება. როდესაც ეკონომისტები ამბობენ, თანამედროვე ურთიერთობანი,—ბურჟუაზიული წარმოების ურთიერთობანი,—ბუნებრივიაო, ისინი ამით გვამცნობენ, რომ ესაა ურთიერთობანი, რომლებშიაც სიმდიდრე იქმნება და საწარმოო ძალები ვითარდება ბუნების კანონების თანახმად. მაშ თვით ეს ურთიერთობანი დროის გავლენისაგან

დაშლეუკიდებელ ბუნებრივ კანონებს წარმოადგენენ. ეს მარადიული კანონებია, რომელნიც მუდამ განაგებენ საზოგადოებას. ამგვარად, წინად კი იყო ისტორია, მაგრამ დღეს იგი აღარ არის. იყო ისტორია, ვინაიდან არსებობდა ფეოდალური დაწესებულებები, და ამ ფეოდალურ დაწესებულებებში ჩვენ ვპოულობთ საწარმოო ურთიერთობათ, სრულიად განსხვავებულთ ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ურთიერთობათაგან, რომელნიც ეკონომისტებს სურთ აღიარებულ იქნენ ბუნებრივად და ამიტომ მარადიულად.

ფეოდალიზმსაც ჰყავდა თავისი პროლეტარიატი, — ყმების მასა, რომელიც თვისში შეიცავდა ბურჟუაზიის ყველა ჩანასახს. ფეოდალურ წარმოებასაც ჰქონდა ორი ანტაგონისტური მხარე, რომელსაც აგრეთვე ფეოდალიზმის კ ა რ გ მ ხ ა რ ე ს და ც უ დ მ ხ ა რ ე ს უწოდებენ, მხედველობაში მიუღებლად იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს ყოველთვის ცუდი მხარე კარგის დამძლევი. ცუდი მხარე წარმოშობს მოძრაობას, რომელიც ჰქმნის ისტორიას, — იმით, რომ შეიცავს ბრძოლას. ფეოდალიზმის ბატონობის ხანაში ეკონომისტებს, აღფრთოვანებულებს რაინდული სათნოებით, მშვენიერი ჰარმონიით უფლებათა და მოვალეობათა შორის, ქალაქების პატრიარქალური ცხოვრებით, სოფლად ოჯახური მრეწველობის განვითარების მდგომარეობით, კორპორაციებისა, გილდებისა და ამქრების მიერ მოწესრიგებული მრეწველობის განვითარებით, ერთის სიტყვით — ყველაფრით, რაც ფეოდალიზმის კარგ მხარეს წარმოადგენს, ამოცანად რომ დაესახათ მოსპობა ყველაფრის, რაც ამ სურათს ჩრდილს აყენებს, — მოსპობა ბატონყმობის, პრივილეგიების, ანარქიის, — რა შედეგი ექნებოდა ამას? მოისპობოდა ყველა ელემენტი, რომელიც ბრძოლას იწვევდა, და ბურჟუაზიის განვითარება ჩანა-

სახშივე დაიხშობოდა. ეს იქნებოდა სულელური ამოცანა ისტორიის მოსპობისა.

როდესაც ბურჟუაზია ცხოვრების სათავეში მოექცა, ლაპარაკი აღარ იყო ფეოდალიზმის არც კარგი და არც ცუდი მხარის შესახებ. საწარმოო ძალები, რომლებსაც მის მიერ განვითარება მიეცა ფეოდალიზმის ხანაში, მას დარჩა. დაიმსხვრა ყველა ძველი ეკონომიური ფორმა, მისი შესაბამისი სამოქალაქო ურთიერთობა, პოლიტიკური წყობილება, რომელიც ძველი სამოქალაქო საზოგადოების ოფიციალური გამოხატულება იყო.

ამგვარად, თუ ჩვენ გვსურს სწორად განვსაჯოთ ფეოდალური წარმოება, იგი უნდა განვიხილოთ როგორც ანტაგონიზმზე დამყარებული წესი წარმოებისა. უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ იქმნებოდა სიმდიდრე ამ ანტაგონიზმს შიგნით, როგორ ვითარდებოდა საწარმოო ძალები პარალელურად კლასთა ანტაგონიზმის განვითარებასთან, როგორ თანდათან იზრდებოდა ერთი კლასი,— საზოგადოების ცუდი მხარე, ნაკლულევანობა,—ვიდრე მისი განთავისუფლების მატერიალური პირობები სავსებით მომწიფდებოდა. განა ეს საკმაოდ გარკვევით არ გვეუბნება იმას, რომ წარმოების წესი, ურთიერთობანი, რომლებშიც საწარმოო ძალები ვითარდება, სრულიადაც მარადიულ კანონებს არ წარმოადგენენ, არამედ ადამიანთა და მათ საწარმოო ძალთა განსაზღვრულ განვითარებას შეესაბამებიან, და რომ ადამიანთა საწარმოო ძალებში წარმომდგარი ცვლილება აუცილებლად იწვევს ცვლილებას მათ საწარმოო ურთიერთობაში? რადგანაც აუცილებლად საჭიროა ცივილიზაციის ნაყოფი, მოპოვებული საწარმოო ძალები შენარჩუნებულ იქნეს, ამიტომ უნდა დამსხვრეულ იქნეს ის ტრადიციული ფორმები, რომლებშიაც ისინი შეიქმნენ. ამ მომენტიდან რევოლუციონერი კლასი კონსერვატორად იქცევა.

ბურჟუაზია განვითარებას იწყებს პროლეტარიატთან ერთად, რომელიც, თავის მხრივ, ფეოდალური დროის პროლეტარიატის[1] ნაშთი არის. თავისი ისტორიული განვითარების მსვლელობაში ბურჟუაზია აუცილებლობის გზით ანვითარებს თავის ანტაგონისტურ ხასიათს, რომელიც დასაწყისში მეტნაკლებად დაფარულია, რომელსაც მხოლოდ მალული არსებობა აქვს. იმ ზომით, რა ზომითაც ბურჟუაზია ვითარდება, იგი თავის წიაღში ანვითარებს ახალ პროლეტარიატს, თანამედროვე პროლეტარიატს: ვითარდება ბრძოლა პროლეტართა და ბურჟუათა კლასს შორის, ბრძოლა, რომელიც, ვიდრე იგი ორივე მხარის მიერ შეგრძნობილი, შემჩნეული, შეფასებული, გაგებული, ცნობილი და ხმამაღლა აღიარებული იქნებოდეს, წინასწარ მჟღავნდება მხოლოდ ნაწილობრივ და წარმავალ კონფლიქტებში, გამანადგურებელ მოქმედებებში. მეორეს მხრივ, თუ თანამედროვე ბურჟუაზიის ყველა წევრთ ერთი და იგივე ინტერესი აქეთ, რამდენადაც ისინი ერთ კლასს შეადგენენ მეორე კლასთან დაპირისპირებით, მათ აქვთ მოწინააღმდეგე, ანტაგონისტური ინტერესები, რამდენადაც ისინი თვით ერთმანეთს უპირისპირდებიან. ეს ინტერესთა წინააღმდეგობა გამომდინარეობს მათი ბურჟუაზიული ცხოვრების ეკონომიური პირობებიდან. დღითი-დღე უფრო ცხადი ხდება, რომ საწარმოო ურთიერთობას, რომელშიაც ბურჟუაზია მოძრაობს, აქვს არა მთლიანი, მარტივი ხასიათი, არამედ—ორმაგი; რომ იმავე ურთიერთობაში, რომელშიაც იწარმოება სიმდიდრე, იწარმოება აგრეთვე სიღატაკე; რომ იმავე ურთიერთობაში, რომელშიაც ხდება საწარმოო ძალთა განვითარება, ვითარდება

[1] მარქსს, როგორც ეს ჩანს მის მიერ არშიაზე გაკეთებული შენიშვნებიდან, უნდოდა ამ ტერმინის შეცვლა შემდეგი სიტყვებით: „მშრომელი კლასის“.—შენიშ. რუს. გამოც.

აგრეთვე დაჩაგვრის ძალა; რომ ეს ურთიერთობა წარმოშობს ბურჟუაზიულ სიმდიდრეს, ე. ი. ბურჟუაზიული კლასის სიმდიდრეს, მხოლოდ—ისე, რომ მუდამ ანადგურებს ამ კლასის ცალკე წევრთა სიმდიდრეს და ჰქმნის მუდამ ზრდაში მყოფ პროლეტარიატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უფრო გამოდის დღის სინათლეზე ეს ანტაგონისტური ხასიათი, მით უფრო ეკონომისტები, ბურჟუაზიული წარმოების მეცნიერული წარმომადგენელნი, ვარდებიან წინააღმდეგობაში თავიანთ საკუთარ თეორიასთან; იქმნებიან სხვადასხვა სკოლები.

ჩვენ გვყავნან ფ ა ტ ა ლ ი ს ტ ი ეკონომისტები, რომელთაც ისევე აინუნში არ მოსდით ის, რასაც ისინი ბურჟუაზიული წარმოების ნაკლულევანობას უწოდებენ, როგორც პრაქტიკაში თვით ბურჟუებს — ტანჯვა პროლეტარების, რომელნიც მათ სიმდიდრის შეძენას შველიან. ამ ფატალისტურ სკოლაში არიან კლასიკოსები და რომანტიკოსები. კლასიკოსები, როგორიც ა დ ა მ ს მ ი ტ ი და რ ი კ ა რ დ ო, წარმოადგენენ იმ ბურჟუაზიას, რომელიც, ებრძვის რა ფეოდალური საზოგადოების ნაშთებს, ცდილობს ფეოდალური ლაქებისაგან გასწმინდოს ეკონომიური ურთიერთობანი, გაადიდოს საწარმოო ძალები და მრეწველობასა და ვაჭრობას მისცეს ახალი სტიმული. ამ ბრძოლაში მონაწილე პროლეტარიატი, ამ გაცხოველებულ მუშაობაში გართული, განიცდის მხოლოდ წარმავალ, შემთხვევითს ტანჯვას და თვითონაც მას ასეთად სთვლის. ეკონომისტებს, როგორიცაა ა დ ა მ ს მ ი ტ ი და რ ი კ ა რ დ ო, რომელნიც ამ ეპოქის ისტორიკოსები არიან, მარტოოდენ ის მისია აქვთ, რომ გაარკვიონ, თუ როგორ შეიძინება ბურჟუაზიული წარმოების ურთიერთობაში სიმდიდრე, რომ ჩამოაყალიბონ ეს ურთიერთობანი კატეგორიებად, კანონებად, და დაგვანახვონ, თუ რამდენ დიდი უპირატესობა აქვს ამ კანონებს, ამ კატე-

გორიებს სიმდიდრის წარმოებისთვის ფეოდალური საზოგადოების კანონებსა და კატეგორიებთან შედარებით. სილატაკე წარმოადგენს მათ თვალში მარტოოდენ ტკივილს, რომელიც ახლავს ყოველ მშობიარობას, როგორც ბუნებაში, ისევე მრეწველობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანტიკოსები ეკუთვნიან ჩვენს ხანას, როდესაც ბურჟუაზია პირდაპირს წინააღმდეგობაშია პროლეტარიატთან, როდესაც სილატაკე ისევე უხვად წარმოიშობა, როგორც სიმდიდრე. ეკონომისტები აქ ხალისდაკარგულ ფატალისტთა როლს თამაშობენ; თავიანთი სიდიადის მაღლობიდან ისინი ზიზღით გადახედავენ მედიდურად ადამიანურ მანქანებს, რომელნიც სიმდიდრეს ჰქმნიან. ისინი, საკითხების გამორკვევის მხრივ, ჰბაძავენ ყველაფერში თავიანთ წინამორბედებს, და ის აინუნშიჩაუგდებლობა, რაც ამ უკანასკნელთა მხრივ გულუბრყვილობას მოწმობდა, პირველთათვის კოკობზიკობად იქცევა.

შემდეგ მოდის ჰ უ მ ა ნ ი ტ ა რ უ ლ ი  ს კ ო ლ ა, რომელიც გულთან ახლოს იღებს თანამედროვე საწარმოო ურთიერთობათა ცუდ მხარეს. თავისი სინდისის დასამშვიდებლად, იგი ცდილობს, რაც შეიძლება მოაშანდაკოს რეალური კონტრასტები; იგი გულწრფელად დასტირის პროლეტარიატის გაჭირვებას, ბურჟუების აღვირახსნილ კონკურენციას ერთმანეთ შორის; იგი ურჩევს მუშებს, იყონ ზომიერნი, მუყაითნი და ცოტა ბავშვები გააჩინონ; წინადადებას აძლევს ბურჟუაზიას, რომ მან უფრო მეტად დაუთმოს ადგილი გონიერებას თავის საწარმოო გატაცებაში. ამ სკოლის მთელი თეორია დამყარებულია დაუსრულებელ გარჩევებზე თეორიასა და პრაქტიკას შორის, პრინციპებსა და შედეგებს შორის, იდეასა და გამოყენებას შორის, შინაარსსა და ფორმას შორის, არსებასა და რეალობას შორის, უფლებასა და ფაქტს შორის, კარგსა და ცუდ მხარეს შორის.

*ფილანტროპიული* სკოლა წარმოადგენს გაუმჯობესებულ ჰუმანიტარულ სკოლას. იგი უარჰყოფს ანტაგონიზმის აუცილებლობას; მას სწადია ყველა ადამიანი ბურჟუად გახადოს; მას სურს განახორციელოს თეორია, რამდენადაც იგი განსხვავდება პრაქტიკისაგან და ანტაგონიზმს არ შეიცავს. თავის თავად გასაგებია, თეორიაში ადვილია აბსტრაქციისყოფა წინააღმდეგობების, რომელთაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით სინამდვილეში. ეს თეორია გაიდეალიზაციებულ სინამდვილეს წარმოადგენს. ფილანტროპებს სწადიათ, შეინარჩუნონ ბურჟუაზიული ურთიერთობანი უ მათ შემადგენელ ანტაგონიზმოდ, რომელიც მათგან განუშორებელია. მათ ჰგონიათ, რომ სერიოზულად ებრძვიან ბურჟუაზიულ პრაქტიკას, და თვითონ კი უფრო ბურჟუები არიან, ვიდრე ვინმე სხვანი.

როგორც *ეკონომისტები* არიან მეცნიერული წარმომადგენელნი ბურჟუაზიული კლასის, ისევე *სოციალისტები* და *კომუნისტები* არიან თეორეტიკოსები პროლეტარიატის კლასის. ვიდრე პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ განვითარებული, რათა კლასად ჩამოყალიბდეს, და, მაშასადამე, პროლეტარიატის ბრძოლასაც ბურჟუაზიასთან ჯერ კიდევ არ აქვს პოლიტიკური ხასიათი მიღებული, ვიდრე საწარმოო ძალები ჯერ კიდევ საკმაოდ განვითარებული არ არის თვით ბურჟუაზიის წიაღში, რათა დასანახი გახდეს პროლეტარიატის განთავისუფლებისა და ახალი საზოგადოების შექმნისათვის აუცილებელი მატერიალური პირობები,— ეს თეორეტიკოსები მარტოოდენ უტოპისტებს წარმოადგენენ, რომელნიც, დაჩაგრულ კლასთა მოთხოვნილებისთვის დახმარების გაწევის მიზნით, სთხზავენ ანაზდეულად სისტემებს და ეძიებენ განმაახლებელ მეცნიერებას. მაგრამ რაც უფრო წინ მიდის ისტორია და მასთან ერ-

თად უფრო გარკვეულად ცხადდება პროლეტარიატის ბრძოლა,—მათ აღარ სჭირიათ მეცნიერების ძიება თავიანთ გონებაში. საკმარისია თავიანთ თავს მისი ანგარიში მისცენ, რაც მათ თვალწინ ხდება, და მის გამომხატველად გახდენ. ვიდრე ისინი მეცნიერებას ეძიებენ და მარტოოდენ სისტემებს სთხზავენ, ვიდრე ბრძოლის დასაწყისში არიან, ისინი სიღატაკეში მხოლოდ სიღატაკეს ხედავენ, ვერ ამჩნევენ მასში რევოლიუციონურ, დამრღვევ მხარეს, რომელიც დაამხობს ძველ საზოგადოებას. ამ მომენტიდან, ისტორიული მოძრაობის მიერ წარმოშობილი და მასთან ცნობიერად დაკავშირებული მეცნიერება აღარ არის დოქტრინული,—იგი ხდება რევოლიუციონური.

დავუბრუნდეთ ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს.

ყოველ ეკონომიურ ურთიერთობას კარგი და ცუდი მხარე აქვს: ეს არის ერთადერთი პუნქტი, სადაც ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი თავის თავს არ ღალატობს. კარგი მხარე, მისი აზრით, აღნიშნულია ეკონომისტების მიერ; ცუდი მხარე ნამხილებია სოციალისტების მიერ. ეკონომისტებისგან იგი სესხულობს მარადიულ ურთიერთობათა აუცილებლობას, ხოლო სოციალისტებისგან სესხულობს ამ ილუზიას: რომ სიღატაკეში მარტოოდენ სიღატაკეა დასანახი. პირველებთანაც და მეორეებთანაც იგი თანხმობაშია, როდესაც ცდილობს მეცნიერების ავტორიტეტს დაეყრდნოს. მისთვის მეცნიერება პაწაწა ზომის მეცნიერულ ფორმულას წარმოადგენს; იგი ფორმულების მაძიებელი კაცია. და ასე, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი სიამოვნებით იმედოვნებს, რომ მოგვცა კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიისა და კომუნიზმისაც; ნამდვილად კი იგი ორივეზე დაბლა დგას. ეკონომისტებზე დაბლა დგას, ვინაიდან ჰგონია, რომ მას, როგორც ფილოსოფოსს, რომელსაც ხელთ უპყრია მისტიური ფორმულა, არ ესაჭიროება წმინდა ეკონომიური დეტალების განხილვა; სოციალისტებზე დაბლა დგას, ვინაი-

დან მას არ აქვს არც საკმაო გამბედაობა, არც საკმაო გამჭრიახობა იმისთვის, რომ აიწიოს, თუნდაც მარტო-ოდენ სპეკულიატიურად, ბურჟუას ჰორიზონტზე მაღლა.

მას სწადია იყოს სინთეზი, არის კო[illegible]შეცდომა ასხმული.

მას სურს ინავარდოს, როგორც მეცნიერმა ადამიანმა, ბურჟუებსა და პროლეტარებზე მაღლა; იგი წვრილი ბურჟუაა მხოლოდ, რომელიც კაპიტალსა და შრომას შორის, პოლიტიკურ ეკონომიასა და კომუნიზმს შორის მუდამ მერყეობს.

## § II. შრომის დანაწილება და მანქანები

შრომის დანაწილება, ბ-ნი პრუდონის აზრით, გვაძლევს ეკონომიურ ევოლიუციათა მწკრივს.

| | |
|---|---|
| შრომის დანაწილების კარგი მხარე. | „შრომის დანაწილება, მის არსებაში განხილული, წარმოადგენს იმ წესს, რომლის მიხედვით ხდება მდგომარეობათა და გონებრივ უნართა თანასწორობის განხორციელება“ (ტ. I, გვ. 93). |
| შრომის დანაწილების ცუდი მხარე. | „შრომის დანაწილება ჩვენთვის სილატაკის წყაროდ გადაიქცა“ (ტ. I, გვ.. 99).<br>ვარიანტი<br>„შრომა, ნაწილდება რა მისი თვისებადი კანონის მიხედვით, რომელიც უპირველესი პირობაა მისი ნაყოფიერობის, აღწევს თავის მიზანთა უარყოფას და თვით სპობს თავის თავს“ (ტ. I, გვ. 94). |

გადასაჭრელი პრობლემა.

უნდა გამონახული იქნეს „ახალი შეხამება, რომელიც მოსპობს დანაწილების ნაკლოვანებებს და თანაც შეინახავს მის სასარგებლო შედეგებს“ (ტ. [illegible]

შრომის დანაწილება, ბ-ნი პრუდონის აზრით, არის მარადიული კანონი, მარტივი და აბსტრაქტული კატეგორია. ამიტომ მისთვის აბსტრაქცია, იდეა, საკმარისი უნდა იყოს შრომის დანაწილების ასახსნელად ისტორიის სხვადასხვა ეპოქებში. კასტები, კორპორაციები, მანუფაქტურა, მსხვილი მრეწველობა—უნდა აიხსნას მარტო ამ სიტყვით: დანაწილება. კარგად შეისწავლეთ აზრი სიტყვის „დანაწილება“ და—თქვენ აღარ დაგჭირდებათ იმ მრავალი გავლენის შესწავლა, რომელიც განსაზღვრულ ხასიათს აძლევს შრომის დანაწილებას ყოველ ეპოქაში.

რასაკვირველია, ბ-ნი პრუდონის კატეგორიებზე დაყვანა მოვლენათა მათ ნამეტნავად გამარტივებას ნიშნავს. ისტორია არ მიმდინარეობს ასე კატეგორიულად. მთელი სამი საუკუნე დარჩა საჭირო, რომ გერმანიაში პირველად ფართო მასშტაბით დამყარებულიყო შრომის დანაწილება,—სახელდობრ, სოფლის განცალკევება ქალაქისაგან. იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა მარტო ეს ურთიერთობა ქალაქისა სოფლისადმი, მთელი საზოგადოება ცვლილებას განიცდიდა. შრომის დანაწილების მარტო ამ მხარეს თუ მივაქცევთ ყურადღებას, ჩვენ ვპოებთ ერთ ადგილას—ძველ რესპუბლიკებს, მეორე ადგილას—ქრისტიანულ ფეოდალიზმს, იქ—ძველ ინგლისს მისი მემამულე ბარონებითურთ, აქ—თანამედროვე ინგლისს მებამბე ლორდებითურთ (cotton-lords). მე-XIV

და მე-XV საუკუნეებში, როდესაც ევროპისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ამერიკა, როდესაც აზია მისთვის არსებობდა მხოლოდ კონსტანტინოპოლის მეშვეობით, როდესაც ხმელთაშუა ზღვა სავაჭრო საქონლის გაცვლის შუა-გულს წარმოადგენდა, შრომის დანაწილებას სრულიად სხვა ფორმა, სრულიად სხვა სახე ჰქონდა, ვიდრე მე-XVII საუკუნეში, როდესაც ესპანელებმა, პორტუგალელებმა, ჰოლანდიელებმა, ინგლისელებმა, ფრანგებმა ახალშენები მოაწყვეს დედამიწის ყველა ნაწილში. ბაზრის სიფართოვე, მისი ფიზიონომია შრომის დანაწილებას სხვადასხვა ეპოქაში აძლევს ისეთ ხასიათს, რომლის გამოყვანა ძნელი იქნებოდა მარტოოდენ სიტყვა „დანაწილებიდან“, იდეიდან, კატეგორიიდან.

„ყველა ეკონომისტი, ა. სმიტიდან დაწყებული, ამბობს ბ-ნი პრუდონი, აღნიშნავდა დანაწილების კანონის უპირატესობასა და ნაკლულევანობას, მაგრამ უფრო დიდ ყურადღებას აქცევდენ პირველს, ვიდრე მეორეს, ვინაიდან ეს უკეთ ეგუებოდა მათ ოპტიმიზმს, და არც ერთს არასოდეს არ უკითხავს თავისთვის, თუ რაში შეიძლება მდგომარეობდეს კანონის ნაკლულევანობა... როგორაა, რომ ერთი და იგივე პრინციპი, სასტიკი თანამიმდევნობით გატარებული, დიამეტრალურად წინააღმდეგ შედეგებს აღწევს? არც ერთ ეკონომისტს, არც ა. სმიტამდე, არც მის შემდეგ, აზრადაც კი არ მოსვლია, რომ აქ იყოს რაიმე პრობლემა ასახსნელი. სეი მიდის ამის აღიარებამდე: რომ შრომის დანაწილებაში ერთი და იგივე მიზეზი კარგსაც წარმოშობს და ცუდსაც“.

ა. სმიტი უფრო შორსმჭვრეტელი იყო, ვიდრე ბ-ნ პრუდონს ჰგონია. მან ძალიან კარგად დაინახა, რომ „სინამდვილეში ბუნებრივი ნიჭის განსხვავება ინდივიდუუმებს შორის ბევრად ნაკლებია, ვიდრე ჩვენ გვგონია.

ესოდენ დიდად სხვადასხვაგვარი მიდრეკილებებს, რომელიც თითქოს განასხვავებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, რომლებსაც ისინი მოწიფულობის ასაკს მიაღწევენ, იმდენად მიზეზი არაა, რამდენადაც შედეგი შრომის დანაწილებისა". პრინციპიალურად ბარგის მზიდავი ნაკლებ განსხვავდება ფილოსოფოსისგან, ვიდრე ნაგაზი — მწევრისგან. შრომის დანაწილებამ შეჰქმნა უფსკრული ერთსა და მეორეს შორის. ყველაფერი ეს ხელს არ უშლის ბ-ნ პრუდონს სხვა ადგილას სთქვას, ადამ სმიტს აზრადაც კი არ მოსდიოდა ის საზიანო გავლენა, რომელიც შრომის დანაწილებას აქვსო, და რომ ჟ. ბ. სეიმ პირველმა სცნო: „შრომის დანაწილებაში ერთი და იგივე მიზეზი კარგსაც წარმოშობს და ცუდსაცო".

მაგრამ მოვუსმინოთ ლემონტეის (Lemontey); Suum cuique [ყველას თავისი].

„ბ-ნმა ჟ. ბ. სეიმ პატივი დამდო იმით, რომ თავის პოლიტიკური ეკონომიის ჩინებულ ტრაქტატში შეიტანა პრინციპი, რომელიც მე გავაშუქე ფრაგმენტში შრომის დანაწილების ზნეობრივი გავლენის შესახებ. უეჭველია, ჩემი წიგნის ცოტა ახირებულმა სათაურმა არ მისცა მას ნება მოეხსენებია. მე მხოლოდ ამ მოტივით შემიძლია ავხსნა ისეთი მწერლის სიჩუმე, რომელიც მეტად მდიდარია თავისი საკუთარი ქონებით, რათა არ აღიაროს ასეთი მცირე ნასესხი" (Lemontey: „Oeuvres complètes", ტ. I, გვ. 245, Paris 1840).

მივუზღოთ მას სამართალი: ლემონტეიმ გონებამახვილად გადმოგვცა ამჟამად არსებული შრომის დანაწილების ცუდი შედეგები, და ბ-ნმა პრუდონმა ვერა ჰპოვა რა მისთვის მისამატებლად. მაგრამ, რადგან, ჩვენ, ბ-ნი პრუდონის მიზეზით, ამ პრიორიტეტის საკითხში გავერიეთ, ვიტყვით გაკვრით, რომ ლემონტეიზე ბევრად ადრე, 17 წლით ადამ სმიტზე ადრე, რომელიც

მოწაფე იყო ფ ე რ გ ი უ ს ო ნ ი ს, ამ უკანასკნელმა ეს საგანი ნათლად გაარკვია ერთ თავში, რომელიც სპეციალურად შრომის დანაწილებას შეეხება.

„შეიძლებოდა კიდეც საეჭვოდ მიგვეჩნია, რომ ერის საერთო ნიჭიერება მატულობდეს ტ[illegible]ელობასთან შეფარდებით. ბევრ მექანიკურ ხელოვნებაში... მიზანი სავსებით მიიღწევა გონებისა და გრძნობის სრულიად დაუხმარებლად, და უვიცობა დედაა მრეწველობის, ისე როგორც ცრუმორწმუნეობის. აზრი და წარმოდგენა შეცდომებს ექვემდებარება, ფეხის ან ხელის მოძრაობის ჩვეულება კი არც ერთზეა დამოკიდებული და არც მეორეზე. ამგვარად, შეიძლებოდა გვეთქვა: მანუფაქტურის სრულყოფა იმაში მდგომარეობს, რომ იწარმოოს აზრის დაუხმარებლად, ისე რომ სახელოსნო, გონების დაუხმარებლად წარმართული, შეიძლებოდეს განვიხილოთ როგორც მანქანა, რომლის ნაწილებს ადამიანები შეადგენენ... გენერალი შეიძლება ძალიან დახელოვნებული იყოს სამხედრო საქმეში, მაშინ როდესაც ჯარისკაცის მთელი ღირსება ხელფეხის რამდენიმე მოძრაობით განისაზღვრება. პირველმა შეიძლება მოიგოს ის, რაც მეორემ წააგო... იმ პერიოდში, როდესაც ყველაფერი დანაწილებულია, თვითონ აზროვნების ხელოვნება შეიძლება ცალკე ხელობად გადაიქცეს“ (A. F e r g u s o n: „Essai sur l'histoire de la société civile“, Paris 1783 წ.).

ამ ჩვენი ლიტერატურული მიმოხილვის დასასრულ, ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ, რომ „ყ ვ ე ლ ა ეკონომისტს მეტი ყურადღება მიექციოს შრომის დანაწილების უპირატესობისთვის, ვიდრე ნაკლულევანობისთვის“. საკმარისია დავასახელოთ ს ი ს მ ო ნ დ ი.

ამგვარად, რაც შეეხება შრომის დანაწილების უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ა ს, ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს სხვა არა ჰქონდა რა დარჩენილი გასაკეთებლად გარდა იმისა, რომ სხვა, მეტ-

ნაკლებ მაღალფარდოვანი, მოტივებით გადმოეცა ის ფრაზები, რომლებიც ყველამ უწყოდა.

ვნახოთ ახლა, როგორ გამოჰყავს მას საყოველთაო კანონად, კატეგორიად, იდეად, წარმოდგენილი შრომის დანაწილებიდან ის ნაკლულევანობანი, რომლებიც ამ უკანასკნელს ახლავს. როგორ ხდება ეს, რომ ეს კატეგორია, ეს კანონი შეიცავს შრომის უთანასწორო განაწილებას, საზიანოდ ბ-ნი პრუდონის თანასწორობითი სისტემისა?

„შრომის დანაწილების ამ დიდებული წუთიდან ქარიშხლის გრიგალი იწყებს გრგვინვას კაცობრიობაზე. პროგრესი არ სრულდება ყველასთვის თანასწორად და ერთფეროვანად... იგი პრივილეგიების მქონეთა მცირე რიცხვს ეუფლება ჯერ... ეს პროგრესის მიერ პიროვნებათა არჩევა იყო ის მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ადამიანების ესოდენ ხანგრძლივი რწმენა მდგომარეობათა ბუნებრივი და განგებითი უთანასწორობისა, წარმოშვა კასტები და მოაწყო იერარქიულად ყველა საზოგადოება“ (პრუდონი, ტ. I, გვ. 97).

შრომის დანაწილებამ წარმოშვა კასტები. მაგრამ კასტები შრომის დანაწილების ნაკლულევანობას შეადგენენ; მაშასადამე, შრომის დანაწილებამ ნაკლულევანობა წარმოშვა. Quod erat demonstrandum [რაც უნდა დამტკიცებულიყო]. თუ თქვენ გაჰყვებით და ჰკითხავთ: შრომის დანაწილებას რამ წარმოაშობინა კასტები, იერარქიული წყობილება და პრივილეგიებით მოსილნი? ბ-ნი პრუდონი გიპასუხებთ: პროგრესმაო. და რამ გამოიწვია პროგრესი? შეზღუდვამო. შეზღუდვას ბ-ნი პრუდონი უწოდებს პიროვნებათა არჩევას პროგრესის მხრივ.

ფილოსოფიის შემდეგ ისტორია მოდის. მაგრამ ეს არ არის არც აღწერილობითი და არც დიალექტიკური ის-

ტორია, არამედ—შედარებითი ისტორიაა. ბ-ნი პრუდონი პარალელს ავლებს დღევანდელ სტამბის მუშასა და საშუალო საუკუნეების დროინდელ სტამბის მუშას შორის; კრეზოს მუშასა და სოფლის მჭედელს შორის; თანამედროვე მწერალსა და საშუალო საუკუნეების მწერალს შორის, და სასწორის ჯამს იმათ მხარეზე ჰხრის, რომელნიც მეტად თუ ნაკლებად საშუალო საუკუნეების მიერ შექმნილ ან გადმოცემულ შრომის დანაწილებას ეკუთვნიან. ერთი ისტორიული ეპოქის შრომის დანაწილებას იგი უპირისპირებს მეორე ისტორიული ეპოქის შრომის დანაწილებას. განა ეს უნდა გადმოეშალა ბ-ნ პრუდონს? არა. მას უნდა გადმოეშალა ნაკლულევანობა საზოგადოდ შრომის დანაწილების, შრომის დანაწილების როგორც კატეგორიის. მაგრამ რა საჭიროა შეჩერდეთ ბ-ნი პრუდონის ნაწარმოების ამ ნაწილზე, ვინაიდან ჩვენ ვნახავთ, რომ ცოტა ქვევით თვითონ იგი ფორმალურად უარს იტყვის ყველა ამ ვითომდა გამოკვლევაზე?

„დაწვრილებული შრომის პირველ შედეგს,—ამბობს ბ-ნი პრუდონი,—სულის გათახსირების შემდეგ, წარმოადგენს გაგრძელება სამუშაო დღისა, რომელიც იზრდება შებრუნებული შეფარდებით დახარჯულ გონებრივ ძალასთან... მაგრამ რადგან სამუშაო დღის ხანგრძლივობა დღეში თექვსმეტიდან თვრამეტ საათს ვერ გადასცილდება, ამიტომ იმ მომენტიდან, როდესაც კომპენსაცია დროის სახით აღარ შეიძლება აღებულ იქნეს, ეს კომპენსაცია ფასის ხარჯზე აიღება და ხელფასი შემცირდება... ერთი რამ უეჭველია, და ჩვენ აქ მხოლოდ მისი აღნიშვნა გვესაჭიროება,—ეს ის, რომ საყოველთაო სინდისი თანასწორლირებულებიანად არ სცნობს ხელოსნისა და შავი მუშის შრომას. მაშასადამე, სამუშაო დღის ფასის შემცირება აუცილებელია, და, ამგვა-

რად, მუშა, რომლის სული მოწყლულია დამდაბლებელი საქმიანობით, ვერ ასცდება აგრეთვე, რომ მისმა სხეულმა ტანჯვა არ განიცადოს გასამრჯელოს სიმცირის გამო“.

ჩვენ არას ვამბობთ ამ სილოგიზმების–ანტინომიებზე, რომელთაც კანტი განზე მიმქცევ პარალოგიზმებს დაარქმევდა.

აი, მათი არსება:

შრომის განაწილებას მუშა დამამცირებელ ფუნქციამდე ჩამოჰყავს; დამამცირებელი ფუნქცია სულის გათახსირებას შეესაბამება; სულის გათახსირებას შეეფერება მუდამ მზარდი შემცირება ხელფასისა. და რათა დაამტკიცოს, რომ ხელფასის ეს შემცირება გათახსირებულ სულს შეეფერება, ბ-ნი პრუდონი, სინდისის დასამშვიდებლად, ამბობს,—ეს ასე საყოველთაო სინდისს სურსო. ნეტა ბ-ნი პრუდონის სინდისი ჩათვლილია იმ საყოველთაო სინდისში?

მანქანები, ბ-ნი პრუდონისთვის, „შრომის დანაწილების ლოგიკური ანტითეზია“, და, თავისი დიალექტიკის დახმარებით, იგი იწყებს მანქანების გარდაქმნას სახელოსნოდ.

ბ-ნმა პრუდონმა ჯერ თანამედროვე სახელოსნო (ფაბრიკა) იგულისხმა, რათა შრომის დანაწილებიდან გამომდინარედ დაესახა სილატაკე, ახლა კი იგი სილატაკეს გულისხმობს შრომის დანაწილებიდან წარმოშობილად, რათა ფაბრიკას მიაღწიოს და შესძლოს ამ სილატაკის დიალექტიკურ უარყოფად დასახოს იგი. მას შემდეგ, რაც მან მუშა დასცა ზნეობრივად დამდაბლებელი ფუნქციისა და ფიზიკურად—ხელფასის შემცირების მეოხებით, რაც მან სამუშაოს მეთვალყურეზე დამოკიდებულად გახადა იგი, მისი შრომა შავი მუშის შრომამდე ჩამოაქვეითა, იგი კვლავ

პრალს სდებს ფაბრიკასა და მანქანებს, რათა დაამდაბლოს მუშა „მისთვის პატრონის მიცემით“, და მის დამცირებას ამთავრებს იმით, რომ იგი „ხელოსნის ხარისხიდან შავი მუშის დონეზე“ ჩამოჰყავს. რა ლამაზი დიალექტიკაა! და კიდევ კარგი, აქ რომ ჩერდება ბ-ნი პრუდონი; მაგრამ არა, მას ესაჭიროება შრომის დანაწილების ახალი ისტორია, არა იმისთვის, რომ მას წინააღმდეგობანი წარმოაშობინოს, არამედ—რათა თავისებურად ააგოს კვლავ ფაბრიკა. ამ მიზნის მისაღწევად მისთვის საჭიროა დაივიწყებას მისცეს ყველაფერი, რაც ეს არის მოგვითხრო შრომის დანაწილების შესახებ.

შრომა სხვადასხვაგვარად ეწყობა ორგანიზაციულად და ნაწილდება იმ სამუშაო იარაღების მიხედვით, რომლებიც მის განკარგულებაშია. ხელის წისქვილი სხვა შრომის დანაწილებას გულისხმობს, ვიდრე ორთქლის წისქვილი. ისტორიის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს ეს,— რომ ადამიანმა მოინდომოს დაიწყოს შრომის დანაწილებიდან საზოგადოდ, რათა შემდეგ სპეციალურ საწარმოო იარაღთან, მანქანასთან, მივიდეს.

მანქანა ისევე ნაკლებ წარმოადგენს ეკონომიურ კატეგორიას, როგორც ხარი, რომელიც გუთანს სწევს. მანქანა საწარმოო ძალაა მხოლოდ. თანამედროვე ფაბრიკა, რომელიც მანქანების გამოყენებაზეა დამყარებული, საზოგადოებრივი საწარმოო ურთიერთობაა, ეკონომიური კატეგორიაა.

ვნახოთ ახლა, როგორ სწარმოებს საქმე ბ-ნი პრუდონის ბრწყინვალე წარმოდგენაში.

„საზოგადოებაში სულ ახალი და ახალი მანქანების შემოღება წარმოადგენს ანტითეზს, შრომის შებრუნებულ ფორმულას: ეს არის სამრეწველო გენიის პროტესტი დაწვრილებული და კაცთმომაკვდინებელი შრომის წინააღმდეგ. რა არის ნამდვილად მანქანა?

ეს არის ერთგვარი წესი შრომის სხვადასხვა ნაწილების შეერთებისა, რომლებიც შრომის დანაწილებამ გააცალკევა. ყოველი მანქანა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც შეერთება სხვადასხვა ოპერაციებისა... მაშასადამე, მანქანის საშუალებით მიიღწევა მუშის აღდგენა... მანქანა, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიაში პირისპირ უდგას შრომის დანაწილებას, წარმოადგენს სინთეზს, რომელიც ადამიანის გონებაში უპირისპირდება ანალიზს... დანაწილება მხოლოდ აცალკევებდა შრომის სხვადასხვა ნაწილებს, უტოვებდა რა თითოეულ ადამიანს სპეციალობად იმას, რისადმი მას უფრო მიდრეკილება ჰქონდა; ფაბრიკა კი აჯგუფებს მუშებს თითოეული ნაწილის მთელისადმი დამოკიდებულების მიხედვით... მას ავტორიტეტის პრინციპი შემოაქვს შრომაში... მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი: მანქანა ანუ ფაბრიკა, შემდეგ მუშის დამდაბლებისა მისთვის პატრონის მიცემით, ამთავრებს მის დამცირებას იმით, რომ ხელოსნის ხარისხიდან იგი შავი მუშის ხარისხზე ჩამოჰყავს... მანქანების პერიოდი, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, ერთი განსაკუთრებული ხასიათით განსხვავდება, —ეს არის საქირაო შრომა. საქირაო შრომა უფრო გვიანი მოვლენაა, ვიდრე შრომის დანაწილება და გაცვლა-გამოცვლა“ (ტ. I, გვ. 135, 136, 161, 164).

ერთი უბრალო შენიშვნა ბ-ნი პრუდონის საყურადღებოდ. შრომის სხვადასხვა ნაწილების განცალკევება, რომელიც თითოეულ ადამიანს შესაძლებლობას აძლევს იმ სპეციალობას დაადგეს, რისადმი მას უფრო აქვს მიდრეკილება, განცალკევება, რომელსაც ბ-ნი პრუდონი ქვეყნის დასაბამიდან ათარიღებს, არსებობს მხოლოდ თანამედროვე მრეწველობაში, კონკურენციის ბატონობის დროს.

შემდეგ ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი გვაძლევს მეტად „საინტერესო გენეალოგიას“, რათა დაგვანახვოს, თუ როგორ წარმოიშვა ფაბრიკა შრომის დანაწილებიდან და საქირაო შრომა—ფაბრიკიდან.

ეროვნული

1. იგი იგულისხმებს ადამიანს, რომელმაც „შენიშნა“, რომ პროდუქტიული ძალები დიდდება, „თუ წარმოება მის სხვადასხვა ნაწილებადაა დაყოფილი და თითოეულ ნაწილს ცალკე მუშა ასრულებს“.

2. ეს ადამიანი მიჰყვება ამ იდეის ძაფს და ეტყვის თავის თავს, რომ თუ იგი შეადგენს მუშათა მუდმივ ჯგუფს, იმ მიზნისათვის შერჩეულს, რომელსაც ი ს ა ხ ა ვ ს, იგი უფრო მტკიცე წარმოებას მიაღწევს, და სხვ.

3. ეს კაცი წინადადებას აძლევს სხვა ადამიანთ, რათა ამათ შეითვისონ მისი იდეა და ძაფი ამ იდეისა.

4. თავის ამხანაგებთან, რომელნიც შემდეგ მისი მუშები გახდენ, მრეწველობის დასაწყისში ამ კაცს ისეთი დამოკიდებულება აქვს, როგორც თ ა ნ ა ს წ ო რ ს თ ა ნ ა ს წ ო რ ე ბ თ ა ნ.

5. „რასაკვირველია, ადვილი გასაგებია, რომ ეს თავდაპირველი თანასწორობა მალე უნდა გამქრალიყო პატრონის მდგომარეობის უპირატესობისა და დაქირავებული მუშის დამოკიდებულების გამო“.

ესეც კიდევ ერთი ნიმუში ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი და ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი მ ე თ ო დ ი ს ა.

განვიხილოთ ახლა ისტორიული და ეკონომიური თვალსაზრისით, თუ ფაბრიკამ ანუ მანქანამ მართლა შრომის დანაწილებაზე გვიან შემოიტანა საზოგადოებაში ა ვ ტ ო რ ი ტ ე ტ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი, თუ მან მართლა, ერთის მხრივ, აღადგინა მუშა, დაუმორჩილა რა იგი, მეორეს მხრივ, ავტორიტეტს, თუ მანქანა მართლა წარმოადგენს დანაწილებული შრომის კვლავ შეერთებას, შრო-

მის სინთეზს, მის ანალიზისადმი დაპირისპირებულს.

საზოგადოებას, მთლიანად აღებულს, ფაბრიკის შინაგან წყობილებასთან ეს აქვს საერთო, რომ მასაც თავისი შრომის დანაწილება აქვს. თუ ჩვენ თანამედროვე ფაბრიკაში არსებულ შრომის დანაწილებას ავიღებთ ნიმუშად, რათა იგი მივუყენოთ მთელ საზოგადოებას, იმ შემთხვევაში სიმდიდრის წარმოებისათვის საუკეთესოდ მოწყობილი საზოგადოება უეჭველად ისეთი საზოგადოება იქნებოდა, რომელსაც სათავეში მხოლოდ ერთი მესარეწე ეყოლებოდა, რომელიც წინდაწინ შემუშავებული წესის მიხედვით გაანაწილებდა სამუშაოს საზოგადოების სხვადასხვა წევრთ შორის. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის. მაშინ როდესაც თანამედროვე ფაბრიკის შიგნით შრომის დანაწილებას დაწვრილებით აწესრიგებს მესარეწის ავტორიტეტი, თანამედროვე საზოგადოებას, მუშაობის გასანაწილებლად, არავითარი სხვა წესი, სხვა ავტორიტეტი არა აქვს გარდა თავისუფალი კონკურენციისა.

პატრიარქალური წყობილების დროს, კასტური წყობილების დროს, ფეოდალური და კორპორატიული წყობილების დროს მთელს საზოგადოებაში შრომის დანაწილება იყო მტკიცე წესების მიხედვით. კანონმდებლის მიერ იყო ეს წესები დამყარებული? არა. თავდაპირველად ისინი წარმოიშვენ მატერიალური წარმოების პირობებიდან და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მიეცა მათ კანონის სახე. ამგვარად, შრომის დანაწილების ეს სხვადასხვა ფორმა გახდა საფუძველი სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა. რაც შეეხება შრომის დანაწილებას სახელოსნოში, იგი ნაკლებად იყო განვითარებული ყველა ამ საზოგადოებრივი ფორმის დროს.

საყოველთაო წესადაც კი შეიძლება მივიღოთ, რომ, რაც უფრო და უფრო ნაკლებ ხელმძღვანელობს ავტორიტეტი შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით, მით უფრო ვითარდება შრომის დანაწილება სახელოსნოს შიგნით და მით უფრო ექვემდებარება იგი იქ ერთი პირის ავტორიტეტს. ამგვარად, ავტორიტეტი სახელოსნოში და ავტორიტეტი საზოგადოებაში, რამდენადაც იგი შრომის დანაწილებას შეეხება, *შებრუნებულ შეფარდებაშია* ერთი მეორისადმი.

ახლა საჭიროა ვნახოთ, თუ რას წარმოადგენს ეს სახელოსნო, რომელშიაც სხვადასხვა საქმიანობა ძალიან განცალკევებულია ერთი მეორისგან, სადაც თითოეული მუშის საქმეს ფრიად მარტივი ოპერაციის შესრულება შეადგენს, სადაც ავტორიტეტი, კაპიტალი, აჯგუფებს და ხელმძღვანელობს მუშებს. როგორ წარმოიშვა ეს სახელოსნო-ფაბრიკა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ განვითარდა საკუთრივ მანუფაქტურული მრეწველობა. მე ვლაპარაკობ იმ მრეწველობაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ წარმოადგენს თანამედროვე მრეწველობას მისი მანქანებითურთ, მაგრამ აღარც საშუალო საუკუნეების ხელოსნურ მრეწველობას და აღარც შინამრეწველობას წარმოადგენს. ჩვენ არ შევუდგებით ამის დაწვრილებით განხილვას,—ჩვენ მხოლოდ რამდენსამე მთავარ მხარეს აღვნიშნავთ, რათა დავანახვოთ მკითხველს, რომ ფორმულებით არ იქმნება ისტორია.

ერთ-ერთი უაღრესად აუცილებელი პირობა მანუფაქტურული მრეწველობის შესაქმნელად იყო კაპიტალების დაგროვება, რომელსაც ხელი შეუწყო ამერიკის აღმოჩენამ და იქიდან ძვირფას ლითონთა შემოზიდვამ.

საკმაოდ დამტკიცებულია, რომ გაცვლა-გამოცვლის საშუალებათა გამრავლებას შედეგად მოჰყვა, ერთის მხრივ, ხელფასისა და მიწის რენტის შემცირება და, მეორეს მხრივ, სამრეწველო მოგების გადიდება. სხვა სიტყვე-

ბით: რამდენადაც მემამულეთა კლასი და მუშათა კლასი, ფეოდალური მებატონეები და ხალხი, ძირს დაეშვნენ, იმდენადვე მაღლა აიწია კაპიტალისტთა კლასმა, ბურჟუაზიამ.

ეროვნული

სხვა გარემოებებიც იყო, რომლებმაც ხელი შეუწყო ისავდროულად მანუფაქტურული მრეწველობის განვითარებას: მიმოქცევაში მყოფ საქონელთა რაოდენობის გამრავლება მას შემდეგ, რაც კეთილი იმედის კონცხის გზით აღმოსავლეთ-ინდოეთთან ვაჭრობა დამყარდა, კოლონიალური სისტემა, საზღვაო ვაჭრობის განვითარება.

მეორე პირობა, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუღია საკმაო შეფასება მანუფაქტურული მრეწველობის ისტორიაში, იყო ფეოდალური მებატონეების მრავალრიცხოვანი ამალის დათხოვნა, რომლის დაბალი წევრები მაწანწალებად გადაიქცენ, ვიდრე სახელოსნოში შევიდოდენ. მანუფაქტურული სახელოსნოს შექმნას წინ უძღოდა თითქმის საყოველთაო მაწანწალობა მე-XV და მე-XVI საუკუნეებში. სახელოსნომ კიდევ ერთი ძლიერი დასაყრდენი ჰპოვა იმ მრავალრიცხოვან გლეხებში, რომელნიც მთელ საუკუნეთა განმავლობაში ქალაქებს აწყდებოდენ, რადგანაც სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევისა და სამიწათმოქმედო პროგრესის გამო, რაც ნაკლებ მუშა ხელს ხდიდა საკმარისად მიწების დასამუშავებლად, ისინი განუწყვეტლივ იდევნებოდენ სოფლებიდან.

ბაზრის გაფართოება, კაპიტალების დაგროვება, ცვლილებანი კლასთა სოციალურ მდგომარეობაში, ადამიანთა მთელი მასა, რომელთაც შემოსავლის წყარო დაეკარგათ,— აი, მანუფაქტურის წარმოშობის ისტორიული წინაპირობები. არა თანასწორთა შორის ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე მოხდა, როგორც ბ-ნი პრუდონი ამბობს, ადამიანების თავმოყრა სახელოსნოში. არც ძველი კორპორაციების წიაღში წარმოშობილა მანუფაქტურა.

თანამედროვე სახელოსნოს მეთაური გახდა ცვალებადი და არა ძველი ამქრის ოსტატი. თითქმის ყველგან ადგილი ჰქონდა გამწვავებულ ბრძოლას მანუფაქტურასა და ხელოსნობას შორის.

ეროვნული

სამუშაო იარაღებისა და მუშების დაგროვება და კონცენტრაცია წინ უძღოდა შრომის დანაწილების განვითარებას სახელოსნოს შიგნით. მანუფაქტურა მდგომარეობდა ბევრად უფრო მრავალ მუშათა და ხელობათა თავმოყრაში ერთ ადგილას, ერთ დარბაზში კაპიტალის ბრძანებლობის ქვეშ, ვიდრე სამუშაოს დაშლაში და მარტივი საქმისადმი სპეციალი მუშის შეგუებაში.

სახელოსნოს სარგებლობა მდგომარეობდა ბევრად ნაკლებ საკუთრივ შრომის დანაწილებაში, ვიდრე იმ გარემოებაში, რომ მუშაობა დიდის მასშტაბით სწარმოებდა, რომ ბევრი უსარგებლო ხარჯი იზოგებოდა და სხ. მე-XVI საუკუნის დასასრულს და მე-XVII-ის დასაწყის ჰოლანდიის მანუფაქტურამ თითქმის არც კი იცოდა დანაწილება.

შრომის დანაწილების განვითარება გულისხმობს მუშების თავმოყრას ერთ სახელოსნოში. არ არსებობს, არც მე-XVI და არც მე-XVII საუკუნეში, თითქმის არც ერთი მაგალითი იმისა, რომ ერთი ხელობის სხვადასხვა დარგების წარმოებას იმ ზომისად განცალკევებული არსებობა ჰქონებოდეს, რომ საკმარისი ყოფილიყოს მათი ერთ ადგილას შეერთება მზამზარეული სახელოსნოს მისაღებად. მაგრამ, რაკი ერთხელ უკვე განხორციელდა ადამიანთა და შრომის იარაღთა შეერთება, სახელოსნოში აუცილებლობის გზით მოხდა ასახვა და რეპროდუქცია შრომის დანაწილებისა, როგორც იგი არსებობდა ამქრული კორპორაციების დროს.

ბ-ნი **პრუდონისთვის**, რომელიც საგნებს უკუღმა ხედავს, თუ საზოგადოდ ხედავს, **ადამ სმიტისეული**

შრომის დანაწილება წინ უსწრებს სახელოსნოს, რომელიც მის საარსებო პირობას შეადგენს.

მანქანას, ნამდვილი მნიშვნელობით, დასაწყისი მე-XVIII საუკუნის დასასრულს ეძლევა. იმაზე უფრო შეუსაბამობა არა არის რა, რომ მანქანა მიჩნეულ იქნეს ანტითეზად შრომის დანაწილებისა, სინთეზად, რომელიც აღადგენს დაწვლილებული შრომის მთლიანობას.

მანქანა წარმოადგენს სამუშაო იარაღების შეერთებას და სრულიადაც არა—სამუშაოთა კომბინაციას თვითმუშისათვის. „როდესაც თითოეულ ცალკე ოპერაციას შრომის დანაწილებით ერთი მარტივი ინსტრუმენტი ჰქონდა სახმარად მიჩენილი, მაშინ იმ ინსტრუმენტების შეერთება, რომლებიც ერთადერთ მოტორს მოჰყავს მოძრაობაში, შეადგენს მანქანას“ (Babbage: „Traitè sur l'Économie des machines etc.“, Paris 1833 წ.). მარტივი სამუშაო იარაღები; სამუშაო იარაღების დაგროვება; რთული სამუშაო იარაღის ამოძრავება ერთადერთი მამოძრავებელით,—ადამიანის ხელით; ამ ინსტრუმენტების მოძრაობაში მოყვანა ბუნებრივი ძალების საშუალებით; მანქანა; მანქანების სისტემა, რომლებსაც მხოლოდ ერთი მოტორი აქვს; მანქანების სისტემა, რომელსაც ავტომატური მოტორი აქვს,—აი, ეს არის მანქანის განვითარების მსვლელობა.

საწარმოო იარაღების კონცენტრაცია და შრომის დანაწილება ისევე განუყრელია ერთი მეორისგან, როგორც პოლიტიკურ სფეროში ერთი მეორისგან განუყრელია სახელმწიფო ხელისუფლების კონცენტრაცია და კერძო ინტერესთა დანაწილება. ინგლისში, სადაც ადგილი აქვს მიწის, ამ სამიწათმოქმედო შრომის იარაღის, კონცენტრაციას, ადგილი აქვს აგრეთვე შრომის დანაწილებას მიწათმოქმედებაში და მანქანების გამოყენებას მიწის დასა-

მუშავებლად. საფრანგეთში კი, სადაც ადგილი აქვს სამუშაო იარაღის, მიწის, დანაწილებას, ადგილი არ აქვს საზოგადოდ არც სამიწათმოქმედო შრომის დანაწილებას და არც მანქანების გამოყენებას მიწის [illegible]ლად.

ბ-ნი პრუდონისთვის სამუშაო [illegible]ების კონცენტრაცია შრომის დანაწილების უარყოფას წარმოადგენს. სინამდვილეში კი ჩვენ კვლავ წინააღმდეგს ვხედავთ. იმ ზომით, რა ზომითაც სამუშაო იარაღების კონცენტრაცია ვითარდება, დანაწილებაც ვითარდება და vice versa [შებრუნებით]. ამიტომაა, რომ ყოველ დიდ გამოგონებას მექანიკის დარგში შედეგად აქვს შრომის უფრო დიდი დანაწილება და რომ შრომის დანაწილება, თავის მხრივ, იწვევს ახალ-ახალ გამოგონებას მექანიკაში.

საჭირო არ არის მოვაგონოთ მკითხველს, რომ შრომის დანაწილების დიდ პროგრესს ინგლისში მანქანების გამოგონების შემდეგ მიეცა დასაწყისი. ასე, ფეიქრები და მრთველები მეტწილად გლეხები იყვნენ, როგორც ჩვენ კიდევ ვხვდებით ჩამორჩენილ ქვეყნებში. მანქანების გამოგონებამ დაასრულა მანუფაქტურული მრეწველობის განცალკევება სამიწათმოქმედო მრეწველობისაგან. ფეიქარი და მრთველი, რომელნიც უწინ ერთ ოჯახში იყვნენ თავმოყრილი, მანქანამ გააცალკევა ერთმანეთისგან. მანქანის მეოხებითაა, რომ მრთველს შეუძლია ინგლისში ცხოვრობდეს, მაშინ როდესაც ფეიქარი აღმოსავლეთ-ინდოეთში ცხოვრობს. მანქანების გამოგონებამდე ამა თუ იმ ქვეყნის მრეწველობა უმთავრესად იმ ნედლი მასალის დამუშავებას აწარმოებდა, რომელსაც მისი საკუთარი მიწა იძლეოდა: ასეთი იყო ინგლისში მატყლი, გერმანიაში — სელი, საფრანგეთში — აბრეშუმი და სელი, აღმოსავლეთ-ინდოეთში და ლევანტში — ბამბა და სხვ. მანქანისა და ორთქლის გამოყენების წყალობით შრომის დანაწილებამ ისეთი მოცულობა მიიღო, რომ მსხვილი მრეწველობა, ეროვნულ

ნიადაგს მოწყვეტილი, მარტოოდენ მსოფლიო ბაზარზე, საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლაზე, შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე არის დამოკიდებული. დასასრულ, მანქანა ისეთ გავლენას ახდენს შრომის დანაწილებაზე, რომ, თუ რომელიმე საგნის წარმოებაში აღმოჩენილ იქნა მისი ნაწილობრივ მექანიკური წესით დამზადების საშუალება, მაშინვე წარმოება ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საწარმოდ იყოფა.

არის ლა საჭირო ვილაპარაკოთ განგებითსა და ფილანტროპიულ მიზანზე, რომელიც ბ-ნმა პრუდონმა მანქანის გამოგონებასა და თავდაპირველ გამოყენებაში აღმოაჩინა?

როდესაც ინგლისში ბაზარმა ისეთი განვითარება მიიღო, რომ მას ხელით მუშაობა ველარ ჰყოფნიდა, შეგრძნობილ იქნა მანქანების საჭიროება. მაშინ აზრი წარიმართა იქითკენ, რომ გამოყენებული ყოფილიყო მექანიკური მეცნიერება, რომელიც უკვე მე-XVIII საუკუნეში სრულიად ჩამოყალიბებული იყო.

ავტომატურმა ფაბრიკამ ყველაზე ნაკლებ ფილანტროპიული აქტებით იწყო მოქმედება. ბავშვებს მათრახს ქვეშ ამუშავებდენ; ისინი ვაჭრობის საგნად გახადეს, მათი მიწოდების შესახებ ხელშეკრულობას სდებდენ ობოლთა სახლებთან. გააუქმეს ყველა კანონი მუშის საშეგირდო დროის შესახებ, ვინაიდან, თუ ბ-ნი პრუდონის ფრაზით ვისარგებლებთ, სინთეთიური მუშები საჭირო აღარ იყვნენ. დაბოლოს, 1825 წლიდან თითქმის ყველა ახალი გამოგონება შედეგი იყო კონფლიქტის მუშასა და მესარეწეს შორის, რომელიც ყოველის გზით ცდილობდა ფასი დაეკარგა მუშის სპეციალობისთვის. ყოველი ახალი გაფიცვის შემდეგ, რაგინდ მცირემნიშვნელოვანი ყოფილიყო იგი, ჩნდება ახალი მანქანა. მუშა ისე ნაკლებად ხედავდა მანქანების გამოყენებაში თავისთვის რაიმე რეა-

ზილიტაციას, ალდგენას, როგორც მას ბ-ნი პრუდონი უწოდებს, რომ მე-XVIII საუკუნეში იგი დიდხანს ებრძოდა ავტომატის ბატონობას, რომელიც მაშინ იწყებოდა.

„უაიტმა (Wyatt), ამბობს დ-რ იური (Ure), მრთველი თითები (ლარიანი ლილვაკების წყება) გამოიგონა არკრაიტზე (Arkwright) ბევრად ადრე... მთავარი სიძნელე იმდენად ავტომატური მექანიზმის გამოგონებაში არ არსებობდა... სიძნელეს განსაკუთრებით შეადგენდა საჭირო დისციპლინა, რათა ადამიანი უწესრიგო მუშაობას გადასჩვეოდა და დიდი ავტომატის გარდუვალ რეგულიარობას შეგუებოდა. მაგრამ ავტომატური სისტემის მოთხოვნილებისა და სისწრაფის შესაფერი დისციპლინარული კოდექსის გამოგონება და ამ კოდექსის ნაყოფიერად გამოყენება—ეს ჰერკულესის ღირსი საქმე—იყო კეთილშობილი საქმე არკრაიტისა“.

საერთოდ, მანქანების შემოღების გამო გაიზარდა შრომის დანაწილება საზოგადოების შიგნით, გამარტივდა მუშის ამოცანა სახელოსნოში, მოხდა კაპიტალის კონცენტრაცია და ადამიანის უფრო მეტად დანაწილება.

როდესაც ბ-ნი პრუდონი მოიწადინებს იყოს ეკონომისტი და ერთ წუთს მიატოვოს „ევოლიუცია აზროვნების მწკრივობაში“, იგი თავის ერუდიციას ადამ სმიტისგან მოიღებს, რომელიც იმ დროს სწერდა, როდესაც მხოლოდ იწყებოდა ავტომატური ფაბრიკა. მართლაც, რა დიდი განსხვავებაა ადამ სმიტის დროს არსებულ შრომის დანაწილებასა და იმ შრომის დანაწილებას შორის, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ავტომატურ ფაბრიკაში! რათა ეს უფრო გასაგები გავხადოთ, საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი დ-რ იურის „მანუფაქტურის ფილოსოფიიდან“.

„როდესაც ადამ სმიტმა დასწერა თავისი უკვდავი თხზულება პოლიტიკური ეკონომიის ელემენტების შესახებ, ავტომატური სამრეწველო სისტემა ჯერ კიდევ თითქმის უცნობი იყო. შრომის დანაწილება მას სამართლიანად ეჩვენებოდა დიად პრინციპად გაუმჯობესებისა მანუფაქტურაში; ქინძისთავის დამზადების მაგალითზე მან დაგვანახვა, რომ მუშა, რომელიც მხოლოდ ერთსა და იმავე საგანზე მუშაობით დახელოვნებას იძენს, უფრო ხელმარჯვე და იაფი ხდება. იგი ხედავდა მანუფაქტურის ყოველ დარგში, რომ, ამ პრინციპის თანახმად, ზოგი ოპერაცია, როგორიცაა, მაგალითად, თითბრის მავთულის დაჭრა თანასწორი სიგრძის ნაწილებად, ადვილად შესასრულებელი ხდებოდა, ზოგიც კიდევ, როგორიცაა ქინძისთავისთვის თავის გაკეთება და მიმაგრება, შედარებით უფრო ძნელი იყო: აქედან მან დაასკვნა, რომ სრულიად ბუნებრივია თითოეულ ამ ოპერაციას შეგუებული ჰყავდეს ცალკე მუშა, რომლის ხელფასი მისი დახელოვნების შესაფერისი იქნება. ეს შეგუებაა, რაც შეადგენს შრომის დანაწილების არსებას. მაგრამ რაც კარგი მაგალითი შეიძლებოდა ყოფილიყო დ-რ სმიტის დროს, მას ახლა მხოლოდ შეცდომაში შეუძლია შეიყვანოს საზოგადოება საფაბრიკო მრეწველობის ნამდვილი პრინციპის შესახებ. მართლაც, განაწილება ანუ, უფრო სწორად, სხვადასხვა ინდივიდუალურ უნართან შეგუება სამუშაოსი არ შედის ავტომატური ფაბრიკის საოპერაციო გეგმაში: პირიქით, ყოველთვის, როდესაც ესა თუ ის ოპერაცია დიდ დახელოვნებას და ხელის სიმარჯვეს მოითხოვს, ცდილობენ რაც შეიძლება მალე მოაცილონ იგი ფრიად დახელოვნებული და ხშირად სხვადასხვა უწესრიგობისადმი მიდრეკილი მუშის ხელს და დააკისრონ განსაკუთრებულ მექანიზმს, რომელიც ისეთის სისწორით მოქმედებს, რომ ბავშვსაც კი შეუძლია მისი მეთვალყურეობა.

„ავტომატური სისტემის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ხელით მუშაობის ადგილას მექანიკური მუშაობა იქნეს დაყენებული და ხელოსანთა შორის შრომის დანაწილება შეცვლილი იქნეს პროცესის დაყოფით მის შემადგენელ ნაწილებად. ხელით მუშაობის სისტემაში ადამიანის შრომა პროდუქტის უუძვირეს ელემენტს შეადგენდა; მაგრამ ავტომატური სისტემის დროს დახელოვნებულ ხელოსანთა ადგილს თანდათან მანქანის უბრალო მეთვალყურენი იჭერენ.

„ადამიანის ბუნების სისუსტე ასეთია, რომ რაც უფრო დახელოვნებულია მუშა, მით უფრო თვითნებაა იგი და ძნელად შესაწყობი და ამიტომ ნაკლებ შესაფერია მექანიკური სისტემისთვის, რომელსაც მთლიანად მის თვითნება ახირებას თვალსაჩინო ზიანი შეუძლია მიაყენოს. თანამედროვე ფაბრიკანტის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალთან მეცნიერების დაკავშირების გზით მან თავისი მუშების მოქმედება დაიყვანოს გულისყურსა და ხელის სიმარჯვეზე,— იმ უნარზე, რომელსაც ისინი ახალგაზრდობაში ძალიან ანვითარებენ, თუ იგი *მხოლოდ ერთი საგნისადმია მიმართული.*

„შრომის გრადაციების სისტემის დროს მრავალი წლის მომზადებაა საჭირო, ვიდრე თვალი და ხელი იმდენად დახელოვნდებოდეს, რომ შესძლოს შეასრულოს განსაზღვრული მექანიკური ოპერაციები; მაგრამ იმ სისტემის დროს, რომელიც პროცესს მის შემადგენელ ნაწილებად შლის და ყველა ამ ნაწილს ავტომატურ მანქანას ასრულებინებს, შესაძლებელია ეს ელემენტარული ნაწილები ჩვეულებრივი უნარის მქონე პირს მიენდოს, მისი მოკლე გამოცდის შემდეგ; ისიც კი შესაძლებელია, რომ განსაკუთრებით საჭირო შემთხვევებში ეს პირი ერთი მანქანიდან მეორე მანქანაზე იქნეს გადაყვანილი, დაწესებულების დირექტორის სურვილისამებრ. ამგვარი ცვლი-

ლებები აშკარად ეწინააღმდეგება ძველ რუტინას, რომელიც შრომას ანაწილებს და ერთ მუშას საქმედ მოუჩენს თავის დამზადებას ქინძისთავისთვის, მეორეს — ბოლოების დამწვეტებას,— საქმეს, რომლის თავმოსაწყენი ერთფეროვნობა აჩლუნგებს მუშას... მაგრამ გ ა თ ა ნ ა ბ რ ე ბ ი ს პრინციპის ანუ ავტომატური სისტემის დროს მუშის უნარს მარტოოდენ სასიამოვნო ვარჯიშობა აქვს და სხვ.... რადგან მუშის საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მეთვალყურეობა გაუწიოს წესიერად მომქმედ მექანიზმს, მას ამის შესწავლა სულ მოკლე ხანში შეუძლია; და როდესაც იგი ერთი მანქანიდან მეორე მანქანის სამსახურზე გადადის, იგი იცვლის საქმიანობას და ანვითარებს თავის იდეებს, უფიქრდება რა იმ საზოგადო კომბინაციებს, რომლებიც მისი და მისი ამხანაგების შრომიდან გამომდინარეობს. ამგვარად, უნარის დახშობას, იდეების შევიწროებას, სხეულის განვითარების შეფერხებას, რომელსაც არა უსაფუძვლოდ მიაწერენ შრომის დანაწილებას, არ შეიძლება ჩვეულებრივ პირობებში ადგილი ჰქონდეს ს ა მ უ შ ა ო თ ა თ ა ნ ა ს წ ო რ ი გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს სისტემის დროს.

„მექანიზმის ყოველგვარი გაუმჯობესების მუდმივი მიზანი და ტენდენცია ნამდვილად იმაში მდგომარეობს, რომ სრულიად ჩამოიშოროს ადამიანის შრომა ან შეამციროს მისი ფასი სრულწლოვანი მუშა-მამაკაცების სანაცვლოდ ქალებისა და ბავშვების გამოყენებით ანდა დახელოვნებული მუშების ნაცვლად — შავი მუშების გამოყენებით... ეს ტენდენცია, რომ გამოცდილი მუშების მაგივრად გამოყენებულ იქნენ გამჭრიახი თვალისა და მოქნილი თითების მქონე ბავშვები, გვიმტკიცებს, რომ სქოლასტიური დოგმა დახელოვნების სხვადასხვა ხარისხის მიხედვით შრომის დანაწილებისა დაბოლოს უკუგდებულია ჩვენი განათლებული მრეწველების მიერ“ (A n d r è U r e: »Phi-

losophie des manufactures ou Économie industrielle", ტ. I, თავი I).

შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით ახასიათებს ის, რომ იგი წარმოშობს მრავალ სპეციალობას, სპეციალისტებს და მათთან ერთად პროფესიულ იდიოტიზმს.

„ჩვენ გაოცებული ვრჩებით, ამბობს ლემონტეი, როდესაც ვხედავთ, რომ ძველებში ერთიდაიგივე პირი იმავდროულად იყო შესანიშნავი ფილოსოფოსიც, მგოსანიც, ორატორიც, ისტორიკოსიც, ქურუმიც, ადმინისტრატორიც და ჯარის სარდალიც. ჩვენს სულს შიში მოიცავს ესოდენ ფართო ასპარეზის ხილვით. თითოეული ადამიანი ღობეს ივლებს თავის ირგვლივ და იკეტება შიგ. მე არ ვიცი, ფართოვდება თუ არა სფერო ასეთი დანაწილებით, მაგრამ ვიცი კი, რომ ადამიანი პატარავდება".

შრომის დანაწილებას ავტომატურ ფაბრიკაში ახასიათებს ის, რომ იქ შრომას სრულიად დაკარგული აქვს სპეციალობის ხასიათი. მაგრამ იმ მომენტიდან, როდესაც ყოველგვარი სპეციალური განვითარება ჰქრება, საგრძნობი ხდება მოთხოვნილება უნივერსალობისა, მისწრაფება ინდივიდუუმის ინტეგრალურ განვითარებისადმი. ავტომატური ფაბრიკა სპობს სპეციალისტებსა და პროფესიულ იდიოტიზმს.

ბ-ნი პრუდონი, რომელმაც ავტომატური ფაბრიკის ეს რევოლიუციონური მხარეც კი ვერ გაიგო, ერთი ნაბიჯით უკან მიდის და წინადადებას აძლევს მუშას — აკეთოს ქინძისთავის არა მარტო მეთორმეტედი ნაწილი, არამედ — თანამიმდევნობით ყველა თორმეტი ნაწილი. ამ გზით მუშა შეიძენდა ქინძისთავის მეცნიერებასა და ცნობიერებას. აი, რა არის ბ-ნი პრუდონის სინთეთიური შრომა. ვერავინ ვერ უარჰყოფს, რომ ერთი ნაბიჯის წინ

გადადგმა და ერთის უკან აგრეთვე სინთეთიურ მოძრაობას ნიშნავს.

ბოლოსდაბოლოს, ბ-ნი პრუდონი ჯერ [illegible]და წვრილ ბურჟუას იდეალს. ამ იდეალის განსახორციელებლად მას უკეთესი ვერაფერი მოუფიქრია, გარდა იმისა, რომ საშუალო საუკუნეების ქარგლის ან — დიდი-დიდი — ოსტატის მდგომარეობაში დაგვაბრუნოს. საკმარისია, ამბობს იგი სადღაც თავის წიგნში, ადამიანმა თავის სიცოცხლეში ერთად-ერთხელ შეჰქმნას სანიმუშო ნაწარმოები, იგრძნოს თავი ადამიანადო. განა ეს, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ, იგივე სანიმუშო ნაწარმოები არაა, რომელსაც მოითხოვდა საშუალო საუკუნეების ამქრობა?

## § III. კონკურენცია და მონოპოლია

| | |
|---|---|
| ონკურენციის კარგი მხარე | „კონკურენცია ისევე არსებითია შრომისთვის, როგორც დანაწილება... იგი აუცილებელია თანასწორობის დამყარებისთვის“ (ტ. I, გვ. 186,188). |
| კონკურენციის ცუდი მხარე | „კონკურენციის პრინციპი უარყოფაა თავის თავისა... კონკურენციის აუცილებელი შედეგი ის არის, რომ იგი ღუპავს იმათ, ვისაც გაიტაცებს“ (ტ. I, გვ. 185). |
| ზოგადი მოსაზრება | „ნაკლულევანობა, რომელიც კონკურენციას ახლავს, ისე როგორც სიკეთე, რომელიც მას მოაქვს... ორივე ლოგიკურად პრინციპიდან გამომდინარეობს“ (ტ. I, გვ. 185,186). |

**გადასაჭრელი პრობლემა**

„პოვნა შემარიგებელი პრინციპისა, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს უფრო მაღლა მდგომი კანონიდან, ვიდრე თვით თავისუფლებაა" (ტ, I, გვ. 185).

„მაშასადამე, საქმე შეეხება აქ არა კონკურენციის მოსპობას, რაც ისევე შეუძლებელია, როგორც თავისუფლების მოსპობა, არამედ იმას, რომ ვპოვოთ წონასწორობა, ვიტყოდი კიდეც ხალისით: პოლიცია კონკურენციისა" (ტ. I, გვ. 223).

ბ-ნი პრუდონი იწყებს კონკურენციის მარადიული აუცილებლობის დაცვას იმათ წინააღმდეგ, რომელთაც[1] სურთ იგი შეჯიბრით შესცვალონ.

არ არსებობს „შეჯიბრი უმიზნოდ", და რახან „ყოველი ვნების საგანი ვნების ანალოგიურია: ქალი — შეყვარებულისთვის, ძალა - უფლება — პატივმოყვარესთვის, ოქრო — ძუნწისთვის, გვირგვინი — მგოსნისთვის, სამრეწველო შეჯიბრის საგანიც აუცილებლად მოგება არის. შეჯიბრი სხვა არა არის რა თუ არ თვით კონკურენცია".

კონკურენცია არის შეჯიბრი მოგების გულისთვის. წარმოადგენს თვით სამრეწველო შეჯიბრი აუცილებლად შეჯიბრს მოგების გულისთვის, ე. ი. კონკურენციას? პოო, გვეუბნება ბ-ნი პრუდონი. ჩვენ უკვე ვნახეთ: მისთვის თქმა ნიშნავს დამტკიცებას, ისე როგორც გულისხმობა ნიშნავს უარყოფას.

თუ შეყვარებულის უშუალო ობიექტს ქალი შეადგენს, სამრეწველო შეჯიბრის უშუალო ობიექტსაც პროდუქტი შეადგენს და არა—მოგება.

[1] ფურიერისტებს. — ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი.

კონკურენცია არის არა სამრეწველო შეჯიბრი, არამედ— სავაჭრო შეჯიბრი. ამჟამად სამრეწველო შეჯიბრი მხოლოდ ვაჭრობის გულისთვის არსებობს. მთელი ფაბრიკაც კი არის თანამედროვე ხალხთა ეკონომიურ ცხოვრებაში, რომელსაც უწარმოებლად მოგების მოპოვების [illegible]ებითაა ყველა შეპყრობილი. ეს სპეკულიაციის ციებცხელება, რომელიც პერიოდულად ჩნდება, ააშკარავებს ჭეშმარიტ ხასიათს კონკურენციისას, რომელიც ცდილობს თავიდან აიცილოს სამრეწველო შეჯიბრის აუცილებლობა.

მე-XIV საუკუნის ხელოსნისთვის რომ გეთქვათ, მრეწველობის პრივილეგიებს და მის მთელ ფეოდალურ ორგანიზაციას სპობენ, რათა მათ ადგილას სამრეწველო შეჯიბრი, კუნკურენციად წოდებული, გააბატონონო, იგი გიპასუხებდათ,—სხვადასხვა კორპორაციების, გილდების, ამქრების პრივილეგიები ორგანიზაციულად მოწყობილ კონკურენციას წარმოადგენსო. ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს უკეთესი თქმა არ აქვს, როდესაც ამბობს, „შეჯიბრი სხვა არა არის რა თუ არ თვით კონკურენციაო".

„ბრძანება გამოეცით, რომ 1847 წლის 1 იანვრიდან ყველასთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შრომა და ხელფასი, და—მაშინვე დიდი შესუსტება მოჰყვება მრეწველობის ძლიერ დაძაბულობას".

გულისხმობისა, მტკიცებისა და უარყოფის ნაცვლად, ჩვენ ახლა საქმე გვაქვს ბრძანებასთან, რომელსაც ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი გამოსცემს განზრახ, რათა დაამტკიცოს კონკურენციის აუცილებლობა, მისი, როგორც კატეგორიის, მარადიულობა და სხვ.

თუ ის აზრი გამოვისახეთ თავში, რომ კონკურენციისთვის თავის დასაღწევად მხოლოდ ბრძანებაა საჭირო, ჩვენ მას ვერასოდეს ვერ დავაღწევთ თავს. და თუ ისე შორს წავიდოდით, რომ ასეთ წინადადებას გააკეთებდით: მოსპობილ იქნეს კონკურენცია, ისე რომ ხელფასი

შენარჩუნებული დარჩესო, — ეს იქნებოდა წინადადება სამეფო დეკრეტის სახით სრულიად უაზრო დადგენილების გამოცემისა. მაგრამ ხალხები ვითარდებიან არა მეფის დეკრეტებით. ვიდრე ასეთ დეკრეტებს [illegible], მათ ძირიანად უნდა შესცვალონ თავიანთი სოციალური და პოლიტიკური არსებობის პირობები და, მაშასადამე, მთელი თავიანთი არსებობის წესი.

ბ-ნი პრუდონი მოგვიგებს თავისი ურყევი შეუდრეკელობით, რომ ეს არის ჰიპოთეზი „ჩვენი ბუნების გარდაქმნისა ისტორიულ პირობათა გარეშე“ და რომ „მას უფლება აქვს გამოგვრიცხოს კამათიდან“, თუმცა არ ვიცით,—რომელი ბრძანების საფუძვლით.

ბ-ნმა პრუდონმა არ იცის, რომ მთელი ისტორია ადამიანის ბუნების განუწყვეტელ გარდაქმნას წარმოადგენს მხოლოდ.

„გავჩერდეთ ფაქტების ფარგალში. საფრანგეთის რევოლიუცია მოხდენილ იქნა იმდენადვე სამრეწველო თავისუფლებისთვის, რამდენადაც პოლიტიკური თავისუფლებისთვის; და თუმცა 1789 წელს საფრანგეთმა—ვიტყვით ამას ხმამაღლა—ვერ გაითვალისწინა იმ პრინციპის ყველა შედეგი, რომლის განხორციელებას მოითხოვდა, მაგრამ არც თავის სურვილსა და არც თავის მოლოდინში იგი არ მოტყუებულა. ვინც შეეცდებოდა ამის უარყოფას, ჩემს თვალში დაჰკარგავდა კრიტიკის უფლებას: მე თავის დღეში კამათს არ დავუწყებ ისეთ მოწინააღმდეგეს, რომელიც პრინციპად აღიარებს ოცდახუთი მილიონი ადამიანის ნებსით შეცდომას... თუ კონკურენცია არ იყო სოციალური ეკონომიის პრინციპი, განგების დეკრეტი, ადამიანის სულის აუცილებლობა, რატომ ადამიანებმა, კორპორაციების, ამქრებისა და გილდების მოსპობის ნაცვლად, არ იფიქრეს მათი შეკეთება?“ (ტ. I, გვ. 191,192).

ამგვარად, რადგან მე-XVIII საუკუნის ფრანგებმა კორპორაციები, ამქრები და გილდები მოსპეს, ნაცვლად იმისა, რომ მათი სახეცვლა მოეხდინათ, ამიტომ მე-XIX საუკუნის ფრანგებმა კონკურენციის სახეცვლა უნდა მოახდინონ, მისი მოსპობის ნაცვლად; რადგან კონკურენცია საფრანგეთში დამყარდა მე-XVIII საუკუნეში, როგორც შედეგი ისტორიულ მოთხოვნილებათა, ეს კონკურენცია არ უნდა იქნეს მოსპობილი მე-XIX საუკუნეში სხვა ისტორიულ მოთხოვნილებათა მიზეზით. ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, რომელმაც არ იცის, რომ კონკურენციის დამყარება მე-XVIII საუკუნის ადამიანთა რეალურ განვითარებასთან იყო დაკავშირებული, კონკურენციას ხ დ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს უ ლ ი ს აუცილებლობად in partibus infidelium. როგორღა შეაფასებდა იგი დიდ კოლბერს მე-XVII საუკუნისთვის?

რევოლუციის შემდეგ მოდის თანამედროვე წყობილება. ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი აქედანაც იღებს ფაქტებს, რათა დავანახვოს კონკურენციის მარადიულობა, ამტკიცებს რა, რომ ყველა მრეწველობა, რომელშიც ეს კატეგორია ჯერ კიდევ არაა საკმაოდ განვითარებული, როგორიც არის მიწათმოქმედება, ჩამორჩენილობისა და დაუძლურების მდგომარეობაში იმყოფება.

იმის თქმა, რომ მოიპოება მრეწველობის დარგები, რომლებიც ჯერ კიდევ არ დგას კონკურენციის სიმაღლეზე, და სხვები კიდევ, რომლებიც ბურჟუაზიული წარმოების დონეზე დაბლა დგას, ნიშნავს უაზრო ყბედობას, რომელიც სრულიადაც არ ამტკიცებს კონკურენციის მარადიულობას.

ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს მთელი ლოგიკის რეზიუმე ასეთია: კონკურენცია წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელშიაც ჩვენ ამჟამად ვანვითარებთ ჩვენს საწარმოო ძალებს. ამ ჭეშმარიტებას იგი აძლევს არა

ლოგიკურ განვითარებას, არამედ, ხშირად, მეტად გაბე-რილ ფორმებს, გვეუბნება რა, რომ კოკურენცია არის მრეწველობის შეჯიბრი, თავისუფლად ყოფნის [illegible]-ლი წესი, პასუხისმგებლობა შრომაში, [illegible] ჩა-მოყალიბება, პირობა თანასწორობის [illegible] სო-ციალური ეკონომიის პრინციპი, განგების დეკრეტი, ადა-მიანის სულის აუცილებლობა, მარადიული სამართლიანო-ბის შთაგონება, თავისუფლება დანაწილებაში, დანაწი-ლება თავისუფლებაში, ეკონომიური კატეგორია.

„კონკურენცია და ასოციაცია ერთი მეო-რეს ეყრდნობა. ისინი არა თუ არ გამორიცხავენ ერთი-მეორეს, არამედ ერთმანეთს არც კი შორდებიან. ვინც ამბობს კონკურენციას, ის უკვე გულისხმობს საერთო მიზანს. მაშასადამე, კონკურენცია არ არის ეგოიზმი, და სოციალიზმის ყველაზე უფრო სამწუხა-რო შეცდომა ის არის, რომ მან კონკურენცია საზოგა-დოების დამშლელად მიიჩნია“.

ვინც ამბობს კონკურენციას, ის ამბობს საერთო მი-ზანს, და ეს ამტკიცებს, ერთის მხრივ, რომ კონკურენ-ცია ასოციაციაა, და, მეორეს მხრივ,—რომ კონკურენ-ცია არაა ეგოიზმი. და ვინც ამბობს ეგოიზმს, განა ის კი არ ამბობს საერთო მიზანს? ყოველი ეგოიზმი მო-ქმედებს საზოგადოებაში და საზოგადოების მეშვეობით. მაშასადამე, იგი გულისხმობს საზოგადოებას, ე. ი. საე-რთო მიზნებს, საერთო მოთხოვნილებებს, საერთო სა-წარმოო საშუალებებს და სხვ. და სხვ. და ვითომ ამი-ტომ უნდა ვსცნათ, რომ კონკურენცია და ასოციაცია, რომელზედაც სოციალისტები ლაპარაკობენ, ერთი მეო-რეს არც კი შორდება?

სოციალისტებმა ძალიან კარგად იციან, რომ თანა-მედროვე საზოგადოება კონკურენციაზეა დამყარებული. როგორ შეუძლიათ მათ უსაყვედურონ კონკურენციას

თანამედროვე საზოგადოების დამხობა, როდესაც თვითონ სწადიათ ეს დამხობა? და როგორ შეუძლიათ მათ უსაყვედურონ კონკურენციას დამხობა მომავალი საზოგადოების, რომელშიაც ისინი, პირიქით, კონკურენციის დამხობას ხედავენ?

ბ-ნი *პრუდონი* ამბობს, ქვევით, რომ კონკურენცია *მოპირისპირეა მონოპოლიის* და, მაშასადამე, არ შეიძლება იყოს *ასოციაციის მოპირისპირე*.

ფეოდალიზმი იმ თავითვე უპირისპირდებოდა პატრიარქალურ მონარქიას; მაგრამ იგი არ წარმოადგენდა დაპირისპირებას კონკურენციისადმი, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობდა. განა აქედან ის გამომდინარეობს, რომ კონკურენცია არ უპირისპირდება ფეოდალიზმს?

ფაქტიურად *საზოგადოება*, *ასოციაცია* სახელწოდებაა, რომელიც შეიძლება ყველა საზოგადოებას ეწოდოს, როგორც ფეოდალურს, ისევე ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელიც კონკურენციაზე დამყარებულ ასოციაციას წარმოადგენს. მაშ რანაირად შეიძლება არსებობდენ ისეთი სოციალისტები, რომელთაც ჰგონიათ, რომ მარტო ამ სიტყვით: *ასოციაცია* — შეუძლიათ უარჰყონ კონკურენცია? და რანაირად შეუძლია თვით ბ-ნ *პრუდონს* დაიცვას კონკურენცია სოციალისტების წინააღმდეგ მისთვის მარტოოდენ *ასოციაციის* წოდებით?

ყველაფერი, რაც ჩვენ ეს არის მოვიხსენიეთ, შეადგენს კონკურენციის კარგ მხარეს, როგორც იგი ბ-ნ *პრუდონს* ესმის. გადავიდეთ ახლა ცუდ მხარეზე, ე. ი. კონკურენციის უარყოფითს მხარეზე, მის ნაკლულევანობაზე, იმაზე, რაც დამრღვევ, დამქცევ, მავნებელ თვისებებს შეიცავს.

კონკურენცია წარმოშობს სიღატაკეს, აღვივებს სამოქალაქო ომს, „სცვლის ბუნებრივ ზონებს“, ერთმანეთში

რევს ერებს, შფოთი შეაქვს ოჯახში, ხრწნის საზოგადოებრივ სინდისს, „არეულობას იწვევს მართლმსაჯულებისა, სამართლიანობისა“ და ზნეობრივ „ცნებებში“ და, რაც კიდევ უარესია, სპობს პატიოსან და თავისუფალ ვაჭრობას და სამაგიეროდ სინთ[illegible]ებულებასაც კი, მტკიცე და პატიოსნურ ფასსაც კი არ იძლევა. იგი გულს უცრუებს ყველას, ეკონომისტებსაც კი. იგი ისე შორს მიდის, რომ თავის თავსაც კი სპობს.

ყველა იმ სიცუდის შემდეგ, რაც ბ-ნმა პრუდონმა მოგვითხრო, განა შეიძლება არსებობდეს ბურჟუაზიული საზოგადოებისთვის და აგრეთვე ბ-ნი პრუდონის პრინციპებისა და ილუზიებისთვის უფრო მშლელი, უფრო დამრღვევი ელემენტი, ვიდრე კონკურენცია არის?

მხედველობაში ვიქონიოთ, რომ კონკურენცია ბურჟუაზიული ურთიერთობის უფრო და უფრო დამრღვევ ძალად იქცევა, რაც უფრო იწვევს იგი გაშმაგებულ მისწრაფებას ახალი ძალების შექმნისადმი, ე. ი. ახალი საზოგადოების მატერიალური პირობების შექმნისადმი. ამ მხრივ, ყოველ შემთხვევაში, კონკურენციის ცუდ მხარეს თავისი კარგი მხარე აქვს.

„კონკურენცია, როგორც დებულება ანუ ეკონომიური ფაზა, მისი წარმოშობის მხრივ განხილული, წარმოადგენს... საწარმოო ხარჯების შემცირების თეორიის აუცილებელ შედეგს“.

ბ-ნი პრუდონისთვის, ეტყობა, სისხლის მოძრაობა ჰარვეის (Harvey) თეორიის შედეგს წარმოადგენს.

„მონოპოლია“ აუცილებელი შედეგია კონკურენციის, რომელიც მას წარმოშობს თავისი თავის შეუწყვეტელი უარყოფის გზით. მონოპოლიის ეს წარმოშობა უკვე გამართლებაა მისი... მონოპოლია ბუნებრივი მოპირისპირეა კონკურენციის... მაგრამ იმ მომენტიდან, როდესაც კონკურენცია აუცილებელია, იგი თავისში

შეიცავს მონოპოლიის იდეას, ვინაიდან მონოპოლია ერთგვარი დასაბრძანებელი ადგილია კონკურენციის მწარმოებელი ყოველი პიროვნებისა“.

ჩვენ ვხაროებთ ბ-ნ პრუდონთან ერთად, რომ იგი ერთხელ მაინც ახერხებს თავისი თეზისა და ანტითეზის შესახები ფორმულის რიგიანად გამოყენებას. ყველამ იცის, რომ თანამედროვე მონოპოლია თვით კონკურენციის მიერ არის წარმოშობილი.

რაც შეეხება შინაარსს, ბ-ნ პრუდონს მიდრეკილება აქვს პოეტურ სახეებისადმი. კონკურენცია „შრომის თითოეული ქვეგანაყოფიდან ჰქმნიდა ერთგვარ სუვერენობას, სადაც თითოეული ინდივიდუუმი თავის ძალასა და დამოკიდებულებაში დაიდგენებოდა“. „მონოპოლია დასაბრძანებელი ადგილია კონკურენციის მაწარმოებელი ყოველი პიროვნებისა“. სუვერენობა იმდენადვე ლამაზია, როგორც დასაბრძანებელი ადგილი.

ბ-ნი პრუდონი მხოლოდ კონკურენციის მიერ წარმოშობილ თანამედროვე მონოპოლიაზე ლაპარაკობს. მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, რომ კონკურენცია ფეოდალურმა მონოპოლიამ წარმოშვა. ამრიგად, კონკურენცია თავდაპირველად მონოპოლიის წინააღმდეგი მოვლენა იყო და არა მონოპოლია—კონკურენციის წინააღმდეგი მოვლენა. მაშასადამე, თანამედროვე მონოპოლია არ არის უბრალო ანტითეზი, იგი, პირიქით, ნამდვილი სინთეზია.

თეზი: ფეოდალური მონოპოლია, კონკურენციის წინამორბედი.

ანტითეზი: კონკურენცია.

სინთეზი: თანამედროვე მონოპოლია, რომელიც, რამდენადაც იგი კონკურენციის ბატონობას გულისხმობს, უარყოფაა ფეოდალური მონოპოლიის და, რამდენადაც იგი მონოპოლია არის, უარყოფაა კონკურენციის.

ამგვარად, თანამედროვე მონოპოლია, ბურჟუაზიული მონოპოლია, არის სინთეთური მონოპოლია, უარყოფის უარყოფა, წინააღმდეგობათა ერთიანობა. იგივე მონოპოლია წმინდა, ნორმალური, რაციონალური სახისა. ბ-ნი პრუდონი თავის საკუთარ ფილოსოფიას ეწინააღმდეგება, როდესაც იგი ბურჟუაზიულ მონოპოლიას გაუნვითარებელ, ბუნებრივად აღმოცენებულ, წინააღმდეგობით აღსავსე, სპასმოდიურ მდგომარეობაში მყოფ მონოპოლიად აცხადებს. ბ-მა როსიმ (Rossi), რომელსაც ბ-ნი პრუდონი რამდენჯერმე ასახელებს მონოპოლიის გამო, ეტყობა, უკეთ შეიგნო ბურჟუაზიული მონოპოლიის სინთეთური ხასიათი. თავის „Cours d'économie politique"-ში იგი განასხვავებს ხელოვნურსა და ბუნებრივ მონოპოლიებს. ფეოდალური მონოპოლიები, ამბობს იგი, ხელოვნურია, ე. ი. თვითნებური; ბურჟუაზიული მონოპოლიები ბუნებრივია, ე. ი. რაციონალური.

მონოპოლია, ამბობს ბ-ნი პრუდონი, კარგი რამ არის, ვინაიდან იგი ეკონომიური კატეგორიაა, „კაცობრიობის უპიროვნო გონების" ემანაციაა. კონკურენციაც კარგი რამ არის, რადგან ისიც ეკონომიური კატეგორიაა... მაგრამ რაც კარგი არ არის, — ესაა სინამდვილე მონოპოლიის და სინამდვილე კონკურენციის. ამაზე უარესი კიდევ ისაა, რომ კონკურენცია და მონოპოლია ნთქავს ერთი მეორეს. რა უნდა ვქნათ? უნდა ვეძიოთ ამ ორი მარადიული აზრის სინთეზი, უნდა ამოვგლიჯოთ ეს უკანასკნელი ღვთის წიაღიდან, სადაც იგი უხსოვარ დროთაგან ინახება.

პრაქტიკულ ცხოვრებაში ჩვენ ვპოვებთ არა მარტო კონკურენციას, მონოპოლიას და მათს ანტაგონიზმს, არამედ — მათს სინთეზსაც, რომელიც ფორმულა კი არაა, არამედ — მოძრაობა. მონოპოლია წარმოშობს კონკურენციას, კონკურენცია წარმოშობს მონოპოლიას. მონოპოლისტები

კონკურენციას უწევენ ერთი-მეორეს, კონკურენტები იქცევიან მონოპოლისტებად. თუ მონოპოლისტები კონკურენცია თავიანთ შორის შეზღუდეს ნაწილობრივი ასოციაციების შექმნის გზით, კონკურენცია იწარმოება მუშებს შორის; და რაც უფრო იზრდება პროლეტარიატის მასა ერთი ნაციის მონოპოლისტთა მიმართ დაპირისპირებით, მით უფრო ალვირახსნილი ხდება კონკურენცია სხვადასხვა ნაციათა მონოპოლისტებს შორის. სინთეზი ამგვარია, რომ მონოპოლიას მხოლოდ განუწყვეტელი საკონკურენციო ბრძოლის გზით შეუძლია არსებობა.

რათა დიალექტიკურად წარმოვიდგინოთ *ხარკები*, რომლებიც *მონოპოლიას* მოჰყვება, ბ-ნი *პრუდონი* მოგვითხრობს საზოგადოების *გენიის* *შესახებ*, რომელიც, მას შემდეგ რაც მან *უშიშრად* გაიარა თავისი *მიხვეულ-მოხვეული გზა*, „მას შემდეგ რაც მტკიცე ნაბიჯით იარა, *შეუნანიებლად* და *შეუჩერებლად*,—*აღწევს რა მონოპოლიის კუნჭულს*, *მელანქოლიურად* უკან მიიხედავს და, ღრმა ფიქრის შემდეგ, ხარკს ადებს წარმოების ყველა საგანს და ქმნის მთელ ადმინისტრატიულ ორგანიზაციას იმისათვის, რომ *პროლეტარიატს მიეცეს ყველა ადგილი და მისთვის სასყიდელი მონოპოლისტების მიერ იქნეს გადახდილი*".

რა უნდა ვთქვათ ამ გენიაზე, რომელიც, უზმად, სეირნობს მიხვეულ-მოხვეულად? და რა უნდა ვთქვათ ამ სეირნობაზე, რომელსაც მხოლოდ ის მიზანი უნდა ჰქონდეს, რომ ხარკების საშუალებით მოსპოს ბურჟუები, მაშინ როდესაც ხარკები სწორედ იმას ემსახურება, რომ საშუალება მისცეს ბურჟუებს შეინარჩუნონ გაბატონებული კლასის მდგომარეობა?

რომ რაოდენადმე დავანახვოთ მკითხველს, თუ როგორ ამუშავებს ბ-ნი *პრუდონი* ეკონომიურ დეტალებს,

საკმარისი იქნება ვთქვათ, რომ, მისი აზრით, მოხმარების ხარჯი თანასწორობის გულისთვის და პროლეტარიატის დასახმარებლად იქნა დაწესებული.

მოხმარების ხარჯმა მარტოოდენ ბურჟუაზიის გამარჯვების შემდეგ მიიღო თავისი სრული განვითარება. სამრეწველო კაპიტალისთვის, ე. ი. ფხიზელი და დამზოგველი სიმდიდრისთვის, რომელიც შრომის უშუალო ექსპლოატაციის გზით არსებობს და აწარმოებს თავის რეპროდუქციასა და ზრდას, მოხმარების ხარჯი საშუალება იყო ქარაფშუტა, მოქეიფე და მფლანგველ დიდ მებატონეთა სიმდიდრის ექსპლოატაციისა, რომელნიც მხოლოდ მოხმარებას ეწევოდენ. მოხმარების ხარჯის ეს პირვანდელი მიზანი კარგად აქვს გადმოცემული ჯემს სტიუარტს (James Seuart) თავის თხზულებაში: „Recherches sur les principes de l'économie politique", რომელიც მან ა. სმიტზე ათი წლით ადრე გამოაქვეყნა.

„წმინდა მონარქიებში, ამბობს ის, მეფეები თითქოს ერთგვარი შურით უცქერიან სიმდიდრის ზრდას და ამიტომ ხარკებს ახდევინებენ იმათ, ვინც მდიდრდება,—წარმოებაზე დადებულ ხარკებს. კონსტიტუციურ წყობილებაში ხარკები ეკისრება უმთავრესად იმათ, ვინც ღარიბდება,—მოხმარებაზე დაწესებული ხარკები. ამგვარად, ხელმწიფენი ხარკს ადებენ მრეწველობას... მაგალითად; სასულო ხარკი და საკომლო ხარკი პროპორციულია იმ პირთა ნაგულისხმევი შეძლებისა, რომლებიც მათ ექვემდებარებიან. თითოეული იბეგრება იმ მოგების მიხედვით, რომელიც, როგორც იგულისხმება, მას აქვს. კონსტიტუციური მართველობის დროს ხარკები მოხმარებაზე აიღება ჩვეულებრივ. თითოეული იბეგრება იმის მიხედვით, რასაც ხარჯავს".

რაც შეეხება ხარკების, სავაჭრო ბალანსის, კრედიტის ლოგიკურ თანამიმდევნობას,—ბ-ნი პრუდონის აზროვნებაში,—ჩვენ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ

ინგლისის ბურჟუაზიამ, რომელმაც ვილჰელმ ორანელის დროს პოლიტიკურ ძალას მიაღწია, ერთბაშად შექმნა ხარკების ახალი სისტემა, საჯარო კრედიტი და მფარველობითი ბაჟების სისტემა, როგორც კი შესაძლებლობა მოიპოვა თავისი არსებობის პირობები თავისუფლად განევითარებია.

ეს მიმოხილვა საკმარისია, რათა მკითხველმა სწორი წარმოდგენა შეადგინოს ბ-ნი პრუდონის გამოკვლევაზე შესახებ პოლიციის ან ხარკისა, სავაჭრო ბალანსის, კრედიტის, კომუნიზმის და მოსახლეობისა. ვერ წარმოგვიდგენია კრიტიკა, რაგინდ ლმობიერი იყოს იგი, რომელიც ამ საკითხების შესახებ თავებს სერიოზული განხილვის ღირსად მიიჩნევდა.

## § IV. საკუთრება ანუ რენტა

ყველა ისტორიულ ხანაში საკუთრება სხვადასხვაგვარად და სრულიად სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ პირობებში ვითარდებოდა. ამის გამო, ბურჟუაზიული საკუთრების განსაზღვრა მარტოოდენ იმას ნიშნავს, რომ გადმოცემული იქნეს ბურჟუაზიული წარმოების ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობა.

წადილი, რომ საკუთრება განსაზღვრულ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი ურთიერთობა, როგორც განკერძოებული კატეგორია, როგორც აბსტრაქტული და მარადიული იდეა, სხვა არას შეიძლება მოასწავებდეს, თუ არ მეტაფიზიკურ ან იურიდიულ ილუზიას.

ბ-ნი პრუდონი, თუმცა ისე გვაჩვენებს თავს, თითქოს საზოგადოდ საკუთრებაზე ლაპარაკობდეს, განიხილავს მხოლოდ სა ადგილმამულო საკუთრებას, საადგილმამულო რენტას.

„რენტის, როგორც საკუთრების, დასაბამი, ასე ვთქვათ, ეკონომიურ სფეროს გარეშე მდებარეობს: იგი იმყოფება

პსიქოლოგიურსა და ზნეობრივ მოსაზრებებში, რომელთაც ფრიად შორეული კავშირი აქვთ სიმდიდრის წარმოებასთან“ (ტ. II, გვ. 266).

ამგვარად, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი აცხ[illegible] უუნარიანობას ეკონომიური დასაბამი მო[illegible]ასა და საკუთრებას. იგი აღიარებს, რომ ეს უუნარიანობა მას აიძულებს მიმართოს პსიქოლოგიურსა და ზნეობრივ მოსაზრებებს, რომელთაც თუმცა სიმდიდრის წარმოებასთან მართლაც ძალიან შორეული კავშირი აქვთ, მაგრამ ფრიად მჭიდრო კავშირი აქვთ მისი ისტორიული თვალსაზრისის სივიწროვესთან. ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ამტკიცებს, რომ საკუთრების დასაბამი რაღაც მ ი ს ტ ი უ რ ს ა და ი დ უ მ ა ლ ს შეიცავს. მაგრამ საკუთრების დასაბამისთვის იდუმალების მითვისება, ე. ი. იდუმალებად გარდაქმნა თვით წარმოების ურთიერთობის დამოკიდებულებისა საწარმოო იარაღების განაწილებასთან,— განა არ ნიშნავს, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს ენით რომ ვთქვათ, ხელის აღებას ყოველგვარ პრეტენზიაზე ეკონომიური მეცნიერების მიმართ?

ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი „მარტოოდენ ამას ს ჯ ე რ დ ე ბ ა,— მოგვაგონოს, რომ ეკონომიური განვითარების მეშვიდე ეპოქაში, — კრედიტის ეპოქაში, — როდესაც ფიქციამ სინამდვილე გააქრო და ადამიანის მოქმედებას სიცარიელეში დაკარგვის ხიფათი ემუქრებოდა, აუცილებელი შეიქნა ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ფ რ ო მ ა გ რ ა დ მ ი ბ მ ა ბ უ ნ ე ბ ა ზ ე: და, აი, რენტა იყო ფასი ამ ახალი კონტრაქტისა“ (ტ. II, გვ. 266).

ო რ მ ო ც ი ე კ ი უ ს მ ქ ო ნ ე ბ ე ლ მ ა კ ა ც მ ა წინასწარ იგრძნო თავისი მომავალი პ რ უ დ ო ნ ი: „უფალო, ყოვლისშემძლეო, იყავნ ნება შენი: ყველა ბატონია თავის სამყაროში; მაგრამ ვერასოდეს ვერ დამაჯერებ, რომ ის სამყარო, რომელშიაც ჩვენ ვართ, მუშისა იყოს“.

თქვენს სამყაროში, სადაც კრედიტი საშუალება იყო იმისა, რომ *სიცარიელეში დაკარგულიყო*, შესაძლებელია საკუთრება აუცილებელი გახდა *ბუნებაზე ადამიანის მისაბმელად*. მაგრამ [illegible] მოსახლეობის სამყაროში, სადაც საადგილმამულო საკუთრება ყოველთვის წინ უძღვის კრედიტს, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს *ბ-ნი პრუდონის* horror vacui-ს [შიშს სიცარიელის წინაშე].

რენტა, როგორიც უნდა იყოს მისი დასაბამი, რაკი ერთხელ წარმოიშვა, ხდება საგნად წინააღმდეგური მოლაპარაკებისა გარიგების მიზნით მოიჯარადრესა და მემამულეს შორის. როგორია ამ გარიგების საბოლოო შედეგი? სხვა სიტყვებით: როგორია რენტის საშუალო სიდიდე? აი, რას გვეუბნება ამის შესახებ *ბ-ნი პრუდონი*.

„*რიკარდოს* თეორია პასუხს გვაძლევს ამ კითხვაზე. საზოგადოების დასაწყისში, როდესაც ადამიანს, ქვეყნად ახლად მოვლენილს, მარტოოდენ უზარმაზარი ტყეები ჰქონდა თვალწინ, როდესაც მიწა აურაცხელი იყო და მრეწველობა მხოლოდ იწყებოდა, რენტა არარა უნდა ყოფილიყო. მიწა, ჯერ კიდევ დაუმუშავებელი, მოხმარების საგანი იყო; იგი არ წარმოადგენდა საცვლელ ღირებულებას: იგი იყო საერთო, მაგრამ არ იყო საზოგადოებრივი. თანდათან ოჯახთა გამრავლებამ და მიწათმოქმედების წინმსვლელობამ ადამიანთ აგრძნობინა, რომ მიწა დასაფასებელია. შრომამ შესძინა ნიადაგს ღირებულება, და აქედან წარმოიშვა რენტა. რაც უფრო, იმავე შრომის რაოდენობით, მეტი ნაყოფის მოცემა შეეძლო მინდორს, მით უფრო მეტად ფასდებოდა იგი; ამიტომ მესაკუთრეებს ყოველთვის ჰქონდათ მისწრაფება მიეთვისებიათ ნიადაგის მთელი ნაყოფი, ფერმერის ხელფასის გამოკლებით, ე. ი. წარმოების ხარჯების გამოკლებით. ამგვარად, საკუთრება მოჰყვა შრომას, რათა მისთვის

წაერთმია ყველაფერი, რაც პროდუქტში ნამდვილ ხარ-ჯებს აღემატება. მაშინ როდესაც მესაკუთრე მისტიურ მოვალეობას ასრულებს და კოლონის მიმართ საზოგადოებას წარმოადგენს, ფერმერი, გან[illegible] გადაწყვეტილებით, მარტოოდენ პასუხისმგებელი მუშა არის, რომელმაც ანგარიში უნდა მისცეს საზოგადოებას ყველაფერში, რასაც იგი თავის კანონიერ ხელფასზე მეტად მოიპოვებს... ამგვარად, რენტა, თავისი არსებითა და დანიშნულებით, წარმოადგენს გამნაწილებელი სამართლიანობის იარაღს, ერთ-ერთ საშუალებას იმ ათასთაგან, რომელთაც ხმარობს ეკონომიური გენია თანასწორობის მისაღწევად. ეს არის უზარმაზარი კადასტრი, წინაალმდეგურად შესრულებული მესაკუთრეთა და ფერმერთა მიერ, კონფლიქტის შესაძლებლობის გარეშე, უმაღლესი ინტერესის გულისთვის, და რომლის საბოლოო შედეგი უნდა იყოს გათანასწორება მიწის ფლობელობისა მიწის ექსპლოატატორთა და მრეწველთა შორის... საკუთრების ეს თილისმა იყო საჭირო პროდუქტის გარდამეტის გამოსაგლეჯად კოლონისაგან, რომელსაც არ შეუძლია იგი არ ჩასთვალოს თავისად, მიაჩნია რა თავის თავი მის ერთადერთ შემქმნელად. რენტამ ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, საადგილმამულო საკუთრებამ შემუსრა სამიწათმოქმედო ეგოიზმი და შეჰქმნა სოლიდარობა, რომელსაც ვერ შეჰქმნიდა ვერავითარი ძალა, ვერავითარი მიწის დაყოფა... ამჟამად, როდესაც საადგილმამულო საკუთრების მორალური შედეგი მიღწეულია, რენტის განაწილებაა შესასრულებელი“ (ტ. I, გვ. 270—272).

მთელი ეს სიტყვების ტკაცატკუცი, პირველ ყოვლისა, ნიშნავს შემდეგს: რ ი კ ა რ დ ო ამბობს, რომ რენტის საზომს იძლევა სამიწათმოქმედო პროდუქტთა გარდამეტი მათ საწარმოო ხარჯებთან შედარებით, მოგებისა და კაპიტალის ჩვეულებრივი სარგებლის ჩათვლით, ბ-ნი

პრუდონი უკეთ იქცევა: მისი სურვილისამებრ საქმეში ერევა, deus ex machine-სავით [ღვთიურ მანქანებასავით], მესაკუთრე, რომელიც კოლონს გამოგლეჯს მისი წარმოების მთელ გარდამეტს წარმოების ხარჯებთან შედარებით. იგი სარგებლობს საქმეში მესაკუთრის ჩარევით საკუთრების ასახსნელად და რენტიერის ჩარევით — რენტის ასახსნელად. იგი პრობლემაზე პასუხს იძლევა იმით, რომ იმავე პრობლემას დასვამს და მას ერთ მარცვალს მიუმატებს.

შევნიშნავთ კიდევ, რომ ბ-ნი პრუდონი, როდესაც რენტას მიწის ნაყოფიერობის განსხვავებით განსაზღვრავს, მას ახალ დასაბამს აძლევს, ვინაიდან მიწა, ვიდრე ნაყოფიერობის ხარისხის სხვადასხვაობის მიხედვით დაიწყებდენ მის შეფასებას, „არ იყო", ბ-ნი პრუდონის აზრით, „საცვლელი ღირებულება, არამედ საერთო იყო". სადღა გაჰქრა ეს რენტის ფიქცია, რომელიც იმ აუცილებლობამ წარმოშვა, რომ მიწას უნდა დაბრუნებოდა ადამიანი, რომელსაც სიცარიელის უსასრულობაში დაკარგვის ხიფათი ემუქრებოდა?

გავანთავისუფლოთ ახლა რიკარდოს მოძღვრება იმ განგებითი, ალეგორიული და მისტიური ფრაზებისგან, რომლებშიაც იგი გულმოდგინედ გაახვია ბ-ნმა პრუდონმა.

რენტა, რიკარდოს აზრით, საადგილმამულო საკუთრებაა ბურჟუაზიული სახისა: ე. ი. — ფეოდალური საკუთრება, რომელიც ბურჟუაზიული წარმოების პირობებს დაექვემდებარა.

ჩვენ ვნახეთ, რომ, რიკარდოს მოძღვრების თანახმად, ყველა საგანთა ფასი საბოლოოდ განისაზღვრება წარმოების ხარჯებით, მათში სამრეწველო მოგების ჩათვლით; სხვა სიტყვებით, — განისაზღვრება დახარჯული სამუშაო დროით. მანუფაქტურულ მრეწველობაში იმ

პროდუქტის ფასი, რომელიც შრომის მინიმუმითაა მიღებული, აწესრიგებს იმავე გვარის ყველა სხვა საქონელთა ფასს, თუ რომ შესაძლებელია უიაფესი და ყველაზე უფრო პროდუქტიული საწარმოო იარაღების რაოდენობა უსასრულოდ იქნეს გამრავლებული და თუ თავისუფალი კონკურენცია ამყარებს საბაზრო ფასს, ე. ი. ერთ საერთო ფასს ყველა იმავე გვარის პროდუქტთათვის.

სამიწათმოქმედო მრეწველობაში, პირიქით, შრომის უდიდესი რაოდენობით წარმოებული პროდუქტის ფასი აწესრიგებს იმავე გვარის ყველა სხვა პროდუქტთა ფასს. ჯერ ერთი, აქ არ შეიძლება, როგორც მანუფაქტურულ მრეწველობაში, სურვილისამებრ გამრავლებულ იქნეს იმავე ხარისხის პროდუქტივობის საწარმოო იარაღები, ე. ი. იმავე ხარისხის ნაყოფიერობის მიწები. შემდეგ, მოსახლეობის თანდათანი ზრდის გამო ადამიანები იძულებული ხდებიან ხელი მიჰყონ უმდარესი მიწების დამუშავებას ანდა იმავე მიწაში კაპიტალის ახალ-ახალ დაბანდებას, პროპორციულად წინანდელებზე უფრო ნაკლებ პროდუქტიულს. ერთსა და მეორე შემთხვევაშიაც შრომის უფრო დიდი რაოდენობა გამოიყენება შედარებით ნაკლები პროდუქტის მისაღებად. რადგან მოსახლეობის მოთხოვნილებამ ეს შრომის გადიდება უცილებელი გახადა, ამიტომ უფრო დიდი ხარჯებით დასამუშავებელი მიწის პროდუქტიც ისევე პოულობს საჭირო გასაღებას, როგორც უფრო იაფად დასამუშავებელი მიწის პროდუქტი. და რახან კონკურენცია საბაზრო ფასს ანიველებს, უკეთესი მიწის პროდუქტიც ისევე ძვირად გაიყიდება, როგორც უმდარესი მიწის პროდუქტი. უკეთესი მიწის პროდუქტთა ფასის გარდამეტი, მათ წარმოების ხარჯებთან შედარებით, შეადგენს რენტას. ადამიანთ ერთნაირი ნაყოფიერობის მიწები რომ ჰქონდეთ ყოველთვის თავიანთ განკარგულებაში; რომ შეეძლოთ, როგორც მანუფაქტურულ

მრეწველობაში, გამოიყენონ ყოველთვის ნაკლებად ღირებული და უფრო პროდუქტიული მანქანები, ანდა კაპიტალის შემდგომი დაბანდებანი იმდენს რომ აძლევდენ, როგორც პირველნი,—მაშინ სამიწათმოქმედო პროდუქტების ფასის განმსაზღვრელი იქნებოდა მანქანებთა ფასი, რომლებიც საუკეთესო საწარმოო იარაღებით არის წარმოებული, როგორც ეს ჩვენ ვნახეთ მანუფაქტურული პროდუქტების ფასის შესახებ. მაგრამ ამ მომენტიდან რენტაც გაჰქრებოდა.

რათა რ ი კ ა რ დ ო ს მოძღვრებას საერთოდ ჭეშმარიტების ძალა ჰქონდეს, საჭიროა კიდევ, რომ თავისუფლად შეიძლებოდეს კაპიტალების გამოყენება მრეწველობის სხვადასხვა დარგებში; რომ ფრიად განვითარებული კონკურენცია კაპიტალისტებს შორის მოგების თანასწორ ნორმას ჰქმნიდეს; რომ ფერმერი მხოლოდ სამრეწველო კაპიტალისტი იყოს, რომელიც თავისი უფრო მდარე ღირსების მიწაში მოთავსებული კაპიტალისთვის იმდენსავე მოგებას მოითხოვს, რამდენსაც მას მისცემდა მისი კაპიტალის გამოყენება რომელსამე მანუფაქტურაში; რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მსხვილი მრეწველობის სისტემის თანახმად მიმდინარეობდეს; დასასრულ, რომ თვით მემამულე მხოლოდ ფულად შემოსავალს ეძიებდეს.

შესაძლებელია, როგორც ამას ადგილი აქვს ირლანდიაში, რომ რენტა ჯერ კიდევ არ არსებობდეს, თუმცა საიჯარო სისტემა უაღრესად იყოს განვითარებული. რადგან რენტა გარდამეტია არა მარტო ხელფასის, არამედ—აგრეთვე სამრეწველო მოგებისაც, იგი არ შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც მესაკუთრის შემოსავალი მხოლოდ ხელფასიდან გამონაკლებს წარმოადგენს.

მაშასადამე, რენტა არა თუ არ აქცევს მიწის დამმუშავებელს, ფერმერს, უ ბ რ ა ლ ო მ უ შ ა დ და არ „გამოგლეჯს კოლონს პროდუქტის გარდამეტს, რომელიც

მას არ შეუძლია არ ჩასთვალოს თავისად“,—იგი მემამულის პირისპირ, მონის, ყმის, მოპეგრის ან საქმოსანი მუშის ნაცვლად, აყენებს სამრეწველო კაპიტალისტს, რომელიც მიწის დამუშავებას აწარმოებს თავისი დაქირავებული მუშების საშუალებით და მხოლოდ გარდამეტს წარმოების ხარჯებისა, კაპიტალის მოგების ჩათვლით, საიჯარო ფასად უხდის მემამულეს.

და ასე, დიდმა ხანმა განვლო, ვიდრე ფეოდალური მოიჯარადრის ადგილს დაიჭერდა მრეწველი კაპიტალისტი. გერმანიაში, მაგალითად, ამ გარდაქმნას მე-XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში მიეცა დასაწყისი. მარტო ინგლისში მიიღო სრული განვითარება ამ ურთიერთობამ სამრეწველო კაპიტალისტსა და მემამულეს შორის.

ვიდრე *ბ-ნი პრუდონის კოლონი* არსებობდა მხოლოდ, ადგილი არ ჰქონდა რენტას. მას შემდეგ რაც რენტა არსებობს, კოლონი ფერმერი კი არ არის, არამედ—მუშა, ფერმერის კოლონი. მშრომელის ჩამოქვეითება, მისი გადაქცევა უბრალო მუშად, დღიურ მუშად, საქირაო სოფლის მუშად, რომელიც სამრეწველო კაპიტალისტისთვის შრომობს; გამოჩენა სამრეწველო კაპიტალისტის, რომელიც სასოფლო სამეურნეო წარმოებას ეწევა ყოველ სხვა საფაბრიკო წარმოებასავით; მემამულის გარდაქმნა პატარა მთავრიდან ჩვეულებრივ მევახშედ,—აი, ის სხვადასხვა ურთიერთობანი, რომელთაც რენტა გამოხატავს.

რენტა, *რიკარდოს* აზრით, ნიშნავს პატრიარქალური მიწათმოქმედების სამრეწველოდ გარდაქმნას, მიწის დასამუშავებლად სამრეწველო კაპიტალის გამოყენებას, ქალაქების ბურჟუაზიის სოფლად გადარგვას. რენტამ, *ბუნებაზე ადამიანის მიბმის ნაცვლად*, მხოლოდ მიწათმოქმედება მიაბა კონკურენციას. რაკი

რენტად ერთხელ ჩამოყალიბდა, საადგილმამულო საკუთრება თვით არის *შედეგი კონკურენციის*, ვინაიდან მას შემდეგ იგი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა საბაზრო ღირებულებაზეა დამოკიდ[illegible]ტა, საადგილმამულო საკუთრებასავით, მ[illegible]ლია და სავაჭრო საგანს წარმოადგენს. რენტა შესაძლებელია მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ქალაქური მრეწველობის განვითარება და მის მიერ გამოწვეული სოციალური ორგანიზაცია მემამულეს აიძულებს, რომ მხოლოდ სავაჭრო მოგება, თავის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა ფულადი გამოსავლიანობა ჰქონდეს მხედველობაში, რომ თავის საადგილმამულო საკუთრებაში მხოლოდ ფულის მოგების საშუალებას ხედავდეს. რენტამ ისე სავსებით მოაცილა მამულსა და ბუნებას მემამულე, რომ ამ უკანასკნელს არც სჭირდება იცოდეს თავისი მიწები, როგორც ამას ვხედავთ ინგლისში. რაც შეეხება ფერმერს, სამრეწველო კაპიტალისტსა და სამიწათმოქმედო მუშას, ისინი უფრო მეტად მიბმულნი არ არიან მიწაზე, ვიდრე მანუფაქტურის მესარეწე და მუშა — ბამბასა ან მატყლზე; ისინი მხოლოდ იმას გრძნობენ, რომ ნაწარმოებთა ფულადს ფასზე, ფულადს შემოსავალზე არიან მიბმულნი. აქედანაა, რომ რეაქციონური პარტიები ჰგოდებენ და ფეოდალიზმის, პატრიარქალური კეთილი ცხოვრების, ჩვენი წინაპრების მარტივი ზნე-ჩვეულებისა და დიდი სათნოების დაბრუნებას ნატრობენ. მიწის დაქვემდებარება იმ კანონებისადმი, რომლებიც ყველა სხვა სამრეწველო დარგს განაგებს, არის და იქნება ყოველთვის ანგარებიანი გულისტკივილის საგანი. ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ რენტა გადაიქცა მამოძრავებელ ძალად, რომელმაც იდილია გადატყორცნა ისტორიის მოძრაობაში.

*რიკარდომ*, თუმცა ბურჟუაზიული წარმოება იგულისხმა აუცილებელ პირობად რენტის განსაზღვრისათვის,

მაგრამ მას რენტის ცნება მაინც გადააქვს ყველა ეპოქისა და ყველა ქვეყნის საადგილმამულო საკუთრებაზე. ეს არის შეცდომა ყველა ეკონომისტთა, რომელნიც ბურჟუაზიული წარმოების ურთიერთობათ მარადიულ კატეგორიებად სთვლიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რენტის განგებითი მიზნიდან, რომელიც ბ-ნი პრუდონისთვის მდგომარეობს კოლონის გარდაქმნაში პასუხისმგებელ მუშად, იგი გადადის რენტის განაწილებაზე თანასწორობის პრინციპის მიხედვით.

რენტას ჩამოაყალიბებს, როგორც ჩვენ ეს არის ვნახეთ, ნაყოფიერობის მხრივ უთანასწორო მიწების პროდუქტთა თანასწორი ფასი, ასე რომ ერთი ჰექტოლიტრი ხორბალი, რომელიც 10 ფრანკი დაჯდა, 20 ფრანკად გაიყიდება, თუ დაბალი ხარისხის მიწაზე წარმოების ხარჯები 20 ფრანკს აღწევს.

ვიდრე მოთხოვნილება ადამიანთ აიძულებს, ყველა ბაზარზე გატანილი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები იყიდონ, საბაზრო ფასის განმსაზღვრელია უფრო ძვირად დამჯდარი პროდუქტის ხარჯები. ეს, კონკურენციიდან და არა მიწის ნაყოფიერობიდან გამომდინარე, ფასის გათანასწორებაა, რომ უკეთესი მიწის მესაკუთრეს 10 ფრანკის რენტას მოუპოებს ყოველ ჰექტოლიტრზე, რომელსაც მისი ფერმერი გაჰყიდის.

წარმოვიდგინოთ ერთ წუთს, რომ ხორბლის ფასს მის წარმოებაზე დახარჯული სამუშაო დრო განსაზღვრავს, და — მაშინვე უკეთეს მიწაზე მოწეული ერთი ჰექტოლიტრი ხორბალი 10 ფრანკად გაიყიდება, მაშინ როდესაც უფრო მდარე ღირსების მიწაზე მოწეული 20 ფრანკი ეღირება. თუ ამას მივიღებთ, საშუალო საბაზრო ფასი 15 ფრანკი იქნება, მაშინ როდესაც, კონკურენციის კანონის თანახმად, იგი 20 ფრანკს უდრის. საშუალო ფასი რომ 15 ფრანკი იყოს, მაშინ ადგილი არ

ექნებოდა არავითარ განაწილებას, არც თანასწორულს და არც რაიმე სხვაგვარს, ვინაიდან არ იქნებოდა რენტა. რენტა მხოლოდ იმის წყალობით არსებობს, რომ ჰექტოლიტრი ხორბალი, რომელიც მწარმოებელს 10 ფრანკი უზის, 20 ფრანკად იყიდება. ბ-ნი პრუდონი გულისხმობს საბაზრო ფასის თანასწორობას უთანასწორო წარმოების ხარჯების დროს, რათა უთანასწორობის პროდუქტის თანასწორულ განაწილებასთან მივიდეს.

ჩვენ გვესმის, თუ რატომ მოითხოვდენ ეკონომისტები, როგორიც არიან მილი (Mill), შერბიულიე (Cherbuliez), ჰილდიჩი (Hilditch) და სხვები, რომ რენტა სახელმწიფოს მიეთვისებინა, ხარკების მოსპობის მიზნით. ეს არის დაუფარავი გამოხატულება სამრეწველო კაპიტალის სიძულვილისა მემამულის მიმართ, რომელსაც იგი სთვლის უსარგებლოდ და ზედმეტად მთელს ბურჟუაზიულ წარმოებაში.

მაგრამ ჯერ 20 ფრანკის გადახდევინება ერთ ჰექტოლიტრ ხორბალში, რათა შემდეგ მოხდენილი იქნეს მომხმარებლებისგან ზედმეტად აღებული 10 ფრანკის საყოველთაოდ განაწილება,—ეს საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ საზოგადოების გენია თავის მიხვეულ-მოხვეულ გზას გაჰყვეს მელანქოლიურად და რომელსამე კუნჭულს თავი ჰკრას.

რენტა, ბ-ნი პრუდონის კალამს ქვეშ, ხდება „უზარმაზარი კადასტრი, წინააღმდეგურად შესრულებული მესაკუთრეთა და ფერმერთა მიერ... უმაღლესი ინტერესის გულისთვის, და რომლის საბოლოო შედეგი უნდა იყოს გათანასწორება მიწის ფლობელობისა მიწის ექსპლოატატორთა და მრეწველთა შორის“.

მხოლოდ თანამედროვე საზოგადოების პირობებში შეუძლია რენტის მიერ შექმნილ რომელსამე კადასტრს ჰქონდეს რაიმე პრაქტიკული ღირებულება.

მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ საიჯარო ფასი, რომელსაც ფერმერი უხდის მესაკუთრეს, მხოლოდ ფრიად განვითარებული მრეწველობისა და ვაჭრობის მქონე ქვეყნებში გამოხატავს დაახლოებით სწორად რენტას; საიჯარო ფასი ხშირად შეიცავს, გარდა [illegible] კაპიტალის სარგებელს, რომელიც მესაკუთრეს მამულში მოუთავსებია. მიწის ნაკვეთების მდებარეობა, ქალაქებთან სიახლოვე და ბევრი სხვა გარემოება გავლენას ახდენს რენტაზე და იწვევს მის ცვლილებას. მარტო ეს საფუძვლებიც საკმარისია რენტაზე დაფუძნებული კადასტრის უსწორობის დასამტკიცებლად.

მეორეს მხრივ, რენტა არ შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ნაყოფიერობის ხარისხის მუდმივი მაჩვენებელი, ვინაიდან ქიმიის თანამედროვე გამოყენებას ყოველ წუთში შეუძლია შესცვალოს მიწის ნაჭრის ბუნება, და გეოლოგიური ცოდნა სწორედ ახლა იწყებს შედარებითი ნაყოფიერობის მთელი ძველი შეფასების დარღვევას: სულ რაღაც ოცი წელიწადია მას შემდეგ, რაც ინგლისის აღმოსავლეთ საგრაფოებში მიწების დამუშავება დაიწყეს, იმ მიწების, რომლებიც დღემდე დაუმუშავებლად იყო დარჩენილი იმიტომ, რომ კარგად შეფასებული არ ჰქონდათ დამოკიდებულება ჰუმუსსა და ნიადაგის ქვევითა ფენის შედგენილობას შორის.

ამგვარად, ისტორია არა თუ არ გვაძლევს რენტაში მზამზარეულ კადასტრს, არამედ—მუდამ სცვლის და არღვევს უკვე შედგენილ კადასტრს.

დასასრულ, ნაყოფიერობა არ არის იმ ზომისად ბუნებრივი თვისება, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა: იგი მჭიდროდ დაკავშირებულია არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან. მიწის ნაჭერი შეიძლება ფრიად ნაყოფიერი იყოს პურის მოსაყვანად, მაგრამ საბაზრო ფასმა აიძულოს მიწათმოქმედი ხელოვნურ მინდვრად აქციოს და ამგვარად არა ნაყოფიერი გახადოს იგი.

თავისი კადასტრი, რომელიც ჩვეულებრივ კადასტრადაც კი არ ღირს, ბ-ნმა პ რ უ დ ო ნ მ ა იმისთვის გამოიგონა, რომ სხეული შეესხა რენტის გ ა ნ ზ ე ზ ი ე რ ა დ თანასწორული მიზნისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რენტა, განაგრძობს ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, არის სარგებელი, რომელიც მარად მოუსპობელი კაპიტალისთვის, სახელდობრ მიწისთვის, გადაიხდება. და რადგან კაპიტალი, რაც შეეხება მის ნივთიერებას, არ შეიძლება გადიდდეს, მაგრამ, გამოყენების მხრივ, შეიძლება უსასრულოდ იქნეს გაუმჯობესებული, ამიტომ აქედან გამომდინარეობს ის, რომ, როდესაც, კაპიტალის სიუხვის გამო, სესხის სარგებელს (mutuum) მუდამ შემცირებისადმი აქვს მისწრაფება, რენტას ყოველთვის გადიდების ტენდენცია აქვს მრეწველობის წარმატებისა და მის მიერ მიწის დამუშავებაში გამოწვეული გაუმჯობესების გამო... ასეთია, მისი არსების მიხედვით, რენტა“ (ტ. II, გვ. 365).

ამხელად ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი რენტაში ხედავს სარგებლის ყველა ნიშანს, მხოლოდ—იმ განსხვავებით, რომ იგი სპეციფიური ბუნების მქონე კაპიტალის სარგებელს წარმოადგენს. ეს კაპიტალია მიწა, მარადიული კაპიტალი, რომელიც, „რაც შეეხება მის ნივთიერებას, არ შეიძლება გადიდდეს, მაგრამ, გამოყენების მხრივ, შეიძლება უსასრულოდ იქნეს გაუმჯობესებული“. ცივილიზაციის მსვლელობაში სარგებელს მუდამ შემცირებისადმი აქვს მისწრაფება, მაშინ როდესაც რენტას ყოველთვის გადიდების ტენდენცია აქვს. სარგებელი მცირდება კაპიტალების სიუხვის გამო; რენტა დიდდება მრეწველობაში შეტანილ გაუმჯობესებათა გამო, რომელთაც შედეგად მოჰყვება მიწის მუდამ უკეთესი და უკეთესი გამოყენება.

ასეთია, არსებითად, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს აზრი.

განვიხილოთ ჯერ, თუ რამდენად სწორია, რომ რენტა კაპიტალის სარგებელს შეადგენს.

თვითონ მემამულესთვის რენტა წარმოადგენს იმ კაპიტალის სარგებელს, რომელიც მან გაიღო მიწაში ან რომელიც მას შეუძლია მიიღოს მიწის გაყიდვით. მაგრამ მიწის ყიდვისა ან გაყიდვისას იგი მხოლოდ რენტას ყიდულობს ან ჰყიდის. ფასი, რომელიც მან გაიღო რენტის შეძენისათვის, საზოგადოდ წესრიგდება სარგებლის ნორმის მიხედვით და მას თვით რენტის ბუნებასთან არაფერი აქვს საერთო. მიწაში მოთავსებული კაპიტალის სარგებელი, საზოგადოდ, მრეწველობასა ან ვაჭრობაში მოთავსებული კაპიტალის სარგებელზე ნაკლები არის. ამგვარად, ვინც იმ სარგებელს, რომელსაც მიწა წარმოადგენს მესაკუთრისთვის, თვით რენტისაგან არ არჩევს, მისთვის მიწა-კაპიტალის სარგებელი კიდევ უფრო კლებულობს, ვიდრე სხვა კაპიტალის სარგებელი. მაგრამ საკითხი შეეხება არა რენტის ყიდვისა ან გაყიდვის ფასს, რენტის საბაზრო ღირებულებას, კაპიტალიზაციაქმნილ რენტას, არამედ — თვით რენტას.

საიჯარო ფასი, საკუთრივ საიჯარო ფასს გარდა, შეიძლება შეიცავდეს კიდევ მიწაში მოთავსებული კაპიტალის სარგებელს. ამ შემთხვევაში საიჯარო ფასის ამ ნაწილს მემამულე იღებს არა როგორც მესაკუთრე, არამედ — როგორც კაპიტალისტი; მხოლოდ — ეს არ არის ის ნამდვილი რენტა, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ.

მიწა, ვიდრე წარმოების საშუალებად არაა გამოყენებული, კაპიტალს არ წარმოადგენს. მიწა-კაპიტალი ისევე შეიძლება გადიდებულ იქნეს, როგორც წარმოების ყველა სხვა საშუალება. ნივთიერებას, ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს ენით რომ ვთქვათ, არა მიემატება რა, მაგრამ გამრავლდება მიწები, რომლებიც წარმოების საშუალებად გამოიყენება. უკვე მარტო კაპიტალის ახალი დაბანდებით მიწაში, რომელიც წარმოების საშუალებად გამოიყენება, ჩვენ ვადიდებთ მიწა-კაპიტალს რისამე მიუმატებლად

მიწა-ნივთიერებისთვის, ე. ი. მიწის ფართობისთვის. ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი ს მიწა-ნივთიერება ნიშ ნავს მიწას მის შეზღუდულობაში. რაც შეეხება მარადიულობას, რომელსაც იგი მიწას მიაწერს, ჩვენ არა გვაქვს რა საწინააღმდეგო, რომ ეს თვისება ჰქონდეს მიწას როგორც ნივთიერებას. მიწა-კაპიტალი კი ისევე ნაკლებად არის მარადიული, როგორც ყოველი სხვა კაპიტალი.

ოქრო და ვერცხლი, რომელიც სარგებელს მოიღებს, ისევე გამძლე და მარადიულია, როგორც მიწა. თუ ოქრო-ვერცხლის ფასი კლებულობს, მაშინ როდესაც მიწის ფასი მატულობს, ეს წარმოდგება, რასაკვირველია, არა მიწის მეტად ან ნაკლებად მარადიული ბუნების გამო.

მიწა-კაპიტალი ძირითადი კაპიტალია, მაგრამ ძირითადი კაპიტალიც ისევე ცვდება, როგორც საბრუნავი კაპიტალი. მიწის ყოველი გაუმჯობესება საჭიროებს რეპროდუქციას და მოვლას; მას განსაზღვრული დროის ხანგრძლივობა აქვს, და ამ მხრივ იგი სრულიად ემსგავსება ყველა სხვა გაუმჯობესებას, რომელიც იმას ემსახურება, რომ ნივთიერება წარმოების საშუალებად გარდაიქმნას. მიწა-კაპიტალი რომ მარადიული იყოს, მაშინ ზოგიერთ ადგილებს სულ სხვა სახე ექნებოდა, ვიდრე დღეს აქვს,— რომის კამპანას, სიცილიას, პალესტინას ჩვენ დღესაც ისევე ბრწყინვალედ აყვავებულს ვიხილავდით, როგორც იყვნენ ისინი ძველად.

ისეთ შემთხვევასაც კი შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც მიწა-კაპიტალი შეიძლება გაჰქრეს, მაშინ როდესაც მიწაში მოხდენილი გაუმჯობესება დარჩენილი იქნება.

ჯერ ერთი, ამას ადგილი აქვს ყოველთვის, როდესაც რენტა, ამ სიტყვის ნამდვილი აზრით, ჰქრება უფრო ნაყოფიერი ახალი მიწების კონკურენციის გამო; შემდეგ,

როდესაც გაუმჯობესება, რომელსაც ღირებულება ჰქონდა განსაზღვრულ ეპოქაში, ჰკარგავს ამ ღირებულებას მას შემდეგ, რაც ის გაუმჯობესება, აგრონომიის განვითარების წყალობით, საყოველთაოდ ვრცელდება.

მიწა-კაპიტალის წარმომადგენელი არის არა მემამულე, არამედ — ფერმერი. შემოსავალი, რომელსაც იძლევა მიწა-კაპიტალის სახით, არის სარგებელი და მოგება და არა — რენტა. არის მიწები, რომლებიც ამ სარგებელსა და მოგებას იძლევა, მაგრამ რენტას კი — არა.

ერთის სიტყვით, მიწა, რამდენადაც იგი სარგებელს იძლევა, მიწა-კაპიტალია და, როგორც მიწა-კაპიტალი, იგი არ იძლევა რენტას, იგი არ შეადგენს საადგილმამულო საკუთრებას. რენტა გამომდინარეობს საზოგადოებრივი ურთიერთობიდან, რომელშიაც მიწათმოქმედება სწარმოებს. იგი არ შეიძლება იყოს შედეგი მიწის მეტად თუ ნაკლებად მტკიცე, მეტად თუ ნაკლებად გამძლე ბუნებისა. რენტა გამომდინარეობს საზოგადოებიდან და არა მიწიდან.

ბ-ნი პრუდონის აზრით, „გაუმჯობესება მიწის დამუშავებაში", — „მრეწველობის წარმატების" შედეგი, — რენტის განუწყვეტელი ზრდის მიზეზი არის. ეს გაუმჯობესება, პირიქით, ამცირებს მას პერიოდულად.

რაში მდგომარეობს, საზოგადოდ, ყოველი გაუმჯობესება, იქნება ეს მიწათმოქმედებაში თუ მრეწველობაში? იმაში, რომ შრომის იმავე რაოდენობით მეტი იწარმოება, შრომის ნაკლები რაოდენობით იმდენივე ანდა მეტიც იწარმოება, ვიდრე უწინ. ამ გაუმჯობესებათა წყალობით ფერმერს არ სჭირდება შრომის მეტი რაოდენობის გამოყენება შედარებით ნაკლები პროდუქტის მისაღებად. მას აღარ სჭირდება უფრო მდარე მიწების დამუშავება, და მის მიერ თანამიმდევრობით ახალ-ახალი კაპიტალის გამოყენება ერთსა და იმავე მიწის ნაჭერზე

ერთნაირად პროდუქტიული არის. ამგვარად, ბ-ნი პრუ-
დონის წინაალმდეგ, ეს გაუმჯობესებანი არა თუ იწ-
ვევენ რენტის მუდმივ ზრდას, არამედ, პირიქით, ჰქმნიან
მრავალ დროებით დაბრკოლებას მისი ზრდისათვის.
მე-XVII საუკუნის ინგლისის მემამულეები [illegible] კარ-
გად გრძნობდენ ამ ჭეშმარიტებას, რომ წინააღუდგენ მიწათ-
მოქმედების პროგრესს იმის შიშით, რომ შემოსავალი
შეუმცირდებოდათ (იხ. პეტი, ინგლისელი ეკონომისტი
კარლოს მე-II-ის დროისა).

## § V. მუშათა გაფიცვები და კოალიციები

„ხელფასის ყოველ გადიდებას არ შეიძლება ჰქონდეს
სხვა შედეგი, თუ არ ხორბლის, ღვინის და სხვ. ფასის
გადიდება, ე. ი. იგივე შედეგი, რაც სურსათის ნაკლე-
ბობას აქვს. ვინაიდან — რა არის ხელფასი? ეს არის თვით-
ღირებულებითი ფასი ხორბლის და სხვათა; ეს არის
სრული ფასი ყოველი საგნისა. წავიდეთ უფრო შორს:
ხელფასი პროპორციულობაა ელემენტებისა, რომელნიც სიმ-
დიდრეს შეადგენენ და რომელთაც ყოველდღე სარეპრო-
დუქციოდ მოიხმარს მუშათა მასა. ამიტომ ხელფასის გა-
ორკეცება... ნიშნავს თითოეული მწარმოებლისთვის უფ-
რო დიდი წილის მიცემას, ვიდრე მისი პროდუქტია,
რაც შეუსაბამობას მოასწავებს; და თუ გადიდება მრე-
წველობის დარგთა მცირე ნაწილს შეეხება, იგი ნიშნავს
გაცვლა-გამოცვლაში საყოველთაო შეფერხების, ერთის
სიტყვით, — სიძვირის გამოწვევას... შეუძლებე-
ლია, ვაცხადებ მე, რომ ხელფასის გადიდებით დამთავ-
რებულ გაფიცვებს შედეგად არ მოჰყვეს ფასების სა-
ყოველთაო გადიდება: ეს ისევე უცილობელია, რო-
გორც ორჯერ ორი ოთხია" (პრუდონი, ტ. I, გვ.
110 და 111).

ჩვენ უარვყოფთ ყველა ამ მტკიცებას, გარდა ერთისა: რომ ორჯერ ორი ოთხია.

ჯერ ერთი,— *შეუძლებელია ფასების საყოველთაო გადიდება*. თუ ყველა საგანთა ფასი, ხელფასთან ერთად გაორკეცდა, ფასში ცვლილება არ მოხდება, ცვლილება მხოლოდ სიტყვებში იქნება.

შემდეგ, ხელფასის საყოველთაო გადიდებას არასოდეს არ შეუძლია გამოიწვიოს საქონელთა ფასების მეტნაკლებ საყოველთაო გადიდება. მართლაც, მრეწველობის ყველა დარგი ძირითად კაპიტალთან (მათ მიერ გამოყენებულ სამუშაო იარაღებთან) შეფარდებით მუშათა თანასწორ რაოდენობას რომ ამუშავებდეს, ხელფასის საყოველთაო გადიდება გამოიწვევდა მოგების საყოველთაო დაწევას და საქონელთა საბაზრო ფასში არავითარი ცვლილება არ მოხდებოდა.

მაგრამ რადგან ხელით შრომის შეფარდება ძირითად კაპიტალთან მრეწველობის სხვადასხვა დარგში ერთნაირი არაა, ამიტომ მრეწველობის ყველა ის დარგნი, რომლებშიაც შედარებით ძირითადი კაპიტალის დიდი მასა და ნაკლები მუშა გამოიყენება, ადრე თუ გვიან იძულებული გახდებიან დაბლა დასწიონ თავიანთ საქონელთა ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში,— თუ მათ საქონელთა ფასმა არ დაიწია, მათი მოგება მოგების საერთო ნორმაზე მაღლა აიწევს. მანქანებს ხომ ხელფასი არ ეძლევა. ამიტომ ხელფასის საყოველთაო გადიდება ნაკლებად შეეხება მრეწველობის იმ დარგებს, რომელნიც სხვებთან შედარებით უფრო მეტ მანქანებს ხმარობენ, ვიდრე მუშებს. მაგრამ რადგან კონკურენციას ის ტენდენცია აქვს, რომ მოგების ნორმა ყოველთვის გაანიველოს, ამიტომ ის მოგება, რომელიც საშუალო ნორმაზე მაღლა დგას, მხოლოდ დროებითი შეიძლება იყოს. ამგვარად, თუ ზოგიერთ რყევას მხედველობაში არ მივიღებთ, ხელფასის საყოველთაო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება, ნაცვლად ფასების საყოველთაო გადიდებისა, როგორც ეს ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს ჰგონია, გამოიწვევს ფარდობრივ გაიაფებას, ე. ი. იმ საქონელთა საბაზრო ფასის შემცირებას, რომლებსაც უმთავრესად მანქანების დახმარებით ამზადებენ[1].

მოგებისა და ხელფასის გადიდება და შემცირება გამოხატავს მხოლოდ იმ პროპორციას, რომლის მიხედვით კაპიტალისტები და მუშები მონაწილენი არიან სამუშაო დღის პროდუქტში, და იგი, უმრავლეს შემთხვევაში, გავლენას არ ახდენს პროდუქტის ფასზე. მაგრამ რომ „ხელფასის გადიდებით დამთავრებულ გაფიცვებს ფასების საყოველთაო გადიდება, სიძვირეც კი, მოჰყვება“,—ეს არის იდეა, რომელიც მხოლოდ არ გაგებული მგოსნის თავში შეიძლება წარმოსდგეს.

ინგლისში გაფიცვები ჩვეულებრივ საბაბი იყო ახალი მანქანების გამოგონებისა და გამოყენებისათვის. მანქანა იყო, შეიძლება ვთქვათ, ის იარაღი, რომელსაც ხმარობდენ კაპიტალისტები აჯანყებული კვალიფიციური შრომის დასამორჩილებლად. Self-acting mule-მა [ავტომატურმა სართავ მანქანამ], თანამედროვე მრეწველობის ამ უუდიდესმა გამოგონებამ, აჯანყებული მრთველები განდევნა ბრძოლის ველიდან. კოალიციებსა და გაფიცვებს მათ წინააღმდეგ მარტოოდენ მექანიკის გენიის ამოძრავებაც რომ ჰქონებოდათ შედეგად, მაშინაც ისინი უზარმაზარ გავლენას მოახდენდენ მრეწველობის განვითარებაზე.

---

[1] „კაპიტალის“ მეორე ტომში ჩვენ ვპოულობთ ამ დებულების უფრო სწორად ჩამოყალიბებას: „შრომის ხელფასის საყოველთაო გადიდებისას,—ამბობს მ ა რ ქ ს ი (გვ. 331), — საქონელთა ფასი მატულობს მრეწველობის იმ დარგებში, რომლებშიაც მთავარი მნიშვნელობა ცვალებად კაპიტალს აქვს, და კლებულობს იმ დარგებში, სადაც მთავარ როლს მუდმივი კაპიტალი ასრულებს“.—გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი.

„ბ-ნ ლეონ ფოშეს (Léon Faucher) მიერ 1845 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულ სტატიაში მე ვკითხულობ, — განაგრძობს ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, — რომ ინგლისის მუშები, ეს რამდენიმე ხანია, კ ო ა ლ ი ც ი ე ბ ს ძლიერ სწყალობენ, რაც, უეჭველად, პროგრესია, რომელიც მათ შეიძლება მხოლოდ მივულოცოთ: მაგრამ რომ მუშების ზნეობის ასეთი გაუმჯობესება მათი ეკონომიური განათლებიდან წარმოსდგება. ხელფასი, განაცხადა ბოლტონში მიტინგზე ერთმა მრთველმა მუშამ, დამოკიდებული არაა ფაბრიკანტებზე. საქმეების შეფერხების პერიოდში მესარეწეები, ასე ვთქვათ, მათრახს წარმოადგენენ, რომლითაც შეიარაღებულია აუცილებლობა, და მათ, უნდათ თუ არა, — უნდა მოიქნიონ იგი. მომწესრიგებელი პრინციპი არის მიწოდებისა და მოთხოვნის შეფარდება, და მესარეწეებს არ ძალუძთ“... A la bonne heure! [რაც კარგია, კარგია!] — გაიძახის ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, — აი, კარგად აღზრდილი მუშები, აი, სანიმუშო მუშები და სხვ. და სხვ. და სხვ. „ინგლისს ეს ჭირი ლა აკლდა: იგი სრუტეზე ვერ გადმოვა“ (პ რ უ დ ო ნ ი, ტ. I, გვ. 261, 262).

ინგლისის ყველა ქალაქთაგან ბოლტონი ის ქალაქია, სადაც რადიკალიზმი ყველაზე უფრო განვითარებულია. ბოლტონის მუშები თავგამოდებულ რევოლიუციონერებად არიან ცნობილი. იმ დიდი აგიტაციის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლისში სახორბლო კანონის საწინააღმდეგოდ, ინგლისის ფაბრიკანტებმა, მემამულეებისთვის შესატევად, საჭიროდ სცნეს წინა რიგში დაეყენებიათ მუშები. მაგრამ რადგან მუშების ინტერესები ნაკლებად არ ეწინააღმდეგებოდა ფაბრიკანტების ინტერესებს, ვიდრე ფაბრიკანტების ინტერესები მემამულეებისას, ამიტომ, თავის თავად გასაგებია, ფაბრიკანტებს დამარცხება უნდა განეცადათ მუშების მიტინგებზე. რა ჰქნეს ფაბრიკანტებმა? მათ მოაწყვეს, გარეგნობის დასაცავად, უმთავრესად ფაბ-

რიკის მეთვალყურე ხელოსან-ოსტატებისგან, მათი მომხრე მცირერიცხოვანი მუშებისგან და ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ნამდვილი მ ე გ ო ბ რ ე ბ ი ს გ ა ნ შემდგარი მიტინგები. როდესაც, შემდეგ, ნამდვილი მუშები შეეცადენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბოლტონსა და მანჩესტერში, მონაწილეობა მიეღოთ მიტინგში, რათა ამ ხელოვნური დემონსტრაციების წინააღმდეგ პროტესტი განეცხადებიათ, მათ იქ შესვლა აუკრძალეს ამ საბაბით: ეს ticket-meeting-ი არისო. ამ სახელს უწოდებენ იმ მიტინგებს, სადაც მხოლოდ ბილეთების მქონე პირებს უშვებენ. კედლებზე გაკრული აფიშები კი იუწყებოდა, მიტინგები საჯაროაო. ყოველთვის, როდესაც ამგვარი მიტინგი გაიმართებოდა, ფაბრიკანტების გაზეთები მასზე წარმოთქმული სიტყვების გაბერილ და დაწვრილებითს ანგარიშებს ბეჭდავდენ. თავის თავად იგულისხმება, რომ ეს სიტყვები ფაბრიკის მეთვალყურე ხელოსან-ოსტატების მიერ იყო წარმოთქმული. ლონდონის გაზეთები სიტყვასიტყვით გადაბეჭდავდენ მათ. ბ-ნ პ რ უ დ ო ნ ს მარცხი მოუვიდა, — მან ფაბრიკის მეთვალყურე ხელოსან-ოსტატები ჩვეულებრივ მუშებად ჩასთვალა და მათ სრუტეზე გადმოსვლა აუკრძალა.

თუ 1844 და 1845 წელს გაფიცვები ნაკლებ შესამჩნევი იყო, ვიდრე უწინ, ამის მიზეზი ის არის, რომ ეს წლები პირველი ორი წელი იყო აყვავებისა, რომელსაც ინგლისის მრეწველობაში ადგილი ჰქონდა 1837 წლის შემდეგ. მაგრამ მაინც არც ერთი ტრედ-უნიონი არ დაშლილა.

მოვუსმინოთ ახლა ბოლტონის მეთვალყურე ხელოსან-ოსტატებს. მათი სიტყვით, ფაბრიკანტები არ არიან ხელფასის უფალნი, ვინაიდან არ არიან უფალნი პროდუქტის ფასისა, და ისინი არ არიან პროდუქტის ფასის უფალნი, ვინაიდან არ არიან უფალნი მსოფლიო ბაზრისა. ამ საფუძვლით ისინი ამტკიცებდენ, რომ კოალიციები არ უნდა

ხდებოდეს დამქირავებელთაგან ხელფასის მომატების ძალად გამოსაგლეჯად. ბ-ნი პრუდონი, პირიქით, მუშებს უკრძალავს კოალიციებს იმის შიშით, რომ კოალიციას არ მოჰყვეს ხელფასის გადიდება, რომელსაც საერთო სიძვირეს გამოიწვევდა. ჩვენ არ გვჭირდება იმის აღნიშვნა, რომ ერთ პუნქტში გულითადი თანხმობაა ბ-ნ პრუდონსა და მეთვალყურე ხელოსან-ოსტატებს შორის, სახელდობრ: რომ ხელფასის გადიდება პროდუქტთა ფასის გადიდებას მოასწავებს.

მაგრამ არის კი სიძვირის შიში ნამდვილი მიზეზი ბ-ნი პრუდონის გულნაწყენობისა? არა. იგი უწყრება ბოლტონის საფაბრიკო ხელოსან-ოსტატებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მიწოდებითა და მოთხოვნით განსაზღვრავენ ღირებულებას და მათ აზრად არ მოსდით ჩამოყალიბებული ღირებულება, ჩამოყალიბებულობის მდგომარეობას მიღწეული ღირებულება, რომელიც თავისში შეიცავს მუდმივ გაცვლისუნარიანობას და ყველა სხვა ურთიერთობათა პროპორციულობას და პროპორციულობის ურთიერთობას, განგების დამატებით კიდევ.

„მუშების გაფიცვა უკანონოა, და ამას ამბობს არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსი, არამედ—ეკონომიური სისტემაც, დამყარებული წესწყობილების აუცილებლობაც... ამის დაშვება შეიძლება: რომ ცალკე თითოეული მუშა თავისუფლად განაგებდეს თავის პიროვნებას, მაგრამ საზოგადოებას არ შეუძლია ნება დართოს, რომ მუშებმა კოალიციის საშუალებით ძალადობა იხმარონ მონოპოლიაზე“ (ტ. I, გვ. 237 და 235).

ბ-ნი პრუდონი ცდილობს, სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლი ბურჟუაზიული წარმოების ურთიერთობათა აუცილებელ და საყოველთაო შედეგად მიგვაჩნევინოს.

ინგლისში კოალიციები ნებადართულია პარლამენტის აქტით,—ეკონომიურმა სისტემამ აიძულა პარლამენტი ეს ნებართვა კანონის გამოცემის გზით გამოეცხადებინა. 1825 წელს, ჰ ე ს კ ი ს ო ნ ი ს (Huskisson) მინისტრობის დროს, როდესაც პარლამენტს უნდა შეეცვალა კანონმდებლობა, რათა იგი უფრო შეეგუებია თავისუფალი კონკურენციის მიერ წარმოშობილი მდგომარეობისთვის, მისთვის აუცილებელი შეიქნა ყველა იმ კანონთა გაუქმება, რომლებიც მუშებს უკრძალავდა კოალიციას. რაც უფრო ვითარდება თანამედროვე მრეწველობა და კონკურენცია, მით უფრო მეტი ელემენტები ჩნდება, რომლებიც იწვევს და ხელს უწყობს კოალიციებს, და როდესაც კოალიციები უკვე ეკონომიური ფაქტი შეიქნა, რომელიც დღითი-დღე მეტ სიმტკიცეს იღებს, მერე დიდი ხანი აღარ გაივლის, ვიდრე ისინი კანონიერ ფაქტად იქცეოდენ.

ამიტომ Code pénal-ის [სისხლის სამართლის კოდექსის] მუხლი—დიდი-დიდი—იმას ამტკიცებს, რომ თანამედროვე მრეწველობა და კონკურენცია ჯერ კიდევ არ იყო დამფუძნებელი კრებისა და იმპერიის დროს საკმაოდ განვითარებული.

ეკონომისტებსა და სოციალისტებს[1] თანხმობა აქვთ მხოლოდ ერთ რამეში: კ ო ა ლ ი ც ი ე ბ ი ს დაგმობაში. მხოლოდ ისინი სხვადასხვა მოტივებს ასახელებენ ამ დაგმობისათვის.

ეკონომისტები ეუბნებიან მუშებს: ნუ ჰქმნით კოალიციებს. კოალიციის შექმნით თქვენ აფერხებთ მრეწველობის წესიერ მსვლელობას, აბრკოლებთ ფაბრიკანტებს შეკვეთები შეასრულონ, არევდარევა შეგაქვთ ვაჭრობაში და აჩქარებთ მანქანების შემოღებას, რომლებიც, აქცევს რა

---

[1] ე. ი. იმდროინდელ სოციალისტებს: ფურიერისტებს საფრანგეთში და ოუენისტებს ინგლისში. — ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი.

თქვენს შრომას ნაწილობრივ უსარგებლოდ, გაიძულებთ კიდევ უფრო ნაკლებ ხელფასს დასჯერდეთ. ამასთანავე, თქვენი ცდა სრულიად ფუჭია: თქვენი ხელფასის განმსაზღვრელია ყოველთვის შეფარდება მოთხოვნილ მუშა-ხელსა და მიწოდებულ მუშა-ხელს შორის, და ამიტომ თქვენი ცდა ისევე სასაცილო და სახიფათოა, როგორც პოლიტიკური ეკონომიის მარადიული კანონების წინააღმდეგ აჯანყება.

სოციალისტები ეუბნებიან მუშებს: ნუ ჰქმნით კოალიციებს, ვინაიდან, ბოლოსდაბოლოს, რას მოიგებთ ამით? ხელფასის გადიდებას? ეკონომისტები თქვენ ცხადზე უცხადესაც დაგიმტკიცებენ, რომ იმ ორიოდე გროშს, რომელიც თქვენ შეიძლება გამარჯვების შემთხვევაში მოიგოთ მოკლე ხნით, ხელფასის ხანგრძლივი შემცირება მოჰყვება. გამოცდილი მოანგარიშენი დაგიმტკიცებენ, რომ თქვენ მთელი წლები დაგჭირდებათ ხელფასის მონამატით მარტო ის ხარჯები დაჰფაროთ, რომლებიც თქვენ კოალიციების ორგანიზაციისა და შენახვისათვის გასწიეთ. და ჩვენ, ჩვენ, როგორც სოციალისტები, გეტყვით, რომ, ამ ფულის საკითხის გარეშეც, თქვენ კოალიციების დროსაც ისევ მუშები დარჩებით და მესარეწეებიც ისევ მესარეწეები დარჩებიან, როგორც მანამდე. ამიტომ საჭირო არაა კოალიციები, საჭირო არაა პოლიტიკაც, ვინაიდან: კოალიციების შედგენა ხომ იგივე პოლიტიკის წარმოებაა?

ეკონომისტებს სურთ, მუშები დარჩნენ საზოგადოებაში, როგორც ეს უკანასკნელი ჩამოყალიბებულა და როგორც იგი მათ ასწერეს და აღბეჭდეს თავიანთ სახელმძღვანელოებში.

სოციალისტებს სურთ, მუშებმა ხელი არ ახლონ ძველ საზოგადოებას, რათა უფრო უკეთ შესძლონ იმ ახალ საზოგადოებაში შესვლა, რომელიც მათ ესოდენ დიდი წინდახედულობით მოამზადეს მათთვის.

ერთთა და მეორეთა მიუხედავად, სახელმძღვანელოებისა და უტოპიების მიუხედავად, მუშათა კოალიციების განვითარება და ზრდა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა თანამედროვე მრეწველობის განვითარებასა და ზრდასთან ერთად. დღეს ეს იმ ზომამდე განხორციელებულა, რომ კოალიციის განვითარების ხარისხი ამა თუ იმ ქვეყანაში აღნიშნავს იმ ადგილს, რომელიც ამ ქვეყანას უჭირავს მსოფლიო ბაზრის იერარქიაში. ინგლისს, სადაც მრეწველობამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია, მეტად ფართო და საუკეთესო ორგანიზაციის მქონე კოალიციები აქვს.

ინგლისში არ დაკმაყოფილებულან ნაწილობრივ კოალიციებს, რომელნიც წარმავალ გაფიცვას ისახავდენ მიზნად და მასთან ერთად ისპობოდენ. იქ შეჰქმნეს მუდმივი კოალიციები, trades-unions, რომელნიც მუშებისთვის დასაყრდენს წარმოადგენენ მათს მესარეწეებთან ბრძოლაში. ამჟამად ეს ადგილობრივი trades-unions გაერთიანებულია National Association of United Trades-ში [ტრედ-უნიონების ეროვნულ ასოციაციაში], რომლის ცენტრალური კომიტეტი ლონდონშია და რომელიც 80.000 წევრს შეიცავს. ამ გაფიცვების, კოალიციების, trades-unions-ის გამართვა სწარმოებდა იმავდროულად მუშების პოლიტიკური ბრძოლისა, რომელნიც დღეს დიდ პოლიტიკურ პარტიას შეადგენენ ჩარტისტთა სახელწოდებით.

მუშების ერთმანეთთან შეკავშირების პირველი ცდები ყოველთვის კოალიციების ფორმას იღებს.

მსხვილი მრეწველობა თავს უყრის ერთ ადგილას ადამიანთა მასას, რომელნიც ერთმანეთისთვის უცნობნი არიან. კონკურენცია მათ ანცალკევებს ინტერესებით. მაგრამ ხელფასის შენარჩუნება, ეს საერთო ინტერესი, რომელიც მათ აქვთ დამქირავებლის წინააღმდეგ, აერთიანებს მათ წინააღმდეგობის გაწევის — კოალიციის — აზრში. ამგვარად, კოალიციას ყოველთვის ორმაგი მიზანი აქვს: მუ-

შეხს შორის კონკურენციის მოსპობა კაპიტალისტისთვის საერთო კონკურენციის გასაწევად. თუ წინააღმდეგობის პირველი მიზანი მხოლოდ ხელფასის შენარჩუნება იყო,— შემდეგ, რამდენადაც კაპიტალისტებიც, თავის მხრივ, ერთიანდებიან რეპრესიის მიზნით, კოალიციები, თავდაპირველად რომ განცალკევებული იყვნენ, ჯგუფებად ერთიანდებიან, და კაპიტალის პირისპირ, რომელიც ყოველთვის გაერთიანებულია, ასოციაციის შენარჩუნება მუშებისთვის უფრო აუცილებელი ხდება, ვიდრე ხელფასის შენარჩუნება. ეს იმდენად მართალია, რომ ინგლისის ეკონომისტებს საშინლად უკვირთ, რომ მუშები თავიანთი ხელფასის თვალსაჩინო ნაწილზე ხელს იღებენ ასოციაციის სასარგებლოდ, რომელიც, ამ ეკონომისტების აზრით, მხოლოდ ხელფასის გულისთვის იქნა დაწესებული. ამ ბრძოლაში — ნამდვილ სამოქალაქო ომში — ერთიანდება და ვითარდება მომავალი ბრძოლისთვის ყველა აუცილებელი ელემენტი. როდესაც ამ წერტილს მიაღწევს, ასოციაცია პოლიტიკურ ხასიათს იღებს.

ეკონომიურმა პირობებმა მოსახლეობის მასა ჯერ მუშებად გადააქცია. კაპიტალის ბატონობამ ამ მასას საერთო მდგომარეობა, საერთო ინტერესები შეუქმნა. ამგვარად, ეს მასა უკვე კლასს წარმოადგენს კაპიტალის მიმართ, მაგრამ — თავისთვის ჯერ კიდევ არა. იმ ბრძოლაში, რომლის ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაზა აღვნიშნეთ, ეს მასა ერთიანდება და თავისთვის ჩამოყალიბებული კლასის სახეს იღებს. ინტერესები, რომლებსაც იგი იცავს, ხდება კლასის ინტერესები. მაგრამ ბრძოლა კლასთა შორის არის ბრძოლა პოლიტიკური.

ბურჟუაზიის შესახებ ჩვენ ორი ფაზა უნდა გავარჩიოთ: ერთი, რომლის განმავლობაშიაც იგი ფეოდალიზმისა და აბსოლუტური მონარქიის ბატონობის ქვეშ კლასად ჩამოყალიბდა, და მეორე, როდესაც მან, უკვე კლასად ჩამო-

ყალიბებულმა, დაამხო ფეოდალიზმი და მონარქია, რათა საზოგადოება ბურჟუაზიულ საზოგადოებად გარდაექმნა. პირველი ფაზა უფრო ხანგრძლივი იყო და მან უდიდესი ძალღონის დაძაბულობა მოითხოვა. ბურჟუაზიამ ნაწილობრივი კოალიციებით დაიწყო ფეოდალური მებატონეების წინააღმდეგ მოქმედება.

მოხდენილია მრავალი გამოკვლევა იმ ისტორიული ფაზების გასაშუქებლად, რომლებიც, საქალაქო თემიდან დაწყებული ცალკე კლასად ჩამოყალიბებამდე, განვლო ბურჟუაზიამ.

მაგრამ, როდესაც საქმე შეეხება იმას, რომ თავიანთ თავს სწორი ანგარიში მისცენ გაფიცვებისა, კოალიციებისა და სხვა ფორმების შესახებ, რომლებითაც პროლეტარიატი ჩვენს თვალწინ თავის, როგორც კლასის, ორგანიზაციას ახდენს, — მაშინ ზოგს ნამდვილი შიში შეიპყრობს, ზოგიც ტ რ ა ნ ს ც ე ნ დ ე ნ ტ ა ლ უ რ უხალისობას იჩენს.

ჩაგრული კლასის არსებობა სასიცოცხლო პირობაა ყოველი საზოგადოების, რომელიც კლასთა ანტაგონიზმზეა დამყარებული. ჩაგრული კლასის განთავისუფლება გულისხმობს, მაშასადამე, ახალი საზოგადოების შექმნას. რათა ჩაგრულმა კლასმა შესძლოს განთავისუფლება, ამისთვის საჭიროა მიღწეულ იქნეს განვითარების ის საფეხური, როდესაც უკვე მოპოვებულ საწარმოო ძალებსა და არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათ აღარ შეუძლიათ ერთმანეთის გვერდით არსებობა. ყველა საწარმოო იარაღთაგან უდიდეს პროდუქტიულ ძალას თვით რევოლუციონური კლასი წარმოადგენს. რევოლუციონური ელემენტების ორგანიზაცია კლასის სახით გულისხმობს ყველა იმ საწარმოო ძალთა არსებობას, რომელთაც შეეძლოთ ძველი საზოგადოების წიაღში წარმოშობილიყვნენ.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ძველი საზოგადოების დაცემის შემდეგ ადგილი ექნება ახალ კლასობრივ ბატონობას, რომელსაც გამოხატულება მიეცემა ახალ პოლიტიკურ ხელისუფლებაში? არა.

მშრომელი კლასის განთავისუფლების პირობა არის ყოველი კლასის მოსპობა, ისე როგორც ყველა წოდებათა[1] მოსპობა მესამე წოდების განთავისუფლების პირობა, ბურჟუაზიული წესწყობილების პირობა.

განვითარების მსვლელობაში მშრომელი კლასი ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ადგილას დაამყარებს ასოციაციას, რომელიც გამორიცხავს კლასებსა და მათს ანტაგონიზმს, და აღარ იქნება პოლიტიკური ხელისუფლებაც, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ვინაიდან სწორედ პოლიტიკური ხელისუფლება წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული კლასობრივი ანტაგონიზმის გამოხატულებას.

მანამდე კი ანტაგონიზმი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის არის ბრძოლა კლასისა კლასის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომელიც, თავის უკიდურეს გამოხატულებას მიღწეული, სრულს რევოლიუციას წარმოადგენს. ანკი, განა უნდა გვიკვირდეს, რომ კლასთა ანტაგონიზმზე დამყარებული საზოგადოება მიაღწევს უხეშ წინააღმდეგობას, ხელჩართულ შეტაკებას, როგორც საბოლოო დასასრულს?

არ თქვათ, სოციალური მოძრაობა პოლიტიკურ მოძრაობას გამორიცხავსო. არასოდეს არ ყოფილა ისეთი პო-

[1] სიტყვა „წოდებანი“ აქ ფეოდალური სახელმწიფოს წოდებათა, განსაზღვრული და ზღვარდებული პრივილეგიების მქონე წოდებათა აზრით იხმარება. ბურჟუაზიის რევოლიუციამ მოსპო წოდებანი მათი პრივილეგიებითურთ. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ მხოლოდ კლასები იცის. ამიტომ ვინც პროლეტარიატს „მეოთხე წოდებას“ უწოდებს, — ისტორიას ეწინააღმდეგება სავსებით. — ფრ. ენგელსი.

ლიტიკური მოძრაობა, რომელიც იმავე დროს არ ყოფილიყოს სოციალური.

მხოლოდ იმ წესწყობილებაში, სადაც კლასებსა და კლასთა ანტაგონიზმს ადგილი არ ექნება, სოციალური ევოლიუციები აღარ იქნება პოლიტიკური რევოლიუციები. მანამდე კი, საზოგადოების თითოეული საყოველთაო გარდაქმნის წინა დღეს, სოციალური მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა ყოველთვის ეს იქნება:

„ბრძოლა ან სიკვდილი; სისხლიანი ომი ან არარაობა. ასე ულმობლადაა საკითხი დასმული“ (ჟორჟ ზანდი,— George Sand).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი პირველი

## გრეის უტოპია შრომითი ფულის საშუალებით წარმოებული გაცვლა-გამოცვლის შესახებ

(კ. მარქსის თხზულებიდან: „Zur Kritik der politischen Oekonomie", Berlin 1859, გვ. 61—64).

მოძღვრება სამუშაო დროის, როგორც ფულის უშუალო საზომი ერთეულის, შესახებ პირველად ჯონ გრეიმ[1] განავითარა სისტემატიურად.

მისი გეგმის თანახმად, ეროვნული ცენტრალური ბანკი, თავისი განყოფილებების საშუალებით, ადასტურებს იმ სამუშაო დროს, რომელიც სხვადასხვა საქონელთა წარმოებას ხმარდება. თავისი საქონლის სამაგიეროდ მწარ-

[1] John Gray... „The Social System. Atreatise on the Principle of Exchange", Edinburgh 1831. შეად. იმავე ავტორის „Lectures on the nature and use of money" Edinburgh 1848. თებერვლის რევოლუციის შემდეგ გრეიმ საფრანგეთის დროებით მთავრობას მოხსენება გაუგზავნა, რომელშიაც იგი მას ასწავლიდა, რომ საფრანგეთს „organisation of labour" [„შრომის ორგანიზაცია"] კი არ ესაჭიროებოდა, არამედ — „organisation of exchange" [„გაცვლა-გამოცვლის ორგანიზაცია"], რომლის გეგმა სავსებით დამუშავებული მოიპოვებოდა მის, გრეის მიერ გამოგონილ ფულის სისტემაში. კეთილ გრეის იმის წინაგრძნობა არ ჰქონია, რომ „Social System"-ის გამოსვლიდან თექვსმეტი წლის შემდეგ ამავე გამოგონების პატენტს გამოგონებაში ნაყოფიერი პრუდონი აიღებდა,

მოებელი იღებს ღირებულების ოფიციალურ მოწმობას, ე. ი. იმდენი სამუშაო დროის დამადასტურებელ ქვითარს, რამდენსაც მისი საქონელი შეიცავს[1], და ეს ბანკის ბილეთები 1 კვირის, 1 დღის, 1 საათის და სხვ. შრომისა წარმოადგენს თან ასიგნობას ექვივალენტისას ყველა სხვა საქონლის სახით, რომელიც ბანკის საწყობებში ალაგია[2]. ეს არის გ რ ე ი ს ძირითადი პრინციპი, რომელსაც იგი გულდასმით დეტალურად ანვითარებს, ეყრდნობა რა არსებულ ინგლისურ დაწესებულებებს. ამ სისტემის დროს, ამბობს გ რ ე ი, „ისევე ადვილი იქნებოდა ყოველ მომენტში ფულზე გაყიდვა, როგორც ახლა ადვილი არის ფულით ყიდვა; წარმოება იქნებოდა ერთფეროვანი და

[1] G r a y „The Social System"etc., გვ. 63. „Money should be merely a receipt, an evidence that the holder of it has eiter contributed certain value to the national stock of wealth, or that he has acquired a right to the same value from some one who has contributed to it" („ფული უნდა იყოს მარტოოდენ ქვითარი, მოწმობა იმისა, რომ მისმა მფლობელმა ან განსაზღვრული ღირებულება შემატა ეროვნულ სიმდიდრეს, ანდა შეიძინა იმავე ღირებულების უფლება სხვა ვისმესაგან, რომელმაც იმ ღირებულების შექმნას ხელი შეუწყო").

[2] l. c., გვ. 68. „An estimated value being previously put upon produce, let it be lodged in a bank, and drawn out again, whenever it is required, merely stipulating, by common consent, that he who lodges any kind of property in the proposed National Bank, may take out of it an equal value of whatewer it may contain, instead of being obliged to draw out the self same thing that he put in") („როდესაც განსაზღვრული ღირებულება უკვე გასაგნობრივდა პროდუქტში, იგი შეიძლება შეტანილ იქნეს ბანკში ან გატანილ იქნეს იქიდან, საჭიროებისამებრ, მარტოოდენ იმ პირობით, რომ, საერთო თანხმობის საფუძველზე, ვინც რაიმე ქონებას შეიტანს პროექტით წარმოდგენილ ეროვნულ ბანკში, მას შეეძლოს იქიდან გაიტანოს თანასწორი ღირებულება, რაშიაც უნდა მდგომარეობდეს იგი, და ვალდებული არ იყოს, სწორედ ის საგანი გაიტანოს, რომელიც შეიტანა").

მუდამ დაუშრეტელი წყარო მოთხოვნისა“ [1], ძვირფას ლითონებს დაეკარგებოდა ის „პრივილეგია“, რომელიც მათ აქვთ სხვა საქონელთა წინაშე, და ისინი „თავიანთ შესაფერ ადგილს დაიჭერდენ ბაზარზე კარაქის, კვერცხის, მაუდისა და ჩითის გვერდით, და მათი ღირებულება ჩვენთვის უფრო საინტერესო არ იქნებოდა, ვინემ ალმასის ღირებულება“ [2]. უნდა შევინარჩუნოთ ღირებულებათა ჩვენი ხელოვნური საზომი, ოქრო, და, ამგვარად, შევბორკოთ ქვეყნის საწარმოო ძალები, თუ — უნდა დავუბრუნდეთ ღირებულებათა ბუნებრივ საზომს, შრომას, და ქვეყნის საწარმოო ძალები გავანთავისუფლოთ? [3].

რახან სამუშაო დროა ღირებულების შინაგანი საზომი, რატომღაა მის გვერდით კიდევ სხვა გარეგანი საზომი? რატომ ვითარდება საცვლელი ღირებულება ფასად? რატომ გამოხატავს ყველა საქონელი თავის ღირებულებას ერთადერთ საქონელში, რომელიც ამნაირად საცვლელი ღირებულების სპეციფიურ ფორმად, ფულად, გარდაიქმნება? აი, ეს იყო პრობლემა, რომელიც გ რ ე ი ს უნდა აეხსნა. მისი ახსნის ნაცვლად, მას წარმოუდგენია, რომ საქონელთ შეუძლიათ ერთმანეთთან უშუალო ფარდობა ჰქონდეთ, როგორც საზოგადოებრივი შრომის პროდუქტებს. მაგრამ მათ შეუძლიათ ერთმანეთთან ფარდობა ჰქონდეთ მხოლოდ იმ სახით, რასაც ისინი ნამდვილად წარმოადგენენ. საქონელნი წარმოადგენენ უშუალო პროდუქტებს განცალკევებულ დამოუკიდებელ კერძო შრომათა, რომელთაც გაცვლა-გამოცვლის პროცესში თავიანთი თავის გასხვისების გზით უნდა დაამტკიცონ, რომ საყოველთაო საზოგადოებრივ შრომას გამოხატავენ, ანუ

[1] l. c., გვ. 16.
[2] G r a y: „Lectures on money“ etc., გვ. 182.
[3] l. c., გვ. 169.

შრომა, საქონლის წარმოების საფუძველზე გაწეული, მხოლოდ ინდივიდუალური შრომის ხასიათის ჩამოშორების გზით იქცევა საზოგადოებრივ შრომად. ხოლო რამდენადაც *გრეი* საქონელში მოთავსებულ სამუშაო დროს *უშუალოდ საზოგადოებრივ* სამუშაო დროდ თვლის, იგი მას სთვლის კოლექტიურ სამუშაო დროდ ანუ უშუალოდ ასოციაციაში გაერთიანებულ ინდივიდუუმთა სამუშაო დროდ. ამ პირობებში, მართლაც, ერთი სპეციფიური საქონელი, როგორიცაა ოქრო და ვერცხლი, სხვა საქონელთ ვერ დაუპირისპირდებოდა როგორც საყოველთაო შრომის განხორციელება, საცვლელი ღირებულება ვერ იქცეოდა ფასად, მაგრამ სახმარი ღირებულებაც ვერ იქცეოდა საცვლელ ღირებულებად, პროდუქტი ვერ იქცეოდა საქონლად და, ამგვარად, ბურჟუაზიული წარმოების თვით საფუძველი მოისპობოდა. მაგრამ *გრეის* ეს სრულიად არ აქვს აზრად. *პროდუქტი უნდა იწარმოებოდეს საქონლის სახით, მაგრამ არ უნდა იცვლებოდეს როგორც საქონელი.*

*გრეი* ეროვნულ ბანკს ანდობს ამ კეთილი სურვილის შესრულებას. ერთის მხრივ, საზოგადოება, ბანკის სახით, კერძო გაცვლა-გამოცვლის პირობებისაგან დამოუკიდებელს ხდის ინდივიდუუმებს და, მეორეს მხრივ, კერძო გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე აწარმოებინებს მათ კვლავაც. ლოგიკა აიძულებს *გრეის* უკუაგდოს ერთი მეორის მიყოლებით ბურჟუაზიული წარმოების პირობები, თუმცა მას მარტოოდენ სურს „რეფორმა მოახდინოს“ საქონელთა გაცვლა-გამოცვლიდან გამომდინარე ფულში. ასე, იგი კაპიტალს აქცევს ეროვნულ კაპიტალად [1], სა-

[1]) „The business of every country ought to be conducted on national capital“ (John Gray: The Social System“etc., გვ. 71). („ყოველი ქვეყნის საქმეები ეროვნული კაპიტალით უნდა იწარმოებოდეს“).

ადგილმამულო საკუთრებას — ეროვნულ საკუთრებად [1], და თუ ჩვენ მის ბანკს ახლოდან დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ იგი არა მარტო იღებს ერთი ხელით საქონელს და მეორე ხელით გასცემს ჩამორჩენილი შრომისთვის მოწმობებს, არამედ თვით წარმოებასაც აწესრიგებს. თავის უკანასკნელ ნაწერში: „Lectures on money“, რომელშიაც გ რ ე ი გულმოდგინედ ცდილობს წმინდა ბურჟუაზიულ რეფორმად დასახოს თავისი შრომითი ფული, იგი კიდევ უფრო აშკარა შეუსაბამობაში იხლართება.

ყოველი საქონელი უშუალოდ ფულია, — ეს იყო გ რ ე ი ს თეორია, გამომდინარე მისი საქონლის არა სრული და, ამიტომ, ყალბი ანალიზიდან. „შრომითი ფულის“, „ეროვნული ბანკის“ და „საქონლის საწყობების“ „ორგანიული“ კონსტრუქცია არის მხოლოდ ზმანება, სადაც დოგმა მატყუვებლად წარმოგვიდგება როგორც უნივერსალური ძალის კანონი. ეს დოგმა: რომ საქონელი უშუალოდ ფულია, ანუ რომ მასში მოქცეული განსაკუთრებული შრომა კერძო პიროვნებისა უშუალოდ საზოგადოებრივი შრომაა, — რასაკვირველია, იმით ჭეშმარიტი არ გახდება, რომ ეს ბანკს სწამს და იგი მის თანახმად მოქმედებს. გაკოტრება იკისრებდა, ამ შემთხვევაში, პრაქტიკული კრიტიკის როლს. იმას, რაც გ რ ე ი ს ნაწერში დაფარულია და თვით მისთვისაც ფარული იყო, სახელდობრ: რომ შრომითი ფული ეკონომიურად მჟღერელი ფრაზაა კეთილი წადილისათვის: თავიდან მოშორებულ იქნეს ფული, ფულთან ერთად — საცვლელი ღირებულება, საცვლელ ღირებულებასთან ერთად — საქონელი და საქონელთან ერთად — წარმოების ბურჟუაზიული ფორმა, — პირდაპირ ამბობენ ზოგიერთი ინგლისელი სოციალისტე-

---

[1] „The land to be transformed into national property“ („მიწა ეროვნულ საკუთრებად უნდა გადაიქცეს“).

ბი, რომელნიც ნაწილობრივ გრეიმდე და ნაწილობრივ მის შემდეგ სწერდენ[1]. მაგრამ ბ-ნ პრუდონსა და მის სკოლას წილად ხვდა სერიოზულად ექადაგნათ ფულის დამხობა და საქონლის ამაღლება, როგორც სოციალიზმის არსება და ამით სოციალიზმი წარმოედგინათ როგორც საქონელსა და ფულს შორის არსებული აუცილებელი კავშირის ელემენტარული გაუგებლობა[2].

---

[1] იხ., მაგ., W. Thompson: „An inquiry into the distribution of wealth“ etc., London 1824. Bray: „Labours wrongs and labours remedy“, Leeds 1839.

[2] ფულის ამ მელოდრამატიული თეორიის სახელმძღვანელოდ შეიძლება ჩათვლილ იქნეს Alfred Darimont-ის წიგნი: „De la Réforme des banques“, Paris 1856.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დანართი მეორე

# სიტყვა თავისუფალი ვაჭრობის საკითხის შესახებ

წარმოთქმული
ბრიუსელის დემოკრატიული ასოციაციის საჯარო კრებაზე
1848 წლის იანვრის 9-ს
კარლ მარქსის მიერ[1]

ბატონებო! სახორბლო კანონების გაუქმება ინგლისში არის უდიდესი გამარჯვება, რომელიც თავისუფალმა ვაჭრობამ მოიპოვა მე-XIX საუკუნეში. ყველა ქვეყანაში, სადაც ფაბრიკანტები თავისუფალ ვაჭრობაზე ლაპარაკობენ, მათ უმთავრესად ხორბლეულისა და საზოგადოდ ნედლი მასალის თავისუფალი ვაჭრობა აქვთ მხედველობაში. „უცხოეთის ხორბლეულზე მფარველობითი ბაჟის დაწესება უნამუსობაა, იგი ნიშნავს სპეკულიაციის გაწევას ხალხის შიმშილზე“.

[1] მარქსის სიტყვა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ უცვლელად გადმობეჭდილია დედანი-ბროშურიდან, რომელიც 1848 წელს ბრიუსელში დაიბეჭდა და რომელიც ისე იშვიათი გახდა, რომ ჩვენ ვიცით მხოლოდ ენგელსის ეგზემპლიარი, საიდანაც აღებულ იქნა ამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული გერმანული, ინგლისური, იტალიური და რუსული თარგმანები. — გამომცემლის შენიშ, მეორე ფრანგ. გამოც.

იაფი პური, დიდი ხელფასი, — cheap food, high wages, აი, ის ერთადერთი მიზანი, რისთვისაც მილიონები დახარჯეს ინგლისში ფრიტრედერებმა, რომელთა აღფრთოვანება უკვე გადაედვა მათ ძმებსაც კონტინენტზე. საზოგადოდ, თუ თავისუფალი ვაჭრობა [illegible] მშრომელი კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სურთ.

მაგრამ, საკვირველია! ხალხი, რომელსაც ყოველი საშუალებით უნდათ იაფი პური მოუპოვონ, ძალიან უმადურია. იაფი პური ინგლისში ისევე სახელგატეხილია, როგორც იაფი მთავრობა საფრანგეთში. თავდადებულ ადამიანებს, რომელსამე ბ ა უ რ ი ნ გ ს (Bowring), რომელსამე ბ რ ა ი ტ ს (Bright) და მათ მსგავსთ ხალხი თავის უდიდეს მტრებად და უაღრეს ურცხვ ფარისევლებად სთვლის.

ყველამ უწყის, რომ ლიბერალებსა და დემოკრატებს შორის ბრძოლას ინგლისში ეწოდება ბრძოლა ფრიტრედერებსა და ჩარტისტებს შორის.

ვნახოთ ახლა, როგორ დაუმტკიცეს ინგლისის ფრიტრედერებმა ხალხს ის კარგი გრძნობები, რომლებიც მათ ამოქმედებდა.

აი, რას ეუბნებოდენ ისინი ფაბრიკის მუშებს:

ხორბალზე აღებული ბაჟი წარმოადგენს ხელფასზე დაწესებულ ხარკს: ამ ხარკს თქვენ უხდით მსხვილ საადგილმამულო მებატონეებს, ამ არისტოკრატებს საშუალო საუკუნეთა; თუ თქვენი მდგომარეობა უბადრუკია, ეს პირველი მოთხოვნილების საარსებო საგანთა სიძვირის შედეგი არის.

მუშები, თავიანთ მხრივ, ეკითხებოდენ ფაბრიკანტებს: როგორ ხდება ეს, რომ უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში, როდესაც უდიდესი განვითარება მიიღო მრეწველობამ, ჩვენმა ხელფასმა უფრო სწრაფი პროპორციით დაიწია, ვიდრე ხორბლის ფასმა აიწია?

ხარკი, რომელსაც ჩვენ, როგორც თქვენ ამბობთ, ვუხდით მემამულეებს, მუშის თავზე შეადგენს დაახლოებით სამ პენსს კვირეში; ხელით მომუშავე ფეიქრის ხელფასი კი 1815—1843 წლებში 28 შილინგიდან ჩამოვიდა 5 შილინგზე კვირეში; და მანქანაზე მომუშავე ფეიქრის ხელფასი 1825—1843 წლებში 20 შილინგიდან კვირეში 8 შილინგამდე იქნა დაწეული.

და მთელი ამ დროის განმავლობაში სახარკო წილი, რომელსაც ჩვენ მემამულეს ვუხდიდით, არასოდეს არ ყოფილა სამ პენსზე დიდი. და შემდეგ! 1834 წელს, როდესაც პური ძალიან იაფი იყო და ვაჭრობა კარგად მიდიოდა, რას გვეუბნებოდით თქვენ? თუ თქვენ უბედური ხართ, ეს იმიტომაა, რომ მეტად ბევრ ბავშს აჩენთ და რომ თქვენი ქორწინება უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ჩვენი მრეწველობაა!

ესაა თქვენი საკუთარი სიტყვები, რომლებსაც მაშინ გვეუბნებოდით; და თქვენ იწყეთ გამოცემა ღარიბთა ახალი კანონების და აგება work-houses-ის [სამუშაო სახლების], პროლეტართა ამ ბასტილიების.

ამაზე ფაბრიკანტები უპასუხებდნენ:

თქვენ მართალი ხართ, ბატონო მუშებო; ხელფასს განსაზღვრავს არა მარტო ხორბლის ფასი, არამედ, გარდა ამისა, კიდევ კონკურენციაც მიწოდებულ მუშა-ხელს შორის.

მაგრამ დაუფიქრდით ერთ რამეს, სახელდობრ იმას, რომ ჩვენი ნიადაგი მხოლოდ კლდეებისა და ქვიშისგან შესდგება. თქვენ არ ფიქრობთ, რასაკვირველია, რომ ყვავილის ქოთნებში შეიძლება პურის მოყვანა! ამიტომ, თუ ჩვენ ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი კაპიტალი და ჩვენი შრომა სრულიად უნაყოფო ნიადაგზე გავფლანგოთ, ხელს ავიღებდით მიწათმოქმედებაზე, რათა მხოლოდ და მხოლოდ მრეწველობისთვის ჩავვქიდნა ხელი, მთელი ევროპა ხელს

აილებდა ფაბრიკებზე, და ინგლისი შეიქნებოდა ერთი დიდი საფაბრიკო ქალაქი, რომლისათვის დანარჩენი ევროპა სოფელი იქნებოდა.

თავის მუშებთან ასე მოლაპარაკე ფაბრიკანტს შეკითხვით მიმართავს წვრილი ვაჭარი, რომელიც მას ასე შესძახებს:

თუ ჩვენ სახორბლო კანონები მოვსპეთ, — მართალია, გავანადგურებთ სასოფლო მეურნეობას, მაგრამ ამით კიდევ ვერ ვაიძულებთ სხვა ქვეყნებს ჩვენი ფაბრიკების ნაწარმოები წაიღონ და თავიანთზე ხელი აილონ.

რა შედეგი მოჰყვება ამას? მე დავკარგავ მუშტრებს, რომლებიც დღეს სოფლად მყავს, და საშინაო ვაჭრობა დაჰკარგავს თავის ბაზარს.

ფაბრიკანტი მუშებს ზურგს შეაქცევს და მეწვრილმანეს უპასუხებს:

რაც შეეხება ამას,—დაგვაცადეთ. როგორც კი ხორბალზე ბაჟი მოსპობილი იქნება, ჩვენ უფრო იაფად გვექნება ხორბალი უცხოეთიდან. შემდეგ ჩვენ შევამცირებთ ხელფასს, რომელიც იმავე დროს აიწევს სხვა ქვეყნებში, საიდანაც ჩვენ ხორბალი შემოგვაქვს.

ამგვარად, იმ უპირატესობათა გარდა, რომლებიც უკვე გვაქვს, ჩვენ კიდევ გვექნება უპირატესობა ნაკლები ხელფასისა, და ყველა ამ უპირატესობის მეოხებით ჩვენ დიახაც ვაიძულებთ კონტინენტს იყიდოს ჩვენი ნაწარმოები.

მაგრამ ახლა ფერმერი და სოფლის მუშა ერევიან კამათში.

და ჩვენ, ჩვენ რაღა მოგვივა? კითხულობენ ისინი.

განა ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ იმას, რომ სასიკვდილოდ განწირულ იქნეს სოფლის მეურნეობა, რომელიც ჩვენ გვაცხოვრებს? განა ჩვენ უნდა მოვითმინოთ, რომ ფეხქვეშ ნიადაგი გამოგვაცალონ?

რაიმე პასუხის მაგიერ Anti-corn-law-league-ი [სახორბლო კანონის საწინააღმდეგო ლიგა] იმით დაკმაყოფილდა, რომ პრემია დანიშნა სამი საუკეთესო თხზულებისთვის შესახებ იმ საუკეთესო გავლენისა, რომელიც სახორბლო კანონების მოსპობას უნდა ექნეს ინგლისის მიწათმოქმედებაზე.

ეს პრემიები მიიღეს ბ.ბ. ჰ ო პ მ ა (Hope), მ ო რ ს მ ა (Morse) და გ რ ე გ მ ა (Gregg), რომელთა წიგნები ათას ცალობით გავრცელებულ იქნა სოფლებში.

ერთი ამ პრემიით დაჯილდოებულთაგანი ცდილობს დაამტკიცოს, რომ უცხოეთის ხორბლის თავისუფალი შემოზიდვის გამო ზარალს არ განიცდის არც ფერმერი და არც სოფლის მუშა, არამედ—მარტოდმარტო მემამულე:

ინგლისელ ფერმერს არ უნდა ეშინოდეს სახორბლო კანონის მოსპობის, ვინაიდან არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ისე კარგი ღირსებისა და იაფი ხორბლის წარმოება, როგორც ინგლისსო.

ამგვარად, მაშინაც კი, თუ ხორბლის ფასი დაეცა, ეს თქვენ ზიანს არ მოგცემთ, ვინაიდან ეს ფასის შემცირება მხოლოდ და მხოლოდ რენტას შეეხება, რომელიც შემცირდება, და არას გზით — სამრეწველო მოგებასა და ხელფას, რომლებიც უცვლელი დარჩებაო.

მეორე პრემიამისჯილი, ბ-ნი მ ო რ ს ი, ამტკიცებს, პირიქით, რომ ხორბლის ფასი აიწევს სახორბლო კანონების მოსპობის გამო. იგი წელებზე ფეხს იდგამს იმის დასამტკიცებლად, რომ მფარველობითი ბაჟი ვერასოდეს ვერ უზრუნველუყოფდა ხორბალს ხელსაყრელ ფასს. თავისი დებულების სასარგებლოდ იგი იხსენიებს იმ ფაქტს, რომ ყოველთვის, როდესაც უცხოეთის ხორბალი შეჰქონდათ, ხორბლის ფასი ინგლისში თვალსაჩინოდ მატულობდა, და როდესაც ცოტა შეჰქონდათ, ფასი არაჩვეულებრივად ეცემოდა. პრემიამისჯილი ავტორი ივიწყებს, რომ

იმპორტი კი არ იყო მაღალი ფასის მიზეზი, არამედ დიდი ფასი იყო იმპორტის მიზეზი.

და იგი, თავისი პრემიამისჯილი კოლეგის წინაალმდეგ, ამტკიცებს, რომ ხორბლეულის ყოველ ფასის ზრდას სარგებლობა მოაქვს ფერმერისა და მუშისთვის და არა—მემამულისთვის.

მესამე პრემიამისჯილს, ბ-ნ გ რ ე გ ს, რომელიც მსხვილი ფაბრიკანტია და რომლის წიგნი მსხვილ ფერმერთა კლასს მიმართავს, არ შეეძლო ასეთ სისულელეებს დასჯერებოდა. მისი ენა უფრო მეცნიერულია.

იგი აღიარებს, რომ სახორბლო კანონები მხოლოდ იმ გზით ადიდებს რენტას, რომ ხორბლის ფასს ადიდებს, და ხორბლის ფასს ადიდებს მხოლოდ იმ გზით, რომ აუცილებლობას უქმნის კაპიტალს ხელი მიჰყოს უფრო მდარე ღირსების მიწების დამუშავებას, რაც სრულებით უბრალოდ აიხსნება.

რამდენადაც მოსახლეობა იზრდება, ადამიანები იძულებული ხდებიან, რადგესაც უცხოეთის ხორბლეული სახელმწიფოში ვერ შემოდის, გამოიყენონ ნაკლებ ნაყოფიერი მიწები, რომელთა დამუშავება მეტ ხარჯებს მოითხოვს და რომელთა პროდუქტი, მაშასადამე, უფრო ძვირი არის.

რადგან მთელი წარმოებული ხორბლეულისთვის მოთხოვნილება არსებობს და იგი, მაშასადამე, უნდა გაიყიდოს, ამიტომ მ ს ი ფასი აუცილებლობის გზით უდიდესხარჯებიანი მიწების პროდუქტთა ფასის მიხედვით დამყარდება. ამ ფასსა და უკეთესი მიწების წარმოების ხარჯებს შორის არსებული განსხვავება შეადგენს რენტას.

ამგვარად, თუ სახორბლო კანონების მოსპობას ხორბლის ფასის და, მაშასადამე, რენტის შემცირება მოჰყვება, ეს წარმოსდგება იქიდან, რომ უფრო ცუდი მიწა აღარ დამუშავდება. ამნაირად, რენტის შემცირება აუცილებლად გამოიწვევს ფერმერთა ერთი ნაწილის განადგურებას.

ეს შენიშვნები საჭირო იყო, რათა გასაგები გვქვეხადნა ბ-ნი გ რ ე გ ი ს ენა.

წვრილი ფერმერები, ამბობს ის, რომელნიც [illegible] დაჰკარგავენ მიწათმოქმედებაში, წყაროს [illegible] მრეწველობაში. რაც შეეხება მსხვილ ფერმერებს, იმათ უნდა მოიგონ. ან მემამულეები იძულებული იქნებიან ძალიან იაფად მიჰყიდონ მათ თავიანთი მიწები, ან და ის საიჯარო ხელშეკრულობა, რომელსაც ისინი მათთან დასდებენ, ფრიად გრძელვადიანი იქნება. ეს გარემოება ფერმერებს შესაძლებლობას მისცემს დიდი კაპიტალები მოათავსონ მიწაში, უფრო დიდი მასშტაბით გამოიყენონ მანქანები და ამ სახით ეკონომია გასწიონ ადამიანის შრომაზე, რაც, ამასთან, გაიაფებული იქნება ხელფასის საყოველთაო დაწევის, სახორბლო კანონების მოსპობის უშუალო შედეგის, გამო.

დოქტორი ბ ა უ რ ი ნ გ ი ყველა ამ არგუმენტს რელიგიურ კურთხევას აძლევს, როდესაც ერთ საჯარო მიტინგზე გაიძახის:

„იესო ქრისტე არის თავისუფალი ვაჭრობა, თავისუფალი ვაჭრობა არის იესო ქრისტე!“

მისახვედრია, რომ მთელი ეს ფარისევლობა შესაფერისი არ იყო იაფი პურის გემოს გასაღებინებლად მუშებისათვის.

გარდა ამისაც, როგორ უნდა მიხვედრილიყვნენ მუშები ფაბრიკანტების მოულოდნელ ფილანტროპობას, ფილანტროპობას იმ ადამიანთა, რომელნიც ჯერ კიდევ ებრძოდენ ათი საათის ბილს, რომელსაც თორმეტი საათიდან ათ საათზე უნდა დაეყვანა ფაბრიკის მუშის სამუშაო დღე.

რათა მოგცეთ წარმოდგენა ფაბრიკანტების ფილანტროპობაზე, თქვენ მოგაგონებთ, ბატონებო, იმ წესდებულებას, რომელიც დამყარებულია ყველა ფაბრიკაში.

თითოეულ ფაბრიკანტს თავისთვის კერძო მოსახმარად აქვს ნამდვილი კოდექსი, სადაც ყველა ნებსითი და უნებლიეთი შეცდომისთვის საურავია დაწესებული. მაგალითად, მუშა ამდენსა და ამდენს ჯარიმას [illegible] მას უბედურობა ეწია და — სკამზე ჩამ[illegible]მეს ეჩურჩულა, გაელაპარაკა, თუ გაიცინა, თუ მისვლა რამდენიმე წუთით დაიგვიანა, თუ მანქანის ესა თუ ის ნაწილი გაუტყდა, თუ მან მოთხოვილი ღირსების ნაწარმოები არ ჩააბარა, და სხვ. და სხვ. ჯარიმა მუშის მიერ მიყენებულ ზარალზე დიდია ყოველთვის. და რათა მუშას გაუადვილონ ჯარიმის დამსახურება, წინ სწევენ ფაბრიკის საათს, მუშას აძლევენ ცუდ ნედლ მასალას, რომლიდანაც მან კარგი პროდუქტი უნდა დაამზადოს. ადგილიდან ითხოვენ მეთვალყურეს, რომელიც ვერ გამოიჩენს საკმაო მოხერხებას, რომ მუშების მიერ წესის დარღვევის შემთხვევათა რიცხვი გაადიდოს.

თქვენ ხედავთ, ბატონებო, რომ ეს შინაური კანონმდებლობა იმისთვისაა შექმნილი, რომ წარმოიშვას წესის დარღვევის შემთხვევები, და წესს არღვევინებენ, რათა მოიგონ ფული. ამრიგად, ფაბრიკანტი ყოველ საშუალებას ხმარობს ნომინალური ხელფასის შესამცირებლად და იმ შემთხვევების ექსპლოატაციასაც კი ეწევა, რომელთა უფალი მუშა არ არის.

ეს ფაბრიკანტები არიან იგივე ფილანტროპები, რომელთაც სურდათ მუშები დაეჯერებიათ, რომ მათ, ფაბრიკანტებს, უნარი შესწევთ უზარმაზარი ხარჯები გასწიონ მარტოოდენ და მხოლოდ მუშათა ბედის გასაუმჯობესებლად.

ამგვარად, ერთის მხრივ, ისინი საფაბრიკო წესდებულებით მუშის ხელფასს ათლიან უაღრეს წვრილმანურად, და, მეორეს მხრივ, უდიდეს მსხვერპლთა გაწევას კისრულობენ ხელფასის გასადიდებლად Anti-corn-law league-ის საშუალებით.

ისინი აგებენ, დიდი ხარჯების გაწევით, სასახლეებს, სადაც ლიგა, ასე ვთქვათ, თავის ოფიციალურ ბინას აწყობს; გზავნიან ინგლისის ყველა კუთხეში მოციქულთა მთელ ლაშქარს თავისუფალი ვაჭრობის [illegible] საქადაგებლად; ბეჭდავენ და მუქთად არიგებენ ათასობით ბროშურებს მუშების გასაცნობიერებლად მათი ინტერესების შესახებ; დიდძალ ფულს ხარჯავენ, რათა პრესა თავიანთი საქმის მომხრედ გაიხადონ, აწყობენ ფართო ადმინისტრატიულ აპარატს ფრიტრედერული მოძრაობის სახელმძღვანელოდ და საჯარო მიტინგებზე არ ზოგავენ თავიანთ მჭერმეტყველების ავლადიდებას. ერთ-ერთ ამ მიტინგზე იყო, რომ ერთმა მუშამ შესძახა:

მემამულეები რომ ჩვენს ძვლებს ჰყიდდნენ, თქვენ, ფაბრიკანტები, თქვენ პირველნი იყიდდით ამ ძვლებს, რათა ორთქლის წისქვილში ჩაგეყარათ და იქიდან ფქვილი მიგეღოთო.

ინგლისის მუშები კარგად მიხვდნენ, თუ რას ნიშნავს ბრძოლა მემამულეებსა და სამრეწველო კაპიტალისტებს შორის. იმათ კარგად იციან, რომ პურის ფასის შემცირება ხელფასის შესამცირებლად უნდოდათ და რომ სამრეწველო მოგება იმდენადვე გადიდდებოდა, რამდენადაც რენტა შემცირდებოდა.

რ ი კ ა რ დ ო, ინგლისელი ფრიტრედერების მოციქული, ჩვენი საუკუნის ყველაზე სახელოვანი ეკონომისტი, ამ მუხლში სავსებით თანახმაა მუშების.

თავის სახელგანთქმულ თხზულებაში შესახებ პოლიტიკური ეკონომიისა იგი ამბობს:

„თუ ჩვენ, ჩვენში ხორბლეულის მოწევის ნაცვლად, ახალი ბაზარი აღმოვაჩინეთ, სადაც მისი უფრო იაფად მოპოვება შეგვეძლება, იმ შემთხვევაში ხელფასმა უნდა დაიწიოს და მოგებამ უნდა აიწიოს. სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა ფასის დაწევა ამცირებს არა მარტო

მიწის დასამუშავებლად გამოყენებული მუშების ხელფასს, არამედ იმ მუშების ხელფასსაც, რომლებიც მრეწველობაში მუშაობენ ან ვაჭრობაში მოსაქმეობენ".

და ნუ გეგონებათ, ბატონებო, რომ მუშისათვის სულ-ერთი იყოს, თუ იგი 4 ფრანკზე მე[illegible]ებს, რახან ხორბალი გაიაფდა, მაშინ როდესაც მანამდე 5 ფრანკს იღებდა.

განა მისი ხელფასი არ შემცირდა მაინც მოგებასთან შედარებით? და განა ცხადი არ არის, რომ მისი სოციალური მდგომარეობა კაპიტალისტთან დაპირისპირებით გაუარესდა? გარდა ამისა, იგი ნამდვილად ზარალობს.

სანამ ხორბლის ფასი უფრო მაღალი იყო და ასევე ხელფასიც, მცირე დაზოგვა პურის ხარჯვაში საკმარისი იყო, რომ მუშას სხვა მოხმარების საგნებიც მოეპოვებია; მას შემდეგ კი, როდესაც პური და, მაშასადამე, ხელფასიც გაიაფებულია, მას პურზე თითქმის არარაფრის მონარჩუნება არ შეეძლება სხვა საგანთა საყიდლად.

ინგლისის მუშებმა ფრიტრედერებს აგრძნობინეს, რომ მოღორებულნი არ არიან მათი ილუზიებითა და ტყუილებით, და თუ, მიუხედავად ამისა, ისინი მათ შეუერთდენ მემამულეების წინააღმდეგ, ეს — იმიტომ, რომ მოესპოთ ფეოდალიზმის უკანასკნელი ნაშთი და შემდეგ საქმე ჰქონებოდათ მხოლოდ ერთადერთ მტერთან. მუშები თავიანთ ანგარიშში არ შემცდარან, ვინაიდან მემამულეები, რათა ფაბრიკანტებზე შური ეძიათ, მუშებს შეუერთდენ ათი საათის ბილის გასატარებლად, რომელსაც ეს უკანასკნელნი 30 წლის განმავლობაში ამაოდ მოითხოვდენ და რომელიც ხორბლის კანონების მოსპობის შემდეგ დაუყოვნებლივ გატარებულ იქნა კიდეც.

როდესაც ეკონომისტთა კონგრესზე დ-რ ბ ა უ რ ი ნ გ მ ა ჯიბიდან ამოიღო გრძელი სია იმისა, თუ რამდენი სული ხარი, რამდენი ღორი, ქონი, წიწილა და სხვ. და

სხვ. იყო შეზიდული ინგლისში, როგორც ის ამბობს, იქ მუშების მიერ მოსახმარებლად, მას, სამწუხაროდ, დაავიწყდა თქვენთვის ეთქვა, რომ იმავე დროს მუშები მანჩესტერში და სხვა საფაბრიკო ქალაქებში [illegible] იყვნენ გაყრილი კრიზისის წყალობით, რომელიც მძვინვარებდა.

პრინციპიალურად, პოლიტიკურ ეკონომიაში არასოდეს არ უნდა დავაჯგუფოთ მარტო ერთი წლის ციფრები იქიდან ზოგადი კანონების გამოსაყვანად. ყოველთვის უნდა ავიღოთ საშუალო ექვსი-შვიდი წლისა,—პერიოდის, რომლის განმავლობაშიაც თანამედროვე მრეწველობა გაივლის სხვადასხვა ფაზებს აყვავების, ჭარბი წარმოების, შეფერხებისა და კრიზისისას და ამთავრებს თავის გარდუვალ წრებრუნვას.

უეჭველია, თუ ყველა საქონლის ფასი დაეცემა, და ეს არის თავისუფალი ვაჭრობის აუცილებელი შედეგი, მე ერთი ფრანკით უფრო მეტი საგნების მოპოება შემეძლება, ვიდრე უწინ. და მუშის ფრანკი ისეთივე ფრანკია როგორც ყველა სხვა. მაშასადამე, თავისუფალი ვაჭრობა ძალიან ხელსაყრელი იქნება მუშისთვის. აქ ერთი პატარა უხერხულობაა მხოლოდ,—სახელდობრ ის, რომ მუშამ, ვიდრე იგი თავის ფრანკს სხვა საქონელზე გასცვლიდეს, თავისი შრომა გასცვალა კაპიტალზე. ამ გაცვლისას იგი რომ ყოველთვის იმავე შრომისთვის იმავე ფრანკს იღებდეს და ყველა სხვა საქონლის ფასი რომ დაცემული იყოს, იგი ყოველთვის მოიგებდა ამ ვაჭრობაში. სიძნელეს იმის დამტკიცება კი არ წარმოადგენს, რომ, თუ ყველა საქონლის ფასი დაეცა, მე მეტ საქონელს მივიღებ იმავე ფულით.

ეკონომისტები შრომის ფასს ხელს სჭიდებენ ყოველთვის იმ მომენტში, როდესაც იგი სხვა საქონელზე გაიცვლება, მაგრამ სრულებით გვერდზე სტოვებენ იმ მომენტს, როდესაც შრომა აწარმოებს თავის გაცვლას კაპიტალზე.

როდესაც იმ მანქანის მოძრაობაში მოსაყვანად, რომელიც საქონელს ამზადებს, ნაკლები ხარჯებია საჭირო, მუშად წოდებული მანქანის შესანახადაც საჭირო საგნები ნაკლებ ეღირება. თუ ყველა საქონელი უფრო იაფი გახდა, შრომაც, რომელიც აგრეთვე საქონელია, დაიწევს ფასში, და, როგორც ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, ამ შრომა-საქონელის ფასი პროპორციულად ბევრად უფრო დაიწევს, ვიდრე სხვა საქონლის ფასი. მუშა, რომელიც ეკონომისტთა არგუმენტაციას დაეყრდნობა, ნახავს, რომ ფრანკი გაუდნა ჯიბეში და მხოლოდ ხუთი სუ ღა დაურჩა.

ამაზე თქვენ ეკონომისტები გეტყვიან:

ჰო, ჩვენ ვცნობთ, რომ მუშებს შორის კონკურენცია, რომელიც, უეჭველია, ნაკლები არ იქნება თავისუფალი ვაჭრობის ბატონობის დროს, არ დაახანებს ხელფასი შეუთანხმოს საქონელთა დაბალ ფასს. მაგრამ, მეორეს მხრივ, საქონელთა დაბალი ფასი გაადიდებს მოხმარებას; გადიდებული მოხმარება მოითხოვს წარმოების გადიდებას, რასაც მოჰყვება მუშა-ხელის უფრო ძლიერი მოთხოვნა, და მუშა-ხელის ამ უფრო ძლიერ მოთხოვნას მოჰყვება ხელფასის გადიდება.

მთელი ეს არგუმენტაცია ნიშნავს შემდეგს: თავისუფალი ვაჭრობა ადიდებს საწარმოო ძალებს. როდესაც მრეწველობა იზრდება, როდესაც სიმდიდრე, როდესაც საწარმოო ძალა, როდესაც, ერთის სიტყვით, პროდუქტიული კაპიტალი შრომის მოთხოვნას ადიდებს, შრომის ფასიც და, მაშასადამე, ხელფასიც მატულობს. ხელსაყრელ პირობას მუშისთვის შეადგენს კაპიტალის ზრდა. და ეს აღიარებული უნდა იქნეს. თუ კაპიტალი სტაციონარული დარჩა, მრეწველობა არა თუ სტაციონარული დარჩება, არამედ — დაიხრჩება, და ამ შემთხვევაში მუშა პირველი მსხვერპლი იქნება. იგი კაპიტალისტზე ადრე დაი-

ლუპება. და იმ შემთხვევაში, როდესაც კაპიტალი იზრდება, ამ, როგორც ვთქვით, მუშისთვის უკეთეს შემთხვევაში, როგორი იქნება მისი ბედი? იგი დაიღუპება აგრეთვე. პროდუქტიული კაპიტალის ზრდა შეიცავს თავისში კაპიტალების დაგროვებასა და კონცენტრაციას. კაპიტალების ცენტრალიზაცია იწვევს შრომის უფრო მეტად დანაწილებას და მანქანების უფრო მეტად გამოყენებას. შრომის უფრო დიდი დანაწილება სპობს შრომის სპეციალობას, სპობს მუშის დახელოვნებას, და, აყენებს რა ამ სპეციალობის ადგილას ისეთ შრომას, რომლის შესრულება ყველას შეუძლია, იგი აძლიერებს მუშებს შორის კონკურენციას.

ეს კონკურენცია ძლიერდება მით უფრო, რომ შრომის დანაწილება მუშას საშუალებას აძლევს მას, ერთმა, შეასრულოს სამის საქმე.

მანქანა იმავე შედეგს წარმოშობს უფრო დიდი მასშტაბით. პროდუქტიული კაპიტალის ზრდა, აიძულებს რა სამრეწველო კაპიტალისტებს იმუშაონ უფრო და უფრო დიდი საშუალებებით, ანადგურებს წვრილ მრეწველებს და ისვრის მათ პროლეტარიატში. შემდეგ, მცირდება რა სარგებლის ნორმა კაპიტალების დაგროვების მიხედვით, წვრილი რენტიერები, რომელთაც თავიანთი რენტით ცხოვრება აღარ შეუძლიათ, იძულებული ხდებიან მრეწველობას მიმართონ და ამგვარად პროლეტართა რიცხვი გაამრავლონ.

დასასრულ, რაც უფრო მატულობს პროდუქტიული კაპიტალი, მით უფრო იძულებულია იგი ბაზრისთვის აწარმოოს, რომლის მოთხოვნილებას არ იცნობს, მით უფრო წინ უძღვის წარმოება მოხმარებას, მით უფრო ცდილობს მიწოდება აიძულოს მოთხოვნა, და, ამიტომ, მატულობს კრიზისები ინტენსივობითა და სისწრაფით. მაგრამ ყოველი კრიზისი, თვის მხრივ, აჩქარებს კაპიტალების ცენტრალიზაციას და ამრავლებს პროლეტარიატს.

ამგვარად, რაც უფრო იზრდება პროდუქტიული კაპიტალი, მით უფრო იზრდება კონკურენცია მუშებს შორის და—იზრდება უფრო დიდი პროპორციით. შრომის სასყიდელი კლებულობს ყველასთვის [illegible] ზოგიერთი მატულობს ზოგიერთთათვის.

1829 წელს მანჩესტერში იყო 1.088 მრთველი, რომელნიც 36 ფაბრიკაში მოსაქმეობდენ. 1841 წელს იყო მხოლოდ 448, და ეს მუშები 53.353-ით მეტ თითისტარს ემსახურებოდენ, ვიდრე 1829 წლის 1088 მუშა. ხელით შრომას რომ ემატნა საწარმოო ძალის პროპორციულად, მუშების რიცხვი 1.848-მდე უნდა ასულიყო, ასე რომ ტეხნიკურმა გაუმჯობესებამ 1.100 მუშას წაართვა სამუშაო.

ჩვენ წინდაწინვე ვიცით ეკონომისტების პასუხი. ეს სამუშაოს მოკლებული ადამიანები, ამბობენ ისინი, სხვა სამუშაოს იშოვიან. ბ-ნმა დ-რ ბ ა უ რ ი ნ გ მ ა შემთხვევა არ გაუშვა კვლავ მოეყვანა ეს არგუმენტი ეკონომისტთა კონგრესზე, მაგრამ მან შემთხვევა არ გაუშვა იმისაც, რომ თვითონვე დაერღვია თავისი აზრი.

1833 წელს ბ-ნმა დ-რ ბ ა უ რ ი ნ გ მ ა სიტყვა წარმოსთქვა თემთა პალატაში ლონდონის 50.000 ფეიქრის შესახებ, რომელნიც დიდი ხანია უსაქმობით იხოცებიან ისე, რომ ვერ უპოვიათ ის ახალი სამუშაო, რომელსაც ფრიტრედერები ჰპირდებიან მერმისისათვის.

ჩვენ მოვიყვანთ უფრო დამახასიათებელ ადგილებს ბ-ნი დ-რ ბ ა უ რ ი ნ გ ი ს სიტყვიდან.

„ხელით მომუშავე ფეიქრების გაჭირვება, ამბობს იგი, აუცილებელი ბედია ყოველგვარი შრომის, რომელიც ადვილად შეისწავლება და რომლის შენაცვლება ყოველ წამს შეიძლება უფრო ნაკლებ ძვირი საშუალებებით. ვინაიდან ამ შემთხვევაში კონკურენცია მუშებს შორის უაღრესად დიდია, მოთხოვნის სულ უმნიშვნელო შემცირება კრიზისს იწვევს. ხელით მომუშავე ფეიქრები, ასე ვთქვათ, ადამი-

ანთა არსებობის საზღვარზე არიან დაყენებული. ერთი ნაბიჯი კიდევ და—მათი არსებობა შეუძლებელი ხდება. სულ მცირე შერყევა კმარის მათ დაღუპვის გზაზე /გადასასროლად. ტეხნიკის წინსვლა, რომელიც უფრო და უფრო აუქმებს ხელით შრომას, აუცილებლად იწვევს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მრავალ დროებით ტანჯვას. ეროვნული კეთილდღეობა რამდენიმე ინდივიდუალური გაჭირვების საფასით შეისყიდება მხოლოდ. წინსვლა მრეწველობაში მხოლოდ ნელი ადამიანების ხარჯზე ხდება, და ყველა გამოგონებათაგან ორთქლის საქსოვი დაზგა არის ის, რომელიც უდიდესი სიმძიმით აწვება ხელით მომუშავე ფეიქრებს. უკვე მრავალ საგანთა დამზადების საქმეში, რომელთაც ხელით აკეთებდენ, ფეიქარი დამარცხებულ იქნა, მაგრამ იგი კიდევ ბევრ საგანთა დამზადების საქმეში დამარცხდება, რომლებიც ჯერ კიდევ ხელით კეთდება.

„მე ხელთ მაქვს, ამბობს იგი სხვა ადგილას, გენერალ-გუბერნატორის მიწერმოწერა აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიასთან. ეს მიწერმოწერა შეეხება დაკას ოლქის ფეიქრებს. გუბერნატორი ამ წერილებში ამბობს: რამდენიმე წლის წინად აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია 8-9 მილიონ ცალ ჩითს იღებდა, რომელიც ადგილობრივ ხელის დაზგებზე იყო მოქსოვილი; მისი მოთხოვნა თანდათან დაეცა და დაახლოებით ერთ მილიონ ცალზე დავიდა.

„ამჟამად იგი თითქმის სრულიად არ არის. კიდევ მეტი. 1800 წელში ჩრდილო-ამერიკამ დაახლოებით 800.000 ცალი ჩითი წაიღო ინდოეთიდან. 1830 წელში 4.000 არც კი წაუღია. დასასრულ, 1800 წელში გემებზე დატვირთულ იქნა ერთი მილიონი ცალი ჩითი პორტუგალიაში წასაღებად. 1830 წელში კი პორტუგალიას 20.000-ზე მეტი არ წაუღია.

„ცნობები ინდოელ ფეიქართა გაჭირვების შესახებ საშინელია; და რა იყო ამ გაჭირვების მიზეზი?

„ინგლისის პროდუქტების გამოსვლა ბაზარზე; პროდუქტის წარმოება ორთქლის საქსოვი დაზგის საშუალებით.

„ფეიქრების დიდი წილი დაიხოცა უმუშევრობის გამო; დანარჩენები სხვა სამუშაოს, განსაკუთრებით სასოფლო სამუშაოს, დაადგენ. თავისი მოსაქმეობის გამოუცვლელობა სიკვდილის კერძად გახდომას მოასწავებდა. და ამჟამად დაკას ოლქი ავსებულია ინგლისური ძაფით და ქსოვილებით. დაკას მუსლინიც, რომელიც მთელ მსოფლიოში განთქმული იყო თავისი სილამაზით და ქსოვილის სიმტკიცით, გაჰქრა ინგლისის მანქანების კონკურენციის გამო. მრეწველობის მთელს ისტორიაში ძნელად რომ იპოვებოდეს იმ ტანჯვის მსგავსი, რომელიც ამგვარად განიცადეს მთელმა კლასებმა აღმოსავლეთ ინდოეთში".

ბ-ნი დ-რ ბ ა უ რ ი ნ გ ი ს სიტყვა მით უფრო ყურადღების ღირსია, რომ მასში მოხსენებული ფაქტები სწორია და ის ფრაზები, რომლებითაც იგი მათ მიფუჩეჩებას ცდილობს, სრულიად ფარისევლურ ხასიათს ატარებს, როგორც ფრიტრედერების ყველა ქადაგება. იგი მუშებს სახავს წარმოების საშუალებებად, რომლებიც წარმოების ნაკლებ ძვირი საშუალებებით უნდა იქნენ შენაცვლებული. იგი ისე გვაჩვენებს, თითქოს იმ შრომაში, რომელზედაც ლაპარაკობს, იგი ხედავდეს სრულიად საგამონაკლისო შრომას და მანქანაშიაც, რომელმაც ფეიქრები გასრისა, ასევე საგამონაკლისო მანქანას. იგი ივიწყებს, რომ არ არსებობს არც ერთი ისეთი ხელით შრომა, რომელსაც არ შეიძლებოდეს ფეიქრების ბედი ეწიოს ერთ დღეს.

„მექანიზმის ყოველი გაუმჯობესების მუდმივი მიზანი და ტენდენცია ნამდვილად იმაში მდგომარეობს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად ჩამოიშოროს ადამიანის შრომა ან შეამციროს მისი ფასი სრულწლოვანი მუშა-მამაკაცების სანაცვლოდ ქალებისა და ბავშვების გამოყენებით, ანდა დახელოვნებული მუშების ნაცვლად — შავი მუშების გამოყენებით. უმრავლეს სართავ ფაბრიკებში, სადაც [illegible] მრთველი მანქანებით, ინგლისურად — throstle-mills-ად წოდებულით, მუშაობენ, რთვას მთლიანად ასრულებენ ქალიშვილები თექვსმეტის და ნაკლები წლისა. ჩვეულებრივი სართავი დაზგის (mull-jenny) შენაცვლებამ ავტომატური mull-jenny-ით შედეგად მოიტანა მრთველთა უმრავლესობის დათხოვნა და ბავშვებისა და მოზარდების დატოვება".

თავგამოდებული ფრიტრედერის, ბ-ნი დ-რ ი უ რ ი ს (Ure), ეს სიტყვები იმის დამატებად გამოდგება, რაც ბ-ნმა ბ ა უ რ ი ნ გ მ ა აღიარა. ბ-ნი ბ ა უ რ ი ნ გ ი ლაპარაკობს ზოგ ინდივიდუალურ გაჭირვებაზე და ამბობს იმავე დროს, რომ ეს ინდივიდუალური გაჭირვება მთელ კლასებს ანადგურებს; ლაპარაკობს შესახებ დროებითი გაჭირვებისა გარდამავალ პერიოდში და იმავე დროს არ მალავს, რომ ეს დროებითი გაჭირვება უმრავლესობისთვის სიკვდილის კერძად გახდომას მოასწავებდა და დანარჩენებისთვის — იმაზე უარეს მდგომარეობაში მოქცევას, რომელშიაც უწინ იყვნენ. თუ იგი, შემდეგ, ამბობს, რომ ამ მუშების გაჭირვება განუყრელია სამრეწველო წინსვლისგან და აუცილებელია ეროვნული კეთილდღეობისთვის, ამით იგი მარტოოდენ იმას ამბობს, რომ მშრომელი კლასის გაჭირვება შეადგენს ბურჟუაზიული კლასის კეთილდღეობის პირობას.

ბ-ნი ბ ა უ რ ი ნ გ ი ს ერთობლივ უხვი ნუგეშისცემა მუშებისა, რომლებიც იღუპებიან, და, საზოგადოდ, ფრიტრედერების მთელი მოძღვრება კომპენსაციისა ნიშნავს, შემდეგს:

თქვენ, ათასობით მუშებო, რომელნიც ილუპებით, ნუ იდარდებთ. თქვენ შეგიძლიათ მშვიდად მოკვდეთ. თქვენი კლასი არ მოისპობა. იგი ყოველთვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი იქნება, რათა კაპიტალს შეეძლოს მისი განადგურება, ისე რომ მას შიში არ ჰქონდეს მისი მოსპობის. ან კი, როგორ უნდა ჰპოვოს კაპიტალმა სასარგებლო გამოყენება, თუ იგი მუდამ მზრუნველობას არ გასწევს საექსპლოატაციო მასალის, მუშების, შესანარჩუნებლად, რათა ხელახლა შეეძლოს მათი ექსპლოატაცია?

მაგრამ საჭიროა კიდევ ასახსნელ პრობლემად დაისვას ის გავლენა, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობა მოახდენს მუშათა კლასის მდგომარეობაზე?

ყველა კანონი, რომელიც ეკონომისტებმა, კ ე ნ ე დ ა ნ დაწყებული რ ი კ ა რ დ ო მ დ ე, ჩამოაყალიბეს, იმის გულისხმობის მიხედვითაა დამყარებული, რომ ის დაბრკოლებანი, რომელნიც ჯერ კიდევ ბორკავენ ვაჭრობის თავისუფლებას, აღარ არსებობენ. ეს კანონები დამტკიცებას პოულობს, რამდენადაც თავისუფალი ვაჭრობა ხორციელდება.

ამ კანონებში პირველი არის ეს, რომ კონკურენციას ყოველი საქონლის ფასი მისი წარმოების ხარჯების მინიმუმზე დაჰყავს. ამგვარად, ხელფასის მინიმუმი არის შრომის ბუნებრივი ფასი. და რა არის ხელფასის მინიმუმი? სწორედ ის, რაც საჭიროა მუშის შენახვისთვის აუცილებელ საგანთა საწარმოებლად, რათა მუშას შეეძლოს ავად თუ კარგად კვება და საჭიროებისამებრ თავისი მოდგმის გამრავლება.

ნუ ვიფიქრებთ ამის გამო, რომ მუშას მხოლოდ ეს ხელფასის მინიმუმი ექნება, ნურც იმას ვიფიქრებთ, რომ მას ეს ხელფასის მინიმუმი ყოველთვის ექნება.

არა, მუშათა კლასი, ამ კანონის თანახმად, ხანდახან უფრო ბედნიერი იქნება. ხან მას მინიმუმზე მეტი ექნება; მაგ-

რამ ეს მეტი იმის სამაგიერო იქნება, რაც მას მინიმუმზე ნაკლები ექნება მრეწველობის შეფერხების დროს. ეს ნიშნავს: განსაზღვრულ დროის ნაკვეთში, რომელიც ყოველთვის პერიოდულია, მრეწველობის იმ წრებრუნვაში, რომელშიაც იგი, მრეწველობა, თანამიმდევნობით გადის აყვავების, ჭარბი წარმოების, შეფერხების, კრიზისის ფაზებს, თუ ყველაფერს ვიანგარიშებთ, რასაც მუშათა კლასი მინიმუმზე მეტს ან ნაკლებს მიიღებს, ვნახავთ, რომ მას საერთოდ მინიმუმზე არც მეტი და არც ნაკლები მიუღია; ე. ი. მუშათა კლასი, როგორც კლასი, შეინარჩუნებს ამ გზით, რომ იგი მრავალ უბედურებასა და გაჭირვებას განიცდის და სამრეწველო ბრძოლის ველზე მრავალ მკვდარს დასტოვებს. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? კლასი განაგრძობს არსებობას, ამაზე მეტიც: იგი მოიმატებს.

ეს კიდევ არაა ყველაფერი. მრეწველობის წინსვლა წარმოშობს ნაკლებად ძვირ საარსებო საშუალებებს. ასე, არაყმა ლუდის, ბამბამ მატყლისა და სელის და ქართობილმა პურის ადგილი დაიჭირა.

ამიტომ, რახან ყოველთვის პოულობენ საშუალებას ნაკლებად ძვირი და უფრო უვარგისი საგნებით შრომის გამოსაკვებად, ხელფასი მუდამ კლებაში არის. თუ თავში ეს ხელფასი ადამიანს ამუშავებდა, რათა მას ეცოცხლნა, ბოლოს იგი მას აცოცხლებს, მაგრამ—აცოცხლებს მანქანისებურად. ადამიანის არსებობას სხვა ღირებულება აღარა აქვს რა, გარდა უბრალო საწარმოო ძალის ღირებულებისა, და კაპიტალისტიც მას ამისდაგვარად ეპყრობა.

შრომა-საქონლის, ხელფასის მინიმუმის ეს კანონი გამართლდება იმ ზომისად, რამდენადაც ეკონომისტების მიერ ნაგულისხმევი, ე. ი. თავისუფალი ვაჭრობა, სინამდვილე, ფაქტი გახდება. ამგვარად, ორში ერთი: ან უარყოფილი უნდა იქნეს მთელი პოლიტიკური ეკონომია, თა-

ვისუფალი ვაჭრობის გულისხმობაზე დაფუძნებული, ანდა აღიარებული უნდა იქნეს, რომ თავისუფალი ვაჭრობის დროს მუშები განიცდიან ეკონომიური კანონების მთელ სისასტიკეს.

რათა დავასკვნათ: რა არის, მაშასადამე, თავისუფალი ვაჭრობა საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობაში? იგი კაპიტალის თავისუფლებაა. როდესაც თქვენ მოსპობთ იმ რამდენსამე ეროვნულ დაბრკოლებას, რომელიც ბორკავს კიდევ კაპიტალის მსვლელობას, თქვენ ამით მხოლოდ გაანთავისუფლებთ მის მოქმედებას. ვიდრე თქვენ არსებობას უტოვებთ დამოკიდებულებას დაქირავებულ შრომასა და კაპიტალს შორის, რაგინდ საუკეთესო ხელსაყრელ პირობებში სწარმოებდეს საქონელთა შორის გაცვლა-გამოცვლა, ყოველთვის იქნება ერთი კლასი, ექსპლოატაციის მწარმოებელი, და კლასი კიდევ, ექსპლოატაციაქმნილი. ჭეშმარიტად ძნელი გასაგებია ფრიტრედერების პრეტენზია, რომელთაც წარმოუდგენიათ, რომ კაპიტალის უფრო ხელსაყრელი გამოყენება მოსპობს ანტაგონიზმს სამრეწველო კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებს შორის. სრულიად წინააღმდეგ. იმას მხოლოდ ის შედეგი ექნება, რომ ამ ორ კლასს შორის წინააღმდეგობა უფრო მკაფიოდ გამოისახება.

იგულისხმეთ ერთი წუთით, რომ აღარ არსებობს სახორბლო კანონები, არც საბაჟოები, არც საჰიშკრო ბაჟები, რომ, ერთის სიტყვით, სრულიად მოსპობილია ყველა შემთხვევითი გარემოება, რომელიც მუშას შეუძლია მიიჩნიოს თავისი უბადრუკი მდგომარეობის მიზეზად: თქვენ ნახავთ, რომ დახეულ იქნა ფარდები, რომლებიც მუშას მის ნამდვილ მტერს უფარავს.

მუშა დაინახავს, რომ განთავისუფლებული კაპიტალი მას ნაკლებ არ აქცევს მონად, ვინემ საბაჟოებით შევიწროებული კაპიტალი.

ბატონებო! თავს ნუ დააფრთხობინებთ განყენებული სიტყვით: თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა. თავისუფლება ვისი? ეს არ ნიშნავს ერთი ინდივიდუუმის თავისუფლებას მეორე ინდივიდუუმის წინაშე. ეს ნიშნავს კაპიტალის მიერ მუშის გასრესის თავისუფლებას.

რანაირად გსურთ თქვენ კიდევ კონკურენციის სანქცია მისცეთ ამ თავისუფლების იდეით, როდესაც ეს თავისუფლება შედეგია მხოლოდ თავისუფალ კონკურენციაზე დამყარებული მდგომარეობის?

ჩვენ ვნახეთ, თუ რა ძმობაა ის ძმობა, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობა წარმოშობს ერთი და იმავე ერის სხვადასხვა კლასებს შორის. ძმობა, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობა მსოფლიოს სხვადასხვა ერებს შორის დაამყარებდა, არ იქნებოდა უფრო ძმური. კოსმოპოლიტური სახის ექსპლოატაციის აღნიშვნა საყოველთაო ძმობის სახელწოდებით,—ეს არის იდეა, რომელიც მხოლოდ ბურჟუაზიის წიაღში შეიძლებოდა წარმოშობილიყო. ყველა ის დამრღვევი მოვლენანი, რომელთაც თავისუფალი კონკურენცია წარმოშობს ამა თუ იმ ქვეყნის შიგნით, უფრო უზარმაზარი მასშტაბით მეორდებიან მსოფლიო ბაზარზე. საჭირო არაა მეტ ხანს შევჩერდეთ იმ საფუძვლებზე, რომელთაც ამ საგნის შესახებ იმეორებენ ფრიტრედერები და რომელნიც სწორედ ჩვენი სამი პრემიამისჯილის — ბ-ნთ ჰ ო პ ი ს, მ ო რ ს ი ს და გ რ ე გ ი ს—არგუმენტებად ღირან.

ჩვენ გვეუბნებიან, მაგალითად, რომ თავისუფალი ვაჭრობა წარმოშობდა შრომის საერთაშორისო დანაწილებას, რომელიც თითოეულ მხარეს მიაკუთვნებდა იმ წარმოებას, რაც მის ბუნებრივ უპირატესობასთან იქნებოდა ჰარმონიულად შეგუებული.

იქნებ თქვენ ფიქრობთ, ბატონებო, რომ ყავისა და შაქრის წარმოება ბუნებრივი ხვედრია დასავლეთ ინდოეთისა.

ორი საუკუნის წინად ბუნებას, რომელიც ვაჭრობისთვის თავს არ იტკივებს, არც ყავის ხეები ჰქონდა იქ დარგული და არც შაქრის ლერწამი. და იქნებ ნახევარი საუკუნის გასვლამდეც კი თქვენ იქ აღარ ჰქონდეთ არც ყავა და არც შაქარი, ვინაიდან აღმოსავლეთ ინდოეთმა უკვე დაიწყო იაფი წარმოებით ძლევამოსილად ბრძოლა დასავლეთ ინდოეთის ამ ვითომდა ბუნებრივი ხვედრის წინააღმდეგ. და ეს დასავლეთ ინდოეთი მისი ბუნებრივი სიმდიდრითურთ უკვე ისევე მძიმე ტვირთადაა გამხდარი ინგლისისთვის, როგორც დაკას ფეიქრები, რომელთა აგრეთვე ხვედრი ქამთა დასაბამიდან ის იყო, რომ ექსოვათ ხელით.

ერთი რამ კიდევ, რაც არასოდეს არ უნდა იქნეს მხედველობიდან გაშვებული: ეს ის, რომ, ვინაიდან ყველაფერი მონოპოლიადაა გადაქცეული, დღეს მოიპოვება რამდენიმე სამრეწველო დარგი, რომელიც ბატონობს სხვებზე, და იმ ხალხს, რომელიც უპირატესად ამ დარგებს აწარმოებს, უზრუნველყოფს ბატონობას მსოფლიო ბაზარზე. ამ გზითაა, რომ მარტო ბამბას ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო აღებმიცემობაში, ვიდრე ტანისამოსის დასამზადებლად ხმარებულ ყველა ნედლ მასალას, ერთად აღებულს. ქეშმარიტად სასაცილოა, როდესაც ფრიტრედერები თითოეულ სამრეწველო დარგში რამდენსამე სპეციალობას გამოარჩევენ, რათა სასწორზე დასდონ ყოველდღიური მოხმარების საგანთა პირისპირ, რომლებიც ყველაზე უფრო იაფად იმ ქვეყნებში იწარმოება, სადაც მრეწველობა უაღრესად განვითარებულია.

ჩვენ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ფრიტრედერებს არ ძალუძთ გაიგონ, თუ როგორ შეუძლია ერთ ქვეყანას მეორის ხარჯზე გამდიდრება, ვინაიდან ამ ვაჟბატონებს არც იმის გაგება სურთ, თუ ერთი ქვეყნის შიგნით როგორ შეუძლია ერთ კლასს მეორე კლასის ხარჯზე გამდიდრდეს.

არ იფიქროთ, ბატონებო, რომ ჩვენ, როდესაც ვაჭრობის თავისუფლების კრიტიკას ვეწევით, განზრახვა გვქონდეს მფარველობითი საბაჟო სისტემა დავიცვათ.

ვინც კონსტიტუციურ წყობილებას ებრძვის, ამით თავს არ აცხადებს აბსოლუტიზმის მეგობრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას გარდა, მფარველობითი საბაჟო სისტემა მარტოოდენ საშუალებაა განსაზღვრულ ხალხში მსხვილი მრეწველობის დასამყარებლად, ე. ი. იმ ხალხის გადასაქცევად მსოფლიო ბაზარზე დამოკიდებულად; და იმ მომენტიდან, როდესაც იგი დამოკიდებულია მსოფლიო ბაზარზე, მეტნაკლებ უკვე დამოკიდებულია თავისუფალ ვაჭრობაზე. შემდეგ: მფარველობითი საბაჟო სისტემა ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას ამა თუ იმ ქვეყნის შიგნით. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზია, როგორც კლასი, .გავლენის მოპოებას იწყებს, მაგალითად, გერმანიაში, იგი ძალიან ცდილობს მფარველობითი ბაჟების შემოღებას. ეს ბაჟები მისთვის იარაღია ფეოდალიზმისა და აბსოლუტური სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ, ეს მისთვის საშუალებაა თავის ძალთა საკონცენტრაციოდ და იმავე ქვეყნის შიგნით თავისუფალი ვაჭრობის განსახორციელებლად.

მაგრამ საზოგადოდ ამ ჩვენს დროში მფარველობითი საბაჟო სისტემა კონსერვატიულია, მაშინ როდესაც თავისუფალი ვაჭრობის სისტემა დამრღვევად მოქმედებს. იგი არღვევს ძველ ეროვნებათ და უკიდურესობამდე მიჰყავს ანტაგონიზმი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ერთის სიტყვით, თავისუფალი ვაჭრობის სისტემა აჩქარებს სოციალურ რევოლიუციას. მხოლოდ ამ რევოლიუციონური აზრითაა, ბატონებო, რომ მე ხმას ვიძლევი თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საძიებელი და შენიშვნები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საძიებელი და შენიშვნები

### ა


აბსოლუტური გონება,—176, 177, 180—183.
აბსოლუტური იდეა (პრუდ.),—31, 34.
აბსოლუტური მეთოდი,—168.
აბსოლუტური მონარქია,—254.
აბსოლუტური სახელმწ. წყობილება,—286.
აბსტრაქტული კატეგორია,—195.
აბსტრაქცია,—ები,—19, 36, 37, 40, 77, 81, 166, 167, 195.
აბსტრაქცია მოძრაობის,—168.
აბსტრაქცია მოძრაობის: უმოძრაოა,—172.
ავანსად გაღებული კაპიტალი,—9.
ავტომატური სართავი მანქანა (Selfacting mule),—247.
ავტომატური სისტემა,—213—215.
ავტომატური ფაბრიკა,—212, 213, 216.
ავტორიტეტის პრინციპი,—178.
აზია,—32, 196.
ათი საათის ბილი,—270, 273. — ინგლისში, მსხვილი მრეწველობის განვითარების პირველ პერიოდში, ფართოდ გავრცე-; ლებული იყო მუშების შეუზღუდველი ექსპლოატაცია ქალები და ბავშვები ხან განუწყვეტლივ დღე და ღამ მუშაობდენ, ვიდრე დაღლილობისგან არ წაიქცევოდენ. სახელმწიფო იძულებული გახდა მიეღო ზომები ამ საშინელი ექსპლოატაციის ასალაგმავად. მაგრამ ეს ზომები საკმარისი არ იყო, და მალე იწყეს მათი გვერდის ახვევა. მე-XIX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა რამდენიმე ფილანტროპის ხელმძღვანელობით ლიგა, რომე-

ლიც მოითხოვდა სამუშაო დღის ათი საათით შეზღუდვას საკანონმდებლო გზით. ათი საათის სამუშაო დღისთვის აგიტაციას ძალიან მხარს უჭერდენ მემამულეები, რომელნიც იმ დროს სასტიკ ბრძოლას აწარმოებდენ სამრეწველო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მემამულეების დახმარების წყალობით 10 საათიანი სამუშაო დღის ბილი 1847 წელს მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ. ეს ბილი 10 საათით ზღუდავდა ქალებისა და 18 წელზე ნაკლები ხნის მოზარდთა სამუშაო დროს. მაგრამ, რადგან ქალები, მოზარდები და ბავშვები ფაბრიკებში მომუშავეთა დიდ ნაწილს შეადგენდენ, შედეგი ამისა იყო ის, რომ ფაბრიკებს საზოგადოდ მხოლოდ 10 საათს შეეძლოთ მუშაობა. ბილმა, ყველა მისი ნაკლისა და ცხოვრებაში არა სისრულით გატარების მიუხედავად, დიდი როლი შეასრულა ინგლისის მუშების ფიზიკური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

A la bonne heure! (რაც კარგია,—კარგია!),—248 .
ამაღლა ფეოდალური მებატონეებისა,—207.
ამერიკა,—18, 32, 174, 196, 206, 278.
ამერიკის აღმოჩენა, — 206. — ამერიკის აღმოჩენამ 1492 წ. კოლუმბის მიერ ფრიად დიდი ცვლილებები შეიტანა ევროპის სამეურნეო ცხოვრებაში. ამ აღმოჩენით გამოწვეულ სავაჭრო გზების ცვლილებას და საოკეანო ვაჭრობის შექმნას შედეგად მოჰყვა კავშირგაბმულობის გაფართოება ევროპის ქვეყნებსა და მსოფლიოს სხვა ნაწილებს შორის. ევროპაში, ამას გარდა, დაიწყო სწრაფი ზრდა ოქრო-ვერცხლის მარაგისა, რომელსაც ამერიკიდან ეზიდებოდენ. მე-XVI საუკუნეში ძვირფას ლითონთა მარაგის რაოდენობა ევროპაში 3-4 ჯერ გაიზარდა მე-XV საუკუნესთან შედარებით. ამოღებული ოქრო-ვერცხლის ღირებულება 26 მილიარდ მარკას შეადგენდა მე-XVII საუკუნეში ნაცვლად 2 მილიარდისა მე-XV საუკუნის დასასრულს. ამასთან, ამერიკის წილად მოდიოდა მე-XVI საუკუნის ნახევარში მთელი ამოღების $^{3}/_{12}$, ხოლო მე-XVII საუკუნეში—$^{10}/_{12}$. ევროპის ამ ავსებამ ძვირფასი ლითონებით, რასაც თან არ ახლდა საქონელთა მასის საკმარისი გადიდება, გამოიწვია საქონელთა ფასის დონის საშინელი ამაღლება. მე-XVI

საუკუნეში პურის ფასმა აიწია 200%-ით, ხოლო სხვა საქონელთა ფასებმა—500—600%-ით. ფასების რევოლუციამ, როგორც ამ პროცესს [illegible] ფაქტორიაში, იქონია დამრღვევი გავლენა ფეოდალურ მეურნეობაზე. ერთის მხრივ, მან ხელი შეუწყო [illegible] კაპიტალთა დაგროვებას მცირეოდენთა ხელში, მეორეს მხრივ,— გამოიწვია ხელოსანთა და გლეხთა თვალსაჩინო მასების გაღატაკება. ამგვარად, ამერიკის აღმოჩენამ, რომელთანაც დაკავშირებული იყო მსოფლიო ვაჭრობის გაფართოება და ფასების რევოლუცია, დააჩქარა წინნამძღვართა მომზადება სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისათვის.

ამქრები, — 187, 208, 217, 219—221 (იხ. აგრეთვე „კორპორაციები, გილდები და ამქრები").—საშუალო საუკუნეების ამქართა წესდებები სასტიკად ზღუდავდა ხელოსნების,—ამქრის წევრების, სამეურნეო საქმიანობას. წესდებით ოსტატს აკრძალული ჰქონდა განსაზღვრულ რიცხვზე მეტი ქარგლებისა და შეგირდების ყოლა; აგრეთვე აკრძალული ჰქონდა წარმოების გაფართოება. ამ ღონისძიებებით თავიდან აცილებული უნდა ყოფილიყო ბაზარზე საქონელთა ჭარბი მიწოდების შესაძლებლობა და მოსპობილი უნდა ყოფილიყო კონკურენცია. ეკონომიური განვითარების პროცესის თვალსაზრისის მიხედვით ეს წესდებები უაღრესად რეაქციონური იყო, რადგან აბრკოლებდა წარმოების დიფერენციაციას და გამსხვილებას.

ამქრული წყობილება,—32.

ანარქია წარმოებისა.—116.

Anderson: „Histoire du commerce",—75 (ავტორი, ინგლისელი, ცხოვრობდა მე-XVIII საუკუნეში,—1692—1765 წ. წ.).

ანენკოვი პ. ვ., (1812—1887),—26,—რუსი მწერალი, რომელმაც ბევრი იმგზავრა ევროპაში; შეხვედრია მე-XIX საუკუნის ევროპის ბევრ გამოჩენილ კომუნისტს. ცნობილი მცოდნე პუშკინისა. თავის მოგონებებში აწერილი აქვს თავისი შეხვედრები მარქსთან და ენგელსთან.

ანტაგონიზმთა სისტემა,—37.

ანტაგონიზმი,—38, 43, 192.

ანტაგონიზმი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის,—256, 286.

ანტაგონიზმი კლასთა,—14, 106—109, 130, 15Չ, 188, 255—257.

ანტაგონიზმი კლასობრივი,—256.

ანტაგონისტური ინტერესები,—189.

ანტითეზი,—34, 76, 77, 166, 169, 170, 172, 182, 201, 202, 209, 225.

Anti-corn-law-league — სახორბლო კანონის საწინააღმდეგო ლიგა,—268, 271.

ანტინომია,—ები,—9, 49, 52, 83, 84, 85, 153, 182.—ანტინომიას კანტი აუხსნელადს წინააღმდეგობას უწოდებს, რომელშიაც ვარდება ადამიანის აზროვნება, როდესაც ცდილობს ახსნას მეტაფიზიკური პრობლემები, როგორიცაა საკითხები ქვეყნიერობის სასრულობისა, სულის უკვდაობისა და სხვ.

ანტინომია ღირებულების,—153.

ანტიური საზოგადოება,—53. (იხ. აგრეთვე: „ფეოდალური საზოგადოება", „ბურჟუაზიული საზოგადოება"). მარქსი გაარჩევს სამ საზოგადოებრივ ფორმაციას, რომლებიც კლასთა დანაწილებაზეა დამყარებული. პირველი ფორმაცია, ანტიური საზოგადოება, დამყარებული იყო მონურ შრომაზე, ხასიათდებოდა უშუალო და შეუზღუდველი ბატონობისა და დამორჩილების ურთიერთობით მაღალ კლასებსა და დაბალთა (მონათა) შორის, ამასთანავე საწარმოო იარაღები და საშუალებები მხოლოდ და მხოლოდ მ ღალი კლასების ხელში იყო მოგროვილი.—მეორე ფორმაცია, ფეოდალური საზოგადოება, დაფუძნებული იყო ბატონყმურ შრომაზე. ბატონური ურთიერთობა ფეოდალსა და ყმებს შორის უშუალო ბატონობასა და დამორჩილებაზე იყო დამყარებული. ფეოდალი მესაკუთრე იყო მიწის, რომელზედაც გლეხები ცხოვრობდენ. ყმებს შეეძლოთ საკუთრებად ჰქონოდათ საწარმოო იარაღები და თავიანთი შრომის ნაწილი. ფეოდალური საზოგადოება ხასიათდება, ერთის მხრივ, წვრილი გლეხური მეურნეობით და, მეორეს მხრივ ხელოსნური შრომით.—ფეოდალური საზოგადოების დაშლას მოჰყვა მესამე ფორმაცია, ბურჟუაზიული საზოგადოება. ეს უკანასკნელი დამყარებულია დაქირავებულ შრომაზე, ხასიათდება საწარმოო საშუალებების და იარაღების კერძო საკუთრებით და მონოპოლიზაციით კაპიტალის-

ტთა კლასის ხელში.—მარქსი, გარდა ამისა, გაარჩევდა კიდევ აზიურ საზოგადოებას, რომელიც წინ უძღოდა კლასობრივ ფორმაციებს. ეს საზოგადოება ხასიათდებოდა მიწის თემური საკუთრებით. მისი განმასხვავებელი თავისებურობა იყო წარმოების წესის უცვლელობა, რაც განსაზღვრავდა ამ ფორმაციის უძრაობას. აზიური საზოგადოების დაშლის საფუძველზე შემდეგში აღორძინდა ანტიური და ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილება.
ანტიური „საკუთრების ურთიერთობა“,—49.
არაკვალიფიციური შრომა,—96.
არისტოკრატები,—107.
არკრაიტი (Arkwright), რიჩარდ (1732—1792),—212.—პირველად იყო დალაქი, შემდეგ ხელი მოჰკიდა მექანიკას. 1768 წელს არკრაიტმა ააგო სართავი მანქანა, რომელშიაც შეიტანა მთელი რიგი გაუმჯობესებანი. მალე ამის შემდეგ დააარსა საკუთარი ფაბრიკა ნოტინგემში, შემდეგ—კრომფორდში წყლის მამოძრავებელით.
ასიგნობა ანუ მოწმობა ღირებულებისა (როდბ.),—15.
ასოციაცია,—126, 147, 222, 223, 227, 257.
„ დემოკრატიული,—264.
„ კლასების არშემცველი, რომელსაც დაამყარებს მშრომელი კლასი,—256.
„ პროდუქტიული (პრუდ.)—153.
Atkinson, W.: „Principles of Political Economy“, London 1840,—115—ატკინსონი, უილიამ,—ინგლისელი ეკონომისტი, რომელიც დაიბადა მე-XIX საუკუნის დასაწყისში. იგი გამოდიოდა კლასიკური სკოლის წინააღმდეგ, მიუთითებდა იმაზე, რომ ამ სკოლამ ვერ შესძლო მოსახლეობის საკითხის გადაჭრა, რომ მან ვერ გაიგო შინაური ვაჭრობის უპირატესობა საგარეო ვაჭრობის წინაშე. აქ აღნიშნული ნაწარმოები „Principles of Political Economy“ („პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“) მისი მთავარი თხზულებაა.
აუცილებელი სამუშაო დრო,—111.
აუცილებელი შრომა,—19.
„ სამუშაო დროის მინიმუმი განსაზღვრავს ღირებულებას. (იხ. „ღირებულება განისაზღვრება“),—112—113.

ალებმიცემობა,—140.

„ საერთაშორისო,—142, 143, 285.

ალმ.—ინდოეთი, 161, 207, 210, 278, 279, 285.

ალმ.—ინდოეთთან ვაჭრობა,—207.

ალმ.—ინდოეთის კომპანია,—278.

„ალწერილობითი მეთოდი“ (პრუდონის),—68, 70.

ახალი საწარმოო უნარი: იწვევს წარმოების წესის და ყველა ეკონომიურ ურთიერთობათა ცვლილებას,—30

ახალშენები (იხ. აგრეთვე კოლონიები),—32, 39, 196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბ.

Babbage: „Traité sur l‘économie des machines“ etc., Paris 1833,—209.—ბაბეჯი, ჩარლზ (1792—1871), იყო მათემატიკის პროფესორი კემბრიჯში. გარდა მათემატიკის და მექანიკისა, იგი მუშაობდა აგრეთვე ეკონომიურ საკითხებზე, განსაკუთრებით საკითხებზე შრომის დანაწილებისა (მანუფაქტურაში) და მანქანების გამოყენების შესახებ. მის მთავარ თხზულებას: „On the economy of mochinery and manufacture“ („მანქანებისა და მანუფაქტურის ეკონომია“), 1832 წ., არა ერთხელ იხსენიებს მარქსი.

ბავშვების მუშაობა,—211. —ბავშვთა შრომა ფართოდ გამოიყენებოდა მე-XVIII საუკუნეში და მე-XIX საუკუნის დასაწყისში. ზოგიერთ ქვეყნებში (ინგლისი, გერმანია) ბავშვები 4-5 წლიდან იწყებდენ მუშაობას; ამასთან, მუშაობას აიძულებდენ არა თუ საბავშვო სახლების აღსაზრდელ ბავშვებს, არამედ—ღარიბთა ყველა ბავშვთ. ბავშვთა შრომის წახალისებას აწარმოებდენ მთავრობა, ეკლესია და ფილანტროპები. გერმანიასა და ავსტრიაში მთავრობა პრემიას აძლევდა მანუფაქტურების პატრონებს თითოეული მანუფაქტურაში მომუშავე ბიჭისა და გოგოს თავზე. საქალაქო თვითმართველობანი ვალდებული იყვნენ ბავშვები წაერთმიათ მშობლებისათვის და თვალყური დაეჭირათ, რომ ბავშვებს მანუფაქტურები არ მიეტოვებიათ. მანუფაქტურებში მომუშავე ბავშვებს მძიმე პირობებში ინახავდენ, ჰყავდათ სპეციალურ სახლებში და 13—14 საათს ამუშავებდენ დღე-ღამეში. მრავალ კანონთა მიუხედავად, რომლებიც ბავშვთა შრომის მოსაწესრიგებლად გამოიცა, ფაქტიურად მოწესრიგება

დაიწყო მხოლოდ 1833 წელს, როდესაც მტკიცედ დადგენილ იქნა მოზარდი მუშის მინიმალური ასაკი (9 წელი) და სამუშაო დღის ხანგრძლივობა (8 საათი). 13—18 წლის მოზარდთათვის 12 საათიანი სამუშაო დღე იქნა დაწესებული.

ბაზარი,—19, 34, 110, 135, 142, 185, 207, 211, 238, 272, 276, 279.

„ მსოფლიო,—18, 32, 34, 211, 249, 253, 284—286.

ბაზრები გაცვლა-გამოცვლის (იხ. „გაცვლა-გამოცვლის ბაზრები"), —131.

ბალანსი სავაჭრო,—34, 176, 228, 229.

ბანკი,—გაცვლა-გამოცვლის,—131.

„ ეროვნული: როგორც საქონელთა წარმოებაზე დახარჯული სამუშაო დროის დამადასტურებელი (გრეი),—258.

„ბანკი სახალხო" („Banque du peuple"),—57.

ბაქები,—265, 267, 283.

„ მფარველობითი,—229, 264, 268.

ბარათი, შრომის დამადასტურებელი (როდბ.),—21.

ბასტია, ფრედერიკ (1801—1850),—58, — საფრანგეთის ეკონომისტი. ბასტია იყო მანჩესტერული სკოლის (თავისუფალი ვაჭრობის მომხრეთა) წარმომადგენელი საფრანგეთში. მის მიერ თავისუფალი ვაჭრობის დასაცავად დაწერილი სტატიები მოგროვილია წიგნში: „Les sophismes économiques" („ეკონომიური სოფიზმები", 1845 წ.). 1848 წ. ბასტია გამოვიდა სოციალიზმის წინააღმდეგ. ამ დროს ეკუთვნის მთელი რიგი მისი პამფლეტები,—სხვათა შორის, „მუქთი კრედიტი", რომელშიაც იგი პრუდონს ეკამათება კაპიტალის სარგებლის სამართლიანობის შესახებ. ბასტია ცდილობს დაამტკიცოს, რომ კერძო საკუთრების უფლება პროგრესიული და დემოკრატიულია. თავის მთავარ თხზულებაში „Harmonies économiques" („ეკონომიური ჰარმონიები") ბასტია უარჰყოფს დებულებას კაპიტალისტებისა და მუშების ეკონომიურ ინტერესთა ანტაგონიზმის შესახებ. იგი ამტკიცებს, რომ ეკონომიური ინტერესები, თავმინებებული, მიისწრაფვის ჰარმონიისადმი, უფრო მეტად და მეტად საზოგადოებრივი სიკეთისადმი, და რომ მთელი სიავე კონკურენციის თავისუფლების შეზღუდვიდან წარმოსდგება. ბასტია ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ყველაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უფრო გამოცხადებული წარმომადგენელია საფრანგეთში.

ბასტილია,—266.

ბატონობა კლასობრივი,—256.

ბატონყმობა,—187.

ბატონყმური შრომა,—8.

ბაურინგი (Bowring), ჯონ (1792—1872),—265, 270, 273, 277, 279, 280, — ინგლისელი ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე. იყო თავისუფალი ვაჭრობის მომხრე, წევრი თემთა პალატის, შემდეგ კონსული ჩინეთში (კანტონში), სადაც, ინგლისის დროშის შეურაცხყოფისთვის, ქალაქს ყუმბარები დაუშინა, რასაც შედეგად მოჰყვა ომი ინგლისსა და ჩინეთს შორის. ბაურინგი ცნობილია აგრეთვე როგორც სახალხო სიტყვიერების შემკრები.

ბერნშტეინი, ედ.,—1.

ბილეთი, შრომითი ღირებულების გამომსახველი,—14.

ბილი ათი საათის (იხ. „ათი საათის ბილი“),—129, 270, 273.

ბლანკი (Blanqui), ჟერომ-ადოლფ (1798—1854),—საფრანგეთის ეკონომისტი, რომელიც არ უნდა შეგვეცვალოთ მის ძმაში, ლუი ბლანკში, რომელიც ცნობილი რევოლიუციონერი და სოციალისტი იყო. ადოლფ ბლანკი იყო პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი პარიზში. განსაკუთრებით ცნობილი იყო მისი „პოლიტიკური ეკონომიის ისტორია“, რომელიც პირველად 1838 წ. გამოვიდა.

Bois-Guillebert: „Dissertation sur la nature des richesses“, édit. Daire.,—114.

ბოდო (Baudeau), აბატი ნიკოლა (1730—1792),—164,—ფრანგი ეკონომისტი, ფიზიოკრატების მომხრე. თავისი მთავარი ნაშრომით, რომელსაც „ეკონომიური ფილოსოფიის პირველი შესავალი“ ეწოდება, ბოდომ საპატიო ადგილი მოიპოვა კენეს მოწაფეებს შორის. ბოდომ დასწერა აგრეთვე კენეს „ეკონომიური ტაბულის ახსნა-განმარტება“.

ბოლტონი,—248, 249.

Bray: „Labours wrongs and labours remedy“, Leeds 1839,—4-5, 117, 263.

ბრაზილია,—38, 174.

ბრაიტი (Btight), ჯონ (1811—1889),—265,—ინგლისელი ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე. იყო პარლამენტის წევ-

რი (1843 წლიდან), მინისტრი გლადსტონის კაბინეტში (1868 წ.), თუმცა შემდეგში გადაუდგა გლადსტონის პოლიტიკას (წინაალმდეგი იყო ირლანდიის ავტონომიის), მაგრამ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ისევ შეურიგდა გლადსტონს. ბრაიტი მეთაური იყო თავისუფალი ვაჭრობის, სათავეში ედგა კობდენთან ერთად სახორბლო კანონის საწინაალმდეგო ლიგას, რომელი კანონის გაუქმებასაც მიაღწია კიდეც (1846 წ.).

ბრეი (Bray), დ. ფ.,—4, 13, 118, 122, 124—127, 130—131,—ცხოვრობდა მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში, იყო როპ. ოუენის მიმდევარი. ტომპსონის მსგავსად, მასაც სოციალისტური დასკვნები გამოჰყავდა რიკარდოს ღირებულების თეორიიდან. თავის შესანიშნავ ნაწარმოებში: „Labours wrongs and labours remedy“, Leeds 1839, („შრომის დაჩაგრულობა და მისი განკურნების საშუალება“) იგი ამტკიცებს, რომ ყველა უსამართლობა კერძო საკუთრების სისტემიდან გამომდინარეობს და ამიტომ აუცილებელია არსებული წესწყობილების სრული დამხობა. ყველანი უნდა მუშაობდნენ და თავიანთი შრომის მთელ პროდუქტს უნდა იღებდნენ.

ბრისო (Brissot), ჟან-პიერ (1754—1793),—50,—საფრანგეთის რევოლუციის ერთი მოღვაწეთაგანი. ძველი წესწყობილების დროს ბასტილიაში იყო ჩასმული მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ პამფლეტის დაწერისთვის. შემდეგ გადმესახლა ამერიკაში, სადაც, როგორც „ზანგთა მეგობრების საზოგადოების“ წარმომადგენელი, პროპაგანდას ეწეოდა მონობის წინააღმდეგ. 1789 წ. დაბრუნდა საფრანგეთში, სადაც თვალსაჩინო როლი შეასრულა რევოლუციაში და იყო კონვენტის წევრი. სხვა ჟირონდისტებთან ერთად ბრალი დასდეს რესპუბლიკის ღალატში და 1793 წელს სიკვდილით დასაჯეს. მისი თხზულებებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგს: „Recherches sur le droit de propriété et sur le vol“ („გამოკვლევა საკუთრების უფლებისა და ქურდობის შესახებ“); მან ჯერ კიდევ 1789 წლამდე გამოსთქვა ცნობილი დებულება: „La propriété c'est le vol“ („საკუთრება ქურდობაა“), რომელიც შემდეგში პრუდონმა გაიმეორა.

Brissot de Warville: „Recherches sur le droit de propriété et sur le

vol“ etc,, Berlin 1782 (მე-VI ტ. „Bibliothèque philosophique du législateur“ par Brissot de Warville),—50.
British Museum—ბრიტანეთის მუზეუმი,—5.
ბრიუსელი,—1, 5, 45, 63, 112, 264.
ბრძოლა კლასთა შორის: არის ბრძოლა პოლიტიკური,—254.
„ კლასობრივი,—254, 256.
„ საკონკურენციო,—227.
„ პოლიტიკური,—253.
ბუაგილბერი (Bois-Guillebert), პიერ (1646—1714),—114, 145,—საფრანგეთის ეკონომისტი. თავისი თეორიული შეხედულების მიხედვით იგი წინამორბედია ფიზიოკრატების; სასტიკ კრიტიკაში ატარებდა მერკანტილიზმს. იგი პროტესტს აცხადებდა ფულისა და სიმდიდრის გაიგივების წინააღმდეგ. სიმდიდრის წყაროდ იგი სთვლიდა პირველ რიგში მიწათმოქმედებას, რომელიც, ამიტომ, უნდა სარგებლობდეს კიდეც განსაკუთრებული მფარველობით სახელმწიფოს მხრივო.
ბუნებრივი და ნორმალური ფასი შრომისა,—103.
„ კანონები,—53.
„ მონოპოლია,—226.
„ ნორმა ფასებისა,—88.
„ ფასი,—89, 92.
„ ფასი სამუშაო ძალის,—93.
„ ფასი შრომის,—93, 281.
„ ფასი ხელფასისა,—94.
„ ღირებულება,—90.
ბურჟუა წვრილი,—45, 49, 55, 57, 58, 194.
„ წვრილი: დახასიათება,—59.
„ წვრილი: მისთვის სანატრელია საზოგადოება, სადაც პროდუქტთა შრომითი ღირებულების მიხედვით გაცვლა-გამოცვლა გამოუნაკლისო რეალობა იქნება,—10.
„ წვრილი: როგორ განიხილავს ისტორიის დიდ ადამიანებს,—173.
„ წვრილი: წინააღმდეგობაშია მთელი მისი არსება,—45.
ბურჟუათა კლასი,—189.
ბურჟუაზია,—84, 130, 160, 163, 187—192, 207, 229, 254, 255, 284 286.
„ კლასის სახით ჩამოყალიბებული,—254.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზია წვრილი,—45, 58.
ბურჟუაზიის მიერ გაბატონებული კლასის მდგომარეობის შენარჩუნებას ემსახურება ხარკები,—227.
„ რევოლიუცია,—256.
„ სიმდიდრე, 160, 190.
ბურჟუაზიული დაწესებულებები,—186.
„ ეკონომია,—7.
„ კლასი,—34, 192.
„ მონოპოლია,—226.
„ მრეწველობა,—174.
„ საზოგადოება (იხ. აგრეთვე „ანტიური საზოგადოება“),—53, 85, 187, 223, 224, 225, 256.
„ საზოგადოების თეორია: მოგვცა რიკარდომ,—85.
„ საზოგადოების საწარმოო ურთიერთობანი,—187.
„ საკუთრება,—35, 50, 229.
„ „საკუთრების ურთიერთობა“,—49.
„ საკუთრების ცნება (პრუდ.),—50.
„ ურთიერთობანი,—192, 224.
„ ფორმა წარმოებისა,—41, 262.
„ ფორმა წარმოებისა ისტორიული და წარმავალი ფორმაა,—41.
„ ცხოვრება,—189.
„ წარმოება,—90, 186, 190, 221, 229, 237, 239, 261.
„ წარმოების ურთიერთობანი,—53, 165, 186, 190, 229, 238, 250.
„ წესწყობილება: მისი დამყარების პირობა იყო ყველა წოდებათა მოსპობა,—256.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გ

გაბატონებული კლასის მდგომარეობის შენარჩუნებას, ბურჟუაზიის მიერ, ემსახურება ხარკები,—227.
გადახრილობა ფასებისა ღირებულებისგან,—16.
გადიდება, საყოველთაო, ხელფასის,—246, 247.
გადიდება, საყოველთაო, ფასების,—245, 246, 247.
გათანასწორებითი დასკვნები (რიკარდოს თეორიიდან), 117.
გამოსალები,—123.
განაწილება,—94, 126, 129, 160, 239.
განგება,—184, 186.

განგებითი ისტორია,—185.
" მიზანი,—184.
განვითარება ისტორიული,—189.
" ისტორიულ-ეკონომიური,—27—28.
განვითარების მსვლელობა (მანქანების),—209.
განთავისუფლება მესამე წოდების: ამის პირობა [illegible] წოდებათა მოსპობა,—256.
" მშრომელი კლასის: ამის პირობაა ყველა კლასის მოსპობა,—256.
" ჩაგრული კლასის: საჭიროა საწარმოო ძალებსა და არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას აღარ შეეძლოს ერთმანეთის გვერდით არსებობა,—255.
განთავისუფლების მატერიალური პირობები,—54.
განუწყვეტელი კავშირი ისტორიაში იქმნება საწარმოო ძალების გადაცემით ერთი თაობიდან მეორე თაობის ხელში,—29.
გარდამავალი, ისტორიული ხასიათისაა წარმოების ფორმები,—35
გარდამეტი შრომისა,—145—148, 157, 159, 162.
გაფიცვები,—211, 245, 247, 249, 250, 253.
გაყალბება მონეტის,—140.
გაცვლა-გამოცვლა,—30, 66, 67, 68, 81, 92, 95, 105, 114, 115, 116, 120, 121, 123, 126, 128, 129, 130, 132, 133, 135, 142, 245, 258, 260, 261.
" განვითარების ფაზები,—68—69.
" კლასთა ანტაგონიზმზე დამყარებული ურთიერთობა,—130.
" ინდივიდუალური,—78, 116, 129, 130, 134.
" საერთაშორისო,—211.
" შრომითი ფულის საშუალებით წარმოებული,—20, 24.
" შრომითი ღირებულების მიხედვით,—14.
გაცვლა-გამოცვლის ბაზრები,—131.—1830 წელს ლონდონში მოეწყო პირველი ბაზარი იმ საგაცვლა-გამოცვლო ბაზართაგან, რომელნიც ეკუთვნოდენ კოოპერატიული ცოდნის გამავრცელებელ ბრიტანეთის ასოციაციას. ამ ბაზარზე ლონდონის 40-ზე მეტ სამრეწველო გაერთიანებას მიჰქონდა თავისი ნაწარმოები და გაცვლა-გამოცვლა ნატურალური ფორმით სწარმოებდა. მაგრამ უფრო დიდი განვითარება და გავრცელება მიიღო ამ ცდამ 1832 წელში. ამ წლის სექტემბერში გახსნილი იქნა „ეროვ-

ნული ბაზარი შრომის პროდუქტთა სამართლიანი გაცვლა-გამოცვლისათვის“, რომელმაც დიდი თანაგრძნობა მოიპოვა, უმთავრესად ინგლისის ხელოსნობაში. ამ საქმის იდეური სულისჩამდგმელი იყო ცნობილი უტოპისტი-სოციალისტი რობერტ ოუენი; [illegible] სათავეში ედგა ეროვნული ბაზრის გა[illegible] მინგაშში. „სამართლიანი“ ბაზრის მთავარი წესები იყო შემდეგი: ბაზარზე მოჰქონდათ სხვადასხვა პროდუქტები რომელთა პატრონებს გამგეობა აძლევდა ქვითარებს განსაზღვრული საგნების რაოდენობის აღნიშვნით, ე. ი. აძლევდა „შრომითს ფულს“. ამ ქაღალდის ნიშნების მქონებელთ შეეძლოთ ყველა საჭირო ანგარიშის გასწორება მოეხდინათ, მაგრამ ეს „ფული“ სავ ლდებულოდ მისაღები არ იყო. მალე აღმოჩნდა, რომ ეროვნული ბაზარი ზარალობდა და რომ გამოცემული ქაღალდის ნიშნების რაოდენობა აღემატებოდა პროდუქტების ნამდვილ მარაგს. ეს დეფიციტი გამგეობის ცუდ ხელმძღვანელობას მიაწერეს. მაგრამ ახალი გამგეობაც, 1833 წლის ივლისში არჩეული, იმავე გაჭირვებაში ჩავარდა. 1834 წლის ივლისში, როდესაც გამოირკვა, რომ ყველა შეგროვილი სახსარი დახარჯული იყო და დიდი ვალები იყო დაგროვილი, ეროვნული ბაზარი საბოლოოდ გაკოტრდა. მაგრამ უტოპისტები მაშინაც იმ აზრის იყვნენ, რომ გაკოტრების მიზეზი საქმის უხეიროდ წაყვანა იყო.

გაცვლა-გამოცვლის ბანკი,—131.—1849 წლის იანვარში პრუდონი შეუდგა პარიზში სახალხო ბანკის ორგანიზაციას; ბანკი თავის მიზნად ისახავდა მუქთი კრედიტის გაცემას და მთელი მიმოქცევის სისტემის გაუმჯობესებას. წესდების თანახმად, სახალხო ბანკი აწარმოებდა არა თუ ფინანსიურ ოპერაციებს (საგიროს, სეანაბაროს), არამედ—უშუალოდ გაცვლა-გამოცვლის ოპერაციებსაც. ამ მიზნისათვის სახალხო ბანკთან მოწყობილი იყო, მისი განყოფილების უფლებით, „წარმოებისა და მოხმარების მთავარი სინდიკატი“ („Syndicat gènéral de la production et de la consommation“). ამ განყოფილების საშუალებით მონაწილეებს უნდა ეცნობებიათ დამზადებული სამრეწველო და სასოფლო-სა-

მეურნეო პროდუქტების შესახებ და მომხმარებლებისთვის დაწესებული მუქთი კრედიტი უნდა მიეცათ. ბანკის მონაწილეთა შორის გაცვლა-გამოცვლის სასამსახუროდ გამოიცემოდა სპეციალური „სამიმოქცევო ბონები“, რომლებიც მათთვის სავალდებული იყო მისაღებად. ძირითადი კაპიტალი შესდგებოდა ხუთფრანკიანი აქციებიდან 15 მილიონი ფრანკის რაოდენობით. „სახალხო ბანკმა“ მრავალი თანამგრძნობი მიიზიდა, მაგრამ თავისი ოპერაციების გაშლა ვერ მოასწრო. პრუდონის სასამართლო პროცესის, მისი დატუსაღებისა და განდევნის გამო ბანკის ორგანიზაციის საქმე შესწყდა.
გაცვლა-გამოცვლის და მოხმარების ფორმას გულისხმობს საწარმოო უნარის განვითარების განსაზღვრული ხარისხი,—28.
„ თანასწორობა,—123, 124, 128.
„ , მოხმარების, წარმოების განსაზღვრული საფეხური გულისხმობს საზოგადოების აგებულების განსაზღვრულ ფორმას,—28.
„ საყოველთაო საშუალება,—132, 144.
„ საშუალება,—206, 134, 137, 142.
„ უთანასწორობა,—122, 123.
„ ფორმა,—88, 130.
„ ფორმა: შეესაბამება წარმოების ფორმას,—130.
„ ფორმის ცვლილება შედეგად მოჰყვება წარმოების ფორმის ცვლილებას,—130.
„ წესი წარმოების წესით განისაზღვრება,—130.
„გაცვლისუნარიანობა“,—132, 141.
„ ოქრო-ვერცხლისა: ოქრო-ვერცხლი გაცვლისუნარიანია უფლებრივად იმიტომ, რომ გაცვლისუნარიანია ფაქტიურად, და გაცვლისუნარიანია ფაქტიურად იმიტომ, რომ წარმოების ახლანდელი ორგანიზაცია გაცვლა-გამოცვლის საყოველთაო საშუალებას საჭიროებს,—141.
გენია ეკონომიური,—232.
„ საზოგადოების (პრუდ.),—227.
„ საზოგადოებრივი („), —181—184, 186, 277, 239.
გერმანია,—1, 18, 46, 63, 163, 195, 210, 236, 286.
Giard W. & E. Brieère—„ფილოსოფიის სილატაკის“ ფრანგულად გამომცემელი (მეორე გამოც.),—1.

გილდები (იხ. აგრეთვე: „კორპორაციები, გილდები და ამქრები“),
„ —187,219—221.
გლეხები,—207, 210.
გონება,—147, 168, 170, 180—183.
„ აბსოლუტური,—176, 177, 180,
„ მარადიული,—181.
„ უპიროვნო,—27, 28, 171, 172, 179.
„ წმინდა,—165—168, 170, 177.
„ წმინდა: დიალექტიკური მოძრაობა,—179.
გონების, წმინდა გონების, კატეგორიები,—43.
„Grand Colbert“-ის მაღაზია,—138.
გრეგი (Gregg),—268, 269, 284.
Gray, John: „Lectures on the nature and use of money“, Edinburgh 1848,—258, 260, 262.
„ The Social System. A treatise on the Principle of
„ Exchange“, Edinburgh 1831,—258, 259, 260, 261.
გრეი, ჯონ (Gray, John) (1798—1850),—10, 11, 13, 20, 24, 258—262, —რიკარდოს შემდგომი პერიოდის ინგლისელი ეკონომისტი, კაპიტალისტური წყობილების კრიტიკოსი, ავტორი საზოგადოების გარდაქმნის პროექტისა გაცვლა-გამოცვლის ახალი ორგანიზაციის პრინციპების მიხედვით. 1825 წ. გრეიმ გამოსცა ოუენისებური ხასიათის ბროშურა „შენიშვნები ადამიანის ბედნიერების შესახებ“. მასში გრეი მათემატიკურად ამტკიცებს, რომ მწარმოებელი კლასი, ე. ი. მუშათა კლასი, თავისი შრომის პროდუქტის მხოლოდ ერთ მეხუთედს იღებს, დანარჩენი $^4/_5$ არამწარმოებელი კლასის ჯიბეში მიდის. 1831 წელს გამოვიდა მისი წიგნი „Social System“ („სოციალური სისტემა“), რომელშიაც მოცემულია პროექტი გაცვლა-გამოცვლის ორგანიზაციისა ახალი პრინციპების მიხედვით. წარმოებას და განაწილებას შენარჩუნებული უნდა დაურჩეს მათი კერძო, ინდივიდუალისტური ხასიათი. მხოლოდ მზამზარეული პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა უნდა სწარმოებდეს ცენტრალური კოოპერატიული დაწესებულებების საშუალებით. ამ მიზნით არსდება ეროვნული ბანკი, რომელსაც ქაღალდის ფულის (ჩაბარების ქვითარების) გამოცემის მონოპოლიური უფლება აქვს მინიჭებული. გარდა ამისა, არსდება საქონლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყობები. მწარმოებლები თავიანთ ნაწარმოებთ საწყობებში აბარებენ, სადაც მათ შეაფასებენ. მწარმოებლები იღებენ მათ მიერ ჩაბარებულ საქონელთა სათანადო ღირსებულების ქაღალდის ფულს (ჩაბარების ქვითრებს), რომელთა სამაგიეროდ შეუძლიათ მიიღონ მათთვის საჭირო სხვადასხვა დოვლათი. ამგვარად, ამ პროექტის თანახმად, მიმოქცევაში მყოფი ქაღალდის ფული ყოველთვის საქონელთა არსებული მარაგის სათანადო იქნებოდა და მწარმოებელთ ყოველთვის ექნებოდათ შესაძლებლობა გაეცვალათ თავიანთი საქონელი მათთვის საჭირო და სასურველ თანასწორ ღირსებულებიან საქონელზე ისე, რომ არც გასაღების ნაკლებობისაგან დაიტანჯებოდენ და არც მონებად ჩაუვარდებოდენ ხელში კაპიტალისტებს.—უტოპიური იდეა გაცვლა-გამოცვლის გეგმაშეწონილი ორგანიზაციისა, ორგანიზაციულად მოუწყობელი კერძო წარმოების შენარჩუნებით, თვალსაჩინოდ მიმზიდველი იყო მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში და მან მთელი რიგი საგაცვლა-გამოცვლო ბანკების დაარსება გამოიწვია. ეს ცდები უმრავლეს შემთხვევაში ბანკების სწრაფი გაკოტრებით დასრულდა (შეად. ზევით „გაცვლა-გამოცვლის ბანკი“.)

გრიუნი, კარლ,—51, (1817—1887),—გერმანელი პუბლიცისტი. რევოლიუციონური მოძრაობის მონაწილეობის გამო იძულებული გახდა გერმანია დაეტოვებია და 1844 წ. დაბინავდა პარიზში, სადაც ძალიან დაუახლოვდა პრუდონს. 1848 წ დაბრუნდა გერმანიაში, არჩეულ იქნა პრუსიის დამფუძნებელი კრების წევრად, სადაც მიემხრო უკიდურეს მემარცხენეებს. 1849 წელს, მეორე პრუსიის პალატის დათხოვნის შემდეგ, დატუსაღებულ იქნა პფალცის აჯანყებისადმი თანაგრძნობისათვის. მეორმოცე წლებში გრიუნი დიდ როლს ასრულებდა გერმანიის ინტელიგენციის ცხოვრებაში. გრიუნი იყო ერთი მთავარი წარმომადგენელთაგანი „ჭეშმარიტი სოციალიზმისა“, რომელიც ქადაგებდა, რომ გერმანიას შეუძლია პირდაპირ გადავიდეს სოციალიზმზე, კაპიტალიზმისთვის გვერდის ახვევით. „ჭეშმარიტი სოციალიზმის“ კრიტიკა მარქსმა მოგვცა „გერმანიის იდეოლოგიაში“ და „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“.

 დ

დაგროვება კაპიტალების,—87, 88, 91, 159, 206, 207, 276.
დაგროვების, სარეზერვოსი და საზოგადოებრივის, ფონდი,—20.
დაგროვილი შრომა,—87, 94, 106.
დაკა, ოლქი აღმ. ინდოეთში,—278, 279, 285.
დამოკიდებულება „თანასწორობითი“ (ბრეი),—130, 131.
დამფუძნებელი კრება (საფრანგ.),—251.
დამღა,—138, 140.
„ —ფულზე დადებული, არის დამღა არა ფულის ღირებულების, არამედ—მისი წონის,—137.
დანაწილება შრომის,—15, 20, 31—35, 66, 67, 83, 96, 128, 157, 159, 165, 172, 184, 194—205, 208—214, 276.
„ „ მანუფაქტურულ პერიოდში,—32.
„ „ საერთაშორისო,—211, 284.
„ „ საზოგადოებაში,—205, 206, 212, 216.
„ „ სახელოსნოში,—205, 206, 208.
„ „ წარმოების ურთიერთობაა,—133.
Darimont, Alfred: „De la réforme des banques“, Paris 1856,—263.
დარიმონი, ალფრედ,—ფრანგი ჟურნალისტი, პრუდონის მიმდევარი და მისი ნაწერების გამომცემელი, რედაქტორობდა სხვადასხვა პრუდონისტულ პერიოდულ გამოცემებს. ზემოაღნიშნულ წიგნში გადმოცემული აქვს პრუდონის თეორია უფულო გაცვლა-გამოცვლის ორგანიზაციის შესახებ.
დას. ინდოეთი,—285.
დასკვნები თანასწორობითი (სოციალისტური) რიკარდოს თეორიიდან,—4, 117.
დაქირავებული შრომა,—283.
დაწევა, საყოველთაო, ხელფასის,—270.
დაწესებულებები ბურჟუაზიული,—186.
„ ფეოდალური,—186, 187.
დემოკრატები,—265.
დემოკრატიული ასოციაცია,—264.
Deus ex machina (ღვთიური მანქანება), — 233. — სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ღმერთი მანქანიდან, აზრით კი: უცებ, რალაც მანქანებით. ძველი დროის დრამატურგები თავიანთ ტრაგედიებს ხშირად ათავებდენ ღმერთების მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდნელი ჩარევით, რომელნიც უცებ ძირს ეშვებოდენ განსაკუთრებული მანქანით.
დეფიციტი სოციალური,—150, 151.
დიალექტიკა,—38, 52, 59, 82, 100, 170, 172, 173, 175, 177, 201
დიალექტიკური ისტორია,—199.
" მოძრაობა,—169, 170, 175, 179, 180.
" მოძრაობა: წმინდა გონება,—179.
" მშობიარობის პროცესი,—175.
" პროცესი,—177.
" ფანტასმაგორია,—31.
" წრებრუნვა,—42.
დიდი ბრიტანეთი,—158.
დივიდენდი,—151.
დიუნუაიე (Dunoyer), შარლ (1786—1862),—56, 106,—საფრანგეთის ეკონომისტი, ეკონომიური ლიბერალიზმის მომხრე. მოწინააღმდეგე იყო სახელმწიფოს ჩარევისა სამეურნეო ცხოვრებაში და სასტიკ კრიტიკას ეწეოდა სოციალიზმისას, რომელიც, მისი აზრით, ინდივიდუუმის თავისუფლებას ემუქრება.
დონე მოგების,—153.
დრო სამუშაო,—83, 86, 90, 96, 99, 105, 109, 111, 113, 116, 129, 132, 136, 142, 143, 144, 150, 153, 161, 233, 238, 258, 261, 270.
" " არ განსაზღვრავს ფულის ღირებულებას,—142.
დროზი (Droz), ჟოზეფ (1773—1850),—93,—ფრანგი ისტორიკოსი, რომელიც სწერდა აგრეთვე ფილოსოფიისა და ეკონომიის საკითხების შესახებ. მისი „პოლიტიკური ეკონომია“ პირველად გამოვიდა 1838 წ.
დუალიზმი ცხოვრებასა და იდეებს შორის (პრუდ.),—43.
დღე სამუშაო,—158, 200.

## ე

ეგვიპტე,—174.
ეგოიზმი,—222, 232.
Edmonds, T.-R.: „Practical, moral and political Economy“, 1828, —4, 117.
ედმონდსი, ტ. რ. (Edmonds, T. R.),—4, 117,—რიკარდოს შემდგომი პერიოდის ინგლისელი ეკონომისტი, რომელიც კაპიტალი-

სტური წყობილების კრიტიკას ეწევოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ედმონდსის მიერ მკვეთრად გატარებული გარჩევა შრომითსა და არაშრომითს შემოსავალს შორის.
ეველინგი, ელეონორა,—მარქსის ქალიშვილი,—1.
ევოლიუკია ეკონომიური,—172, 178.
ევოლიუციები (პრუდონის): აბსოლუტური იდეის ბურუსში ჩიმდინარეობს,—31,34,
„ სოციალური,—257.
ევროპა,—63, 266.
ეკვივალენტი,—93, 115.
ეკონომია ბურჟუაზიული,—7.
„ საზოგადოებრივი,—182.
„ სოციალური,—180, 220, 222.
ეკონომისტები,—6, 133, 134, 141, 145—147, 153, 160—163, 165, 185—187, 190—193, 196, 224, 238, 239, 251, 252, 254, 273—275, 277, 282.
„ —რომანტიკოსები,—191.
„ —ფატალისტები,—190.
ეკონომისტების შენიშვნები რიკარდოს წინააღმდეგ,—5.
ეკონომისტი ტენდენციური (როდბერტ.),—23,
„Economistes finansiers du dix-huitième siècle“, ed. Daire,—145.
ეკონომიური გენია,—232.
„ დებულება: ფორმალურად მცდარი ეკონომიური დებულების უკან შეიძლება ჭეშმარიტი ეკონომიური შინაარსი იფარებოდეს,—8.
„ ევოლიუცია,—172, 178.
„ კანონები,—17.
„ კატეგორიები,—34, 36, 37, 39, 164, 170, 171, 173,
„ „ 174, 175, 176, 181, 183, 202, 222, 226.
„ „ ისტორიული, მატერიალური წარმოების განვითარების განსაზღვრული საფეხურის შესაფერ საწარმოო ურთიერთობათა თეორიული გამოხატულებაა,—52.
„ „ რეალურ ურთიერთობათა აბსტრაქციებია,—36.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ „ შრომა, კაპიტალი, ღირებულება,—როგორ იღებს ამათ როდბერტუსი,—7.
„ მეცნიერება,—147.
„ პირობები,—137.
„ სისტემა,—250, 251.
„ ურთიერთობა—წარმოების განსაზღვრული წესის აუცილებელ ურთიერთობას წარმოადგენს,—31.
„ ურთიერთობანი,—30, 50, 81, 93, 116, 118, 128, 133, 134, 137, 172, 179, 184, 190.
„ ფაზები,—164.
„ ფორმები: წარმოების, მოხმარების, გაცვლა-გამოცვლის—წარმავალი, ისტორიული ფორმებია,—30.
„ წინააღმდეგობანი,—82.
Equitable labour-exchange-bazars (ბაზრები შრომის პროდუქტთა სამართლიანი გაცვლა-გამოცვლისთვის),—131.
ემისია,—139.
ენგელსი, ფრიდრიხ,—1, 25, 88, 94, 111, 131, 174, 251, 256, 264.
„ „Lage der arbeitenden Klasse in England".
„ „Umrisse zu einer Kritic ger Nationalökonomie" („Deutsch-Französische Jahrbücher", Paris 1844),—93.
ეპოქა კრედიტის,—230.
ერთობის სისტემა,—125.
ეროვნული ბანკი, როგორც საქონელთა წარმოებაზე დახარჯული სამუშაო დროის დამადასტურებელი,—258.
„ კაპიტალი,—261.
„ სიმდიდრე,—71, 160, 161.
ესპანელები,—196.
ეფექტიური მოთხოვნა,—79.
ექსპლოატაცია კოსმოპოლიტური სახისა,—284.
ვაგნერი, ადოლფ (1835—1917),—11,—გერმანელი ეკონომისტი, კათედერ-სოციალისტების ერთი გამოჩენილი წარმომადგენელთაგანი. ვაგნერი მეთაურობდა იმ მიმართულებას, რომელსაც „სახელმწიფო სოციალიზმს" უწოდებენ, თუმცა ეს მიმართულება ძალიან შორს იყო სოციალიზმისგან, ხოლო მის მიერ ნაკარნახევ ღონისძიებათ მიზნად ჰქონდათ ბრძოლა სოციალისტური იდეების გავრცელებასთან მუშათა კლასში. 1881 წ. ვაგნერი შევიდა ქრისტიან-სოციალურ (ანტისემიტურ) პარტიაში. მისი უმ-

ნიშვნელოვანესი ნაშრომები შეეხება ეკონომიური პოლიტიკისა (საბანკო საქმე, ფულის მიმოქცევა, კრედიტი, რკინისგზები და სხვ.) და ფინანსების საკითხებს. გარდა ამისა, მის მიერ რედაქციაქმნილია ლასალის წერილები როდბერტუსისადმი, აგრეთვე ლიტერატურული სამემკვიდრეო როდბერტუსისა, რომლის გამომცემელი იგი იყო.
ვაჭარი წვრილი,—267.
ვაჭრობა,—102, 173, 190.
„ ალმ. ინდოეთთან,—207. ინდოეთისკენ საზღვაო გზის აღმოჩენა ეკუთვნის პორტუგალიელ მეზღვაურს ვასკო-დე-გამას (1498 წ.). ევროპის სამეურნეო ცხოვრებისთვის ამ აღმოჩენას ისეთივე რევოლიუციის მოხდენის მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ამერიკის აღმოჩენას. საზღვაო გზამ ინდოეთისკენ (კეთილი იმედის კონცხის გარშემო), რომელიც ნაკლებ დროს მოითხოვდა და უფრო მოხერხებული იყო, ვიდრე ხმელეთის გზა, დიდი იმპულსი მისცა საზღვაო ტრანსპორტის განვითარებას და დიდი გადატრიალება გამოიწვია საერთაშორისო აღებმიცემობის სფეროში. ვაჭრობამ შინაგანი წლევების ფარგალი გადალახა და საოცეანო ხასიათი მიიღო. საერთაშორისო აღებმიცემობის, კერძოდ კოლონიალური ვაჭრობის, განვითარებამ ხელი შეუწყო სავაჭრო კაპიტალის გაძლიერებას.
„ ზანგებით,—39.
„ თავისუფალი,—272, 274, 275, 281, 282, 283, 286.
„ მსოფლიო,—18, 39, 80, 174.
„ საზღვაო,—207.
„ საშინაო,—267.
ვაჭრობის თავისუფლება,—286.
„ კანონები,—140.

ვ

ვეიტლინგი, ვილჰელმ (1808—1871),—3,—გერმანელი კომუნისტი. ხელობით იყო თერძი და ქარგლობის დროს ევროპაში იმგზავრა. მე-30 წლების ნახევარში მიემხრო პარიზში კომუნისტებს და საფრანგეთის დიდი უტოპისტების შესწავლა დაიწყო. 1838 წ. დასწერა პამფლეტი: „Die

Menschheit. wie sie ist und wie sie sein soll" („კაცობრიობა, როგორც იგი არის და როგორიც უნდა იყოს იგი"), რომელიც ფარულად იქნა დაბეჭდილი და გავრცელებული გერმანელ ხელოსნებს შორის. ერთ ხანს ცხოვრობდა შვეიცარიაში, სადაც 1845 წ. გამოაქვეყნა „Das Evangelium des armen Sünders" („ღარიბი ცოდვილის სახარება"), რის შემდეგ დატუსაღებულ იქნა. 1848 წ. ბერლინში დააარსა სოციალისტური ჟურნალი „Der Urwähler" („ამომრჩეველი"), მაგრამ უკვე იმავე წლის ნოემბერში გაძევებულ იქნა პრუსიიდან და 1849 წ., საბოლოოდ გადასახლდა ამერიკაში. სხვა მის თხზულებათაგან მოსახსენებელია კიდევ „Garantien der Harmonie und Freiheit" („გარანტიები ჰარმონიის და თავისუფლებისა"), 1842 წ. ვეიტლინგი ძალადობითი გადატრიალების მომხრე იყო; იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს გადატრიალება დაუყოვნებლივ შეიძლებოდა მომხდარიყო. მაგრამ ძალადობითი რევოლუციონური გზა მას არ მიაჩნდა საზოგადოების გარდაქმნის ერთადერთ გზად. ხან მას ისიც ეგონა, რომ ამისთვის საკმარისია მუშათა მასების ზნეობრივი განათლება. ვეიტლინგს არ აინტერესებდა პოლიტიკური საკითხები, რომლებიც, მისი აზრით, მშრომელი მასების ყურადღებას აშორებს საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნას.

Vera rerum Vocabula—საგანთა ჭეშმარიტი სახელწოდება,—101.

ვერცხლი,—138.

ვერცხლი და ოქრო,—131, 136, 140—143.

" " გაცვლისუნარის მქონეა იმიტომ, რომ აქვს ფუნქცია გაცვლა-გამოცვლის საყოველთაო საშუალებად სამსახურისა,—144.

" " საერთაშორისო ალებმიცემობაში გაცვლა-გამოცვლის საშუალებას წარმოადგენს როგორც პროდუქტი და არა როგორც მონეტა,—142.

" " როგორც ფული (პრუდ.),—132.

ვერცხლის და ოქროს საცვლელი ღირებულება,—140.

" " ღირებულება,—140, 142.

" " ღირებულების ცვალებადობა,—132.

Villeneuve-Bargemont: „L'Histoire de l'économie politique",—186.

ვილნევ-ბარჟემონი („Villeneuve - Bargemont), ჟან-პოლ-ალბან (1784—1850),—186,—ფრანგი ეკონომისტი, ინგლისური კლასიკური სკოლის კრიტიკას ეწეოდა და თავის ეკონომიურ ნაშრომებში კათოლიკური ეკლესიის თვალსაზრისს ატარებდა. მისი თხზულ[illegible]-ლი პოლიტიკური ეკონომია" (1834) და [illegible]-ლი „პოლიტიკური ეკონომიის ისტორია" (1841).

ვილჰელმ ორანელი (1650—1702),—229,—ინგლისის მეფე 1688 წლის რევოლიუციის შემდეგ, ვილჰელმ ორანელის მეფობაში ვიგების პარტიას, რომელიც ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა მემამულეების წინააღმდეგ, დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფო საქმეებზე. ინგლისის პარლამენტმა, რომელმაც ვილჰელმ ორანელი აირჩია სამეფო ტახტზე, ძალიან შეზღუდა მეფის უფლებები პარლამენტის სასარგებლოდ.

Voltaire: „Système de Lav",—138.

ვოლტერი, ფრანსუა-მარი-არუე (1694—1778),—60,138,—საფრანგეთის ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და დრამატურგი, რომელმაც უზარმაზარი გავლენა იქონია რევოლიუციის წინადროინდელ საზოგადოებრივ აზრზე. ვოლტერმა ადრე იწვნია თვის თავზე „ძველი წესწყობილების" მჩაგვრელობა, არა ერთხელ იჯდა ბასტილიაში თავისი ლექსებისთვის და მრავალჯერ იძულებული იყო და-
მალვოდა დევნას ხელისუფლების მხრივ. 1751 წელს
ვოლტერი, პრუსიის მეფის ფრიდრიხ მე-II-ის მიპატიჟე-
ბით, ბერლინს გაემგზავრა, მაგრამ მალე წავიდა იქიდან
და დასახლდა შვეიცარიაში, საფრანგეთის საზღვრის ახ-
ლოს, ფერნეიში. აქ იგი არის ფილოსოფოსი, პუბლი-
ცისტი, საზოგადო მოღვაწე; თანამშრომლობს ენცი-
კლოპედიაში, სწერს მრავალ პოპულიარულ ბროშურას,
პამფლეტს, მეცნიერულ გამოკვლევებს. ზოგში იგი ავრ-
ცელებს ახალ „გონების სახარებას", ზოგში კიდევ
მოითხოვს ადმინისტრაციისა და სასამართლოს რეფორ-
მას, ქადაგებს სარწმუნოებათა შეწყნარების იდეებს.
ვოლტერი გამოდის ფანატიზმისა და თვითნებობის ყვე-
ლა მსხვერპლთა დამცველად, რომელნიც „ძველი წეს-
წყობილების" მჩაგვრელობის გამო იტანჯებიან.
ფერნეი ხდება ცენტრად აგიტაციისა რელიგიურ და

საზოგადოებრივ ცრუმორწმუნეობათა წინააღმდეგ, ხდება მლოცველთა მიმზიდველ ადგილად. ლუი XV-ის სიკვდილის შემდეგ ვოლტერი მივიდა 1778 წელს პარიზში, სადაც აღფრთოვანებული ოვაციები გაუმართეს. იმავე წელს იგი გარდაიცვალა. ვოლტერი მომხრე იყო „განათლებული“ მონარქიის, რომელიც ეყრდნობა ინტელიგენციას, ფილოსოფოსებს. მთავრად გამოდიოდა იგი ძველი წესწყობილების დასაყრდენთა,—თავადაზნაურობისა და სამღვდელოების, პრივილეგიების წინააღმდეგ და მოითხოვდა გლეხთა განთავისუფლებას ბატონყმობისგან. მაგრამ თანასწორობით ვოლტერი გულისხმობდა თანასწორობას კანონის წინაშე და არა—სოციალურ თანასწორობას; იგი საზოგადოებას ანაწილებდა ორ ჯგუფად; „განათლებულ და მდიდრებად“ და იმ პირთა ჯგუფად, რომელთაც „არა აქვთ რა“ და პირველთათვის უნდა „იმუშაონ“. იგი წინააღმდეგი იყო საყოველთაო განათლების, ვინაიდან „ხალხმა თუ მსჯელობა დაიწყო, ყველაფერი დაღუპულია“. იგი უარჰყოფდა ეკლესიასა და კათოლიციზმს, მაგრამ იმავე დროს ამტკიცებდა, რომ ღმერთი არსებობს, და ამბობდა: იგი რომ არ არსებობდეს, საჭირო იქნებოდა მისი გამოგონებაო. ვოლტერი რელიგიას საჭიროდ სთვლიდა ხალხის „ასალაგმავად“.

Work-houses—სამუშაო სახლები,—266.

ზ.

ზანგებით ვაჭრობა,—39).

ზანდი, ჟორჟ (1804—1876,—257,—სახელოვანი ფრანგი მწერალი ქალის ავრორა დიუდევანის ლიტერატურული ფსევდონიმი. იგი იყო ქალთა ემანსიპაციისთვის მებრძოლი, თვალსაჩინო როლს ასრულებდა საფრანგეთის მოწინავე ლიტერატურულ მოძრაობაში, შეთვისებული ჰქონდა სენსიმონიზმის იდეალები და პროგრესიული ფილოსოფიური იდეები და მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის 1848 წლის რევოლიუციაში. ბევრი რომანი დასწერა, რომელშიაც გატარებული აქვს უმთავრესად იდეები გრძნობის თავისუფლებისა და ქალთა ემანსიპაციისა, აგრეთვე იდეები პროტესტისა ქალის ოჯახური ჩაგვ-

რის წინააღმდეგ. თითქმის ყველა მისი რომანი თავის დროზე გადაითარგმნა რუსულად და ფრანგულად გავრცელებული იყო. მარქსის მიერ მოყვანილი ციტატი აღებულია მოთხრობიდან: „იან ქიშკა“.
ზედმეტი ღირებულება,—6.
„ „ —გადაუხდელი შრომის [illegible],—8.
ზედმეტი ღირებულების ნორმა: ახლანდელი ნორმა უნდა დარჩეს. (როდბერტ.),—21.
„ „ წარმოშობის და ბუნების შემეცნება,რომელიც რიკარდოს შემეცნებაზე მაღლა დგას,—6.
ზოგადად შრომას სთვლის როდბერტუსი ღირებულებად,—12.
ზნეობრივი ცნობიერება მონობისა და ბატონყმური შრომის შესახებ,—8.
ზოდი,—135.
ზრდა კაპიტალის,—276, 277.

## თ

თავისუფალი ვაჭრობა,—272, 274, 275, 281, 282, 283, 286.
თავისუფალი ვაჭრობის სისტემა: აჩქარებს სოციალურ რევოლიუციას,—286.
„ „ „ დამრღვევად მოქმედებს,—286.
„ „ „ უკიდურესობამდე მიჰყავს ანტაგონიზმი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის,—286.
„ ნებისყოფა,—76, 77, 79, 82.
თავისუფლება,—38, 39, 284.
„ ვაჭრობის,—286.
თანამედროვე წესი წარმოებისა,—134.
თანასწორობა,—183—185.
„ გაცვლა-გამოცვლის,—123, 124, 128.
თანასწორობა პოლიტიკური,—123.
„ უფლებათა და სამართლიანობა: ამაზე სწადდა ბურჟუას აეგო თავისი საზოგადოებრივი შენობა,—9.
„თანასწორობითი“ დამოკიდებულება: ანარქული თანამედროვე საზოგადოების,—131.

„ „ (ბრეი),—130.
„ „ (სოციალისტური) დასკვნები რიკარდოს თეორიიდან,—4.
თანასწორობის იდეა,—35.
„ სისტემა,—119.
თებერვლის რევოლიუცია,—56, 258.
თეზი,—166, 169, 170, 172, 182, 183, 225.
თეორია რენტის (რიკ.),—87.
„ ღირებულების (რიკ.),—22.
თვალსაზრისი წვრილბურჟუაზიული,—59.
თვისებები მეტაფიზიკური,—79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ი

იდეა თანასწორობისა,—35.
იდეალური კატეგორიები,—179.
იდეები — აბსტრაქტული გამოხატულებაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა,—40.
„ მარადიული,—43, 53.
იდეოლოგია პოლიტიკური, იურიდიული და ფილოსოფიური: მათი რეალური საფუძველი,—10.
იდეოლოგიური სისტემა,—173.
ილუზია იურიდიული,—229.
„ მეტაფიზიკური,—229.
იმპერატორები, რომაელი,—107.
ინგლისელები,—51, 93, 159, 161, 163, 196, 245.
ინგლისი,—5, 18, 34, 57, 58, 84, 117, 131, 143, 158, 185, 195, 209—211, 229, 236, 237, 240, 245, 247—249, 251, 253, 254, 264—265, 267—268, 272—274, 279, 285.
ინგლისის პარლამენტის აქტი კოალიციების შესახებ 1825 წ.,—251.— ამ აქტმა გააუქმა უწინდელი აკრძალვა ტრედ-უნიონების მოქმედებისა, ნება დართო მუშებს გაემართათ კრებები შრომის საერთო პირობების შესამუშავებლად და ცალკე შეთანხმებათა დასადებად, რომლებითაც უნდა მოწესრიგებულიყო შრომის ხელფასის სიდიდე და სამუშაო დღის ხანგრძლივობა ცალკე სარეწაოებში. მიუხედავად იმისა, რომ 1825 წლის აქტი კრძალავდა ამ შეთანხმებათა იძულებითს შემოღებას და არც ერთი მხარისათვის არ სცნობდა მათ სავალდებულო ხასიათს,

მან მაინც შეჰქმნა შესაძლებლობა ინგლისური პროფესიონალური მოძრაობის ფართო განვითარებისთვის (იხ. აქვე „ტრედ-უნიონები“).
ინდივიდუალიზმის პრინციპი,—178.
ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლა, —78, 116, 129, 130, 134.
„ „ : არ არსებობს კლასთა ანტაგონიზმის გარეშე,—130
„ „ წარმოების განსაზღვრულ წესს შეესაბამება, რომელიც თავის მხრივ კლასთა ანტაგონიზმს შეესაბამება,—130.
„ საკუთრება,—126.
„ შრომა,—148, 261.
ინდოეთი,—174.
ინდოელები,—174.
ინდუსტრია,—32,39.
ინდუსტრიალიზმი,—38.
In partibus infidelium,—221,—აქ ნიშნავს: უფუნქციოდ.
ინსტიტუტი კ. მარქსის და ფ. ენგელსის,—111.
ინტერესები ანტაგონისტური,—189.
Irae homini probi,—44,—კეთილშობილი კაცის გულის წყრომა.
ირლანდია,—235.
ისტორია,—31, 134, 164, 178—180, 184, 187, 188, 199, 240, 256, 279.
„ ადამიანის ბუნების განუწყვეტელ გარდაქმნას წარმოადგენს,—220.
„ არ მიმდინარეობს კატეგორიულად,—195.
„ განგებითი,—185.
„ დიალექტიკური,—199.
„ მანუფაქტურული მრეწველობის,—207.
„ საზოგადოების,—130.
„ ფილოსოფიის,—170.
„ ფორმულებით არ იქმნება,—206.
„ შედარებითი,—200.
„ წარმოადგენს ადამიანთა ინდივიდუალური განვითარების ისტორიას,—29.
ისტორიაში განუწყვეტელი კავშირი იქმნება საწარმოო ძალების გადაცემით ერთი თაობიდან მეორე თაობის ხელში,—29.

ისტორიის მოძრაობა, — 185, 237.
„ საფუძველს წარმოადგენს საწარმოო ძალები, — 28.
„ ფილოსოფია, — 170.
ისტორიულ და წარმავალ პროდუქტს წარმოადგენს კატეგორიები,—140, 171.
ეროვნული ბიბლიოთეკა
ისტორიულ-ეკონომიური განვითარება, — 27-28.
ისტორიული განვითარება, — 189.
ისტორიული და გარდამავალი ხასიათისაა წარმოების ფორმები,—35.
ისტორიული და წარმავალი ფორმაა წარმოების ბურჟუაზიული ფორმა,— 41.
ისტორიული კანონები, — 36.
„ისტორიული მეთოდი“ (პრუდ.), — 68, 70.
ისტორიის მოძრაობა: თვით ჰქმნის განთავისუფლების მატერიალურ პირობებს, — 54.
ისტორიული პირობები, — 159.
„ ფორმები, — 30.
„ წინაპირობები მანუფაქტურის წარმოშობისა, — 207.
იური (Ure), ენდრიუ (1778—1857)—212, 280,—ქიმიის პროფესორი გლაზგოს უნივერსიტეტში; ბევრს სწერდა ქიმიის, გეოლოგიის და ტეხნოლოგიის საკითხების შესახებ. ეკონომიურ ლიტერატურაში იგი ცნობილია როგორც ავტორი „Philosophy of manufacture“-ისა („მანუფაქტურის ფილოსოფიისა“), რომელიც პირველად ინგლისურ ენაზე გამოვიდა 1835 წელს. ამ ნაწარმოებში იური განსაკუთრებით ქება-დიდებას ასხამს მანქანურ ტეხნიკას და მსხვილ მრეწველობას.
იურიდიული ილუზია,—229.
„ ილუზიაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარეშე ბურჟუაზიული საკუთრება,—35.
იშვიათობა,—72, 73—75, 82, 85, 89, 143.
კაბე, ეტიენ (1788 — 1856),—56, — საფრანგეთის სოციალისტი. მისი თხზულება „Voyage en Icarie“ („მოგზაურობა იკარიაში“) საფუძვლად დაედვა აგიტაციას „იკარიისებური“ კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად. კაბე ორჯერ შეეცადა დაეარსებია ამერიკაში კომუნისტური ახალშენები, მაგრამ ორივეჯერ დამარცხება განიცადა.
კადასტრი, — 232, 239—241.

კათოლიციზმი, — 186.
კამპანა, — 243.
კანონი მოთხოვნის და მიწოდებისა, — 140, 142.
„ პროპორციულობის, — 111, 114, 115, 141, 145, 146.
„ საცვლელი ღირებულების, — 91.
„ ღირებულების (რიკ.), — 9.
„ „ ხორციელდება კონკურენციისა და ფასის რყევის გზით, — 16, 17.
„ „ პროპორციულობისა, — 131.
კანონები, — ბუნებრივი, —53.
„ ეკონომიური, — 17.
„ ვაჭრობის, — 140.
„ ისტორიული, — 36.
„ მარადიული, — 36, 53, 187, 188, 252.
„ სახორბლო, — 264, 267, 269, 273, 283.
კანონმდებლობა მხოლოდ გამოსთქვამს, ოქმში შეიტანს ეკონომიურ ურთიერთობათა სურვილს, — 137.
კანტი, იმანუელ (1724—1804), — 49, 52, 201, — ევროეთწოდებული კლასიკური გერმანული იდეალიზმის (კანტის, ფიხტეს, შელინგის და ჰეგელის ფილოსოფიის, მე XIX საუკუნის პირველ ნახევარში) პირველი წარმომადგენელი. ახალგაზრდობაში კანტმა ნიუტონის დიდი გავლენა განიცადა: ასე, თავის „Allgemeine Naturgeschichte und Theorie des Himmels“-ში („ზოგადი საბუნებისმეტყველო ისტორია და ზეცის თეორია“-ში 1855) იგი, გამოდის რა ნიუტონის პრინციპებიდან, ხსნის მზის სისტემის ბუნებრივ წარმოშობას ვარსკვლოვანი ნისლიანობიდან („კანტ-ლაპლასის თეორია ქვეყნიერობის შემოქმედებისა“). ქ. ქ. რუსოს თხზულებებმა მას დეიზმი და ნახევრად ფეოდალური პრუსიისთვის რადიკალური აზრები შეათვისებია. კ. მარქსმა კანტის სისტემას „საფრანგეთის რევოლიუციის გერმანული თეორია“ უწოდა. ფორმ-ლურლოგიკური აზროვნებით დაუკმაყოფილებლობამ იგი იძულებულ ჰყო სხვაგვარ პრინციპებზე აეგო ლოგიკა წინააღმდეგობის ფორმალური პრინციპის დიალექტიკურმა ახსნამ გამოხატულება ჰპოვა კანტის რამდენიმე თხზულებაში. მაგრამ იგი მაინც ვერ მივიდა დიალექტიკური მეთოდის დასაბუთებასა და მთლიანად ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალიბებამდე (ჰეგელი); მისი ფილოსოფია / ტრანსცენ-
დენტალური (ცნობიერების შესახები) იდეალიზმია, ცნო-
ბიერებას, კანტის მოძღვრებით, ყოველ ცდამდე აქვს
წმინდა ფორმები განჭვრეტის (სივრცე და დრო) და გო-
ნისა (ერთიანობა, მრავლობა, არსებობა, მიზეზობრი-
ვობა და სხვ.). ეს „აპრიორული" (ცდამდე არსებული)
ფორმები შესაძლებლად ხდის თვით ცდას. ცდაში ჩვენ
საქმე გვაქვს მხოლოდ მოვლენებთან: ნივთნი კი, რო-
გორც ისინი არსებობენ თავისთავად („ნივთნი თავის-
ში"), აბსოლუტურად შეუცნობადნი არიან.

კაპიტალების დაგროვება, — 87, 88, 91, 159, 206, 207, 276.
„ კონცენტრაცია, — 212, 276.
„ მოქცევა და მიქცევა მრეწველობაში, — 110.
„ ცენტრალიზაცია, —276.

კაპიტალი, — 7, 55, 100, 129, 150, 151, 154, 155, 235, 241, 242 — 244, 254, 261, 269, 270, 274 — 276, 281, 283 284.
„ ავანსად გაღებული, — 9.
„ ეროვნული, — 261.
„ მუდმივი, — 247.
„ საბრუნავი, — 88, 243.
„ საზოგადოებრივი, — 151.
„ სამრეწველო, 236, 239.
„ სარგებლის მძლეველი, — 57.
„ ცვალებადი. — 247.
„ ძირითადი, — 88, 243, 246.
„ „ : მიწა, — 243.

კაპიტალის ზრდა, — 276, 277.
„ მოგება, — 154.
„ პროდუქტივობა, — 100.
„ სარგებელი, — 240, — 242.

კაპიტალისტები, — 21, 121, 122, 159, 207, 242, 247, 273, 254 275, 282.
„ სამრეწველო, — 171, 235—237, 272, 276, 283.

კაპიტალისტური წარმოება, — 21.
„ წესი წარმოებისა, — 88.

კარლოს დიდი, — 138, — ფრანგთა მეფე (742 — 814).

კარლოს მე-II (1630—1685),—245,—ინგლისის მეფე, შვილი მეფის კარლოს I-ის, რომელიც სიკვდილით იქნა დასჯილი ინგლისის რევოლიუციის დროს (1649 წ.).
კასტები, — 195, 199.
კასტური წყობილება,—32, 205.
კატეგორია აბსტრაქტული, — 195.
„ ეკონომიური,—39, 173—175, 22 წ.
„ ლოგიკური,—166, 167, 168.
„ მარტივი,—169, 195.
კატეგორიები.—35. 40,—42, 44, 169 170, 175—177, 179, 182, 190, 191, 195, 196, 199, 219, 221.
„ აბსტრაქტული გამოხატულებაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა,—40.
„ ეკონომიური,—7, 34, 36, 37, 39, 52, 164, 170, 171, 173, 175, 176, 181, 183, 202, 222, 226.
„ იდეალური,—171.
„ ისტორიულ და წარმავალ პროდუქტს წარმოადგენს,—40, 171.
„ მარადიული,—43, 165, 238.
„ პოლიტიკური ეკონომიის,—173.
„ წმინდა გონების,—43.
კაუტსკი, კარლ,—1, 71, 117.
კეთილი იმედის კონცხი,—207.
კენე (Quesnay), ფრანსუა (1694—1174),—163,164,281,—განათლებით ექიმი, მსახურობდა მკურნალად ლუი მე-XV-ის სასახლეში. რევოლიუციის წინადროინდელი საფრანგეთის სახელოვანი ეკონომისტი, ფიზიოკრატული სკოლის შემქმნელი და პოლიტიკური ეკონომიის, როგორც მეცნიერების, ერთი დამაარსებელთაგანი. ფიზიოკრატების მოძღვრების თანახმად, ერის სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს მიწათმოქმედება, და მხოლოდ სამიწათმოქმედო შრომა არის „პროდუქტიული", ვინაიდან იგი იძლევა, ბუნების ძალთა დახმარებით, „წმინდა პროდუქტს", ე. ი. გარდამეტს გაწეულ წარმოების ხარჯებთან შედარებით. ფიზიოკრატების მოძღვრება წარმოადგენდა რეაქციას მერკანტილისტების მოძღვრების წინაღმდეგ, რომელთაც ერის სიმდიდრის წყაროდ საგარეო ვაჭრობა მიაჩნდათ.—კენეს უკვდავ დამსახურებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგენს მისი გენიალური ცდა—წარმოედგინა წარმოების, მიმოქცევის, განაწილებისა და მოხმარების მთელი საზოგადოებრივი პროცესი, როგორც ერთი მთელი მოვლენა. ეს იდეა კენემ გრაფიულად გამოსახა „ეკონომიურ ტაბულაში“ (1758 წ.) [illegible] სახით, რომელიც გვიჩვენებს პროდუქტების და ფულის მოძრაობას საზოგადოებრივ კლასებს შორის.

კერძო საკუთრება,—87.

„ შრომა: უშუალო საზოგადოებრივი შრომაა (გრეი),—262.

კვალიფიციური შრომა,—96, 247.

Clair obscur,—ბინდბუნდი,—48.

კლასთა ანტაგონიზმი,—14, 130, 159, 188, 255, 256, 257.

„ „ მის გარეშე არ არსებობს ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლა,—130, 256.

„ ანტაგონიზმზე დამყარებული ურთიერთობა,—130, 159.

კლასთა ბრძოლა,—256.

კლასი,—ები,—57, 59, 160, 188—190, 192, 207, 254—257, 283, 285, 286.

„ ბურჟუაზიული,—34, 192.

„ ბრძოლა კლასთა შორის არის ბრძოლა პოლიტიკური,—254.

„ მუშათა,—160, 207, 281, 282.

„ მუშების ჩამოყალიბება კლასად,—254.

„ რევოლუციონური ელემენტების ორგანიზაცია კლასის სახით გულისხმობს ყველა იმ საწარმოო ძალთა არსებობას, რომელთაც შეეძლოთ ძველი საზოგადოების წიაღში არსებობა,—255.

„ საზოგადოებრივი შრომის პროდუქტის განაწილება კლასებს შორის (რიკ.),—3.

„ როგორ ჩამოყალიბდა ბურჟუაზია კლასად,—254.

„ ბურჟუათა,—189.

„ კონსერვატორი,—188.

„ მუშათა,—57.

„ მშრომელი,—189, 265.

„ მშრომელი: დაამყარებს კლასებისა და ანტაგონიზმის არ შემცველ ასოციაციას,—256.

„ მშრომელი: მისი განთავისუფლების პირობაა ყოველი კლასის მოსპობა,—256.
„ პრივილეგიური, ქსაჭიროება როდბერტუსს,—21.
„ პროლეტართა,—189.
„ რევოლიუციონური,—188, 255.
„ ჩაგრული,—255.
კლასიკოსები,—190.
კლასიკური ძველი ხანა,—156.
კლასობრივი ბატონობა; ექნება ადგილი ახალ საზოგადოებაში?—256.
„ ბრძოლა,—254.
კოალიციები,—245, 247—251, 253—255.
კოალიციების შესახებ ინგლისის პარლამენტის აქტი 1825 წ. (იხ. „ინგლისის პარლამენტის აქტი კოალიციების შესახებ 1825 წ.“),—251.
Code pénal,—სისხლის სამართლის კოდექსი,—251.
კოდექსი სისხლის სამართლის,—22, 251
კოლექტიური მრეწველობა (პრუდ.),—158.
„ სამუშაო დრო.—261.
„ სიმდიდრე,—160.
კოლბერი, ჟან-ბატისტ (1619—1683),—221,—საფრანგეთის მეფის ლუი მე-XIV-ის სახელოვანი მინისტრი, გამოჩენილი წარმომადგენელი მერკანტილისტური პოლიტიკისა, რომელიც მიმართული იყო მრეწველობისა და ვაჭრობის წახალისებისადმი სახელმწიფო ხელისუფლების ღონისძიებათა საშუალებით. განსაკუთრებით ხელს უწყობდა კოლბერი მანუფაქტურების დანერგვას, მათ პატრონებს ანიჭებდა სხადასხვა შეღავათებს, მაგრამ ამასთან ერთად მთავრობის სასტიკ რეგლამენტაციას უქვემდ ბარებდა მრეწველობას, ზღუდავდა და ავიწროებდა თავისუფალ კონკურენციას.
კოლონიალური სისტემა—207—შეიქმნა მე-XVII საუკუნეში, როდესაც ევროპის სახელმწიფოებმა ამერიკის, აზიის და აფრიკის ჩამორჩენილი კოლონიები კაპიტალების დაგროვების წყაროდ გადააქციეს. ეს დაგროვება ხორციელდებოდა საკუთარი მრეწველობისთვის მფარველობის გაწევით,—კოლონიებიდან ნედლეულის გამოზიდვის მონოპოლიური უფლების გზით და ასევე იქ საკუთარი ფაბრიკატების შეზიდვის მონოპოლიური უფლების გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლონი,—232, 233, 235, 236, 238.—ასე ეწოდებოდა მე III-VI საუკუნეთა რომის იმპერიის მიწათმოქმედს, რომელიც მიწაზე იყო მიმაგრებული. ეს იყო ბატონყმური დამოკიდებულების თავისებური ფორმა, როდესაც პირადი თავისუფლების ზოგი უფლებები ჰქონდა მიწათმოქმედს.
კოლონიები,—32, 174.
კომბინური შრომა,—148·
კომპენსაციის მოძღვრება ფრიტრედერებისა,—280.
კომუნიზმი,—7, 44, 55, 124, 126, 193, 229.
კომუნისტები,—47, 117, 144, 192.
კომუნისტური პარტია (გერმანიის),—46.
„ სისტემა,—127.
კონკურენცია,—16, 17, 34, 37—38, 41, 81, 86, 90, 90, 111—113, 128, 129, 153, 155, 159, 161, 172, 174, 191, 203, 205, 217—227, 234—236, 239, 243, 246, 251, 253 254, 266, 275—277, 281, 283, 286, 289.
„ იძლევა მასშტაბს სხვადასხვა სამუშაო დღეების შესადარებლად,—96.
„ მას მონოპოლია წარმოშობს,—226.
„ მისი რყევა,—8.
„ პროდუქტთა საჭირო რაოდენობის რეგულიატორი,—17,
„ რას აგრძნობინებს მწარმოებელთ,—16.
„ წარმოშობს მონოპოლიას,—226.
კონკურენციის და ფასის რყევის გზით ხორციელდება ღირებულების კანონი,—16, 17.
„ მარადიულობა,—221.
კონსერვატორები, —22, 37.
კონსერვატორი კლასი,—188.
Constancio, J-S.—75,85—რიკარდოს თხზულების ფრანგულად მთარგმნელი.
კონსტანტინოპოლი,—32, 196.
კონცენტრაცია კაპიტალების,—212, 176.
კონცხი კეთილი იმედის,—207.
Cooper, Th. „Lectures on the Elements of Political Economy", Columbia 1826,—147.
კოოპერაცია სახელოსნოში,—184.
კოსმოპოლიტური სახის ექსპლოატაცია,—284.
კორპორაციები, გილდები და ამქრები - 187, 195, 207, 208, 219—221—ასე უწოდებდენ სხვადასხვა ქვეყნებში ოსტატ ხელოსნების

გაერთიანებათ, რომელნიც შეიქმნენ ფეოდალურ ხანაში ხელობის მონოპოლიის დაცვის მიზნით. შემდეგში ამ ტერმინებით აღნიშნავდენ სხვადასხვა ხასიათის გაერთიანებათ. ამქრები ეწოდებოდა ხელოსნების გაერთიანებას, გილდები — ვაჭართა ორგანიზაციებს, ხოლო კორპორაცია ნიშნავდა გაერთიანებას უფრო ზოგადი აზრით. — ამქრების წარმოდგომას მიაკუთვნებენ მე-IX საუკუნეს, მაგრამ უდიდეს განვითარებას ამქრებმა მიაღწიეს მე-XIV საუკუნეში და შემდგომ. ეს იყო კარჩაკეტილი ორგანიზაციები, რომელნიც აგებული იყვნენ პროფესიონალური ნიშნის მიხედვით და რომელთა წევრები მუშაობდენ დაკვეთით ანდა ბაზრისთვის მთელი გაერთიანების მიერ დაწესებული პირობების საფუძველზე. თითოეულ ამქარს თავისი წესდება ჰქონდა, რომელიც განსაზღვრავდა მისი მოქმედების ფარგალს, მის წევრთა უფლებებსა და მოვალეობათ და წესებს ოსტატად ჩარიცხვისათვის (ოსტატი ამქრის წევრს ეწოდებოდა). წესები საკმაოდ სასტიკი იყო და იცვლებოდა ბაზრის პირობებზე დამოკიდებულებით: როდესაც კონკურენცია ძლიერდებოდა ან მოთხოვნა მცირდებოდა, ამქარი აძნელებდა ოსტატად ჩარიცხვას, და, პირიქით, მოთხოვნის გაუმჯობესების დროს ჩარიცხვა გაადვილებული იყო. ოსტატად ჩარიცხვისათვის უფრო ზოგადი მოთხოვნები იყო: შეგირდობის სტაჟის გავლა 3-იდან 7 წლამდე (გერმანია, ინგლისი), გაუმჯობესება ხელობის ცოდნაში სხვადასხვა ქალაქებში მუშაობის გზით (გერმანია), გამოცდა და სანიმუშო ნაწარმოები (იხ. ეს ტერმინი) და საკმაო ფულადი სახსრის ქონა თავის სახელოსნოს მოსაწყობად. ისინი, ვინც ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდენ, რჩებოდენ მუშებად, ეგრეთწოდებულ ქარგლებად, რომლებმაც უფრო გვიან ცალკე კავშირები შეჰქმნეს თავიანთი მატერიალური ინტერესების დასაცავად. ამქრული ორგანიზაცია თანდათან დაიშალა, რამდენადაც სავაჭრო კაპიტალი ჩაინერგა მრეწველობაში. ამქრების საბოლოო ლიკვიდაცია კანონმდებლობის გზით მოხდა მხოლოდ მე-XIX საუკუნეში (იხ. აგრეთვე „ამქრები“).—გილდები, როგორც ვაჭართა ორგანიზაციები, წარმოსდგენ მე-XI საუკუნეში. ეს გაერთიანებანი თავ-

დაპირველად იქმნებოდენ ვაჭრების მოგზაურობისა და საქონლის გადაზიდვისას თავდაცვის მიზნით. შემდეგში ვაჭართა გილდები ეწევოდენ მოთხოვნისა და მიწოდების მოწესრიგებას; იღებდენ სავაჭრო პრივილეგიებს სხვადასხვა ადგილებში და იცავდენ დაწესებულ მონოპოლიურ ფასებს. გილდების ეს მონოპოლიური უფლებანი ხელს უშლიდა შინაური ვაჭრობის განვითარებას და სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისთანავე ყველგან მოსპობილ იქნა.
კრედიტი,—34, 35, 39, 165, 174, 176, 184, 228, 229, 231.
„ მუქთი (crédit gratuit),—57.
„ სახელმწიფო,—34.
„ საჯარო.—229.
კრედიტის განვითარებამ ხელი შეუწყო ინგლისში (მე-XVIII—XIX საუკ.) ქონების გადასვლას ერთი კლასიდან მეორე კლასის ხელში,—57.
„ განვითარებას შეუძლია, განსაკუთრებულ პირობებში, ხელი შეუწყოს მუშათა კლასის განთავისუფლების დაჩქარებას,—57.
„ ეპოქა,—230.
კრიზისები სამრეწველო და სავაჭრო,—18.
კრიზისი,—16, 115, 161, 274, 276, 277.
კრიტიკული შენიშვნები ეკონომისტებისა რიკარდოს წინააღმდეგ,—6.
Quérard: „La France littéraire". ტ. IV, 1830,—71.
Quesnay: „Tableau économique",—164.
„ „Analyse du tableau économique",—164.
Quod erat demonstrandum,—რაც უნდა დამტკიცებულიყო,—199.
კუპერი (Cooper), თომას (1759—1840,—147,—ამერიკელი ეკონომისტი. დაიბადა ლონდონში, მაგრამ საფრანგეთის რევოლიუციისადმი თანაგრძნობის გამო იძულებული გახდა 1793 წ. გადასახლებულიყო ამერიკაში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. კუპერი თავისუფალი ვაჭრობის მომხრე იყო. მისი მთავარი თხზულებებია: „Lectures on the element of political Economy", 1826 წ. („ლექციები პოლიტიკური ეკონომიის საფუძველთა შესახებ"), და „Manuel of political Economy", 1834 წ. („პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო"). ამ წიგნებში მას სმიტის და რიკარდოს მოძღვრება აქვს გადმოცემული.
Cheap food, ligh wages—იაფი პური, დიდი ხელფასი,—265.

## ლ

„La propriété' c'est le vol"—საკუთრება ქურდობაა,—50.

Largentie de Lavaisse—71—ლოდერდალის თხზულების ფრანგულად მთარგმნელი.

ლასალი, ფერდინანდ (1825—1864),—93,—სახელოვანი გერმანელი სოციალისტი, გერმანიის სოციალდემოკრატიის ერთი დამაარსებელთაგანი. ლასალმა, როდესაც იგი გაბედულად ებრძოდა ლიბერალებს, რომელთაც თავიანთი გავლენის ქვეშ ჰყავდათ მუშები, მისცა ამ უკანასკნელთ აზრი დაეარსებიათ დამოუკიდებელი სრულიად გერმანიის მუშათა კავშირი. ასეთი კიდეც იქნა დაარსებული 1863 წელს ლასალის სიცოცხლისამებრი თავმჯდომარეობით. სოციალიზმის თეორიისა და პოლიტიკური საქმიანობის პროგრამის სფეროში ლასალი თავის თავს თუმცა მარქსისა და ენგელსის მოწაფედ სთვლიდა, მაგრამ თვალსაჩინოდ გადახრილი იყო მათი მსოფლმხედველობიდან. ლასალმა თავის შემდეგ დასტოვა მთელი რიგი მოზრდილი თხზულებები და დაბეჭდილი სიტყვები. 1857 წელს გამოვიდა მისი ორტომიანი ნაშრომი—„Die Philosophie Herakleitos des Dunklen" („ფილოსოფია ჰერაკლიტე ბნელისა"), 1861 წ.—მისი დიდი ფილოსოფიურ-იურიდიული გამოკვლევაა" System der erworbenen Richte". („მოპოებულ უფლებათა სისტემა"). 1864 წლის დასაწწყისში ლასალმა გამოსცა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წინააღმდეგ მიმართული თხზულება შემდეგი სათაურით: „Herr Bastat-Schulze" („ბ-ნი ბასტია-შულცე"). მისი სიტყვებიდან, რომელთაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულეს და დღესაც თავიანთი მეცნიერული და ლიტერატურული ღირსება არ დაუკარგავთ, საჭიროა მოვიხსენიოთ „Uber Verfassungswesen" („კონსტიტუციის არსების შესახებ") და „Arbeiter-Programm" („მუშათა პროგრამა"). ლასალის სიკვდილის შემდეგ მისი მომხრეები, ლასალელები, გაერთიანდენ ეიზენახელმარქსისტებთან გოტის ყრილობაზე 1875 წელს და გაერთიანებული გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტია შეადგინეს.

Lauderdale: „Recherches sur la nature et l'origine de la richesse pnblli- que, traduit par Largentie de Lavaisse", Paris 1808,—71
ლაფარგი, ლაურა,—1,—მარქსის ქალიშვილი.
ლევანტი,—210.
ლემონტეი (Lemontey), პიერ-ედუარდ (1762—1826),—197, 216,— ფრანგი მწერალი, წევრი საკანონმდებლო კრებისა 1719—1792 წ. და საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის. სწერდა ეკონომიკისა და ისტორიის საკითხების შესახებ.
Lemontey: „Oeuvres complètes" ტ. I, Paris 1840,—197.
ლენგე (Linguet), სიმონ-ნიკოლა-ანრი ((1736—1794),—59,—საფრანგეთის მწერალი. თავდაპირველად განმანათლებელი ფილოსოფიის მომხრე და ენციკლოპედისტთა მეგობარი იყო, მაგრამ შემდეგ სავსებით განშორდა მათ. ძველი წესწყობილების დროს ბასტალიაში მოხვდა და გაძევებულ იქნა; რევოლიუციის დროს დაბრუნდა, გამოვიდა მეფის დამცველად და სიკვდილით დასჯილ იქნა 1794 წელს. ლენგე ალსავსე იყო ყოველგვარი წინააღმდეგობით. იგი იცავდა მონობას და აზიურ დესპოტიზმს,მუსრავდა ენციკლოპედისტების თეორიებს, მაგრამ ამასთანავე იყო ერთი თანამიმდევარი სოციალისტთაგანი მე-XVIII საუკუნისა. მისი სოციალისტური იდეები გაბნეულია „Théorie des lois civiles"-ში („სამოქალაქო კანონთა თეორია"-ში), „პასუხში თანამედროვე მეცნიერთადმი" და სხვ. ლენგეს ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ზედმეტ ღირებულებაზე. „მუშებს არა აქვთ წილი იმ სიუხვეში,—ამბობს იგი,—რომლის წყაროს მათი საკუთარი შრომა წარმოადგენს,—სიმდიდრე თითქოს წყალობას მოიღებს მათ მიმართ იმით, რომ მიიღებს საჩუქარს, რომელსაც ისინი მას მიართმევენ".
ლიბერალები,—265.
ლიდი,—131.
ლითონები ძვირფასი,—133.
Linguet, Nicolas: „Théorie des lois civiles",—59.
ლოგიკა პოლიტ. ეკონომიის,—170.
ლოგიკური კატეგორია,—166, 167, 168.
Logos—სიტყვა,—167,—სალვთისმეტყველო ტერმინია, რომლითაც აღინიშნება შუამავალი ღვთაებასა და ქვეყნიერობას შორის.

ქრისტიანისთვის ლოგოსის განხორციელებას წარმოადგენს ქრისტე. ღვთისმეტყველთაგან განსხვავებით ფილოსოფოსები „ლოგოსს“ უწოდებდენ ხან ნივთიერებას, ხან გონებას, ხან ორი საწყისის გაერთიანებას, იმის მიხედვით, თუ რა მიმართულებას ემხრობოდა ესა თუ ის ფილოსოფოსი.

ლოდერდალი (Lauderdale), ჯემს-მეიტლანდ (1759—1839),—72, 89, 153, 154,—ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე და ეკონომისტი. თავის ეკონომიურ ნაშრომებში იგი ადამ სმიტის კრიტიკას ეწევოდა.

ლონდონი,—24, 25, 131, 249, 253, 277.

ლუი ბონაპარტი, (1808—1873),—59, 60,—ძმისწული ნაპოლეონ I-ისა, „პატარა ნაპოლეონი“, როგორც ვიქტორ ჰიუგომ უწოდა. ლუი-ფილიპეს მეფობის დროს იგი ორჯერ შეეცადა გემიდან გადმოსულიყო ჩრდილოეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე და თავისთავი იმპერატორად გამოეცხადებია, მაგრამ ორივეჯერ მარცხი მოუვიდა. მეორეჯერ იგი დაატყვევეს და საპყრობილეში ჩასვეს, საიდანაც მოახერხა გაქცევა. საპყრობილეში მან დასწერა წიგნი, რომელშიაც თავისთავი მუშებისა და ღარიბი კლასების მეგობრად გამოაცხადა. 1848 წლის რევოლიუციის დროს გლეხობა, რომელსაც ახსოვდა, რომ ნაპოლეონ I-მა გლეხებს მიწები დაუმტკიცა, თავის გმირს ხედავდა ლუი ბონაპარტში. იგი აირჩიეს დეპუტატად ეროვნულ კრებაში და შემდეგ ხმების დიდი უმრავლესობით—რესპუბლიკის პრეზიდენტად. 1851 წლის დეკემბრის 2-ს მან სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა, საკანონმდებლო კრება დაითხოვა და თავისთავი გამოაცხადა იმპერატორად ნაპოლეონ მე-III-ის სახელწოდებით. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს 1870 წ. იგი ტყვედ დანებდა პრუსიელებს მთელი თავისი ლაშქრით. პარიზში გამოცხადებულ იქნა რესპუბლიკა. საზავო ხელშეკრულობის დადების შემდეგ იგი, გერმანიაში ტყვეობიდან განთავისუფლებული, გაემგზავრა ინგლისში, სადაც გარდაიცვალა 1873 წელს.

ლუი მე-XIV (1643—1715),—145, მეფობდა საფრანგეთში 54 წლის განმავლობაში. ვოლტერმა მის დროს „ლუი მე-XIV-ის საუკუნე“ უწოდა. ეს იყო საფრანგეთის უნახავი სამხედრო

ძლიერებისა და სამეურნეო განვითარების ეპოქა. ლუი მე-XIV-ეს მიაწერენ ცნობილ ფრაზას: L'état—c'est moi!" („სახელმწიფო მე ვარ!").

ლუი მე-XV (1715—1774),—163,—საფრანგეთის მეფე. მისი დრო საფრანგეთის სამხედრო და ეკონომიური დაცემის ხანა იყო. ლ უ ი მ ე-XV-ე ს მიაწერენ ცნობილ ფრაზას, „Après moi le déluge!" („ჩემს შემდეგ წარღვნაც მოსულა!").

## მ

მალთუსი, თომას-რობერტ (1766—1834),—49,—ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი. დიდი სახელი მოიხვეჭა თავისი წიგნით: „An essay on the principle of population" („ცდა შესახებ მოსახლეობის პრინციპისა"), რომელიც 1798 წელს გამოქვეყნდა. ამ წიგნში მალთუსი ამტკიცებს, რომ სიღატაკის მიზეზი მოიპოვება არა საზოგადოებრივი წყობილების ნაკლულევანობებში, როგორც ამბობდენ სოციალისტები, არამედ იმ ბუნებრივ წინააღმდეგობაში, რომელიც არსებობს ადამიანთა გამრავლებისადმი უსაზღვრო მისწრაფებასა და არსებობის საშუალებათა შეზღუდულ ზრდას შორის. მოსახლეობას გეომეტრიული პროგრესიით (1, 2, 4, 8, 16 ...) გამრავლების ტენდენცია აქვს, ხოლო არსებობის საშუალებები არითმეტიკული პროგრესიით (1, 2, 3, 4 ...) იზრდება. თავისი თეორიიდან მალთუსს მთელი რიგი დასკვნები აქვს მოცემული. ღარიბებს არ შეუძლიათ ჩივილი თავიანთ სიღატაკეზე, ვინაიდან იგი მათი ნამეტნავად სწრაფი გამრავლების შედეგი არის. ღარიბებს მხოლოდნაადრევი დაქორწინებისგან თავის შეკავებით შეუძლიათ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება (ეგრეთწოდებული მალთუზიანობის თეორია).

„ მისი წიგნი „population"-ის შესახებ,—„სენსაციური პამფლეტი" და პლაგიატი,—49.

მანუფაქტურა,—195, 197, 207, 208, 213, 235, 237,—ჩვეულებრივ ენაზე ეს სახელი ეწოდება საფაბრიკო დაწესებულებას, რომელშიაც სწარმოებს საქსოვილო ნაწარმოებთა დამზადება, ე. ი. ბოჭკოვან ნივთიერებათა დამუშავება,

აქედან მანუფაქტურული მრეწველობის სახელწოდებით იგულისხმება საქსოვილო წარმოება. სიტყვა-სიტყვით მანუფაქტურა ნაშნავს ხელით წარმოებას, ლათინური manus-იდან—ხელი და facere-დან—კეთება. ეკონომიურ მეცნიერებაში მანუფაქტურული მრეწველობა ეწოდება იმ წარმოების წესს, რომელიც წარმოსდგა ინგლისში დაახლოებით მე-XV საუკუნეში და გავრცელებული იყო ევროპაში თითქმის მე-XVIII საუკუნის ბოლომდე, სამრეწველო გადატრიალების დაწყებამდე. წარმოების მანუფაქტურული წესი გამოიწვია ფეოდალური მეურნეობის დაშლამ, კაპიტალების დაგროვებამ და ინდოეთსა და ამერიკასთან ახალი საზღვაო კავშირგაბმულობის დამყარებამ. მანუფაქტურა წარმოადგენდა ხელოსნური შრომიდან და შინამრეწველობიდან ფაბრიკულ მანქანურ წარმოებაზე გადასავალ საფეხურს. განსხვავებით ფაბრიკისაგან, რომელიც მანქანების შემწეობით მუშაობს, მანუფაქტურა წარმოადგენდა მეტნაკლებად მსხვილ სამრეწველო სარეწაოს, რომელიც დაფუძნებული იყო ხელით შრომაზე, ფართოდ გატარებული შრომის ტეხნიკური დანაწილებით.

მანუფაქტურის წარმოშობის ისტორიული წინაპირობები,—207.

მანუფაქტურული მრეწველობა,—206, 207, 210, 233–235.

„ მრეწველობის ისტორია,—207.

„ პერიოდი,—32.

„ სახელოსნო,—207.

„ წარმოება,—159.

მანუფაქტურულ პერიოდში შრომის დანაწილება,—32.

მანქანა—33—35, 39, 96, 97, 102, 154—157, 174, 191, 194, 198, 201—204, 206, 210—211, 215, 246, 247, 251, 270, 275, 276, 279,—ხელოსნური და მანუფაქტურული შრომის დანაწილების საფუძველზე წარმოიშვა. თავისი განვითარებული სახით მანქანა სამ ნაწილს შეიცავს: მამოძრავებელ, გადამცემ და აღმსრულებელ მექანიზმს. მამოძრავებელი მექანიზმი აწარმოებს მამოძრავებელ ძალას, რომლითაც მოძრაობაში მოდის მთელი მანქანა. გადამცემი მექანიზმი მოძრაობას აწესრიგებს და გადასცემს აღმსრულებელ მექანიზმს. „აღმსრულებელი მექანიზმი ისეთი მექანიზმია, რომელიც, მიიღებს რა სათა-

ნადო მოძრაობას, თვისი იარაღებით ასრულებს იმავე ოპერაციებს, რასაც უწინ მუშა ასრულებდა იმგვარივე იარაღებით" (მარქსი). მანქანამ მრეწველობაში ფართო გავრცელება მიიღო მე-XVIII საუკუნის ბოლოს მომხდარი სამრეწველო რევოლიუციის შემდეგ. მხოლოდ მანქანების გავრცელების მიხედვით აწარმოებდა მსხვილი ფაბრიკული მრეწველობა წარმატებით მრეწველობის უფრო ჩამორჩენილი ფორმების განდევნას (ხელოსნობა, შინამრეწველობა, მანუფაქტურა).

მანქანების გამოყენება თანამედროვე ეკონომიური წყობილების ერთი ურთიერთობათაგანია,—34.

„ განვითარების მსვლელობა,—209.

„ „ პროცესი,—33.

„ დასაწყისი,—209.

„ ექსპლოატაციის წესი თვით მანქანებისგან სრულიად განსხვავებული რამეა,—34.

მანჩესტერი,—5, 249, 274, 277.

მარადიული გონება,—181.

„ იდეები,—43, 53.

„ კანონები,—36, 53, 187, 188, 252.

„ კაპიტალი (პრუდ.),—241.

„ კატეგორიები,—43, 165, 238.

„ სამართლიანობა,—76, 130.

„ ურთიერთობანი,—54, 193.

„ ფორმულები,—40.

მარადიულობა კონკურენციის (პრუდ.),—221.

მარსეტი: „Iohn Hopkins' notions on political economy", 1833, —25.

მარტივი კატეგორია,—169, 195.

„ შრომა,—96.

„ შრომა: საზომია ღირებულების,—96.

მარქსი, კარლ,—1, 3—8, 11, 25, 26, 46, 47 60, 63, 93, 111, 117, 189, 247, 264.

„ „ზედმეტი ღირებულების თეორიები",—25.

„ „კაპიტალი", ტ. I,—4, 23, 94.

„ „კაპიტალი", ტ. II,—247.

„ „Lohnarbeit und Kapital",—52.

„ „Misère de la philosophie", Paris 1847,—6, 51, 53.

„ „სიტყვა თავისუფალი ვაჭრობის საკითხის შესახებ“,—24, 264.
„ „ფილოსოფიის სიღატაკე“,—1, 24, 25, 61.
„ „Zur Kritik der politischen Oekonomie“, Berlin 1859,—5, 24, 57, 258.
მარქსს ბრალს სდებდა როდბერტუსი,—„გამძარცველი“,—2.
„ ცილს სწამებს როდბერტუსი,—2.
მატერიალური პირობები განთავისუფლებისა,—54.
მაქსიმუმი მოხმარებისა,—108.
„ საცვლელი ღირებულებისა,—74,
მაწანწალები,—207.
მაწანწალობა მე-XV—XVI საუკუნეებში—207—გამოწვეული იყო ფეოდალური მეურნეობის დაშლით და ხელოსნობის დაცემით. ბატონყმური დამოკიდებულებისგან განთავისუფლებულ გლეხებს ხშირად მემამულეები ერეკებოდენ მათი საბინადრო ადგილებიდან; ისინი მასიურად გადადიოდენ ქალაქიდან ქალაქში და თანდათან ივიწყებდენ პროდუქტიულ შრომას. მეორეს მხრივ, შემსყიდველის როლის გაძლიერებასთანავე ძლიერდებოდა ხელოსნების, განსაკუთრებით ქარგლების, გაღატაკება. ასე იქმნებოდა ჯარი მაწანწალებისა, რომელთაც არ ჰქონდათ ბინა და სამუშაო. საქალაქო თვითმართველობანი მაწანწალებისათვის აგებდენ გამასწორებელ და სამუშაო სახლებს, ე. ი. სახელოსნოებს, სადაც მათ იძულებით ამუშავებდენ. მაწანწალებს, რომელნიც იძულებით მუშაობაზე უარს იტყოდენ, სასტიკ სასჯელს აყენებდენ, სიკვდილით სასჯელის გამოუკლებლად.
მგზავრობა მარქსის და ენგელსის ინგლისში 1845 წელს,—5.
მებატონეები საადგილმამულო,—265.
„ ფეოდალური,—171, 186, 207, 255.
მეექვსე შენიშვნა,—179
მევენახეები (საფრანგ.),—75.
მეთოდი,—163, 164, 168, 172,
„ აბსოლუტური,—168.
„ აღწერილობითი (პრუდ.),—68, 70, 204.
ისტორიული (პრუდ),—68, 70, 204.
მემამულეები,—21, 159, 207, 231, 235—237, 239, 242, 244, 248, 266, 268—270, 272—273.

მენგერი, ანტონ (1841—1906),—25,—სამართლის ცნობილი ავსტრიელი პროფესორი. მის თხზულებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოციალისტურ თეორიებს. თავისი შეხედულებით ბურჟუაზიული რადიკალი იყო.

„ „Das Recht auf den vollen Arbeitsertrag“, მეორე გამოც. 1891,—25.

მეოთხე შენიშვნა,—173.

„ წოდება,—256.

მეორე შენიშვნა,—171.

მესამე შენიშვნა,—172.

„ წოდება—256—ნიშნავდა საფრანგეთში, საშუალო საუკუნეების ბოლოდან 1781 წლამდე, მთელს ნაციას, ორი პრივილეგიანი წოდების—თავადაზნაურობისა დ სამღვდელოების—გამოკლებით. ოფიციალურად საფრანგეთის მთელი მოსახლეობა 1789 წ. რევოლიუციამდე სამ წოდებად იყოფოდა: სამღვდელოებად, თავადაზნაურობად დ მესამე წოდებად. მესამე წოდება არ იყო ერთგვაროვანი მასა, იგი შეიცავდა თავისში ბურჟუაზიას, ინტელიგენციას, გლეხობას, ხელოსნებსა და საქირაო მუშებს. 1789 წლის დიდმა რევოლიუციამ მოსპო ერის წოდებებად დანაწილება და დააწესა ყველა მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე. მაგრამ წოდებათა მოსპობამ გასწმინდა მხოლოდ ნიადაგი სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების ინტერესთა წინააღმდეგობის უფრო მკვეთრად გამოაშკარავებისთვის, პირველ რიგში—ბურჟუაზიის და პროლეტარიატისა, რომელნიც წინად მესამე წოდების შემადგენლობაში შედიოდენ.

„ წოდების განთავისუფლების პირობა იყო ყველა წოდებათა მოსპობა,—256.

მეტაფიზიკა,—35, 163, 164, 168.

„ პოლიტ. ეკონომიის,—170, 177.

მეტაფიზიკოსები,—167.

მეტაფიზიკური თვისებები,—79.

„ ილუზია,—229.

მეფეები,—17, 140, 163.

„ მონეტის გაყალბებით თვითონ ზარალობდენ,—139.

„ ყოველთვის ეკონომიურ პირობებს ემორჩილებოდენ.—137.

მექანიკური სისტემა,—214.

მეშვიდე შენიშვნა,—186.

მეცნიერება ეკონომიური,—146.

" როდის აღარ არის დოქტრინული და ხდება რევოლიუციონური,—193.

მეხუთე შენიშვნა,—176.

Mill, J. St.: „Essays on some unsettled questions of political economy", London 1844,—146.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილი (Mill), ჯონ-სტიუარტ (1806—1873)—146,—ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი, ეკონომისტის ჯემს მილის შვილი. ფილოსოფიის დარგში მისი ყველაზე უფრო შესანიშნავი ნაწარმოებია „System of logic" 1843 წ., („ლოგიკის სისტემა"). ეკონომიური ნაშრომიდან მილის უდიდესი ნაწარმოებია „Principles of political economy," 1848 წ. („პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები"). მილი, როგორც ეკონომისტი, რიკარდოს მოწაფე და განმგრძობია, მაგრამ იგი იყო აგრეთვე, ერთის მხრივ, საფრანგეთის სოციალისტებისა და, მეორეს მხრივ, ვულგარული ეკონომისტების დიდი გავლენის ქვეშ. ძირითად თეორიულ საკითხებში მილი თავის მასწავლებელთა, რიკარდოსი და მალთუსის, ერთგულია და თავის წინამორბედთა მოძღვრების მხოლოდ სისტემატიურ გადმოცემას იძლევა, რომელშიაც ახალი ცოტა შეაქვს. მისი მთავარი განსხვავება კლასიკოსებისგან მდგომარეობს მის კრიტიკულ განწყობილებაში კაპიტალიზმის მიმართ. ფიქრობდა რა, რომ სოციალიზმის შემოღება მხოლოდ შორეული მერმისის საქმე შეიძლება იყოს, მილი წინადადებას იძლევა, კაპიტალისტური მეურნეობის უაღრესად საგოდებელ ბოროტებათა მოსასპობად, განხორციელებულ იქნეს მთელი რიგი სოციალური რეფორმები,—სხვათა შორის მსხვილი საადგილმამულო საკუთრების ნაციონალიზაცია, სადგილმამულო რენტის გადასვლით სახელმწიფოს ხელში.

მილი, ჯემს (1773—1836),—239.—მარქსი აქ არ აღნიშნავს, თუ რომელი მილი ჰყავს მას მხედველობაში, ჯემს მილი თუ მისი შვილი ჯონ-სტუარტ მილი (ამ კანასკნელის შესახებ იხ. ზევით). ჯემს მილიც და ჯ.-სტ. მილიც მომხრენი იყვნენ რენტაზე ხარკის დაწესების. ეტყობა,

